

**სტუდენტური
სამართლებრივი ჟურნალი**

2013

სარჩევი

თორნიკე დარჯანია იპოთეკის აქცესორულობის პრობლემატიკა საკრედიტო ხელშეკრულებებში	4
რუსუდან როგავა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა	15
სიმონ ტაკაშვილი დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის პრობლემები ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში	21
თორნიკე ნემსწვერიძე კონტრაჰენტთა თანასწორობის პრინციპის რეალიზება ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში	31
თამარ ასათიანი მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები	43
ნინო ბეგიაშვილი საკუთრების უფლების გადაცემა - გამიჯვნის თუ ერთიანობის პრინციპი?	53
გიორგი ამირანაშვილი უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე	62
გიორგი ასათაშვილი კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი უძრავ ქონებაზე საკუთრების შექენისას მესაკუთრის ნების არარსებობის შემთხვევაში – კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	70
თამარ გადრანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების უფლების შეზღუდვის ზოგიერთი შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი	79
ნინო კვეტენაძე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლი - ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმი	90
ბექა ძამაშვილი ვეტოს უფლებით პრეზიდენტის აღჭურვის მიზანშეწონილობა საქართველოში არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობაში	99
თამარ ურუშაძე საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები	113
თათია ქინქლაძე ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი	120
რევაზ ხოფერია „გაერთიანებების სარჩელი“ გარემოს დაცვის სამართალში	127

იპოთეკის აქცესორულობის პრობლემატიკა საკრედიტო ხელშეკრულებებში

I. შესავალი

როდესაც ერთი პირი მეორესთან ამყარებს სამართლებრივ ურთიერთობას, გასცემს კრედიტს, დებს ნასყიდობის, ნარდობის ხელშეკრულებებს და ა.შ. იგი, თავისდაუნებურად, ითვალისწინებს ყველაზე ცუდ შედეგს — ვალდებულება შეიძლება დაირღვეს და მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს, მაგალითად: კრედიტის შემთხვევაში, მსესხებელმა არ დაუბრუნოს კრედიტი და საპროცენტო სარგებელი; ნასყიდობისა და ნარდობის დროს, მყიდველს არ მიანოდონ ვალდებულებით განსაზღვრული ნივთი. ამის გათვალისწინებით, ნებისმიერი სამართლებრივი სუბიექტი ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში შესვლამდე ფიქრობს თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფაზე, იმის გარანტირებაზე, რომ, თუ ვალდებულება დაირღვევა და მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მას ჰქონდეს თავისი მოთხოვნის სხვაგვარად დაკმაყოფილების მექანიზმი. დღესდღეობით რთულად თუ არის წარმოსადგენი საბანკო სექტორის, საკრედიტო ბაზრისა და, ზოგადად, ბიზნესის წარმოება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების გარეშე.

ჯერ კიდევ „რომის სამართლიდან“ დაიწყო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების ინსტიტუციური ჩამოყალიბება და დღეის მდგომარეობით საკმაოდ ფართო კატალოგი გვაქვს სახეზე. ქვეყნების უმრავლესობის მიერ მათი უმეტესობის კოდიფიკაცია მოხდა სამოქალაქო კოდექსების მიღების შედეგად. ზოგიერთი ჩამოყალიბდა ბაზარზე სამართლებრივ ურთიერთობათა განვითარებითა და გამარტივებით. ისევე, როგორც ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც იცნობს გირავნობას (სკ-ის 254-ე მუხლი), იპოთეკას (სკ-ის 286-ე მუხლი), თავდებობას (სკ-ის 891-ე მუხლი) და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოში ისინი ყველაზე გავრცელებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებია. კანონი იცნობს, ასევე, მოთხოვნის უზრუნველყოფის სახეებს, რომლებიც გაბნეულია სახელშეკრულებო სამართალში, მაგალითად: გამქირავებლის გირავნობის უფლებას დამქირავებლის მიერ ქირავნობის ობიექტზე შეტანილ ნივთებზე (სკ-ის 568-ე მუხლი), მენარდის იპოთეკის უფლებას შემკვეთის სამშენებლო ნაკვეთზე (სკ-ის 635-ე მუხლი). მოთხოვნის უზრუნველყოფის ზემოაღნიშნული საშუალებები აქცესორული ხასიათისაა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ და, მათ შორის, გერმანულ სამართალში ჩამოყალიბდა მთელი რიგი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისა, რომლებიც არააქცესორული (ასევე აბსტრაქტულად წოდებული), ფიდუციარული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებად იწოდებიან და პრაქტიკული, ეკონომიური და მოქნილი მოქმედებით სამოქალაქო ბაზარზე ყველაზე მეტად გამოიყენებიან. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დღესდღეობით იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, გერმანიის საკრედიტო ურთიერთობებში თითქმის აღარ გამოიყენება და იგი ჩაანაცვლა არააქცესორულმა

1. GIZ-ის სამართლის ექსპერტი

მინის ვალმა (*Grundschild*). ვალდებულებითი ურთიერთობების მისადაგების ამ გამარტივებულმა შესაძლებლობამ გამოიწვია ის, რომ გერმანულ საკრედიტო ბაზარზე ბოლო პერიოდში მინის ვალის გამოყენების თანაფარდობა იპოთეკასთან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დაახლოებით, 80 % 20 %-თანაა². ხოლო სხვადასხვა ქვეყანაში იპოთეკის აქცესორულობის ხასიათი შესუსტდა, რათა მაქსიმალურად მოქნილი გაეხადათ მისი პრაქტიკაში გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ბოლო პერიოდში იკვეთება ტენდენცია, შეიქმნას მინაზე გირავნობის უფლების საერთო მოდელი, რომელიც აბსტრაქტული (არააქცესორული) იქნება და ყველა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში აისახება (ე.წ. „ევროიპოთეკა“) და რომელსაც შესაძლოა, შვეიცარიული არააქცესორული უზრუნველყოფის უფლება „*Schuldbrief*“ (სასესხო — სათამასუქო მონმობა³) დაედოს საფუძვლად⁴.

II. კლასიფიკაცია აქცესორულ და არააქცესორულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებად

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა არის აქცესორული ან არააქცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, ან რომელია მათი სახეები. თავად ტერმინი „აქცესორული“ სათავეს იღებს „რომის სამართლიდან“ („*accedere*“ — „შეერთება“), რომელიც ზოგადი ცნებაა და გულისხმობს ერთი უფლების არსებობის დამოკიდებულებას მეორე უფლების არსებობაზე (სკის 153-ე მუხლი). მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალში კი აქცესორულობა განიმარტება როგორც უზრუნველყოფის საშუალების (მაგ., გირავნობის, რომელიც ასევე უფლებაა) დამოკიდებულება უზრუნველყოფილი უფლების/მოთხოვნის/ვალდებულების არსებობაზე⁵; იგი შეიძლება მოიცავდეს ორივე ურთიერთდამოკიდებული უფლების წარმოშობის, არსებობის, მოცულობის, განხორციელების, გადაცემისა და შეწყვეტის ყველა ასპექტს, თუმცა, ცალკეული უზრუნველყოფის საშუალებების მიხედვით, მისი ბუნება სხვადასხვანაირია⁶. საქართველოში საბანკო საქმიანობაში გავრცელებულია საბანკო გარანტია, რომელიც დარეგულირებულია სკის 879-ე მუხლში და არააქცესორული ხასიათისაა⁷. შედარებისთვის, გერმანულ სამართალში არააქცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის სახეები: მინის ვალი (*Grundschild*), უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემა (*Sicherungsübereignung*)⁸, უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა (*Sicherungsabtretung*)⁹, ვალის კისრება (*Schuldbeitritt*).

ზემოთ აღინიშნა, რომ არააქცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ასევე იწოდებიან ფიდუციარული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებად. ტერმინი „ფიდუციარული“ ქართული სამართლისთვის უცხო არაა (მაგ., „ფიდუციარული ოპერაცია“, იხ. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის 1-ლი მუხლის „რ“ ქვეპუნქტი). სიტყვა

2. MüKo/ Eickmann, BGB, 5. Aufl., § 1191, Rn. 5.

3. შდრ. იხ. *შოთაძე*, იპოთეკა როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, სადისერტ. ნაშრომი, 130-ე და მომდ. გვერდ.

4. Baur/Stürner, Sachenrecht, 18. Aufl., § 64, Rn. 76 ff.; Wachter WM 99, 49 ff.; ამ მოსაზრებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს V. Wilmowsky, Europäisches Kreditsicherungsrecht, გვ. 149.

5. Uhlenbruck, InsO/Vallender 13. Auflage, Rn. 53.

6. MüKo/ Eickmann, BGB, 5. Aufl., Einleitung, Rn. 22.

7. შდრ. *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, IV ნიგნი, II ტომი, გვ. 218.

8. უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემის ინსტიტუტის მოქმედება საკამათოა ქართულ სამართალში, მისი მოქმედება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დაუმუშავლად იპოთეკის ნორმების გვერდის ავლის გამო (შნიტიგერი, კრედიტის უზრუნველყოფის სასწავლო კურსი, GIZ, 2013, გვ. 2, გამოუქვეყნებელი ნაშრომი; Bölling, Das Sicherungseigentum an Immobilien nach georgischem ZGB, Teil 1, WiRO 2004, 1; Teil 2, WiRO 2004, 33).

9. ქართულ სამართალში უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობის (იგივე უზრუნველყოფილი ცესია, ფიდუციარული მოთხოვნის დათმობა) მოქმედების შესახებ იხ. დარჯანია, უზრუნველყოფილი ცესია და მოვალის გარანტია, სტუდენტური სამართ. ჟურნალი, GIZ, 2012 წ.

„ფიდუციარული“ წარმოშობილია ლათინურიდან — „fiducia“ და ნიშნავს ნდობას, მინდობას¹⁰. უზრუნველყოფის საშუალებების დასახასიათებლად ეს ტერმინი გამოიყენება იმიტომ, რომ ხაზი გაესვას უზრუნველყოფის ბუნებას, მის მინდობით ხასიათს და გულისხმობს ისეთ მინდობით ურთიერთობას, როდესაც დადებული უზრუნველყოფის გარიგების შედეგად უზრუნველყოფის მიმღებს, ერთი შეხედვით, უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მას უზრუნველყოფის ხელშეკრულების თანახმად აქვს მინიჭებული¹¹.

როგორც აღინიშნა, აქცესორული (დამოკიდებული) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების შემთხვევაში, უზრუნველყოფა მჭიდროდ არის დაკავშირებული უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან. უზრუნველყოფის არსებობა და მისი მოცულობა მიმართულია განსაზღვრული მოთხოვნის არსებობაზე. უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობის გარეშე, უზრუნველყოფის უფლება არც წარმოიშობა და არც გადაეცემა.

არააქცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები (მაგ., უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა) წარმოიშობა უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებით მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არსებობს. მაშასადამე, უზრუნველყოფის უფლების წარმოშობა არ არის დამოკიდებული მოთხოვნის არსებობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ცალსახად იკვეთება, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ წარმოიშობა, მოიაზრება ორი შესაძლებლობა¹²:

1. უზრუნველყოფის უფლების გადაცემა შეწყვეტის დათქმით;
2. უზრუნველყოფის უფლების უკან გადმოცემაზე ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლება.

1. უფლების გადაცემა შეწყვეტის დათქმით

თუ უზრუნველყოფა უზრუნველყოფის მიმღებს იმ პირობით გადაეცა, რომ უზრუნველყოფის მიზნის შესრულებისას უზრუნველყოფის უფლება წყდება (ქარწყდება), მაშინ ამ პირობის დადგომისას უფლება ავტომატურად უბრუნდება უკან უზრუნველყოფის მიმცემს¹³; და თუ უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან ასეთი პირობა არ გამომდინარეობს, ივარაუდება, რომ კონკლუდენტურად შეთანხმებულია უპირობო უზრუნველყოფა¹⁴.

2. უფლების უკან დაბრუნების ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის უფლება

თუ სახეზეა უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმება პირობადების გარეშე (უპირობო უზრუნველყოფა), მაშინ უზრუნველყოფის მიმცემს უზრუნველყოფის მიზნის შესრულებისას უფლების უკან გადმოცემაზე აქვს მოთხოვნის უფლება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზრუნველყოფა, მხარეთა შეთანხმების თანახმად, მიზნად ისახავს მომავალში სავარაუდოდ წარმოშობადი მოთხოვნების უზრუნველყოფას)¹⁵. მხარეებს შეუძლიათ, ნებისმიერ დროს შეთანხმდნენ, რომ უზრუნველყოფამ განაგრძოს არსებობა, თუმცა უზრუნველყოფის შემდგომი მოქმედების შესაძლებლობა წყდება მაშინ, როდესაც გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში უზრუნველყოფის მიმცემის ქონება აღსასრულებლად მიექცევა.

10. იხ. ვიკიპედია <http://de.wikipedia.org/wiki/Fiducia>

11. Baur/Stürner, Sachenrecht, 18. Aufl, § 64, Rn. 76 ff.; MüKo/ Eickmann, BGB, 5. Aufl. § 1191, Rn. 11.

12. MüKo/Kirchhof, Lwowski, Stürner, InsO, Vormerkungen §§ 49-52, Rn 37.

13. MüKo/Kirchhof, Lwowski, Stürner, InsO, იქვე.

14. MüKo/Kirchhof, Lwowski, Stürner, InsO, იქვე.

15. MüKo/Kirchhof, Lwowski, Stürner, InsO, იქვე.

III. გერმანულ სამართალში იპოთეკასთან მიმართებით მიწის ვალის უპირატესობის შესახებ

როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროპის საკრედიტო ურთიერთობებში უპირატესობა ენიჭება არააქცესორულ უზრუნველყოფის საშუალებებს. თუ რა უპირატესობები ახასიათებთ არააქცესორულ უზრუნველყოფის საშუალებებს აქცესორულთან მიმართებით, განვიხილოთ გერმანული მიწის ვალისა და იპოთეკის მაგალითზე:

- იპოთეკა გერმანულ სამართალში (ისევე როგორც ქართულ სამართალში) მოთხოვნის უზრუნველყოფის აქცესორული საშუალებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ იპოთეკასა და კონკრეტულ განსაზღვრულ მოთხოვნას შორის სანივთოსამართლებრივი ურთიერთდაკავშირებულობა მოცემულია. მაშინ, როდესაც კრედიტი ბრუნდება (ანუ მოთხოვნა წყდება/ვალდებულება სრულდება), იპოთეკა წყდება. იპოთეკის შემთხვევაში, როგორც წესი, კრედიტორის მხარეს სავალდებულოა პირთა იდენტიფიკაცია.

მიწის ვალი მოთხოვნის უზრუნველყოფის არააქცესორული საშუალებაა. ის მოთხოვნასთან ვალდებულებითსამართლებრივად არის დაკავშირებული, თუმცა უზრუნველყოფილი მოთხოვნა მიწის ვალის შინაარსი არ ხდება. მიწის ვალმა, შესაძლებელია, განაგრძოს მოქმედება მაშინ, როდესაც კრედიტი დაბრუნდება და მოთხოვნა შეწყდება. მაშასადამე, მიწის ვალი, შესაძლებელია, სხვა სესხის უზრუნველყოფად იქნეს გამოყენებული.

- თუკი უზრუნველყოფილი მოთხოვნა ჩანაცვლება ან შეიცვლება (მაგ., საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას), იპოთეკის შემთხვევაში ეს ცვლილება საჭიროებს ხელახალ რეგისტრაციას; მიწის ვალის შემთხვევაში კი საკმარისია ფორმის დაცვის გარეშე შეთანხმებაც. მაშასადამე, მიწის ვალი, შესაძლებელია, თავისუფლად იქნეს გამოყენებული ახლად გაფორმებული სესხებისთვისაც. გამომდინარე აქედან, მიწის ვალის ერთხელ რეგისტრაცია და მისი მისადაგების მოქნილი შესაძლებლობა ხელსაყრელია ბანკებისთვის/კრედიტორებისთვის, ვინაიდან სახეზეა ერთხელ დარეგისტრირებული განგრძობადი უზრუნველყოფის უფლება. მისი მრავალჯერადი გამოყენება იძლევა ნოტარიული დამონშემებისა და რეგისტრაციის ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობას. ახალი კრედიტის გაცემაც უფრო მარტივია, ვინაიდან უზრუნველყოფა უკვე რეგისტრირებულია.

იპოთეკის შემთხვევაში, უფლების წარმოშობისა და შეწყვეტის პერმანენტული რეგისტრაცია, ერთი მხრივ, ძვირია მხარეებისათვის და, მეორე მხრივ, დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს.

- იპოთეკა უზრუნველყოფს მხოლოდ განსაზღვრად მოთხოვნებს. მაშინ, როდესაც სესხის მოთხოვნის ოდენობა მერყეობს, ან არ არის ზუსტად დადგენილი, მხოლოდ მიწის ვალის გამოყენება არის შესაძლებელი. ამ შემთხვევებში იპოთეკის გამოყენებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს გრძელვადიანი ბიზნესურთიერთობის მიმდინარეობას.

- თუ მესაკუთრე იმავდროულად იპოთეკის მოვალეა და სურს, სამომავლო უზრუნველყოფის მიმცემისთვის პირველი რიგითობა შეინარჩუნოს, მან სამომავლო კრედიტის გამცემებთან რიგითობის თაობაზე შეთანხმებას უნდა მიაღწიოს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 881-ით განსაზღვრული წესით).

ამისგან განსხვავებით, მიწის ვალის მოვალეს და მესაკუთრეს შეუძლია, თავის სასარგებლოდ თავის ნაკვეთზე მესაკუთრის მიწის ვალი დააფუძნოს (§ 1196-ის თანახმად).

მიწის ვალის შემთხვევაში რიგითობის თაობაზე შეთანხმება არარელევანტურია; იპოთეკის შემთხვევაში კი მესაკუთრეს უფლება არ აქვს, მესაკუთრის იპოთეკა წარმოშვას, ვინაიდან იპოთეკის წარმოშობისათვის მოთხოვნის არსებობა არის სავალდებულო.

- კრედიტის უზრუნველყოფა შესაძლებელია სხვადასხვა მესაკუთრის სხვადასხვა ნაკვეთზე წარმოშობილი ე.წ. საერთო იპოთეკით ან საერთო მიწის ვალით. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკარი ერთ-ერთი მესაკუთრის მიმართ წარადგენს მოთხოვნას სრული მოცულობით და

დაიკმაყოფილებს მოთხოვნას, მაშინ სხვა მესაკუთრეებს ეკისრებათ ვალდებულება წილთა გათანაბრების თაობაზე. ამისგან განსხვავებით, მიწის ვალის შემთხვევაში, მხარეებს ჯერ კიდევ უზრუნველყოფის ხელშეკრულებაში შეუძლიათ რეგრესული მოთხოვნის სხვაგვარი მონესრიგება გაითვალისწინონ.

IV. იპოთეკის აქცესორულობის შესუსტება საკრედიტო ხელშეკრულებებში

1. იპოთეკის აქცესორულობა

ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია (გერმანიისა და სხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისგან განსხვავებით) არ იცნობს „მიწის ნაკვეთზე წარმოშობილი გირავნობის უფლებების“ ცნებას. ამის მიზეზი არის ის, რომ ქართველმა კანონმდებელმა კოდექსის შემუშავებისას მიწაზე დადგენილ გირავნობის უფლებად მხოლოდ იპოთეკა განსაზღვრა. გამომდინარე აქედან, აღარ იყო საჭირო კრებისით ტერმინის გამოყენება, რომელშიც, გერმანული „**Grundpfandrechte**“-ს მსგავსად, გაერთიანებული იქნებოდა მიწაზე დადგენილი უზრუნველყოფის უფლებები¹⁶. მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკის რეგულირების ქართულ ნორმას გერმანული მოდელი დაედო საფუძვლად, კანონმდებელმა საჭიროდ არ ჩათვალა მიწის ვალის რეგულირების კოდექსში გათვალისწინება. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ქართულ სამართალში მიწაზე დადგენილ უზრუნველყოფის უფლებად მხოლოდ იპოთეკა განისაზღვრა და ისიც აქცესორული ბუნებით. ეს, ერთი მხრივ, გამართლებულიც იყო, ვინაიდან არასტაბილურ საკრედიტო ბაზარზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალების მოქმედება, ვინაიდან აქცესორულობა, პირველ რიგში, მოვალის დაცვის მექანიზმია. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ფიდუციარული (ნდობაზე დამყარებული) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები. ასეთი საშუალებების ბაზარზე დამკვიდრება მოითხოვს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკას, სადაც ბიზნესპარტნიორები უფრო მეტად ენდობიან ერთმანეთს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თავდაპირველი რედაქცია, რომელიც ეხება იპოთეკის ცნებას, შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

მუხლი 286. ცნება

1. უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან (იპოთეკა).

იპოთეკის აქცესორულობის პირველი ნიშანი გამომდინარეობს ნორმის წინადადების პირველი ნაწილიდან, რომელიც ადგენს, რომ იპოთეკა ემსახურება მოთხოვნის დაკმაყოფილებას. იპოთეკის მოთხოვნაზე დამოკიდებულება გამომდინარეობს ასევე ნორმის ნაწილიდან — „შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება“. კრედიტორის მოთხოვნის წარმოშობასთან ერთად წარმოიშობა იპოთეკაც და ეს აძლევს კრედიტორს უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, ვინაიდან მისი მოთხოვნა, უზრუნველმყოფ იპოთეკასთან ერთად, უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე მეორე და შემდგომი რიგის კრედიტორებისა. ნორმის ახალ რედაქციას ამ მხრივ ცვლილება არ განუცდია:

მუხლი 286. ცნება

1. უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

16. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, 2008, გვ. 388.

იპოთეკის აქცესორულობას ხაზს უსვამს 286-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა სხვა მოთხოვნით შეიცვლება, სავალდებულოა მოვალისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმების რეესტრში რეგისტრაცია. ამ რეგულირებით კიდევ ერთხელ ნათელი ხდება იპოთეკის მოთხოვნაზე დამოკიდებულება, ვინაიდან, თუ მოთხოვნა იცვლება, უნდა შეიცვალოს რეესტრში იპოთეკის ჩანაწერიც.

იპოთეკის აქცესორულობა გამოხატულია ასევე სკ-ის 295-ე მუხლში, სადაც განსაზღვრულია, რომ მოთხოვნის გადაცემა (დათმობა) შესაძლებელია მხოლოდ მის უზრუნველყოფილ იპოთეკასთან ერთად, ანუ იპოთეკა „მიჰყვება“ უზრუნველყოფილ მოთხოვნას. გარდა ამისა, იპოთეკის აქცესორულობაზე მეტყველებს სკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომლის მიხედვითაც იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნის ვადის დადგომისათვის აუცილებელია მოვალის მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა¹⁷.

ლიტერატურაში არაერთგვაროვნად არის განხილული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლი:

„მუხლი 288. მესაკუთრის იპოთეკა

თუ მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, არ წარმოშობილა, იგი ქარწყლდება ან გადადის უძრავი ნივთის მესაკუთრეზე, მაშინ იპოთეკაც გადადის ამ უკანასკნელზე (მესაკუთრის იპოთეკა).

ეს ნორმა მიჩნეულია იპოთეკის არააქცესორულობის გამონაკლის შემთხვევად და უნდა განიმარტოს როგორც გარდამავალი მდგომარეობა, როდესაც იპოთეკა მოთხოვნის გარეშე არსებობს¹⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ სკ-ის 288-ე მუხლი გადმოტანილ იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან. საქმე ისაა, რომ სკ-ის 288-ე მუხლის ანალოგი ნორმა — გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 1163 — დაკავშირებულია §§ 1177, 1196, 1198-თან, რომლებიც ეხება მინის ვალს, ხოლო მინის ვალი ქართულ კოდექსში არ არის დარეგულირებული. სკ-ის 288-ე მუხლში მითითებული გარემოებების არსებობისას, გერმანული სამართლის მიხედვით, იპოთეკა კი არ ქარწყლდება, არამედ გადაიქცევა სანივთო უფლებად — მესაკუთრის მინის ვალად (Eigentümergrundschild), რომლის საფუძვლადაც გერმანულ სამართალში გვევლინება არსებული ქონებიდან გადახდევინებაზე მიმართული სანივთო უფლებების ნაირსახეობა, ე.წ. მინის ვალი — Grundschuld¹⁹. გერმანული სამართლის მიხედვით, შესაძლებელია, მინის ვალი იპოთეკაში გადაიზარდოს, და პირიქით²⁰. სკ-ის 288-ე მუხლის რეგულირების ანალოგი გერმანულ კოდექსში მიზნად ისახავს, დაარეგულიროს ის მდგომარეობა, როდესაც იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ წარმოიშობა ან შეწყდება. ამ შემთხვევაში, იპოთეკა (ვინაიდან იგი მოთხოვნის გარეშეა რეგისტრირებული რეესტრში) გადაიქცევა მესაკუთრის მინის ვალად, ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, მესაკუთრეს შეუძლია, მივიდეს რეესტრში და უზრუნველყოფის უფლება თავის სახელზე დაირეგისტრიროს. ისმის კითხვა, რას ემსახურება ეს რეგულირება? განვიხილოთ მაგალითი: „A“-მ ბანკ „B“-სგან აიღო სესხი 100 000 ლარის ოდენობით, წლიური 14% საპროცენტო განაკვეთით, და ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთა ქონება, რომლის ღირებულებაცაა 500 000 ლარი. მოგვიანებით „A“-მ ისესხა ბანკ „G“-სგან 150 000 ლარი. ბანკმა „G“-მ, ვინაიდან დაადგინა, რომ მოუწევდა იპოთეკარებში რიგით მეორე ადგილას ყოფნა, „A“-ს მისცა სესხი უფრო მაღალი 20%-ით. ამასობაში „A“-მ დაუფარა ბანკ „B“-ს

17. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 65.

18. ჭანტურია, იქვე; შნიტგერი, საკრედიტო სამართალი, GIZ, 2011, მოკლე კონსპექტები, გვ. 9.

19. ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 288-ე და 299-ე მუხლები — იპოთეკის გაქარწყლება თუ მესაკუთრის იპოთეკა ან მესაკუთრის მინის ვალი, გვ. 99-104.

20. დანვრილებით იხ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, 2008, 389-ე და მომდევნო გვერდები.

სესხი, რის შედეგადაც მოთხოვნა შეწყდა, და ოპოტიკაც გაუქმდა. მოქმედი რეგულირებებით ბანკი „G“ ავტომატურად გადაინაცვლებდა იპოთეკარების რიგითობაში წინ და დაიკავებდა პირველ ადგილს, რომელსაც იგი არ იმსახურებს, ვინაიდან, იმის გამო, რომ თავის დროზე შეაფასა რიგითობაში მეორე ადგილზე ყოფნის რისკი, გაცემული აქვს სესხი მაღალი პროცენტით. სხვანაირად რომ ვთქვათ, იპოთეკარებს შორის წინა ადგილზე ყოფნა პრივილეგიაა, რასაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური დატვირთვა აქვს. ამიტომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ბანკი „G“ „დაუმსახურებლად“ მოიპოვებდა პირველ ადგილს რიგითობაში. სწორედ ამ უსამართლობის თავიდან აცილებას უნდა ემსახურებოდეს მესაკუთრის იპოთეკა ქართულ სამართალში. იმ შემთხვევაში, როდესაც „A“ დაფარავს ბანკ „B“-ს სესხს, მას უნდა შეეძლოს რეესტრში მისვლა და იპოთეკის თავის სახელზე დარეგისტრირება, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა, კიდევ აელო იაფად სესხი, ან, თუნდაც, ბანკი „G“ ეიძულებინა, პროცენტი დაენია პირველ რიგში გადასვლის სანაცვლოდ.

2. იპოთეკის აქცესორულობის შესუსტების ტენდენცია

ზემოთ გერმანულ სამართალში დარეგულირებული მინის ვალისა და იპოთეკის განხილვამ დაგვანახვა მინის ვალის ბუნების (არააქცესორულობის) უპირატესობა იპოთეკასთან შედარებით. ეს კი გამოწვეულია ძირითად შემთხვევებში იმით, რომ ბაზარზე წარმოიშობა უზრუნველყოფის უფრო მოქნილი საშუალების არსებობის საჭიროება. შესაბამისად, აქცესორულობა, ერთი შეხედვით, დამაბრკოლებელი ბუნება აღმოჩნდა იპოთეკისთვის, რამაც მისი გამოყენება უკანა პლანზე გადასწია.

სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული 2007 წლის ცვლილებებით ქართველი კანონმდებელი მიზნად ისახავდა იპოთეკის ინსტიტუტის რეფორმას, რომელსაც, სავარაუდოდ, უნდა გამოეწვია იპოთეკის, როგორც უზრუნველყოფის საშუალების, მოქნილი და პრაქტიკული გამოყენება და თავისუფალი მიმოქცევა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცვლილებებით შემოღებულ იქნა იპოთეკის მოწმობის ემისიის უფლება და მოწმობას ფასიანი ქაღალდის სტატუსი მიენიჭა. ეს ცვლილება თავის დროზე მისასაღმებელი იყო, თუმცა, ფუნქციონირების რეალური მექანიზმების დანერგვის გარეშე, ეს ნორმები მარტო კანონის ნორმებად დარჩა და პრაქტიკაში ისინი თითქმის არ გამოიყენება. იპოთეკის წარმოშობისა და რეგისტრაციის გამარტივების მიზნით შევიდა ცვლილებები სკ-ის 289-ე მუხლის პირველ ნაწილში. ძველი რედაქციით ნორმა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

„იპოთეკა წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. რეგისტრაცია ხდება დადგენილი წესის მიხედვით უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამონმებული საბუთების წარდგენით. მათში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი, ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე, სარგებელი და შესრულების ვადა.“

მაშასადამე, ძველი რედაქციით იპოთეკის რეგისტრაციისას, სხვა წინაპირობებთან ერთად, მოითხოვებოდა **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** ოდენობის მითითება. ახალი ცვლილებებით ეს მოთხოვნა გაუქმდა. დღეის მდგომარეობით სრულიად შესაძლებელია, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყოს უძრავ ქონებაზე იპოთეკა, თუნდაც რეალურად მოთხოვნა არ არსებობდეს.

ცვლილებები შევიდა ასევე სკ-ის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილში. ახალი რედაქციით აღარ მოითხოვება იპოთეკით უზრუნველყოფილი ზღვრული თანხის დაფიქსირება და რეესტრის ჩანაწერში შეტანა. ეს ცვლილებები შესაძლებელია შეფასდეს იპოთეკის აქცესორულობის შესუსტების ტენდენციად, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იპოთეკის აქცესორულობა,

პირველ რიგში, მოვალეს (და ასევე მესამე პირებს) იცავს არასასურველი შედეგებისგან. გამომდინარე აქედან, 2007 წელს განხორციელებული ცვლილებები დადებითად შეფასდებოდა, რომ არა პრაქტიკაში წარმოშობილი უამრავი პრობლემა, რომლებიც მოვალისა და მესამე პირების სამართლებრივი პოზიციის დაუცველობით გამოიხატება.

პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გასაანალიზებლად მიზანშეწონილია, განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

- ქართულ საკრედიტო ურთიერთობებში გავრცელებულია ე.წ. გენერალური ხელშეკრულებების (საბანკო პროდუქტებით მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულება) გაფორმების პრაქტიკა. გენერალურ ხელშეკრულებაში განისაზღვრება კლიენტსა და საკრედიტო დაწესებულებას შორის თანამშრომლობის ზოგადი პირობები, საკრედიტო ხაზის (ინოვება ასევე საკრედიტო ლიმიტად) მაქსიმალური ოდენობა (მაგ., 1 000 000 ლარი) წლიური საპროცენტო განაკვეთის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა (მაგ., 13-48 %), პირგასამტეხლოს ოდენობა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ა.შ. ამავე გენერალურ ხელშეკრულებაში ან მის დანართად კლიენტის (ან მესამე პირის) მინის ნაკვეთზე დგინდება იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საგანიცაა ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ძირითადი (გენერალური) ხელშეკრულების ან მის საფუძველზე მომავალში გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი სესხის ხელშეკრულებების უზრუნველყოფა. მოგვიანებით გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე იდება კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებები, რომლითაც პირს საკრედიტო ხაზის (საკრედიტო ლიმიტის) და საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში მიეცემა სესხი. თუმცა, შესაძლებელია, რომ ბანკმა პირს საერთოდ არ მისცეს სესხი, ან მისცეს არა 1 000 000 ლარის, არამედ მცირე ოდენობით. ანუ, ფაქტობრივად, გვაქვს მდგომარეობა, როდესაც პირი ტვირთავს უძრავ ქონებას იპოთეკით, თუმცა მოთხოვნა არ არსებობს. გენერალური ხელშეკრულებით არ წარმოეშობა ბანკს ვალდებულება, ხოლო კლიენტს მოთხოვნა; მსგავსი სახის გენერალური ხელშეკრულება ვერ ჩაითვლება ვერც სესხის შეპირებად სკ-ის 628-ე მუხლის გაგებით.

თუმცა ეს შემთხვევა სესხის შეპირებად რომ ჩაგვეთვალა სკ-ის 628-ე მუხლის გაგებით, საკითხავია, რამდენად მოხვდება ის სკ-ის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის რეგულირების სფეროში. სკ-ის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იპოთეკის გამოყენება შესაძლებელია სამომავლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, თუმცა მხოლოდ მაშინ, როდესაც სამომავლო მოთხოვნები განსაზღვრადია. ამ შემთხვევაში სადავოა, რამდენად არის გენერალური ხელშეკრულებით სამომავლო მოთხოვნა განსაზღვრული, ვინაიდან ხელშეკრულებაში ფიქსირდება მხოლოდ საკრედიტო ხაზის ზედა ზღვარი და პროცენტის ოდენობაც განუსაზღვრელია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესატყვისი ნორმა, რომელიც სამომავლო მოთხოვნების განსაზღვრულობაზე მეტყველებს, ლიტერატურაში შემდეგნაირად განიმარტება: უზრუნველსაყოფი მოთხოვნა უნდა იყოს განსაზღვრული²¹, რაც გულისხმობს იმას, რომ მოცემული უნდა იყოს მოთხოვნის სახე, სამართლებრივი საფუძველი და მოთხოვნის მყარად დადგენილი ოდენობა²². აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ზუსტად და იმპერატიულად არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში სესხად მისაცემი თანხის ოდენობა და სარგებელი და იგი, შესაძლებელია, 1 000 000 ლარის ფარგლებში მერყეობდეს, მოთხოვნა ვერ ჩაითვლება განსაზღვრულად. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში სადავოა იპოთეკის წარმოშობის საკითხი. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების²³ მიხედვით, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არ ითვლება იპოთეკა წარმოშობილად, არამედ სახეზეა მესაკუთრის იპოთეკა, რაც გულისხმობს იმას, რომ მესაკუთრე არის იპოთეკის მფლობელი.

21. ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, II წიგნი, გვ. 253.

22. MüKo/ Eickmann, BGB, 5. Aufl., § 1113, Rn. 34.; აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გვ. 63.

23. ჭანტურია, იქვე.

ზემოაღნიშნულ მიდგომას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებაში²⁴. პალატა განმარტავს, რომ „მოვალე დაცული უნდა იყოს იპოთეკის იმ ვალდებულების ფარგლებით, რომელი ვალდებულებისთვისაც მან ქონება იპოთეკით დატვირთა, ანუ უმთავრესია იპოთეკით მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, როგორც იპოთეკის საგნის, ისე იმ ვალდებულების განსაზღვრულობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხორციელდება სანივთო უფლების რეალიზაცია“. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო რეესტრის ჩანაწერებში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის (რომელიც მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ოდენობას) მითითებას სამართლებრივი დატვირთვა აქვს როგორც მესაკუთრისათვის, ასევე მესამე პირებისათვის, რომელთა მიმართაც მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. იგი ხელს უწყობს კრედიტორს და ასევე მესამე პირებს, წინასწარ შეაფასონ, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას იმთავითვე ნათელი უნდა იყოს, თუ სად გადის იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზღვარი, რომელიც მოიცავს ძირითადი ვალდებულების ფარგლებს (ღირებულებას) ან იპოთეკის გარიგებით მხარეთა შეთანხმებულ უზრუნველყოფილ მოთხოვნის ოდენობას“. გამომდინარე აქედან პალატა ადგენს, რომ გენერალური ხელშეკრულებების მოქმედების დამკვიდრებული პრაქტიკა ვერ ჩაითვლება სამართლებრივად დასაბუთებულად, ვინაიდან გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე დადებული ყოველი ახალი ხელშეკრულებისთვის სავალდებულოა ხელახალი რეგისტრაცია, ვინაიდან სახეზეა მოთხოვნის ცვლილება. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც გენერალური ხელშეკრულებით მხარეს განესაზღვრება საკრედიტო ლიმიტი, რომელიც მან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში უნდა აითვისოს. განუსაზღვრელ თანხად, მაგალითად, 1 000 000 ლარის მითითება ლიმიტად გენერალურ ხელშეკრულებაში ვერ ჩაითვლება იპოთეკის საგნის პასუხისმგებლობის ზედა ზღვრად (ზღვრულ თანხად), მით უმეტეს მაშინ, როდესაც თვითონ იპოთეკის საგნის ღირებულება 1 000 000 ლარს შეიძლება არც უტოლდებოდეს.

იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მხარეების (ბანკი — კლიენტი) მიერ ვერ ხდება ზუსტი თანხის განსაზღვრა, ვინაიდან შესაძლოა სესხის თანხა ან მისი საპროცენტო განაკვეთი იცვლებოდეს, გერმანული სამართალი გთავაზობს საკითხის § 1190-ით მონესრიგების შესაძლებლობას:

§ 1190. ზღვრული თანხის იპოთეკა

(1) *იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს იმგვარად, რომ განისაზღვროს მხოლოდ ის ზღვრული თანხა, რომლის ოდენობამდეც უნდა მოხდეს გადახდევინების მიქცევა მინის ნაკვეთიდან, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მოხდება მოთხოვნაში პირობების დათქმა. ზღვრული თანხა რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში.*

(2) *თუ მოთხოვნას ერიცხება პროცენტები, მაშინ ისინი ჩაითვლება ზღვრულ თანხაში.*

როგორც ვხედავთ, გერმანული ნორმა ითვალისწინებს ზღვრული თანხის იპოთეკის შეთანხმების შესაძლებლობას, თუმცა ეს ცალკეა გათვალისწინებული და არა 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესატყვის ნორმაში, - § 1113-ის მე-2 ნაწილში. როგორც ვხედავთ, § 1190-ის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, სავალდებულოა ზღვრული თანხის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. ასეთი რეგულირება ემსახურება იმ სამომავლო კრედიტორების დაცვას, რომლებიც, შესაძლოა, მე-2 და შემდგომი რიგის იპოთეკარები აღმოჩნდნენ. მათ უნდა იცოდნენ, რა ზღვრული თანხის ფარგლებში აგებს პასუხს მოვალე პირველი რიგის იპოთეკარი კრედიტორის წინაშე.

24. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1280-1300-2011.

სკ-ის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის თავდაპირველი რედაქცია ითვალისწინებდა ზღვრული თანხის განსაზღვრას და მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას (“ასევე შეიძლება განისაზღვროს ის ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს უძრავი ნივთიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება. ეს თანხა განისაზღვრება საჯარო რეესტრში შეტანით.”). სრულიად დაუსაბუთებლად 2007 წლის ცვლილებებით გაუქმებულ იქნა აღნიშნული რეგულირება.

- მეორე პრობლემა, რომელიც ზემოაღნიშნული მსჯელობის გაგრძელებაა, უკავშირდება მესამე პირების ინტერესების დაცვას. მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი შემთხვევა: „A“-მ გააფორმა გენერალური ხელშეკრულება ბანკ „B“-სთან, რომლის მიხედვითაც მას გამოეყო საკრედიტო ხაზი 500 000 ლარის ოდენობით. მან გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის სასარგებლოდ დატვირთა უძრავი ქონება, რომლის ღირებულებაა 100 000 ლარი. მოგვიანებით ბანკ „B“-სთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით მას მიეცა სესხი 20 000 ლარის ოდენობით. ცოტა ხნის შემდგომ „A“-ს კვლავ მოუხდა ბანკისგან სესხის აღება 30 000 ლარის ოდენობით, თუმცა ბანკმა მას სესხის მიცემაზე უარი განუცხადა. „A“-მ მიმართა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „G“-ს, რომელიც მზადაა მისცეს სესხი, თუმცა იგი ითხოვს „A“-სგან უზრუნველყოფის მიზნით უძრავი ქონებით დატვირთვას, რომელზეც უკვე ბანკი „B“-მ ფიქსირდება იპოთეკარად. აქ ისმის კითხვა — როგორ შეუძლია მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, დაადგინოს, თუ რა მოთხოვნა უდევს რეგისტრირებულ იპოთეკას საფუძველად? როგორც წესი, ამაზე პასუხი „G“-მ (პოტენციურმა კრედიტორმა) უნდა მიიღოს საჯარო რეესტრის ამონაწერიდან, ვინაიდან მას ლეგიტიმური ნდობა შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერის და არა, მაგალითად, ბანკის მიერ გაცემული ცნობის მიმართ.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, 2007 წლის ცვლილებით გაუქმდა სკ-ის 286-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადება, რომელიც ითვალისწინებდა ზღვრული თანხის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. გამომდინარე აქედან, სრულიად გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება კრედიტორი, რომელსაც სურს მეორე რიგის იპოთეკარი იყოს, დაადგინოს, რა ფარგლებში აგებს უძრავი ნივთი პასუხს პირველი სესხისთვის, რამეთუ ზღვრული ოდენობა უძრავი ქონების ამონაწერში არ ჩანს.

გარდა ამისა, იპოთეკის რეგისტრაციის წესში (სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლი) შესული ცვლილებებით აღარ არის სავალდებულო, იპოთეკის რეგისტრაციისას მიეთითოს მოთხოვნის სიდიდე, სარგებელი და შესრულების ვადა, როგორც ამას ძველი რედაქცია ითვალისწინებდა. სკ-ის 289-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის სკ-ის 286-ე მუხლთან, რომელიც იპოთეკის აქცესორულობის პრინციპს მის მოთხოვნაზე დამოკიდებულებით განამტკიცებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მესამე პირები, რომლებსაც შესაძლოა უნდოდეთ კრედიტის გაცემა და მეორე ან შემდგომი რიგის იპოთეკარებად ყოფნა, საჯარო რეესტრის ჩანაწერით ვერ დაადგინენ, რა ფარგლებში აგებს პასუხს მოვალე წინა ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში.

საინტერესო ჩანაწერს შეიცავს საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც „საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებულ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა“. დღეს მოქმედი საჯარო რეესტრის პრაქტიკით შეუძლია ნებისმიერ პირს, გამოითხოვოს საჯარო რეესტრიდან იპოთეკის რეგისტრაციის საფუძველად არსებული დოკუმენტაცია, მათ შორის: ზემოაღნიშნული გენერალური ხელშეკრულება და სხვა საკრედიტო ხელშეკრულებები.

სრულიად გაუგებარია, რა უდევს საფუძველად ასეთ რეგულირებას და მის შედეგად ჩამოყალიბებულ პრაქტიკას. საჯარო რეესტრი ამ რეგულირებით სცილდება მისი არსებობის ფუნდამენტურ დანიშნულებას: საჯარო რეესტრი არსებობს იმიტომ, რომ ასახოს ნივთებზე

წარმოშობილი სანივთო უფლებები და ამის შესახებ მისცეს ინფორმაცია მესამე პირებს, ვინაიდან სანივთო უფლებები აბსოლუტური ხასიათისაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი მოქმედებენ ყველა პირის მიმართ. ამისგან განსხვავებით, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობები რელატიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოქმედებს მხოლოდ ვალდებულების მონაწილე მხარეთა შორის და არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად. გარდა იმისა, რომ არსებული პრაქტიკა ზემოაღნიშნულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, მხარეთა კომერციული საიდუმლოება ხელმისაწვდომი ხდება ყველა მესამე პირისათვის.

- ზემოაღნიშნულ ორ პრობლემას მივყავართ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ეკონომიკურ შებოჭვასთან. როგორც აღინიშნა, გენერალური ხელშეკრულებით განისაზღვრება საკრედიტო ხაზის ზედა ზღვარი, თუმცა, თუ რა ფარგლებში აგებს პასუხს მოვალე იპოთეკით დატვირთული ქონებით, გაურკვეველია. მაშასადამე, თუ პირს მოუხდება სესხის სხვა საკრედიტო დაწესებულებაში აღება, საკრედიტო დაწესებულება ვერ დაადგენს ნივთის პასუხისმგებლობის ზღვარს და, შესაბამისად, არ მისცემს სესხს, ან იგი შეეცდება, პირველი საბანკო დაწესებულების სესხი გადაუფაროს კლიენტს და პირველი რიგის იპოთეკა მოიპოვოს, რაც კიდევ დამატებით თანხები უჯდება კლიენტს. აქედან გამომდინარე, გენერალური ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტი სრულად დამოკიდებული რჩება ერთ საკრედიტო დაწესებულებაზე.

გერმანიაში აღნიშნული შემთხვევები უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ შეფასდა როგორც მხარის „ეკონომიკური შებოჭვის მცდელობა“ და ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამო, რის გამოც მხარეს მიენიჭა უფლება, მოეთხოვა უზრუნველყოფილი უფლების (მაგ., იპოთეკის) გათავისუფლება ან ნივთის პასუხისმგებლობის ზღვრული თანხის განსაზღვრა.²⁵

V. დასკვნა

ზეამოღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2007 წელს იპოთეკის ნორმებში შეტანილი ცვლილებებით კანონმდებელი შეეცადა, ერთი მხრივ, იპოთეკის აქცესორულობის შესუსტებით (რაც გამოიხატებოდა რეგისტრაციის წესის გამარტივებით და ა.შ.) გაემარტივებინა საკრედიტო ურთიერთობები, თუმცა, მეორე მხრივ, ამან წარმოშვა უამრავი პრაქტიკული პრობლემა, რომლებიც გამოიხატება მოვალისა და მესამე პირების დაუცველობით. ეს კი მოითხოვს კანონმდებლის მხრიდან ჩარევას, რამაც უნდა აღადგინოს კრედიტორსა და მოვალეს შორის სამართლებრივი ურთიერთობისას დარღვეული ბალანსი. თუმცა არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ კანონმდებლის ნებისმიერი ჩარევა იპოთეკის ნორმებში უნდა იყოს კარგად გაანალიზებული და აუჩქარებლად მიღებული, ვინაიდან ამ ინსტიტუტის რეფორმისას არ შეიძლება შეცდომის დაშვება, რამეთუ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ, სააღსრულებო ბიუროს მონაცემების მიხედვით, დღეის მდგომარეობით დაახლოებით 200 000-ამდე ოჯახი სარგებლობს იპოთეკის ხელშეკრულებით.

25. Kropholler, BGB Studienkommentar, § 398-ის შესავალი, მე-18 და მომდევნო ველები.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა

სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი
(საქმე Nას-581-549-2011)

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა“.

მოთხოვნის ხანდაზმულობა არის მოქმედების განხორციელებისათვის გათვალისწინებული ვადის იურიდიული შედეგის გარეშე გასვლა, რომლის შემდეგაც შეუძლებელია შესრულების მოთხოვნა სასამართლოს მეშვეობით იძულებითი მექანიზმების გამოყენებით. მიუხედავად ამისა, მოთხოვნის ხანდაზმულობა ავტომატურად არ იწვევს უფლების გაუქმებას. იგი, როგორც ასეთი, რჩება, მაგრამ უფლების განხორციელების ვადის გაშვების გამო მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს ვალდებული პირისაგან მისი შესრულება.²

ხანდაზმულობა საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი ინსტიტუტია და ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. მიუხედავად ძირითადი პრინციპების მსგავსებისა, მოთხოვნის ხანდაზმულობა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად არის მონესრიგებული.

ხანდაზმულობის მატერიალურ-სამართლებრივი ვადები საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრება. კანონმდებელმა ზოგადი და საერთო ხანდაზმულობის ვადები კოდექსის პირველ ნაწილში, ზოგად დებულებებში განათავსა.³ არსებობს ასევე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც კოდექსის სხვადასხვა ნაწილებშია გაფანტული, სამართლებრივი ურთიერთობების სპეციალური რეგულირებისა და მათთვის განსხვავებული ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის აუცილებლობიდან გამომდინარე.⁴

ზოგადი და სპეციალური ხანდაზმულობის ვადების სწორ გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ხანდაზმულობა განსაზღვრავს მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, იმის მიხედვით, თუ რომელ ხან-

1. LL.M (Passau) მაგისტრანტი, იურიდიული ფაკულტეტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. ამას მოწმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 144-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, „თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.“ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ხანაზმული მოთხოვნის შესრულების სამართლებრივი საფუძველი, როგორც ასეთი, არსებობს და მისი შესრულების იგი არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით.;

3. იხ. სსკ-ის 128–146 მუხლები;

4. ასეთია მაგალითად სახელმეკრულებო სამართალში 573-ე, 655-ე, 663-ე მუხლები, 1008-ე მუხლი კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებში, 1171-ე მუხლი საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნაწილში და სხვ.;

დაზმულობის ვადას გამოვიყენებთ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაზე, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს მივიღებთ.

სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებიდან და ბუნებიდან გამომდინარე განისაზღვრება, უნდა გავრცელდეს მასზე სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, სანივთო უფლებათა ხანდაზმულობის ვადები თუ სპეციალური ხანდაზმულობა.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხანდაზმულობის წესების სწორი მისადაგებისათვის აუცილებელია ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება. ქართული სასამართლო პრაქტიკა იცნობს ერთ–ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 5 სექტემბერს მიიღო.⁵ აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ გამიჯნა ერთის მხრივ სადაზღვევო ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილი სუბროგაციის ინსტიტუტი და და მეორეს მხრივ ზოგადი რეგრესული მოთხოვნის არსი.

საქმის მოკლე მიმოხილვა:

განსახილველ საქმეში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანია, რომელმაც თავის კლიენტს, ექსპედიტორს ტვირთის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო წარმოშობილი ზიანი აუნაზღაურა. სადაზღვევო შემთხვევა, კერძოდ ტვირთის გაფუჭება გამოიწვია გადამზიდველი კომპანიის მიერ ტვირთის არასათანადო პირობებში შენახვამ.

2010 წლის 10 ივნისს აღძრული სარჩელით სადაზღვევო კომპანია მოპასუხე გადამზიდველი კომპანიისაგან ითხოვდა ექსპედიტორისათვის გადახდილი თანხის დაკისრებას სსკ–ის 832–ე მუხლზე დაყრდნობით. ხსენებული მუხლის I ნაწილის I წინადადებაში ნათქვამია, რომ „**თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს.**“

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ სადაზღვევო კომპანიამ დამზღვევს აუნაზღაურა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით წარმოშობილი ზიანი. ასევე დადგინდა იქნა, რომ გადამზიდველი კომპანიისაგან ექსპედიტორს შეეძლო ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა, ვინაიდან სადაზღვევო შემთხვევა მისი გაუფრთხილებელი ქმედების გამო დადგა. შესაბამისად 832–ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი შემადგენლობა სახეზე იყო.

საქმეში სადავო გარემოებას წარმოადგენდა ხანდაზმულობის ვადა. სადაზღვევო კომპანიამ ზიანი ექსპედიტორს სრულად აუნაზღაურა 2007 წლის 13 აგვისტოს. სარჩელი გადამზიდველის მიმართ სადაზღვევო კომპანიამ აღძრა 2010 წლის 10 ივნისს. საქალაქო სასამართლომ მხარის მოთხოვნის შესაბამისად შეამოწმა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა. თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა გადაზიდვის ურთიერთობების მარეგულირებელი სპეციალური ხანდაზმულობის ვადით – სსკ–ის 699–ე მუხლის I წინადადებით, რომლის შესაბამისად **გადაზიდვებიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა არის 1 წელი.** ამავე მუხლის მეორე წინადადება ადგენს გადაზიდვის ურთიერთობისას მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიან ვადას იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა გადამზიდველის მიერ განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ გადამზიდველის მხრიდან არც განზრახვა და არც უხეშ გაუფრთხილებლობა სახეზე არ იყო. შესაბამისად 699–ე მუხლის მეორე წინადადების გამოყენება გამოირიცხა. დადგინდა, რომ სარჩელის აღძვრის დროს მოთხოვნის ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა, (სსკ–ის 699–მუხლის I წინადადება) გასული იყო და შესაბამისად სასამართლომ სადაზღვევო კომპანიას უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

5. იხ. საქმე Nას-581-549-2011;

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საჩივარზე და შეცვალა გადაწყვეტილება, დაადგინა რა რომ საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეში არასწორად გამოიყენა 699-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა ანესრიგებს გადაზიდვის ურთიერთობებში ხანდაზმულობის ვადებს, რაც გამომდინარეობს იმ ურთიერთობიდან, რომლებიც წარმოიშობა გადამზიდვას, ტვირთის გამგზავნასა და ტვირთის მიმღებს შორის.⁶ სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში სარჩელი აღძრულ იქნა არა გადაზიდვის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დარღვევის ფაქტზე, არამედ, მზღვეველის მიერ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლების საფუძველზე, რაც მონესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით.⁷

საქმეში გამოიკვეთა ორი დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლებზეც სხვადასხვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება. სასამართლოს უნდა შეეფასებინა ორი სამართლებრივი ურთიერთობა. ერთის მხრივ გადაზიდვის ხელშეკრულება ექსპედიტორსა და გადამზიდველ კომპანიას შორის, მეორე მხრივ ტვირთის დაზღვევის ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასა და ექსპედიტორს შორის. სააპელაციო სასამართლომ, როგორც აღინიშნა, მიიჩნია, რომ ვინაიდან სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნა გამომდინარეობდა დაზღვევის ურთიერთობიდან, შესაბამისად უნდა გამოყენებულიყო ამ ურთიერთობის მარეგულირებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტისთვის, როგორიცაა მზღვეველის რეგრესული მოთხოვნა, კანონი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას. შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს აზრით ურთიერთობაზე უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა, 3 წელი.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა. მან ყურადღება გაამახვილა ზოგადად რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა და მზღვეველის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებათა გამიჯვნის აუცილებლობაზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო არსებითად განსახილველად და შემდგომი გადაწყვეტილებით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

როგორც აღინიშნა, სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნის საფუძველი გადამზიდველი კომპანიის მიმართ იყო 832-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლომ სწორედ ამიტომ ჩათვალა, რომ სადაზღვევო სამართლის მარეგულირებელი ხანდაზმულობის ვადები უნდა გავრცელებულიყო ურთიერთობაზე.

სხენებული ნორმა მოიცავს შემთხვევას, როცა მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. უზენაესი სასამართლო ამ უფლების გადასვლას „სუბროგაციის“ პრინციპს უწოდებს, რომელსაც განასხვავებს რეგრესული მოთხოვნისაგან. ციტატა გადაწყვეტილებიდან: „სუბროგაცია გულისხმობს შემთხვევას, როცა ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის, ე.ი. როგორც კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი). ამ შემ-

6. იხ. საქმე №ს-581-549-2011;

7. იხ. საქმე №ს-581-549-2011;

თხვევაში ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი (...“

„(...) სწორედ ზემოაღნიშნული განასხვავებს სუბროგაციას რეგრესისაგან, კერძოდ, რეგრესის დროს ხდება არა პირის შეცვლა უკვე არსებულ ვალდებულებაში, არამედ ამ შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებით - სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება. რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო, სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, თვით ვალდებულება კი უცვლელი რჩება.“

რეგრესი არის ინსტიტუტი, (ლათინურად *regressus* – უკუმოთხოვნა) რომელიც სამოალაქო სამართალში გულისხმობს პასუხისმგებელი პირის უფლებას, მოითხოვოს შესრულება მესამე პირისაგან, რომელიც მის წინაშეა ვალდებული. რეგრესის უფლებას იცნობს მრავალი სამართლებრივი სისტემა, მათ შორის ქართული. თუმცა ვფიქრობ რეგრესი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი უზენაესი სასამართლოს მიერ ვინაოდ იქნა განმარტებული. რეგრესის უფლება მოიცავს სუბროგაციის პრინციპს, რომელიც სადაზღვევო სამართალში მოქმედებს. რეგრესული მოთხოვნის ერთ-ერთი სახეა მზღვეველის მოთხოვნა გადამზიდველის მიმართაც.

სუბროგაციის პრინციპი მოქმედებს გერმანულ სადაზღვევო სამართალშიც, რომელიც განმტკიცებულია დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის 86-ე პარაგრაფით. დაზღვეულის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ გადადის მზღვეველზე იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი ანაზღაურებს ზიანს.⁸ თითქმის ანალოგიურ ნორმას შეიცავს შვეიცარიული სადაზღვევო კანონმდებლობა.⁹

ორივე ქვეყნის სამართლებრივი ლიტერატურა და კანონი უმეტესად იყენებს ტერმინ „რეგრესს“ სუბროგაციის ინსტიტუტის აღწერისას. სუბროგაცია მოხსენიებულია როგორც რეგრესული მოთხოვნის ერთ-ერთი ტიპი, მაგალითისთვის მზღვეველის მიერ დამზღვევის ჩანაცვლება იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშვა ზიანის მიყენებისაგან.¹⁰

რეგრესი ფართო სამართლებრივი ინსტიტუტია და თავის თავში მოიცავს რამდენიმე სახის უკუმოთხოვნის უფლებას, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც წარმოშობის საფუძვლით, ასევე სამართლებრივი შედეგებით.

1. იგი შეიძლება ეფუძნებოდეს ხსენებულ სუბროგაციის პრინციპს (*cessio legis*) – რაც ხშირად გვხვდება სამოქალაქო სამართალში – ასეთია სსკ-ის 832-ე მუხლიდან გამომდინარე მზღვეველის მოთხოვნა, ასევე სსკ-ის 905-ე მუხლიდან გამომდინარე თავდების მოთხოვნა მოვალის მიმართ კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებისას.¹¹ სუბროგაციის

8. „*Steht dem Versicherungsnehmer ein Anspruch auf Ersatz des Schadens gegen einen Dritten zu, so geht der Anspruch auf den Versicherer über, soweit dieser dem Versicherungsnehmer den Schaden ersetzt.*“; §86 Abs. 1 VVG (DE);

9. Art 72 VVG Schweiz; Honsell, „Ungeklärte Fragen des Regresses nach Art 72 VVG“, Festschrift für Hausheer Bern 2002, 569 ff.;

10. Müller, Alexander „Regress im Schadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers“, Dissertation, Universität St.Gallen 2006; Graber/Casanova, „Zum Regress des Haftpflichtversicherers“ Festschrift für Brehm, Stämpfli Verlag AG Bern, I Auflage 2012;

11. სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში გაურკვეველად არის ჩამოყალიბებული რა ხდება თავდების მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ. სსკ 905-ე მუხლის კომენტარი: „თავდების მიერ ძირითადი მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება საფუძვლად ედება მასა და მოვალეს შორის ახალ სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობას. კრედიტორის მოთხოვნის უფლება, რომელიც მას გააჩნდა ძირითადი მოვალის მიმართ, სრულყოფილად გადადის თავდებზე,“ ... „თავდებზე შეიძლება გადავიდეს მოგირავნის უფლებებიც.“ აღნიშნული ნორმა იდენტურია 832-ე მუხლისა, ურთიერთობაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, დამოუკიდებელი ვალდებულება არ წარმოიშობა, ვინაიდან მოვალეს უნარჩუნდება ყველა შესაგებელი და თავდებმაც შესაბამისად უნდა ჩაითვალოს კრედიტორის მიერ მიღებული ყველა შესრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“ 2001, წიგნი IV, ტომი II, გვ 244;

ქვეშ იგულისხმება მოთხოვნის გადასვლა *ex lege*, (კანონის საფუძველზე) კანონისმიერი მოთხოვნის დათმობა/ცესია.¹² ამ დროს მოთხოვნის გადასვლა ხდება მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად.¹³

აღნიშნული ნორმა (*ratio legis*), ერთი მხრივ, გამორიცხავს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრებას ერთი და იმავე ზიანისათვის ორი პირის მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნების წაყენებით, მეორეს მხრივ, სადაზღვევო კომპანიის მიერ ზიანის ანაზღაურების გამო არ ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელს პასუხისმგებლობისაგან.¹⁴ სუბროგაცია ვრცელდება იმ მოთხოვნის ფარგლებში, რა ფარგლებშიც მზღვეველმა შეასრულა დაზღვეული პირის მიმართ ვალდებულება. თავის მხრივ ზიანის მიმყენებელი მზღვეველისათვის სადაზღვევო თანხის ფარგლებში მოთხოვნის შესრულების შემდეგ თავისუფლდება დაზარალებულის წინაშე ვალდებულებისაგანაც.

მაშასადამე, სუბროგაციის მაგალითია უზენაესი სასამართლოს მიერ დასახელებული სადაზღვევო სამართალში მოქმედი პრინციპი, რომელსაც ითვალისწინებს სსკ-ის 832-ე მუხლი. სუბროგაციის ფარგლებში მზღვეველზე გადადის დაზარალებულის ყველა აქცესორული პირველადი და მეორადი მოთხოვნები პასუხისმგებელი პირის მიმართ. ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, მოვალე თავის მხრივ, უფლებამოსილია ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. აღნიშნული ცხადია ეხება ასევე მოვალის შესაგებელს კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, კერძოდ, ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად.¹⁵ ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი კრედიტორის მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება ასევე ახალი კრედიტორის მოთხოვნაც.¹⁶

2. უკუმოთხოვნის უფლება შეიძლება ასევე წარმოიშვას სხვა ვალდებულების შესრულების (შენწყვეტის) შედეგად. ამით ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულება წარმოიშობა, შესაბამისად კრედიტორის მიმართ არ ვრცელდება წინა ვალდებულების დროს გასული ხანდაზმულობის ვადები. ასეთი შემთხვევა არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის 1 ნაწილით: „მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ ასეთ დროს მოვალე ასრულებს ვალდებულებას, რის საფუძველზეც წყდება წინა ვალდებულება და მას წარმოეშობა სრულიად ახალი მოთხოვნის უფლება დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ.¹⁷ სწორედ ეს რეგრესული მოთხოვნის სახე გამოიწვია უზენაესმა სასამართლომ სუბროგაციისაგან. სასამართლომ შინაარსობრივად სწორად განმარტა სუბროგაციის არსი, თუმცა ტერმინი „რეგრესი“ განმარტა ვიწროდ და მის ქვეშ მოიაზრა რეგრესული ვალდებულების მხოლოდ ერთი

12. Müller, Alexander “Regress im Schadensausgleichsrecht unter besonderer Berücksichtigung des Privatversicherers”, Dissertation, Universität St.Gallen 2006 S. 26;

13. Müller, S. 30;

14. Honsell, Aufsatz “Der Regress des Versicherers im schweizerischen Recht”, FS Schmidlin S. 279-289, Basel/Frankfurt a/M 1988;

15. იხ. საქმე **ნას-581-549-2011**;

16. იხ. საქმე **ნას-581-549-2011**;

17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“ 2001, წიგნი III გვ. 597.;

ტიპი. მაშინ როცა სასამართლოს მიერ განმარტებული ორივე სამართლებრივი ინსტიტუტი წარმოადგენს უკუმოთხოვნის/რეგრესის სახეებს.

შედეგად საკასაციო სასამართლომ სუბროგაციის არსზე დაყდნობით, ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმად მიიჩნია ის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა, რომელიც დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობაზე ვრცელდებოდა. კონკრეტულ საქმეში დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ურთიერთობა გამომდინარეობდა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, ამიტომ სწორედ გადაზიდვის მარეგულირებელი ნორმები უნდა ყოფილიყო გამოყენებული სადავო საკითხის გადასაწყვეტად.¹⁸

სუბროგაციის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველზე გადავიდა მოთხოვნა, თუმცა ვალდებულებაში ხანდაზმულობის ვადა არ შეცვლილა, ამიტომ მასზე უნდა გავრცელებულიყო გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის სპეციალური ვადა – 699-ე მუხლით განსაზღვრული 1 წელი. რომელიც სარჩელის შეტანის დროს უდავოდ გასული იყო. მზღვეველის მოთხოვნა გადამზიდველის მიმართ ხანდაზმული აღმოჩნდა და მას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

დასკვნა

განხილული სასამართლო გადაწყვეტილება ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია ურთიერთობის სწორი სამართლებრივი შეფასება. მზღვეველის უფლებები ზიანის მიმყენებლის მიმართ შეზღუდულია იმ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობით, რომელიც არსებობდა ზიანის მიმყენებელსა და დამზღვევს შორის. სწორედ, ეს ურთიერთობა არის მზღვეველის მოთხოვნის საფუძველი სსკ-ის 832-ე მუხლთან ერთად. მაშასადამე, მზღვეველის მოთხოვნაზე ვრცელდება ის ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აწესრიგებს ზიანის მიმყენებელსა და დამზღვევს შორის ურთიერთობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ, აღინიშნოს, რომ სუბროგაცია რეგრესულ მოთხოვნათა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. უზენაესი სასამართლოს მიერ ვინროდ მოხდა რეგრესის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის განმარტება. ამას ცხადყოფს თავად რეგრესის, სიტყვის მნიშვნელობა – უკუმოთხოვნა და მოიცავს როგორც კრედიტორის ცვლილების მეშვეობით, ასევე ახალი ვალდებულების საფუძველზე წარმოშობილ რეგრესის უფლებას.

18. იხ. საქმე Nას-581-549-2011.

სიმონ ტაკაშვილი¹

დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის პრობლემები ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში

თბილისი – 2013

1. შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ დელიქტურ ვალდებულებებს, რომელიც თანამედროვე კერძო სამართალში თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი მაგალითია.² სწორედ ამიტომ, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების საკანონმდებლო მოწესრიგებას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს. ამ მხრივ, არც ქართული კერძო სამართალია გამონაკლისი. სწორედ, დელიქტების სამართლებრივ მოწესრიგებას ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-1008-ე მუხლები და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (შემდგომში სკს) საქართველოს კანონის 42-ე მუხლი. გარდა სამოქალაქო კოდექსებში გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმებისა, დემოკრატიული და განვითარებული ქვეყნები საკუთარი და სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა თუ ორგანიზაციების სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით ქმნიან „კოლიზიურ ნორმებს“, რომლებიც არასახელმწიფოებრივ ვალდებულებების დროს შესაბამისი კანონის გამოყენებას აწესრიგებენ. ამ ნორმებით განისაზღვრება შიდა-სახელმწიფოებრივი ანუ ეროვნული კანონმდებლობა უნდა იქნას გამოყენებული თუ უცხო სახელმწიფოს შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის შესწავლა საკუთარი სამართლის ინსტიტუტების გასაანალიზებლად. ერთი შეხედვით, ქართული კანონმდებლობა, კონკრეტულად, სკს-ის 42-ე მუხლი ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს ამომწურავად აწესრიგებს, თუმცა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, გარკვეულ წინააღმდეგობებსა და უზუსტობებს შეიცავს. ნაშრომის უპირატეს მიზანს სწორედ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნებისა და ქართული საერთაშორისო კერძო სამართლის მიერ შემოთავაზებული ნორმის ანალიზი წარმოადგენს.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის VIII სემესტრის სტუდენტი.

2. იხ., *ქანტურია ლადო*: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 89.

2. დელიქტის ცნება

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში პასუხისმგებლობის სახეებად დაყოფა სხვადასხვა კრიტერიუმით ხდება. პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ სახელმწიქროლებო და არასახელმწიქროლებო პასუხისმგებლობას.³ არასახელმწიქროლებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილ ზიანს დელიქტი ეწოდება. „არასახელმწიქროლებოდ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში.“⁴ „ამ შემთხვევაში ზიანი დგება იმ საკანონმდებლო ნორმების დარღვევით, რომელთა შესრულებით უზრუნველყოფილია პირთა ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების (საკუთრების უფლება, პატივი, ღირსება, ჯანმრთელობა და ა.შ.) დაცვა.“⁵ დელიქტის ზოგადი ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლშია მოცემული.⁶ „აღნიშნული მუხლის დისპოზიციიდან ჩანს, რომ სამოქალაქო კოდექსი არ მიუთითებს ზუსტად იმ სიკეთეებს, რომელთა ხელყოფითაც შეიძლება პირს მიაღდგეს ზიანი.“⁷ განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფისგან,⁸ რომლის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ იგი უფრო აკონკრეტებს იმ სამართლებრივ სიკეთეებს, რომელთა ხელყოფაც შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

მნიშვნელოვანია თავად ზიანის ცნების განმარტება. აღიარებულია, რომ ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.⁹ ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში დელიქტის ზოგადი წესის განმარტებას 6:12 მუხლის პირველ ნაწილში ვხვდებით.¹⁰ ქართული და ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსების ზემოაღნიშნულ დანაწესების შედარებისას დგინდება, რომ, როგორც საქართველოში, ისე ნიდერლანდებში, დაზარალებულმა პიროვნებამ — მოსარჩელემ სასამართლოს წინაშე უნდა დაადასტუროს ხუთი პირობის არსებობა: უპირველეს ყოვლისა, სამართალდამრღვევის ქმედება უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო; მეორე — კანონდამრღვევის ქმედება გაუფრთხილებლობით მაინც უნდა იყოს ჩადენილი; მესამე — ქმედება სამართალდამრღვევს უნდა მიენერებოდეს; მეოთხე — მოპასუხემ უნდა განიცადოს ზიანი; მეხუთე — ზიანი სამართალდამრღვევის ქმედებით უნდა იყოს განპირობებული.¹¹ დელიქტური ქმედება არის პირის მიერ სხვა პირისათვის მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებული მოქმედებით მიყენებული ზიანი.¹² ე.ი. თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება.

3. იხ., *სუხიტაშვილი დავით, სუხიტაშვილი თეა: სახელმწიქროლებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნ., „მართლმსაჯულება და კანონი,“ №3 (30) 11, 62.*

4. *ჩიკვაშვილი შალვა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი,“ თბილისი, 379.*

5. *ჩიტოშვილი თამარ: დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ № 1, თბილისი, 2008, 49.*

6. აღნიშნული მუხლის თანახმად: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებული მოქმედებით მიაყენებს ზიანს ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“

7. *ციპელიუსი რაინჰოლდ: იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, 34.*

8. აღნიშნული პარაგრაფის თანახმად: „პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს ამ პირს, ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი“.

9. იხ., *ჩიკვაშვილი შალვა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი,“ თბილისი, 378.*

10. ამ მუხლის, თანახმად „პიროვნებას, რომლის მიმართ ჩაიდინეს უკანონო ქმედება, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.“

11. იხ., *ვილემსი ჰუუბ, თოდუა მზია: ვალდებულებითი სამართალი, „საია“-ს გამომცემლობა, თბილისი, 2006, 98.*

12. იხ., *გაბრიჩიძე გაგა, თოთლაძე ლევან, თუმანიშვილი გიორგი, ტურავა პაატა, ჩაჩანიძე ეთერ: განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012, 145.*

ამასთან, ზიანი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ზიანი ზიანის მიმყენებელმა სრულად უნდა აანაზღაუროს. ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება. ნათელია, რომ დელიქტური სამართალი მონოდებულია მოქალაქეთა ინტერესების შელახვით მიყენებული ზიანის სამართლიანი კომპენსაციის პრაქტიკა განახორციელოს.¹³

3. დელიქტების სამართლებრივი მოწესრიგება საერთაშორისო კერძო სამართალში

„სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და ოდენობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული ზიანის მიყენების შემთხვევაში.“¹⁴ საერთაშორისო კერძო სამართლის დელიქტები საერთაშორისო საჯარო დელიქტებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ისინი წარმოიშობიან კერძო სამოქალაქო სამართლებრივი არაქონებრივი უფლებების დარღვევისას და არა საჯარო, ძირითადი კონსტიტუციური უფლებების ხელყოფისას.¹⁵ მნიშვნელოვანია, ერთიანი უნიფიცირებული აქტების როლიც. ისინი განსაზღვრავენ არასახელშეკრულებო ვალდებულებებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბრიუსელისა და ლუგანოს კონვენციები, ასევე, 2007 წლის 11 ივლისის ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული რეგლამენტი, რომელიც არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართაა გამოსაყენებელი და ცნობილია, როგორც რომი II. საგულისხმოა, რომ აღნიშნული რეგლამენტის გამოყენება შეუძლიათ, როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ასევე არაწევრ სახელმწიფოებსაც. „იურიდიულ პრაქტიკასა და თეორიაში უპირატესად გავრცელებულია დელიქტების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის სპეციალური მიმარების ფორმულა — ზიანის მიყენების (დელიქტის) ადგილის კანონი (**lex loci delicti commissii**). სადაოდ მიიჩნევა ის საკითხი, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნას მიჩნეული დელიქტის ადგილად — ის ადგილი, სადაც მოხდა ზიანის მიყენება, თუ ის ადგილი, სადაც დადგა ზიანი. აღნიშნულთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის სკს-ის დოქტრინებმა განსხვავებული მოსაზრებები განავითარეს.“¹⁶ საზღვარგარეთ ჩადენილ დელიქტთან მიმართებით საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციფიკურობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ განსაზღვრავს, თუ რა უფლებები და მოვალეობები წარმოეშობათ მხარეებს. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა სხვადასხვა დროს გამოსაყენებელ სამართალს განსხვავებულად განსაზღვრავდა. ყველაზე გავრცელებული შეხედულების თანახმად, აღიარებულია ზიანის მიყენების ადგილის კანონი ანუ დელიქტის ჩადენის ადგილის კანონი ან **Lex fori** (სასამართლოს კანონი). სამართლის შემდგომი განვითარებისა და უახლესი შეხედულებებიდან გამომდინარე, კი გავრცელდა პრინციპი, რომლის მიხედვი-

13. იხ., კოტცი ჰაიან, ცვაიგერტი კონრად: შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი, თბილისი, 2001, 287.

14. ლილუაშვილი თენგიზ: საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, 91.

15. იხ., მაჭარაშვილი ოთარ: დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნ., „ალმანახი“, 2000, №15.

16. იხ., გაბისონია ზვიად: ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადაამუშავებული და დამატებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 291.

თაც, დელიქტების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი.¹⁷ ზიანის მიყენების ადგილის კანონი მრავალი ქვეყნის სამართლის არჩევანს წარმოადგენს. აღნიშნულ პრინციპს საფრანგეთისა და გერმანიის სამართალი საკანონმდებლო გზით განამტკიცებს.¹⁸ ფრანგული კოლიზიური სამართლის მიხედვით, დომინირებული კოლიზიური მიმაგრების ფორმულად მიიჩნევა ზიანის მიყენების ადგილის კანონი, მაგრამ ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ხშირად აღნიშნულ ცნებაში იმ ადგილსაც მოიაზრებს, სადაც ზიანი დადგა. ამასთან, ფრანგულ სამართალში არ არსებობს ისეთი ნორმები, რომლებიც მხარეებს ანიჭებს შესაძლებლობას თავად აირჩიოს, თუ რომელი ქვეყნის სამართალს მიმართოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას.¹⁹

3.1. ინგლისური საერთაშორისო კერძო სამართალი დელიქტების შესახებ

საერთო სამართლის ქვეყნებში დელიქტური სამართლის განვითარება იწყებოდა რომაული სამართლის დარად, ცალკეული ტიპის დელიქტების გამოცალკევებით.²⁰ ინგლისურ სამართალში ზიანი შესაძლოა წარმოიშვას, ერთი მხრივ, დანაშაულის ჩადენის შედეგად და მეორე მხრივ, ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე. ხელშეკრულების დარღვევა გამომდინარეობს იმ ზოგადი წესების დარღვევიდან, რაც მხარეებმა თავად განსაზღვრეს ხელშეკრულებაში. დელიქტი კი, არის სამოქალაქო „სამართალდარღვევა“, რომელიც დაზარალებულ მხარეს უფლებას ანიჭებს ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ წარადგინოს სარჩელი სასამართლოში თავისი დარღვეული უფლების დაცვის მიზნით.²¹ ინგლისის სამართალი ისტორიულად ძირითადად მხარს უჭერდა სასამართლო ქვეყნის კანონს (*lex fori*). ინგლისელმა მოსამართლემ ერთ-ერთ საქმეზე (*Philips V. Eyre*) დაადგინა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობისას გამოიყენება ზიანის მიყენების ადგილის სამართალი და ზიანის მიყენების ხასიათს განსაზღვრავს სწორედ აღნიშნული მართლწესრიგი.²² ამასთან, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საერთო წესიდან გამომდინარე, როცა ინგლისის სასამართლოში შეაქვთ სარჩელი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით, ორი ძირითადი პირობა უნდა იყოს დაცული: პირველი, ქმედება ინგლისში ჩადენის შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვიდოდა ინგლისურ სამართალთან; მეორე, ეს ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართალს, სადაც მოხდა ზიანის მიყენება.²³ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ინგლისის სამართალი გარკვეულწილად ზიანის მიყენების ადგილის კანონს აღიარებს. ამ გადაწყვეტილებიდან ერთი საუკუნის შემდეგ ინგლისის სასამართლომ საბოლოოდ გადაწყვიტა კოლიზიური სამართლის არაერთი მნიშვნელოვანი მიდგომა დელიქტური ვალდებულებების მიმართ და აღნიშნა: მხარეთა ურთიერთობის ცალკეულ საკითხები შეიძლება დაექვემდებაროს იმ ქვეყნის სამართალს, რომელთანაც ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ მხარეებს ან თავად ქმედებას.

17. Cheshire and North's, *Private International Law*, P.M. North, J.J. Fawcett. Twelfth edition, London, 1991, 528.

18. Dacey and Morris on the conflict of laws, eleventh edition, under the general editorship of Lawrence Collins, with specialist editors, volume 2, 1359.

19. H. batiffol. *Droit international prive*, 4. Aufl., Paris, 1967, S.561. - მითითებულია გაბისონია ზვიად: ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 292.

20. იხ., კოტცი ჰაიან, ცვაიგერტი კონრად: შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, ხელშეკრულება, უსაფუძვლო გამდიდრება, დელიქტი, თბილისი, 2001, 295.

21. Werher F. Ebke and Matthew W. Finkin, *introduction to German law, kluwer law international, The Hague, London, Boston, 1996, 197.*

22. Dacey and Morris on the conflict of laws, eleventh edition, under the general editorship of Lawrence Collins, with specialist editors, volume 2, 1359.

23. R. H. Graveson, *The conflict of laws, sixth edition, sweet&maxwell, London, 1969, p 609-612.* - მითითებულია გაბისონია ზვიად: ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 296.

აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ასახვა პოვა ინგლისურ სტატუტურ სამართალში. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ დიდი ბრიტანეთის 1995 წლის კანონით დელიქტური ურთიერთობის ძირითად მომწესრიგებელ პრინციპად გერმანული სამართლის მსგავსად ზიანის მიყენების (დელიქტის) ადგილის კანონი (**lex loci delicti commissii**) ხდება. მნიშვნელოვანია, რომ ინგლისის სამართალი არ ითვალისწინებს მხარეთა მიერ სამართლის არჩევის შესაძლებლობას.²⁴ ნათელია, რომ ინგლისურმა სამართალმა მხარეები მთლიანად საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში მოაქცია და არ მისცა დაზარალებულს საშუალება გამოიყენონ ის სამართალი, რომელიც მისთვის მეტად მისაღებია. აღნიშნული გამართლებულია იმით, რომ სამართლის არჩევა აღარ ატარებს ე.წ. „სადაამსჯელო ფუნქციას“.

3.2. გერმანული საერთაშორისო კერძო სამართალი დელიქტების შესახებ

გერმანული კოლიზიური სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს „მოქმედების ადგილსა“ და „შედეგის ადგილს“ ცნებებს. შესაბამისად, გერმანული საკოლიზიო სამართალი აღიარებს ე.წ. **lex loci delicti commissi**-ის პრინციპს. იგი გულისხმობს ზიანის მიყენების, დელიქტის ჩადენის ადგილის სამართალს (**Recht des Tatorts**), რომელიც მოიცავს ადგილს, სადაც მოხდა ზიანის მიყენება აქტიური ქმედებით ან უმოქმედობით და ასევე, პასუხისმგებლობას — შედეგის ადგილის კანონის მიხედვით.²⁵ აღნიშნული ცხადყოფს, რომ გერმანულმა კოლიზიურმა სამართალმა მხარეებს მისცა კანონისმიერი საშუალება გააკეთონ არჩევანი მათთვის ხელსაყრელი სამართლის განსაზღვრისას. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ გერმანიის კანონის მე-40 მუხლი „იმ შემთხვევაში, თუ მოქმედების ადგილი და შედეგის დადგომის ადგილი სხვადასხვაა, დაზარალებულს ანიჭებს უფლებას თვითონ აირჩიოს უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალი,“ როგორც ზიანის ადგილის კანონი.²⁶ ე.ი. გერმანულმა კოლიზიურმა სამართალმა განავითარა ე.წ. „ალტერნატიული ადგილის პრინციპი,“ რაც გულისხმობს იმას, რომ თუ დელიქტი ჩადენილია ერთ ქვეყანაში და რეალურად ზიანი დამდგარია სხვა ქვეყანაში, გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართალი დაზარალებულ მხარეს უფლებას აძლევს გამოიყენოს მისთვის უფრო მეტად ხელსაყრელი (სასარგებლო) ქვეყნის სამართალი. ამასთან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 38-ე პარაგრაფი²⁷ ითვალისწინებს, რომ გერმანელ მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს საზღვარგარეთ ჩადენილი დელიქტისთვის, იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია გერმანიის შიდა, ეროვნული კანონმდებლობით.²⁸ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ გერმანიის კანონის მე-40 პარაგრაფით დადგენილია, რომ დაზარალებულს აქვს უფლება მოითხოვოს გამოყენებულ იქნას იმ ქვეყნის სამართალი, რომელშიც დადგა შედეგი. „არჩევანის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პირველ ინსტანციაში პირველი სხდომის ბოლომდე.“²⁹ გერმანიის სასამართლო პრაქტიკისთვისაც ანალოგიური მიდგომაა დამახასიათებელი. დაზარალებულს და მათ შორის მოსამართლეს, შეუძლია ორი ალტერნატიული ქვეყნის სამართლიდან აირჩიოს ის, რომელიც დაზარალებულისთვის მომგებიანია.³⁰

24. იხ., *ვაბისონია ზვიად*: ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 296.

25. Werher F. Ebke and Matthew W. Finkin, *introduction to German law, kluwer law international, The Hague, London, Boston, 1996, 199.*

26. იხ., *დევიძე ხატია*: დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2008. 8.

27. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის (EGBGB) 38-ე პარაგრაფი.

28. იხ., Werher F. Ebke and Matthew W. Finkin, *introduction to German law, kluwer law international, The Hague, London, Boston, 1996, p 199.*

29. *დევიძე ხატია*: დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2008. 8.

30. *დევიძე ხატია*: დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2008. 8.

თუ ბრიუსელისა და ლუგანოს კონვენციები არ გამოიყენება, გერმანიის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება გერმანულ სასამართლოებზე, სარჩელი შეიძლება აღიძრას პირის წინააღმდეგ გერმანულ სასამართლოში, თუ:

- ზიანის მიმყენებელი ცხოვრობს ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს გერმანიაში (ბრიუსელის კონვენციის მე-2 მუხლი, ლუგანოს კონვენციის მე-2 მუხლი);
- დელიქტი ჩადენილია გერმანიაში (ბრიუსელის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და ლუგანოს კონვენციის 32-ე მუხლი);
- ზიანი დადგა გერმანიაში (ბრიუსელის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და ლუგანოს კონვენციის 32-ე მუხლი. ბრიუსელის კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად დელიქტურ ან კვაზიდელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც დადგა ზიანი ან არსებობს ვარაუდი, რომ ზიანს სამომავლოდ ადგილი ექნება. აღნიშნული დანაწესი არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის სპეციალურ იურისდიქციას განსაზღვრავს)³¹;
- დელიქტი ჩადენილია დანაშაულის შედეგად. დანაშაულებრივი მოქმედებები ჩადენილია გერმანიაში და სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილ უნდა იქნას სარჩელი დელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. (ბრიუსელის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი)³².

აღსანიშნავია, რომ გერმანიას არ მოუხდენია რაიმე კონვენციის ან საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია დელიქტურ ვალდებულებებთან გამოსაყენებელი სამართლის შესახებ იმ მიზეზით, რომ ეროვნული საკოლიზიო სამართალი თითქმის ამომწურავად განსაზღვრავს გამოსაყენებელ სამართალს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანულმა სასამართლოებმა განავითარეს რამდენიმე ზოგადი წესი, რომლებიც შემდეგნაირადაა შეჯამებული და დაყოფილი:

- თუ ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს აქვთ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ერთ ქვეყანაში, მაშინ გამოიყენება ამ ქვეყნის კანონმდებლობა.
- თუ დელიქტური მოქმედება ჩადენილია წინასახელშეკრულებო ეტაპზე დაზარალებულს გარდა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე სარჩელის წარდგენის უფლებისა, შეუძლია დელიქტიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაც მოსთხოვოს ზიანის მიმყენებელს.
- შესაძლოა მხარეები გამოსაყენებელ სამართალზე ზიანის დადგომის შემდეგ შეთანხმდნენ.
- თუ არ გამოიყენება სპეციალური ნორმები სარჩელი დაექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ზიანის მიყენების ფაქტს ჰქონდა ადგილი. თუ ზიანის მიყენების ადგილი განსხვავებულია ზიანის შედეგის დადგომის ადგილისაგან, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელი და მისაღებია.³³

აღნიშნული მიდგომები გერმანულ სამართალში წლების განმავლობაში იყო გაზიარებული. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა ახალი ევროკავშირის რეგლამენტი რომი II, გერმანული საკოლიზიო სამართალი სხვა მონესრიგებაზე გადავიდა (გადაეწყო) და დელიქტური ვალდებულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალიც განსხვავებულად მოანესრიგა.

31. Paul Vlas, Peter Mankowski; European commentaries on private international law, Brussels I regulation. 2007; 70-71.

32. Werher F. Ebke and Matthew W. Finkin, introduction to German law, kluwer law international, The Hague, London, Boston, 1996, 344.

33. Werher F. Ebke and Matthew W. Finkin, introduction to German law, kluwer law international, The Hague, London, Boston, 1996, 345.

3.3. რომი II და გერმანული საკოლიზიო სამართლის ახლებური მოწესრიგება

2007 წელს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს რეგლამენტი, რომლითაც დელიქტური საკითხების ახლებური მოწესრიგება მოხდა. აღნიშნული რეგლამენტი ცნობილია როგორც რომი II. ამ წესებით დელიქტურ ვალდებულებებთან და რესტიტუციასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები მოწესრიგდა.³⁴ რეგლამენტის პირველივე მუხლის თანახმად, რომი II-ის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ არასახელშეკრულებო და სავაჭრო ურთიერთობისას წარმოშობილ დელიქტურ ვალდებულებებთან.³⁵ მნიშვნელოვანია, რომ რეგულაცია დელიქტის ლეგალურ დეფინიციას არ გვაძლევს და მხოლოდ პროცედურული წესების განსაზღვრით შემოიფარგლება.³⁶

რომი II მე-4 მუხლის თანახმად დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ზიანი დადგა, მიუხედავად იმ ქვეყნის სამართლისა, სადაც ამ მოვლენამ ირიბი შედეგები გამოიწვია.³⁷ ამ კანონის მოქმედება შეიძლება ილუსტრირებულ იქნას შემდეგი სიტუაციით: შვეიცარიული კომპანია ატარებდა აფეთქებით სამუშაოებს შვეიცარიულ ალპებში, რამაც გამოიწვია ზვავი საფრანგეთის ალპებში და დაზიანდნენ ინგლისელი ტურისტები. მე-4 მუხლი, შვეიცარიას განიხილავს, როგორც ქვეყანას, სადაც მოხდა მოვლენა, რომელმაც დაზიანება გამოიწვია. საფრანგეთი არის ქვეყანა, სადაც ეს ზიანი დადგა. ინგლისი კი არის ქვეყანა, სადაც ამ მოვლენას მოჰყვა შედეგები. მე-4 მუხლი მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც ზიანი დადგა (საფრანგეთი) და არა იმ ქვეყნისა, სადაც ამ ქმედებას ჰქონდა ადგილი, რომელმაც შემდეგ დაზიანება გამოიწვია (შვეიცარია) და სადაც ამ მოვლენას ჰქონდა შედეგები (ინგლისი). რომი II შემქმნელებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ზიანის დადგომის ადგილის კანონმდებლობა, რომელიც ხელს უწყობს დელიქტური ვალდებულებების წარმოშობისას ზიანის ანაზღაურების მკაცრი სისტემის განვითარებას. იმისთვის, რომ ნათელი იყოს გამოიყენება თუ არა ზიანის დადგომის ადგილის კანონი რომი II მიხედვით, საქმეები უნდა განვასხვაოთ შედეგიდან გამომდინარე:

- მოხდა თუ არა დაზიანების გამომწვევი ქმედება და ზიანის დადგომა ერთი და იგივე ქვეყანაში;
- კანონდამრღვევი და დაზარალებული ცხოვრობენ თუ არა ერთი და იგივე ქვეყანაში.³⁸

რომი II ე.წ. სპეციალური დელიქტების მიმართ გამოსაყენებელ სამართალსაც განსაზღვრავს. მაგალითად, უახარისხო პროდუქტთან დაკავშირებულ საკითხებთან გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის კანონი, სადაც პირი, რომელიც პირდაპირ განიცდის ზიანს, მუდმივად ცხოვრობს ან მწარმოებელს გააჩნია მთავარი სანარმო. აღნიშნული დანაწესის მსგავს შინაარსს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაც იმეორებს. იტალიაში უახარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დაზარალებულის არჩევანის მიხედვით განისაზღვრება. თითქმის ასეთივე ჩანაწერს შეიცავს უკრაინის საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი.³⁹ გარდა უახარისხო პროდუქტით გამომწვეული ზიანისა, რომი

34. Stone Peter: *European Union Private International Law*, second edition, 2010, 369.

35. იხ., Regulation (EC) No 864/2007 of The European Parliament and of the Council of 11 July 2007, on the Law Applicable to Non-contractual Obligations (Rome II).art., 1(1).

36. Stone Peter: *European Union Private International Law*, second edition, 2010, 371.

37. იხ., Regulation (EC) No 864/2007 of The European Parliament and of the Council of 11 July 2007, on the Law Applicable to Non-contractual Obligations (Rome II).art., 4(1).

38. SYMEON C, SYMEONIDES, Article Rome II and Tort Conflicts, *The American Society of Comparative Law, the American journal of Comparative Law*, winter 2008 - მოითითებელია ხატია დევიდის სამაგისტრო ნაშრომიდან: დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, თსუ, თბილისი, 2008, 10.

39. დევიდე ხატია: დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2008, 22.

II გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზეც ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნულის თანახმად, თუ დაზარალებულმა არ მოითხოვა იმ ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება, სადაც ქმედებას ჰქონდა ადგილი, კანონმდებლობა, რომლის გამოყენებაც ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს, არის იმ ქვეყნის სამართალი, სადაც პიროვნება დაზიანდა. დაზარალებულს შეუძლია არჩევანის გაკეთება იმ შემთხვევაში, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებამ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობები მოიცვა: ქვეყანა, სადაც პიროვნებამ მიიღო ზიანი და ქვეყანა, სადაც ამ ზიანის გამომწვევ ქმედებას ჰქონდა ადგილი.⁴⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომი II-მა მოახდინა ევროკავშირის საკოლიზიო სამართლის მოდერნიზება, სწორედ ამიტომ, უარყოფილ იქნა ის მოძველებული მიდგომები, რაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და მათ შორის გერმანული სამართლისთვის იყო დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, გერმანულმა სამართალმა უარყო ე.წ. „ალტერნატიული ადგილის“ პრინციპი და დელიქტურ ვალდებულებებთან გამოსაყენებელ სამართლად დაადგინა ზიანისმიყენების ადგილის კანონი. აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია სხვა ევროპული და არაევროპული (მაგალითად აშშ-ს სამართალი) ქვეყნის საკოლიზიო სამართალშიც.

4. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი დელიქტების შესახებ

ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი დელიქტების სამართლებრივი მოწესრიგება „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ კანონის 42-ე მუხლშია მოცემული. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს. „ვის შეუძლია გააკეთოს არჩევანი — სასამართლოს, თუ დაზარალებულს? საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ამის შესახებ არაფერს ამბობს.“⁴¹ კანონი ზუსტად არ განსაზღვრავს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, საიდანაც დაზარალებულს (თუ აღნიშნულ ნორმას ისე განვმარტავთ, რომ დაზარალებულს აქვს არჩევანის უფლება) მოუწევს არჩევანის გაკეთება. ამასთან, გავრცელებული შეხედულების თანახმად, დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელ ქვეყანაში იგულისხმება არა ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა, არამედ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ზიანის მიყენებას ან შედეგს ჰქონდა ადგილი. ამის შესახებ პირდაპირი საკანონმდებლო ჩანაწერი კანონში არ მოიპოვება. სკს-ის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას ან გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. სკს-ის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა. იგი თითქოს წინააღმდეგობაში მოდის „ა“ ქვეპუნქტთან. ცხადია, რომ ქართველმა კანონმდებელმა მხარეს მისცა პირდაპირი კანონისმიერი საფუძველი ხელსაყრელი სამართლის არჩევისა და ამავე დროს, ის შეზღუდა „სამართლით დაცული ინტერესის“ ქვეყნის სამართლით.

40. SYMEON C, SYMEONIDES, Article Rome II and Tort Conflicts, *The American Society of Comparative Law, the American Journal of Comparative Law*, winter 2008 - მითითებულია ხატია დევიდის სამაგისტრო ნაშრომიდან: დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, 2008, 25-26.

41. *ლილუაშვილი თენგიზ*: საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, 93.

4.1. საკანონმდებლო რეკომენდაციები

სკს-ის 42-ე მუხლი რამდენიმე ურთიერთსაინანაღმდეგო შინაარსის პუნქტს შეიცავს. ისინი ერთმანეთთან შეუსაბამოა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მეტ დაკონკრეტებას საჭიროებს. უმჯობესია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ერთიანი სახით, ქვეპუნქტების გარეშე ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- დელიქტიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ზიანი დადგა.

აღნიშნული მოწესრიგებით დაცული იქნება, როგორც დაზარალებულის, ისე ზიანის მიმცემელის ინტერესები. ამასთან, მნიშვნელოვნად გადაწყდება საკითხი იმის შესახებ, რომ ნორმები ერთმანეთის საინანაღმდეგო არ იქნება და შესაბამისად მივიღებთ მეტნაკლებად ინტერესთა ღირებულებების დაბალანსებულ საკანონმდებლო ნორმას⁴². რაც შეეხება 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში კანონმდებელმა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირისა და დაზარალებულის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის ერთიანობაში გამოყენება მიიჩნია სწორად და ისინი „და“ კავშირით დააკავშირა. ამ შემთხვევაში შესაძლოა უმჯობესი იყოს ე.წ. „მჭიდრო სამართლის კავშირის“ გამოყენება, რაც დამახასიათებელია ინგლისისა და ამერიკული საერთაშორისო კერძო სამართლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ 42-ე მუხლი, ასევე, ანესრიგებს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან და დაზღვევის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს, უმჯობესია ქართულმა საერთაშორისო კერძო სამართალმა სპეციალური დელიქტის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმებიც გაითვალისწინოს.

გაუგებარია, რამდენად არის გამართლებული არასახელმეკრულებო ვალდებულებებთან დაზღვევის ხელმეკრულებისა და მის საფუძველზე წარმოშობილი საკითხების ერთად მოწესრიგება. ამ მხრივ, სასურველია, კანონმდებელმა საკანონმდებლო ნორმის დღეს არსებული ჩანაწერი შეცვალოს. გარდა ამისა, საჭიროა შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებსა და გარემოს დაცვასა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს განსაზღვრავს. რომი II მე-7 მუხლი ანესრიგებს გარემოსადმი მიყენებული ზიანის მიმართ გამოსაყენებელ სამართალს, რომლის თანახმადაც, პირს უფლება აქვს სარჩელი გარემოსადმი მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით დაუქვემდებაროს იმ ქვეყნის მატერიალურ სამართალს, სადაც ზიანის გამომწვევი მოქმედება მოხდა.⁴³ ე.ი შესაძლებელია სარჩელის შეტანა იქ, სადაც ზიანის წარმოშობა ქმედებას ჰქონდა ადგილი.

4.2. განსხვავებული შეხედულება

დელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებით რომი II განსაზღვრავს, რომ მხარეს არ აქვს საშუალება აირჩიოს გამოსაყენებელი სამართალი, ანუ ის შეზღუდულია ზიანის ადგილის ქვეყნის სამართალით. დაზარალებული მხარე ერთგვარად საკანონმდებლო ნორმის დანაწესით შეიზღუდა და მას არჩევანის გაკეთების საშუალება აღარ აქვს. ეს გამართლებულია იმით, რომ სამართლის არჩევა საკომპენსაციო ფუნქციის მატარებელია და არა სადამსჯელო ხასიათის. ამგვარი მოწესრიგება საკმაოდ სამართლიანად ათანაბრებს დაზარალებულისა და ზიანის მიმცემელის ინტერესებს. ამ მოსაზრების საინანაღმდეგოდ აღ-

42. ასეთი საკანონმდებლო ჩანაწერით გაზიარებული იქნება ის თანამედროვე მიდგომა, რომელიც ევროპული ქვეყნის კანონმდებლობაშია ასახული.

43. იხ., Regulation (EC) No 864/2007 of The European Parliament and of the Council of 11 July 2007, on the Law Applicable to Non-contractual Obligations (Rome II). art., 7.

ნიშნავენ, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი სამართალი, რაც მნიშვნელოვნად დააკმაყოფილებს მის ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებას არა საკონპენსაციო, არამედ სადამსჯელო ხასიათი ექნება. დაზარალებული თითქმის ყოველთვის აირჩევს იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც მეტი მატერიალური ღირებულების მომტანი იქნება მისთვის. ზემოთმულიდან გამომდინარე, რომი II რეგლამენტი და მის საფუძველზე განვითარებული თანამედროვე მიდგომები გამართლებული და მისაღებია დემოკრატიული სახელმწიფოების საკოლიზიო სამართლის უკეთ ჩამოყალიბებისათვის.

დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი დელიქტური ვალდებულებების სამართლებრივი მოწესრიგების მიმართ ძალზედ ზედაპირული და „მშრალია“. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ქართული სამართლისათვის ჯერ კიდევ უცხოა ისეთი სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც ე.წ. „უცხო ელემენტითაა“ დატვირთული. თანამედროვე ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დელიქტურ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის გამოყენების ტენდენცია თითქმის არ არსებობს. ეს კი, აიხსნება იმით, რომ ჯერჯერობით ქართული საკანონმდებლო ბაზა, ხშირ შემთხვევაში, მოწესრიგების თვალსაზრისით წინ უსწრებს იმ განვითარების დონეს, რაც ქვეყანას გააჩნია. ამის დასტურია ის, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა საქართველოს არ გააჩნია. ეკონომიკური განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის მზარდ პირობებში დღის წესრიგში სულ მალე დადგება აღნიშნული საკანონმდებლო აქტის ხშირად გამოყენების საკითხი. შესაბამისად, კანონმდებელს მოუწევს მთელი რიგი საკითხების ახლებურად გადაწყვეტა, მათ შორის, დელიქტურ ვალდებულებებთან მიმართებით. უმჯობესია გაზიარებულ იქნას საერთაშორისო გამოცდილება და სამართლებრივი კუთხით განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო ნორმების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც ამომწურავად გადაწყვეტს უცხო ელემენტით დატვირთული ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა ფართო სპექტრს.

კონტრაქტთა თანასწორობის პრინციპის რეალიზება ფრენშაიზინგულ ურთიერთობებში

თბილისი, 2013

1. შესავალი

თანასწორობა სამართლის ფუძემდებლური პრინციპია. მას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც იგი კუმულატიურად ვლინდება სახელმეკრულებო თავისუფლების, ნების ავტონომიისა და კეთილსინდისიერების პრინციპებთან ერთად. სინამდვილეში თანასწორობა არ არსებობს, მისი განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ „ჰიპოთეტურად, რეალური სინამდვილისგან აბსტრაქტირების გზით“². ამიტომაც არ ხდება სწრაფვა ტოტალური თანასწორობისკენ³. „თანასწორობის პრინციპის მოქმედება შეზღუდულია რეალური სინამდვილის საგნობრივი მოცემულობებით“⁴. სახელმეკრულებო თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპები ყოველთვის ურთიერთქმედებენ და ქმნიან სამართლებრივ წესრიგს. მართებულად შენიშნავს პროფ. ბესარიონ ზოიძე, რომ „სახელმეკრულებო თავისუფლება სახელმეკრულებო წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი და თუ იქიდან ამოვარდა, სამოქალაქო ბრუნვაში ანარქია და განუკითხაობა დაისადგურებს“⁵. თავის მხრივ, უკონტროლო თავისუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს კონტრაქტთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა.

თანამედროვე სახელმეკრულებო სამართალში თავისი მზარდი ეკონომიკური როლით და მისდამი დიდი ფინანსური ინტერესით გამოირჩევა ფრენშაიზინგის ხელმეკრულების ინსტიტუტი. ეკონომისტებისათვის მნიშვნელოვანია ფრენშაიზინგი იმდენად, რამდენადაც იგი იქცა სამენარმეო აქტივობის კატალიზატორად, რადგან გააჩნია მრავალი უპირატესობა და იზიდავს დამწყებ ბიზნესმენებს⁶. მისი ეკონომიკური მნიშვნელობა განაპირობებს იურიდიულ დოქტრინაში მისდამი ინტერესს, ვინაიდან მომეტებული ეკონომიკური სარგებლიანობა აუცილებელია სამართლებრივ ჩარჩოში მოექცეს. კანონმდებელმა არ უნდა მისცეს ეკონომიკურად ძლიერ ფრენშაიზის მიმცემს უფლება ფლობდეს სახელმეკრულებო უპირატესობას⁷. ზოგადად, კერძო სამართალში თანასწორობის დარღვევა შეიძლება მომდინარეობდეს კანონიდან

1. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის IV სემესტრის სტუდენტი;

2. ხუბუა გიორგი: სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 75.

3. ხუბუა გიორგი: სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 76.

4. ხუბუა გიორგი: სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 76.

5. ზოიძე ბესარიონ: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 273.

6. პაპაჩაშვილი ნინო: ფრენშაიზინგი – სამენარმეო აქტივობისათვის, ბიზნესი და კეთილდღეობა, თსუ-ს შრომები, ტ. II, თბ., 2009, გვ. 190.

7. ჩაჩანიძე თინათინ: სახელმეკრულებო თავისუფლება და სახელმეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელმეკრულებო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2010, გვ. 26.

ან „სახელშეკრულებო თანასწორობის დარღვევის შედეგად დამდგარი ფაქტობრივი მდგომარეობიდან“⁸. სწორედ, ამ უკანასკნელის მაგალითს წარმოადგენს ფრენშაიზინგი, რომლის დროსაც სახეზე გვყავს ერთის მხრივ ფრენშაიზის მიმცემი (**franchisor**), რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია, ხოლო მეორეს მხრივ - ფრენშაიზის მიმღები (**franchisee**), რომელიც დამწყები ბიზნესმენია. სწორედ, მათი ამგვარი ფაქტობრივი მდგომარეობაა შემდგომში განმსაზღვრელი მხარეთა სახელშეკრულებო წონასწორობისა. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით განვიხილოთ ის მიზეზები რაც ასე მიმზიდველს ხდის ფრენშაიზის სისტემას მენარმეებისათვის, ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სახელშეკრულებო თანასწორობას, როგორც სახელშეკრულებო სამართლიანობის საფუძველს და თანასწორობის პრინციპის რეალიზების თავისებურებებს ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში.

2. ფრენშაიზინგის ზოგადი დახასიათება

იურიდიულ დოქტრინაში აზრთა სხვადასხვაობაა ფრენშაიზინგის, როგორც ტერმინის წარმოშობის შესახებ. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ნახსენებია, რომ ფრენშაიზინგი წარმოიშვა ინგლისური სიტყვისაგან „franchising“, ამის საპირისპიროდ კი, ფრანგები ამტკიცებენ, რომ იგი წარმოიშვა ფრანგული სიტყვისაგან „franchise“, რაც ქართულად პრივილეგიას, შეღავათს, უპირატესობის მინიჭებას ნიშნავს.⁹

ფრენშაიზინგის დასაწყისად მიჩნეულია შუა საუკუნეები, კერძოდ, როცა კათოლიკურმა ეკლესიამ გადამხდელებთან გააფორმა ფრენშაიზინგის მსგავსი შეთანხმება, რომელიც წარმოადგენდა ერთგვარ საგადასახადო მოსაკრებელს და ამ ურთიერთობიდან მიღებული პროცენტი ეკლესიას რჩებოდა.¹⁰

პირველი ყველაზე წარმატებული ფრენშაიზინგული ოპერაცია განახორციელა ჯონ ჰემბერტონმა, რამაც დიდი მოგება მოუტანა მას. ეს იყო 1886 წელი, როდესაც ფრენშაიზით მოხდა „Coca-Cola“-ს გადაცემა.¹¹ მსოფლიოში ფრენშაიზინგის ბუმი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ვინაიდან უფრო განვითარდა ეკონომიკური გარემო და კომერციული პრაქტიკა.¹² აქვე აღსანიშნავია, რომ თავის მომგებიან საქმიანობას მსოფლიოს 119 ქვეყანაში წარმატებულად ახორციელებს ამერიკული „Mcdonald’s“-ი ფრენშაიზინგის სისტემის მეშვეობით.¹³

8. ჩაჩანიძე თინათინ: სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2010, გვ. 25.

9. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 7. ასევე იხ.: What is meant by “franchising”?, European Franchise Federation (EFF), 2008, p. 2. <http://eff-franchise.com/IMG/article_PDF/article_a6.pdf>.[02.03.2013].

10. Arthur G. Sharp, History of Franchising, <<http://www.referenceforbusiness.com/encyclopedia/For-Gol/Franchising.html>>.[21.01.2013].

11. Arthur G. Sharp: History of Franchising, <<http://www.referenceforbusiness.com/encyclopedia/For-Gol/Franchising.html>>.[21.01.2013].

12. Giarrusso Valentina: Franchise Agreements under Italian Law, Giambone Law, 2010, p. 1. <http://www.giambone-law.com/franchise_agreements.pdf>.[28.01.2013].

13. Mcdonald’s International Franchising, <http://www.aboutmcdonalds.com/mcd/franchising/international_franchising.html>.[01.02.2013].

3. კონტრაქტთა ურთიერთდამოკიდებულება და უფლება-მოვალეობანი ფრენშიზინგის ხელშეკრულებაში

3.1. ზოგადი მიმოხილვა

ფრენშიზინგი არის ბიზნესის გაფართოების პროცესი, რომლის დროსაც ფრენშიზის მიმცემი ანიჭებს ლიცენზიას დამოუკიდებელ ბიზნესის მფლობელ ფრენშიზის მიმღებს, რათა ექსკლუზიურად გაყიდოს მისი პროდუქცია ან გაუწიოს მომსახურება კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, გარკვეული დროის განმავლობაში.¹⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 607-ე მუხლში ფრენშიზინგის დეფინიცია წარმოდგენილია შემდეგნაირად: „დამოუკიდებელი სანარმოები ორმხრივად კისრულობენ სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას.“ როგორც ვხედავთ ეს მუხლი ძალიან ზოგადია და არ გვაძლევს ამ ხელშეკრულების სამართლებრივ რეგულირებაზე ნათელ წარმოდგენას.

„ფრენშიზის მიმცემი ვალდებულია, რომ მის მიერ გამოყენებული ფორმით გადასცეს ფრენშიზის მიმღებს არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სავაჭრო ნიშნები, ნიშუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ფრენშიზის სისტემის გაძღოლისათვის“ (სსკ-ის მ. 608, ნ. 1). კანონმდებელი არ იძლევა ფრენშიზის მიმცემის ვალდებულებათა ამომწურავ ჩამონათვალს. მასში შეიძლება ნაგულისხმევი იყოს ყველა ის წვრილმანი, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს.¹⁵ ასევე ფრენშიზის მიმცემს ეკისრება ვალდებულება, რომ ფრენშიზის მიმღებს გაუზიაროს მთელი მისი პრაქტიკული ცოდნა, ვინაიდან მას ამ სფეროში სამენარმოო საქმიანობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს. სსკ-ის 608-ე მუხლის მეორე ნაწილი, ფრენშიზის მიმცემს აკისრებს ვალდებულებას, რომ „დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირების ჩარევისაგან, განუწყვეტლივ განავითაროს ეს სისტემა და საქმიანი რჩევების გაზიარებით, ინფორმაციის მიწოდებით და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშიზის მიმღებს“. ეს შეიძლება გამოიხატოს პერმანენტული ტრენინგების ჩატარებით, კვალიფიკაციის ამაღლებით და სხვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფრენშიზის მიმცემი გადასცემს კონტრაქტს ნოუ-ჰაუსს, სახელწოდებას და სხვა არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს, რაც რაღა თქმა უნდა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. ამას ახლავს

14. ეს განმარტება წარმოადგენს ფრენშიზინგის ეკონომიკურ ხედვას. იხ.: Arthur G. Sharp: Franchising, <<http://www.referenceforbusiness.com/encyclopedia/For-Gol/Franchising.html>>, [21.01.2013]. აგრეთვე იხ.: ხურცივე თამილა: ფრენშიზინგის ხელშეკრულების შედარებითი ანალიზი იჯარისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებთან, ჟურნ. „თემიდა“, №6, 2012, გვ. 98. თავისებურად განმარტავს ფრენშიზინგს ევროგაერთიანების სამართალი: ფრენშიზინგის ხელშეკრულება არის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ფრენშიზის მიმცემი ანიჭებს ფრენშიზის მიმღებს ფრენშიზინგის ექსპლუატაციის უფლებას, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური რესურსის სანაცვლოდ, განსაზღვრული საქონლის ან/და სერვისის ექსპლუატაციის მიზნით, რომელიც მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს:

- დასახელების ან სავაჭრო ნიშნის გამოყენება, ასევე ერთგვაროვანი ნაგებობისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.
- ფრენშიზის მიმცემის მიერ ფრენშიზის მიმღებისათვის საჭიროა „ნოუ-ჰაუს“ გადაცემა.
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფრენშიზის მიმცემის მიერ კომერციული თუ ტექნიკური დახმარების განწევა.

იხ. Giarrusso Valentina: Franchise Agreements under Italian Law, Giambrone Law, 2010, p. 1. <http://www.giambrone.com/franchise_agreements.pdf>, [28.01.2013].

15. ხეცურიანი ჯონი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ნ. IV, ნ. I, რედ. ლ. ჭანტურია, თბ., 2001, გვ. 204.

ფრენშიზის მიმცემის უფლება, გააკონტროლოს თუ როგორ ახორციელებს ფრენშიზის მიმღები ფრენშიზის სისტემის გაძღვლას.¹⁶ ეს დაკავშირებულია მომხმარებლისა და თვით ფრენშიზის მიმღების ინტერესის დაცვასთან.¹⁷

3.2. წინასახელშეკრულებო უფლება-მოვალეობანი – შეთანხმება კონფიდენციალობაზე

წინასახელშეკრულებო ეტაპზე ფრენშიზის მიმცემი ვალდებულია, რომ ნოუ-ჰაუ¹⁸ გაანდოს მომავალ ფრენშიზის მიმღებს, რადგან მან იცოდეს რა სისტემას სთავაზობენ, და რაც მთავარია რამდენად მომგებიანი იქნება ეს მომავალში მისთვის.¹⁹ სწორედ, ამასთან არის დაკავშირებული მხარეებს შორის დადებული „შეთანხმება კონფიდენციალობაზე“²⁰ და მიუხედავად იმისა დაიდება თუ არა ფრენშიზინგის ხელშეკრულება ფრენშიზის მიმღები ვალდებულია დაიცვას განდობილი ინფორმაცია.²¹

3.3. გუდვილის როლი ფრენშიზინგის ხელშეკრულებაში

ყველა წარმატებული საწარმო მისი საქმიანობის განმავლობაში მოიპოვებს კეთილგანწყობას საზოგადოებაში. ფრენშიზის სისტემის გადაცემის დროს ფრენშიზის მიმცემი თავისთავად გადასცემს ფრენშიზის მიმღებს იმ რეპუტაციას, რაც მან მისი საქმიანობის განმავლობაში დაიმსახურა. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ფრენშიზინგის ფინანსურ ასპექტებს ნათლად დავინახავთ, რომ ფრენშიზის მიმცემის საწარმოს მაღალი გუდვილი ზრდის ფრენშიზის სისტემის ფასს.²² ფრენშიზის მიმღები ფრენშიზის მიმცემის კარგი რეპუტაციითა და სანდოობით „იძენს უნარს მიიზიდოს მომხმარებელი“²³, მას აღარ სჭირდება დიდი ფინანსების დახარჯვა, რათა საზოგადოებას გააცნოს პროდუქცია. გუდვილი ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ობიექტია.²⁴ გუდვილის ერთიანი, უნივერსალური ცნება დღემდე არ არსებობს, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ „გუდვილი არის საწარმოს მიერ ხანგრძლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი დადებითი მახასიათებლების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც გუდვილის მფლობელი იზიდავს მომხმარებლებს და რომელიც წარმოადგენს მომავალი საქმიანობის წარმატებით განხორციელების

16. Unidroit, Model Franchise Disclosure Law, Article 2, material change (58), Rome, 2002, p. 21. იქვე, (55), p. 21. <www.unidroit.org/english/modellaws/2002franchise/2002modellaw-e.pdf>. [01.02.2013].

17. ქოქიაშვილი მარი: მხარეთა უფლება-მოვალეობები ფრენშიზინგის ხელშეკრულებაში, ლოიალური კონკურენცია, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, №4, 2008, გვ. 78.

18. ევროპის ფრენშიზინგის ფედერაცია (EFF) “ნოუ-ჰაუს” შემდეგნაირად განმარტავს: „ნოუ-ჰაუ“ არის ის ძირითადი პრაქტიკული ინფორმაცია, რომელიც არ პატენტდება და რომელიც ემყარება ფრენშიზის მიმცემის გამოცდილებასა და ტესტირებას; იგი არის საიდუმლო, არსებითი და მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია.. იხ.: European Code of Ethics for Franchising, The European Franchise Federation (EFF), 2008, p. 3. <http://eff-franchise.com/IMG/article_PDF/article_a13.pdf>. [10.03.2013].

19. Unidroit, Model Franchise Disclosure Law, Article 2, Franchise (50), Rome, 2002, p. 20. <www.unidroit.org/english/modellaws/2002franchise/2002modellaw-e.pdf>. [01.02.2013].

20. დანვრილებით იხ.: ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 65-68. ასევე იხ.: ქოქიაშვილი მარი: საიდუმლო ინფორმაციის დაცვა ფრენშიზინგის ხელშეკრულებაში, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, №2, 2009, გვ. 80-88.

21. თუმანიშვილი გიორგი: ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება, თბ., 2012, გვ. 109.

22. ქოქიაშვილი მარი: ფრენშიზინგის სახეები, თბ., 2009, გვ. 27.

23. გუგეშაშვილი გვანცა: გუდვილი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი ადგილი კონკურენტულ ურთიერთობაში, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბ., 2008, გვ. 12. <http://www.law.tsu.edu.ge/files/samqalaqo_19.11.09.pdf>, [05.12.2012].

24. გუგეშაშვილი გვანცა: გუდვილის დაცვა კონკურენტული სამართლით, „სამართლის ჟურნალი“, თსუ, №1, 2011, გვ. 52.

წინაპირობას²⁵ სანარმოს ღირებულების ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი მისი მაღალი გუდვილია. თუ დავფიქრდებით მივხვდებით, რომ ფრენშიზის მიმღებისათვის ფრენშიზის სისტემის გადაცემა საკმაოდ დიდი სარგებლის მომტანია, რადგან იგი ზოგავს დროს გუდვილის მოსაპოვებლად. ფრენშიზის მიმცემის მიერ კონტროლის ყველანაირი საშუალების გამოყენება (იქნება ეს მუდმივი რევიზიები თუ შემომწმებები) იმაზე მიუთითებს, რომ იგი ცდილობს შეინარჩუნოს მისი გუდვილი და ამავე დროს კონტრაჰენტის ხარჯზე გაზარდოს კიდევ იგი.

3.4. საზღაური ფრენშიზის სისტემის სარგებლობისათვის, როგორც ფრენშიზის მიმცემის კონტრაჰენტზე ზემოქმედების საშუალება

ფრენშიზის მიმღები ვალდებულია, რომ გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობა არსებითად გამოითვლება ფრენშიზის სისტემის კეთილსინდისიერი მენარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრენშიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებული პირთა მეშვეობით (სსკ-ის 109-ე მუხლი). ფრენშიზინგული ურთიერთობა არის სინალაგმატური, კონსესუალური და სასყიდლიანი ურთიერთობა. აუცილებელია, რომ ფრენშიზინგულ ურთიერთობას ჰქონდეს ფულადი ბუნება.²⁶ ეს ურთიერთობა ყოველთვის დეტერმინირებულია ეკონომიკური მიზნით, მისი უსასყიდლობა წარმოუდგენელია. ფრენშიზინგული სისტემის სარგებლობისათვის ძირითადად ორი სახის საზღაური არსებობს:

- პაუშალური, რომელიც მყარად განსაზღვრულ, ფიქსირებულ გადასახადს წარმოადგენს.
- როიალტი, რომლის დროსაც ფრენშიზის მიმღები შესასვლელ გადასახადს იხდის გარკვეული პერიოდულობით.²⁷

საზღაური ფართო ცნებაა და მასში შეიძლება შევიდეს: პირველადი გადასახადი, პატენტის, სალიცენზიო, მომსახურების, სარეკლამო გადასახადები.²⁸ ფრენშიზის მიმცემი ყოველთვის დომინანტურ მდგომარეობაშია, რადგან მას შეუძლია კონტრაჰენტისგან სხვადასხვა წყაროს საშუალებით მიიღოს მოგება: ეს შეიძლება იყოს „ორგანიზაციის კუთვნილი სავაჭრო ნერტილებიდან მიღებული მოგების გადასახადი, პირველადი ნედლეულის და მასალების ფასნამატის გადასახადი, საქონლის მიმდინარე ფასნამატის გადასახადი, საიჯარო, დანადგარის სალიზინგო გადასახადი, სატრანსპორტო გადასახადი და სხვა“.²⁹ ფრენშიზის მიმცემის მიერ ფასით მანიპულირება დისბალანსის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია. აქედან გამომდინარე ფრენშიზის მიმცემი კონტრაჰენტთან შედარებით ოპტიმალურ სახელშეკრულებო მდგომარეობაში იმყოფება.³⁰

25. გუგეშაშვილი გვანცა: გუდვილი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი ადგილი კონკურენტულ ურთიერთობაში, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბ., 2008, გვ. 15. <http://www.law.tsu.edu.ge/files/samoqalaqo_19.11.09.pdf>, [05.12.2012]. ასევე „გუდვილი არის ალბათობა იმისა, რომ მყიდველი მიმართავს ძველ ადგილს“. იხ.: გუგეშაშვილი გვანცა: გუდვილი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი ადგილი კონკურენტულ ურთიერთობაში, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბ., 2008, გვ. 13. იხ. ციტირება: Browne W. H., A treatise on the law of trade-marks and analogous subjects, (firm names, business sings, goodwill, labels, etc.), Boston, 1895, 525. იხ. ციტირება: Lord Eldon, Crutwell v. Lye, 17 Ves, 355; 1 Rose 123, 1810.

26. Giarrusso Valentina: Franchise Agreements under Italian Law, Giambrone Law, 2010, p. 6. <http://www.giambrone.com/franchise_agreements.pdf>, [28.01.2013].

27. Giarrusso Valentina: Franchise Agreements under Italian Law, Giambrone Law, 2010, p. 6. <http://www.giambrone.com/franchise_agreements.pdf>, [28.01.2013].

28. ჯორბენაძე სანდრო: ფრენშიზინგის ხელშეკრულება, თბ., 1999, გვ. 28.

29. ფრენშიზინგი, რედ. შ. თუთარაშვილი, თბ., 2002, გვ. 37-38.

30. Lucian A. Bebchuk, The Myth of the Shareholder Franchise, Harvard Law School, Forthcoming, Virginia Law Review, 2007, p. 116.

3.5. ფრენშიაზის სისტემაში ცვლილების შემტანი უფლებამოსილი სუბიექტი

ფრენშიაზის მიმღები ვალდებულია, რომ იმოქმედოს მისი კონტრაჰენტის მიერ განსაზღვრული სამოქმედო გეგმით. მას თვითნებურად არ აქვს უფლება ცვლილებები შეიტანოს ფრენშიაზის სისტემაში. მხოლოდ ფრენშიაზის მიმცემს შეუძლია ფრენშიაზინგის სისტემაში შეიტანოს ცვლილება, რომელიც გამონვეულია ადგილობრივი პირობებით.³¹ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ფრენშიაზის სისტემა პერმანენტულად ცვლილებას განიცდის მომხმარებელთა გემოვნებიდან გამომდინარე, ამიტომ ფრენშიაზის მიმცემს აწევს მისი სრულყოფის ვალდებულება, რათა ფრენშიაზის მიმღებმა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა.³²

3.6. „Opportunistic Behavior“ ფრენშიაზინგულ ურთიერთობებში

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება ოპორტუნისტულ ქცევაზე, რომელიც გამოხატავს ფრენშიაზის მიმცემის უარყოფითი ქმედების ხასიათს.³³ „ოპორტუნისტული ქმედება, როგორც წესი, ფრენშიაზის მიმცემის მხრიდან იჩენს თავს, რადგან სახელშეკრულებო უთანასწორობის პირობებში მას მეტად ეძლევა ამგვარად მოქმედების შესაძლებლობა, თუმცა თეორიულად დასაშვებია, რომ ფრენშიაზის მიმღებმაც იმოქმედოს ოპორტუნისტულად“.³⁴ მაგრამ ოპორტუნისტიზმი არის ჰიპოთეზა არაკეთილსინდისიერი ქმედების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ამ ქმედების ყოველთვის განხორციელებას.³⁵

3.7. სტანდარტული პირობების როლი ფრენშიაზინგის ხელშეკრულებაში და მისი გავლენა სახელშეკრულებო ბალანსზე

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ფრენშიაზინგის ხელშეკრულებაში ხშირია სტანდარტული პირობების გამოყენების შემთხვევები.³⁶ მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინა ფრენშიაზინგს განიხილავს, როგორც გრძელვადიან მოლაპარაკებებზე დამყარებულ ხელშეკრულებას, იგი უპირატესად იღება ფრენშიაზის მიმცემის მიერ განსაზღვრული პირობებით, რომელსაც მისი კონტრაჰენტი „უერთდება“.³⁷ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული, რომლებსაც შემთავაზებელი უდგენს მეორე მხარეს (სსკ-ის მ. 342, ნ. 1). ფრენშიაზის მიმცემი ყოველთვის გამოიყენებს ამ შანსს და თავის მიერ განსაზღვრული სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელიც შესაძლოა ბუნდოვანიც იყოს) შედგენილ ხელშეკრულებას შესთავაზებს კონტრაჰენტს. 2005 წლის კანონში, რომელიც ბელგიამ ფრენშიაზინგის შესახებ მიიღო, ხაზგასმულია, რომ ხელშეკრულების პუნქტები უნდა იყოს ნათელი და არ შეიცავდეს ბუნდოვან დებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება

31. ჯორბენაძე სანდრო: ფრენშიაზინგის ხელშეკრულება, თბ., 1999, გვ. 29.

32. ახვლედიანი ზურაბ: ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999, გვ. 139-140.

33. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიაზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 87.

34. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიაზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 88.

35. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიაზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 89.

იხ. ციტირება: E. Brousseau, J. M. Glachant: *The Economics of Contract-Theories and Applications*, Cambridge University press, 2002, p. 210.

36. დანვრილებით ფრენშიაზინგის ხელშეკრულებაში სტანდარტულ პირობების შესახებ იხ.: ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიაზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 146-151.

37. იურიდიულ დოქტრინაში სტანდარტული პირობებით დადებულ ხელშეკრულებას ხშირად მიერთების ხელშეკრულებასაც უწოდებენ. იხ.: ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიაზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 146.

ფრენშიზის მიმღებ მხარეს³⁸. სტანდარტული პირობების სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ მას ნულამდე დაჰყავს ფრენშიზის მიმცემის რისკის საფრთხე³⁹ და მენარმეს არიდებს ზედმეტი ხარჯების განევას.⁴⁰

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სტანდარტული პირობები უზრუნველყოფს ფრენშიზის სისტემის ერთიანობას და იცავს ამ სისტემას მესამე პირთა ხელყოფისაგან.⁴¹ სტანდარტული პირობების გამოყენებით ილახება ფრენშიზის მიმღების ნების ავტონომია, რასაც შესაძლოა თან ერთვოდეს მისი საწინააღმდეგო დებულებების ჩართვა ხელშეკრულებაში.⁴²

ხელშეკრულების მომწესრიგებელ სამართალს ხშირად ფრენშიზის მიმცემი ადგენს სტანდარტული პირობების მეშვეობით⁴³, ამიტომაც ფრენშიზის მიმღებს ისლა დარჩენია, რომ „მიუერთდეს“ ფრენშიზის მიმცემის მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულებას. ამასთან, „საერთო სამართალში დომინირებს კონცეფცია, რომ ფრენშიზინგის ხელშეკრულება ყოველთვის სტანდარტული ხელშეკრულებაა“⁴⁴, მაგრამ, უფრო პროგრესული მოსაზრების თანახმად, ფრენშიზინგი სტანდარტულ ხელშეკრულებას არ წარმოადგენს, არამედ შესაძლებელია სტანდარტული დებულებების ფრენშიზინგის ხელშეკრულებაში ჩართვა.⁴⁵

3.8. მხარეთა სამართლებრივი მდგომარეობა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ

სსკ-ის 613-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ფრენშიზის მიმღებს სახელშეკრულებო ურთიერთობის ამონურვის შემდეგ რჩება ვალდებულია კონტრაქტს გაუწიოს ლოიალური კონკურენცია, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. თუ კონკურენციის აკრძალვით ფრენშიზის მიმღების პროფესიულ საქმიანობას საფრთხე შეექმნა, მას აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, მაგრამ ვინაიდან ფრენშიზის მიმცემს აქტიური კონტრაქტის როლი უჭირავს ხელშეკრულების შედგენაში, იგი სტანდარტული პირობების მეშვეობით ყოველნაირად ეცდება, რომ თავი დაიზღვიოს კომპენსაციის გადახდისაგან. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ფრენშიზინგი წარმოადგენს ე.წ. „ვერტიკალური შეთანხმების“ ერთ-ერთ მოდელს. ვერტიკალური შეთანხმება არის შეთანხმება, რომლის დროსაც „ორგანიზაციას შეუძლია აკონტროლოს არხების განაწილებისას დამოუკიდებელი ორგანიზაციები, კონკრეტული შეთანხმების საფუძველზე“.⁴⁶

38. European Franchise Federation, Belgium - Franchise Legislation, Law Relative to Pre-contractual Information in the Framework of Agreements of Commercial Partnership, Article 7, 2005, pp. 2-3. <http://www.eff-franchise.com/IMG/pdf/Belgium_-_Franchise_Legislation_on_Precontractual_.pdf>, [03.02.2013].

39. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 147. იხ. ციტირება: M. Zhang, Contractual Choice of Law in Contracts of Adhesion and Party Autonomy, Akron Law Review, Vol. 41, 2007-2008, p. 124.

40. ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ: შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თარგმანი ე. სუმბათაშვილისა, რედ. თ. ნინიძე, თბ., 2001, გვ. 19.

41. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 151.

42. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 148. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფრენშიზის მიმღებს სსკ-ის 346-ე მუხლზე დაყრდნობით შეუძლია მოითხოვოს მისი საწინააღმდეგო დებულებების გაბათილება.

43. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 148.

44. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 148.

45. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 148.

46. ფრენშიზინგი, რედ. შ. თუთარაშვილი, თბ., 2002, გვ. 57. საქართველოს კანონში „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტში ვერტიკალური შეთანხმება განმარტებულია შემდეგნაირად: „იმ არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული შეთანხმება, რომლებიც მონაწილეობენ საქონლის ან/და მომსახურების წარმოების ან/და მიწოდების მთლიანი ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, რომლის საგანია საქონლის ან/და მომსახურების მიწოდების პირობები და რომელიც გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის მიწოდებაზე“.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს, როდესაც გავიდა მისი მოქმედების ვადა, ვადაზე ადრე კი მაშინ, როდესაც არსებობს მხარეთა ორმხრივი ნება ან მხარეთა მიერ მოხდა ხელშეკრულების არსებითი პირობების დარღვევა. მხარეთა შორის თანასწორობის დარღვევა შეიმჩნევა ფრენშაიზინგის განახლებასთან დაკავშირებით. თუ ფრენშაიზის მიმღები თავის საქმიანობას წარმატებით ახორციელებს მას ექნება სურვილი, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ისევ გააგრძელოს ვადა იმავე პირობებით, ამ დროს კი ფრენშაიზის მიმცემი ყოველთვის ეცდება ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე შესთავაზოს კონტრაქტს ახალი ხელშეკრულება უფრო მაღალი საზღაურით.⁴⁷ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია დაუბრუნოს ფრენშაიზის სისტემა ფრენშაიზის მიმცემს. ექსკლუზიური უფლებების გადაცემისას ფრენშაიზის მიმცემი არ კარგავს აღნიშნულ ობიექტზე საკუთრების უფლებას⁴⁸.

4. თანასწორობის პრინციპი და ფრენშაიზინგის ხელშეკრულება

4.1. კონტრაქტთა თანასწორობის ჩამნაცვლებელი მიზეზები ანუ „მოხიბლული“ ფრენშაიზის მიმღები

ზემოთ განხილული მაგალითებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ფრენშაიზის მიმცემი ფლობს ხელშეკრულებაში დომინანტურ პოზიციებს, ხოლო მისი კონტრაქტის კი არის შედარებით პასიური სუბიექტი. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფრენშაიზის მიმღების აქტივობის ხარისხის განსაზღვრისათვის გასათვალისწინებელია მისი სამართლებრივი ფორმა და ეკონომიკური რესურსები.⁴⁹ თავიდან ფრენშაიზის მიმღები ხშირად ნაკლები ეკონომიკური რესურსების მფლობელია და საქმეში გამოუცდელიც, ამას კი თავის სასარგებლოდ იყენებს ფრენშაიზის მიმცემი. გაჩნდება კითხვა, თუ ყოველივე ეს ასე თვალნათლივ ჩანს, რატომ შედის მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში ფრენშაიზის მიმღები? შევეცდებით ამაზე გავცეთ პასუხი.

- უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გარიგებით იგი იღებს ფრენშაიზის მიმცემის ნოუ-ჰაუსს, გუდვილს, სავაჭრო კაზმულობას (**Trade Dress**), მარტივად, რომ ვთქვათ მოკლე დროში ის ხდება იმის მფლობელი, რის შექმნასაც წლები და დიდი ფულადი რესურსი მოანდომა ფრენშაიზის მიმცემმა.
- ფრენშაიზინგული კომპანიები წარმოადგენენ მყარ, ფინანსური კრიზისების მიმართ მდგრად საწარმოებს. ეს მეტად დაცულს ხდის ფრენშაიზის მიმღების აქტივობას, რომელიც მას მომავალში მოგებას მოუტანს, რადგან მის ზურგს უკან დგანან ტრანსნაციონალური კორპორაციები. აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა მონაცემები, რითაც დასტურდება, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ფრენშაიზინგული

47. *ქოქიაშვილი მარი*: ფრენშაიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტისა და განახლების პირობები, *ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“*, №1, 2010, გვ. 102.

48. *ხურციძე თამილა*: ფრენშაიზინგის ხელშეკრულების შედარებით ანალიზი იჯარისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებთან, *ჟურნ. „თემიდა“*, №6, 2012, გვ. 98. როგორც წესი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ყველაფერი უბრუნდება ფრენშაიზის მიმცემს (რა თქმა უნდა ფრენშაიზინგის სისტემის შემადგენელი ელემენტების სპეციფიკურობიდან გამომდინარე ყველაფრის დაბრუნება შეუძლებელია) ან ნაღვურდება, ასევე შეთანხმებულ ვადაში ხდება ფინანსური ანგარიშსწორება. იხ.: ფხალაძე თენგიზ: ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, ბიზნეს-მაცნე, №6-7, 2008. <[49. *ჩაჩანიძე თინათინ*: ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 48.](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0period--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4-----0-01--11-ru-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-810&cl=CL2.8&d=HASHb2812a83209b6a1b014930.2&x=1>,[15.01.2013].</p>
</div>
<div data-bbox=)

კომპანიის მხოლოდ 14% გაკოტრდა, მაშინ როდესაც არაფრენშიზინგული კომპანიების გაკოტრების მაჩვენებელი იყო 60%.⁵⁰

- ფრენშიზის მიმცემი კონტრაჰენტს სთავაზობს უხარვეზო, დახვეწილ ფრენშიზის სისტემას. მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ „ყაზბეგის“ ფრენშიზის სისტემა, სადაც კომპანია „ყაზბეგმა“ ვერ გაითვალისწინა, რომ მისი პარტნიორთა ინტერესი დაეცვა ტერიტორიული ლიცენზიების მეთოდით და მხოლოდ სანარმოთა 40%-მა იმუშავა ამ სისტემით წარმატებით, დანარჩენი კი გაკოტრდა.⁵¹
- ფრენშიზინგის ხელშეკრულება არ არის მხოლოდ ხელშეკრულების სახე, იგი წარმოადგენს მართვის სისტემას, რომელიც სპეციფიკური ვალდებულებებისგან შედგება და მოიცავს სხვადასხვა ხელშეკრულების ერთობლიობას⁵², აქედან გამომდინარე ამ ხელშეკრულების შედგენა საკმაოდ რთულია, ამიტომაც, მაგალითად, აშშ-ში არსებობენ სპეციალიზირებული იურისტები, რომელთა მომსახურებაც საკმაოდ ძვირია და ფრენშიზის მიმღები ნაკლები ეკონომიკური რესურსებიდან გამომდინარე იძულებულია ეს საქმე მიანდოს ფრენშიზის მიმცემს.⁵³

ვფიქრობთ, რომ ეს იმ მიზეზთა მცირე ჩამონათვალია, რითაც „მოხიბულია“ ფრენშიზის მიმღები და დიდ ყურადღებას აღარ უთმობს სახელშეკრულებო ბალანსზე ფიქრს.

4.2. კეთილსინდისიერების პრინციპზე დამყარებული სახელშეკრულებო თანასწორობა, როგორც სახელშეკრულებო სამართლიანობის საფუძველი

აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთობის შედარებით დაბალანსება მოახდინოს სამართალმა, მან არ უნდა მისცეს ფრენშიზის მიმცემს მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საშუალება მხოლოდ იმ მიზნით, რომ კონტრაჰენტს მიადგეს ზიანი, ანუ საჭიროა „მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ჩაჯდეს სამართლებრივ ჩარჩოებში“.⁵⁴ ხელშეკრულებაში „პირთა თანასწორობა არსებითად კერძო ავტონომიის სინონიმია“⁵⁵, ანუ იგი არის „ურთიერთობა, რომელშიც ინდივიდის ნების ავტონომიის რეალიზება უზრუნველყოფილია სხვა პირის შესატყვისი შეზღუდვით“.⁵⁶ ფრენშიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა და ამიტომ იგი განსაკუთრებითაა დაფუძნებული კეთილსინდისიერების პრინციპზე⁵⁷, ვინაიდან ამ პრინციპით კონკრეტდება „ინდივიდის მოქმედების

50. Kadagishvili Leila: Franchising – Successful Form of Business Administration, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, №4, 2010, გვ. 83.

51. Kadagishvili Leila: Franchising – Successful Form of Business Administration, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, №4, 2010, გვ. 83. აგრეთვე იხ.: მინდიაშვილი ზაზა: ფრენშიზინგის სისტემის განვითარება და პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, №3, 2001, გვ. 41.

52. ფრენშიზინგი, რედ. შ. თუთარაშვილი, თბ., 2002, გვ. 58.

53. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 49-50.

54. ზოიძე ბესარიონ: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 279.

55. ჭანტურია ლადო: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 4.

56. კერესელიძე დავით: კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, გვ. 80.

57. „კეთილსინდისიერების პრინციპი თავის მხრივ მოიცავს ლოიალობას, თანამშრომლობას, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას და სხვა.“ იხ.: კერესელიძე დავით: კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, გვ. 92-93. ასევე, კეთილსინდისიერების პრინციპზე ყურადღება არის გამახვილებული ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში (**The Principles of European Contract Law**), სადაც 1:201 მუხლში წერია, რომ „ყოველი მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმოსნობის პრინციპების მიხედვით (1). მხარეებს არ შეუძლიათ გამორიცხონ ან შეზღუდონ ეს ვალდებულებები (2)“. იხ.: ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, ქართული კერძო სამართლის კრებული, ნ. 1, თარგმანი ზ. ჭეჭელაშვილისა, თბ., 2004, გვ. 229-230.

თავისუფლების ფარგლები განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმიდან იგი პირდაპირ არ გამომდინარეობს⁵⁸. სსკ-ში ფრენშაიზინგის მომწესრიგებელი ნორმები ზოგადი ხასიათისაა, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილსინდისიერების პრინციპს, როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე მთელი სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმა არ შეიძლება განსაზღვროს ის, რაც ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ განისაზღვრება⁵⁹, ამიტომაც მართებულად შენიშნავს პროფ. თ. ჩაჩანიძე, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში დათქმა კეთილსინდისიერების პრინციპზე⁶⁰ დაავალდებულებს ორივე კონტრაქტენტს, განსაკუთრებით კი ფრენშაიზინგის მიმცემს, რომ სახელშეკრულებო უფლებები კეთილსინდისიერების საფუძველზე განახორციელოს. ასეთი ჩანაწერი ხელს შეუშლის ფრენშაიზინგის მიმცემის ოპორტუნისტულ ქცევას და უფრო დაცულს გახდის ფრენშაიზინგის მიმღების სახელშეკრულებო მდგომარეობას, რაც თავის მხრივ სახელშეკრულებო ბალანსზე დადებითად აისახება.

ფრენშაიზინგის სპეციფიკური სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ჩვენ ვერ მოვიტხოვთ აბსოლუტურად ეკვივალენტურ თანასწორობას. ეკვივალენტურობაში არ იგულისხმება შესრულებათა ღირებულებით იდენტურობა⁶¹, არამედ ვგულისხმობთ მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შედარებით თანხვედრასა და ბალანსს. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეიბოჭება მეორე მხარის ისეთი მოქმედებებით, რაც მისთვის ზიანის მომტანია“,⁶² მაგრამ ფრენშაიზინგული ურთიერთობები არის არა იმდენად ზიანის მომტანი რომელიმე მხარისათვის, არამედ იგი არის ერთგვარი სიმბიოზური⁶³ თანაცხოვრება, გამოვლენილი გარკვეული თავისებურებებით. მანამ სანამ იქნება ეკონომიკური დისბალანსი კონტრაქტენტთა შორის, ფრენშაიზინგის მიმცემს ყოველთვის ექნება „სარეზერვო ეკონომიკური ბერკეტები“,⁶⁴ რომლებიც შეიძლება გამოიყენოს საფასო შეზღუდვების სახით (მაგ.: საქონლის მინიმალური და მაქსიმალური ფასის განსაზღვრა), რასაც ეკონომისტები ამართლებენ „ფრენშაიზინგის მიმღების საფასო კონკურენტუნარიანობის შემცირების მიზნით.“⁶⁵ სამართალმა უნდა შეამციროს ფრენშაიზინგის მიმცემის მავნე ზემოქმედებანი ფრენშაიზინგის მიმღებზე, ვინაიდან კომერციული ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა შორის ეკონომიკურ ზემოქმედების აღკვეთას იგი ვერ შეიძლება.⁶⁶ მაგრამ არამც და არამც არ უნდა დამყარდეს „სამართლის მომეტებული დიქტატურა, მომეტებული სამართლებრივი წესრიგი, რომელიც უნესრიგობის თავისებური გამოვლინებაა“.⁶⁷ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანასწორობის პრინციპი დაცული იქნება, თუ სახეზე გვექნება კონტრაქტენტთა შედარებით თანაბარი ეკონომიკური რესურსები და თუ ხელ-

58. *კერესელიძე დავით*: კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, გვ. 83.

59. *ზოიძე ბესარიონ*: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 271.

60. *იხ. ჩაჩანიძე თინათინ*: ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 73-80.

61. *ზოიძე ბესარიონ*: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 281.

62. *ზოიძე ბესარიონ*: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 266.

63. *ქოქიაშვილი მარი*: ფრენშაიზინგი და მისი სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2009, გვ. 19.

64. *ჩაჩანიძე თინათინ*: ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 92.

65. *ჩაჩანიძე თინათინ*: ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 110.

66. *ჩაჩანიძე თინათინ*: ფრენშაიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 50-51.

67. *ზოიძე ბესარიონ*: პოზიტიური სამართლის ზემოქმედების ფარგლები ანუ მოწესრიგებული ადამიანისა და მიმტვევებელი სახელმწიფოს შესახებ, (ესეი), „სამართლის ჟურნალი“, თსუ, №2, 2011, გვ. 274. ინგლისურ ენაზე იხ.: **Zoidze Besarion: Positive Law or Organized/Responsible Person and Tolerant State, (Essay), Journal of Law, Tsu, №2, 2011, p. 221.**

შეკრულების დადების მომენტში მათ არ ექნებათ მავნე ეკონომიკური ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობა.⁶⁸ მაგრამ ამ დროს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ფრენშიზის მიმღები ხშირად დამწყები ბიზნესმენია, რომელსაც არ გააჩნია მყარი ეკონომიკური საფუძვლები და სწორედ ამ ურთიერთობიდან იმედოვნებს გარკვეული მოგების მიღებას. აქვე საგულისხმოა, რომ „სამოქალაქო ბრუნვა ვერ განვითარდება, თუკი მხარეს არ მიეცემა შესაძლებლობა, დასაშვებ ზღვრამდე ისარგებლოს თავისი პარტნიორის თუნდაც გულუბრყვილობითა და გამოუცდელიობით“.⁶⁹ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელშეკრულებო სამართლიანობაში მთავარი და განმსაზღვრელია სახელშეკრულებო თანასწორობა, რომელიც არის კერძო ხასიათის ურთიერთობების საფუძველი.⁷⁰

5. დასკვნა

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილეთ კონტრაჰენტთა თანასწორობის პრინციპის რეალიზების თავისებურებები ფრენშიზინგულ ურთიერთობებში და მისი გამომწვევი მიზეზები. თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალი მართალია არ მიისწრაფვის კონტრაჰენტთა ტოტალური თანასწორობისკენ, მაგრამ მიუხედავად ამისა სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტთა მიზანი უნდა იყოს სახელშეკრულებო წონასწორობის შენარჩუნება. აუცილებელია მოხდეს კონტრაჰენტთა შორის რისკების⁷¹ და უფლება-მოვალეობების თანაბარი გადანაწილება, რაც შედარებით დაცულს გახდის ფრენშიზის მიმღების სახელშეკრულებო მდგომარეობას. მსჯელობიდან გამომდინარე ჩანს, რომ ფრენშიზის მიმღები შედარებით სუსტ სახელშეკრულებო პოზიციაზე იმყოფება, ამიტომ საჭიროა, რომ იგი დაცული იყოს კონტრაჰენტის ოპორტუნისტული ქცევისგან, რაც მიიღწევა კეთილსინდისიერების პრინციპზე დამყარებული კონტრაჰენტთა ქმედებებით. სახელშეკრულებო ურთიერთობებში რომელიმე კონტრაჰენტი თავს დაჩაგრულად არ უნდა გრძნობდეს, ვინაიდან სახელშეკრულებო ბალანსის დარღვევა თავისთავად იწვევს სახელშეკრულებო სამართლიანობის უგულვებელყოფას. ამ შემთხვევაში ფრენშიზის მიმცემის მიერ კონტრაჰენტთან კეთილსინდისიერების პრინციპზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა გამოიწვევს სახელშეკრულებო წონასწორობის შედარებით დაბალანსებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრენშიზის მიმცემმა უნდა გაითვალისწინოს ფრენშიზის მიმღების ინტერესები.

სახელშეკრულებო ბალანსის დარღვევის საფუძველი მხარეთა ეკონომიკური უთანასწორობაა და რადგანაც სამართალი რაიმე ჩარჩოში ვერ მოაქცევს ამ მდგომარეობას, ამიტომაც უფრო მეტი დატვირთვა მოდის კეთილსინდისიერების პრინციპზე. ფრენშიზინგის ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების პრინციპზე დათქმა ფრენშიზის მიმცემის ოპორტუნისტული ქცევის და ფინანსური სიძლიერის დათრგუნვის ერთადერთი საშუალებაა. დაუშვებელია, რომ ფრენშიზის მიმღების ხელში ფრენშიზინგის ხელშეკრულება გახდეს კონტრაჰენტის დამორჩილების იარაღი⁷².

68. ჩაჩანიძე თინათინ: სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2010, გვ. 25-26.

69. ზოიძე ბესარიონ: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 281.

70. სსკ-ის პირველივე მუხლში აქცენტი გაკეთებულია თანასწორობის პრინციპზე: „ეს კოდექსი ანესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“.

71. ჩაჩანიძე თინათინ: ფრენშიზინგული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, თბ., 2010, გვ. 89.

72. „კანონი კრძალავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულება ხდება არა თანამშრომლობისა და თავისუფალი ბრუნვის საშუალება, არამედ ერთი მხარის მეორეზე დამორჩილების იარაღი...“ იხ.: ზოიძე ბესარიონ: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 281.

დასასრულ შეიძლება ვთქვათ, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების პრინციპის ჩართვა მხარეებს ეკისრებათ, ვინაიდან ისინი არიან კერძო სამართლის პრინციპების პრაქტიკაში რეალიზაციისათვის უფლებამოსილი სუბიექტები.⁷³ კონტრაჰენტთა თანასწორობის პრინციპის შედარებით სრულფასოვნად რეალიზაცია განპირობებულია იმით, თუ რა ხარისხით იქნება დაფუძნებული ფრენშაიზის მიმცემის ქმედებები კეთილსინდისიერებაზე, რაც ფრენშაიზის მიმღებს გაუღვივებს განცდას, რომ იგი მონაწილეობს სამართლიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

73. ჩაჩანიძე თინათინ: სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, 2010, გვ. 31.

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები

(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

თბილისი – 2013

I. შესავალი

„Das Eigentum ist ein elementares Grundrecht, das in einem inneren Zusammenhang mit der Garantie der persönlichen Freiheit steht.“²

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა ძირითადად ეფუძნება საკუთრების უფლების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელ ნიშან-თვისებას: საკუთრების უფლების გადაცემას. ამავდროულად, პირის მიერ თავისი სურვილისამებრ მოძრავ თუ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნასა და დაკარგვაში გამოიხატება სწორედ საკუთრების, როგორც პიროვნების ძირითადი უფლების „განკარგვის“ შესაძლებლობა. საკუთრების უფლების, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლების ასე ვთქვათ რეალიზება ხდება სწორედ იმაში, რომ ნების ავტონომიის პრინციპზე დაყრდნობით პირს ეძლევა შესაძლებლობა, რომ გაასხვისოს ან შეიძინოს მოძრავი თუ უძრავი ნივთი, შეეძლოს გახდეს მესაკუთრე ან გადასცეს სხვას უფლება მასზე.

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის ერთ-ერთი მთავარი გზის – საკუთრების უფლების გადაცემის გზით შექმნის განხილვა. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით საკუთრების უფლების გადაცემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოკვეთა და ამავდროულად გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა. ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მოცემული აბსტრაქციის პრინციპის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი, სანივთო და მავალდებულებელი გარიგებების ურთიერთმიმართების დადგენა (ხელშეკრულების თავისუფლებისა და აბსტრაქციის პრინციპის ურთიერთდამოკიდებულების განხილვის საფუძველზე) და ქართული კანონმდებლობისათვის უცნობი ისეთი ინსტიტუტების განხილვა, როგორცაა განკარგვითი გარიგება და მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების ე.წ. „მოკლე ხელით გადაცემა“ (Traditio brevi manu).

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი (კერძო სამართლის მიმართულება). მე-7 სემესტრის სტუდენტი.

2. „საკუთრება ეს არის ელემენტარული ძირითადი უფლება, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირშია პიროვნული თავისუფლების გარანტიასთან“. BVerfGE 24, 367, 389 in Ralph Weber, Sachenrecht I, bewegliche Sachen, 1.Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2005, s. 324.

II. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის საფუძვლები

საკუთრების არსებითი შინაარსი გამოიხატება სწორედ იმაში, რომ დადგენილი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი გადასვლა სხვა პირზე.³ საკუთრების შინაარსის ამგვარი განსაზღვრის წინაპირობას კი, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრების აღიარების პრინციპი წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: ხელშეკრულების თავისუფლება, ნების ავტონომია, მენარმეობის თავისუფლება და ა.შ.⁴

რომის სამართლიდან მოყოლებული დღემდე, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის რამდენიმე გზა იქნა განსაზღვრული, კერძოდ, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა შესაძლებელია გარიგების, კანონის და ადმინისტრაციული ორგანოს აქტის საფუძველზე.⁵ გარდა ამისა, ჯერ კიდევ რომის სამართალში გვხვდება მოძრავი ნივთების შექმნის ხერხების კლასიფიკაცია ე.წ. თავდაპირველ და ნანარმოებ ხერხებად. საკუთრების უფლების შექმნის თავდაპირველ გზას მიეკუთვნება მაგალითად საკუთრების უფლების შექმნა განძზე, ხოლო რაც შეეხება ნანარმოებ გზას, მაგ. საკუთრების უფლების შექმნა ნასყიდობის ხელშეკრულებით.

წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანს წარმოადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა გარიგების საფუძველზე, რომელიც იმავდროულად საკუთრების უფლების შექმნის ე.წ. ნანარმოებ გზად მიიჩნევა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნა-დაკარგვის აღნიშნულ გზას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება და იგი ამავდროულად წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას გარანტს.⁶

საკუთრების უფლების შექმნისა და დაკარგვის თავისებურებების გათვალისწინებით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ტრადიციისა და კონსესუალურ, ასევე აბსტრაქტულ, კაუზალურ და ე.წ. შუალედურ სისტემებს, რომელთაგან ორის, კერძოდ აბსტრაქტულისა და შუალედური სისტემების ძირითად ასპექტებს დაწვრილებით საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობის მაგალითზე განვიხილავთ.⁷

III. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნა საკუთრების უფლების გადაცემის ე.წ. შუალედური (ტრადიციისა და კაუზალური სისტემა), რაც ნათლად ჩანს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირებიდან. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა კანონმდებელმა მთლიანად არ გაიზიარა საკუთრების უფლების გადაცემის ე.წ. შუალედური სისტემის კლასიკური ელემენტები, მაგ. როგორც ეს არის მოცემული ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში.⁸

იმისათვის, რათა განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის დამახასიათებელი თავისებურებები თუ მსგავ-

3. Wolf, Manfred: *Sachenrecht*, 14. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 1999, s.169.

4. ლ. ჭანტურია: უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1994, გვ. 152, ასევე ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, გვ. 90-91.

5. ზ. ჭეჭელაშვილი: სანივთო სამართალი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2009, გვ. 191.

6. Wolf, Manfred: დასახელებული ნაშრომი, იქვე, s.169.

7. ზ. ჭეჭელაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ. 160-161.

8. იხ. დანერ. ზ. ჭეჭელაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ 171-173, ასევე ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი, მე-3 ნიგნი, 90-ე მუხლი http://wetten.overheid.nl/zoeken_op/regeling_type_wetten+AMVB+ministeries/titel_bevat_burgerlijk%2Bwetboek/ (07.02.2013)

სებები საკუთრების უფლების გადაცემის სხვა სისტემებთან, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა ხაზი გაესვას მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის წინაპირობებს, რომელიც მოცემულია სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ელ ნაწილში. კერძოდ, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. მაშასადამე, კანონმდებელი ადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის შემდეგ წინაპირობებს:

1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მესაკუთრე (თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელსაც დანვრილებით შემდგომ განვიხილავთ).⁹

2. მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს „ნამდვილი უფლება“ აღნიშნულ ნივთზე.

3. უნდა განხორციელდეს გადაცემა (*traditio*), რომლის ცალკეული სახეებიც შემდგომ სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 პუნქტით კონკრეტიზდება.

მაშასადამე, სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ზოგადი წესი, რომელიც გულისხმობს, რომ სახეზე უნდა იყოს შეთანხმება მესაკუთრესა და შემძენს შორის, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა. რაც შეეხება აღნიშნული შეთანხმების სამართლებრივ ბუნებას, იგი წარმოადგენს ე.წ. გერმანულ სანივთო გარიგებას (მაგ. იგი ითვალისწინებს განსაზღვრულობის პრინციპს და ა.შ.)¹⁰, თუმცა განსხვავებით მისგან იგი თავის თავში მოიცავს *Causa*-ს, რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული სანივთო შეთანხმება ეფუძნება ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას და არ არის გამოყოფილი მისგან.¹¹

განვიხილოთ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი წინაპირობები ცალ-ცალკე.

1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი

*Nemo plus iuris ad alium transferre potest, quam ipse habet*¹²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს მესაკუთრე. ჩნდება კითხვა, მხოლოდ მესაკუთრეა უფლებამოსილი საკუთრების უფლების გადაცემაზე? შესაძლებელია თუ არა, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთზე არამესაკუთრის მიერ? სსკ-ის 504-ე მუხლის თანახმად, ნივთის შემნახველს შეუძლია გაყიდოს ნივთი დადგენილი წინაპირობების არსებობისას, კერძოდ, თუ ნივთი მალფუჭებადია, გაუფასურება მოელის და ა.შ. გამომდინარე აქედან და ასევე არაერთი სხვა შემთხვევიდან, რომელსაც სსკ ითვალისწინებს¹³ მხოლოდ, მესაკუთრეს არ აქვს უფლებამოსილება მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისა. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა თუ მსგავსად ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის 84-ე მუხლისა, რომლის მაგალითზეც შეიქმნა სსკ-ის 186-ე მუხლი, კანონმდებელი 186-ე მუხლის პირველ ნაწილში არა მესაკუთრეზე, არამედ მოძრავი ნივთის განკარგვაზე უფლებამოსილ პირზე გააკეთებდა ხაზგასმას და შესაბამისად ხელოვნურად არ დაავიწროვებდა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრეს.¹⁴

9. იხ. სსკ-ის 187-ე მუხლი.

10. ბ. ზოიძე: სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, გვ 148.

11. ზ.ჭეჭელაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ. 192.

12. რომის სამართლის ფორმულა: „არავის შეუძლია გადასცეს იმაზე მეტი უფლება, რაც თვითონ აქვს.“

13. მაგ. იხ. სსკ-ის 787-ე მუხლი.

14. იხ. დანვრ. ზ.ჭეჭელაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ. 193.

აქვე გარკვეულწილად უნდა შევეხოთ ასევე სსკ-ის 187-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს მოძრავი ნივთების ე.წ. კეთილსინდისიერ შექმნას. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონმდებელი უშვებს საკუთრების უფლების გადასვლას იმ შემთხვევაში, როდესაც გამსხვისებელი არ არის ნივთის მესაკუთრე, თუმცა, თავად შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. მაშასადამე, მოძრავი ნივთის გადაცემა შესაძლებელია განახორციელოს გადაცემაზე სრულიად არაუფლებამოსილმა პირმაც – არამესაკუთრემ და შემძენი ხდება მესაკუთრე აღნიშნული მოძრავი ნივთისა, თუ მისი კეთილსინდისიერება საკუთრების უფლების გადასვლამდე არსებობს, გარდა 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. აღნიშნული მუხლი თავისი ფორმულირებიდან გამომდინარე კრიტიკის საგანს წარმოადგენს იურიდულ ლიტერატურაში,¹⁵ თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია არამესაკუთრე გამსხვისებლის ვინაობა, გამომდინარე იქედან, რომ განვიხილავთ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილ სუბიექტებს. 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოძრავი ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მოპარეს ან მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა თუ შემძენმა ისინი უსასყიდლოდ მიიღო, შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი და შესაბამისად, იგი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, კერძოდ, როცა შეძენა ეხება ფულს, ფასიან ქალაქებს ან/და აუქციონზე გასხვისებულ ნივთებს.¹⁶ მაგალითად: თუ A მოპარავს B-ს რაიმე ნივთს და შემდგომ გაასხვისებს მას C-ზე, მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა რაიმე ინფორმაცია C-ს აღნიშნული ნივთის წარმოშობის შესახებ, იგი ვერ გახდება მისი მესაკუთრე.

2. ნამდვილი უფლება

186-ე მუხლის 1-ლი ნაწილში ხაზგასმულია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე უნდა გადასცეს შემძენს ნივთი. აღნიშნულის მსგავს დანაწესს ითვალისწინებს ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის 84-ე მუხლიც, რომლის თანახმადაც ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა მისი გადაცემა ნამდვილი გარიგების საფუძველზე, რომელიც დადებულია იმ პირის მიერ, ვინც უფლებამოსილია ამ ქონების განკარგვაზე. აღნიშნული დანაწესით კანონმდებელი აპელირებს ე.წ. სანივთო გარიგების კაუზის ნამდვილობაზე, რაც განასხვავებს მას სწორედ აბსტრაქტული, გერმანული სისტემისაგან, სადაც – **Einigung** სანივთო შეთანხმება დამოუკიდებელია ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებისაგან.¹⁷ ნამდვილი გარიგება **titulus** გულისხმობს ნამდვილ სამართლებრივ ურთიერთობას, მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარეც და რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ნივთის გადაცემა **modus**.¹⁸

3. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა (Modus)

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნისათვის სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად შეთანხმების გარდა აუცილებელია მოძრავი ნივთის გადაცემა. რას მოიცავს ნივთის გადაცემა? ნივთის გადაცემის სახეები კონკრეტიზდება სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ, ესენია: შემძენისათვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა,

15. იხ. დანვრ. ბ. ზოიძე: დასახელებული ნაშრომი, გვ.150.

16. სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება.

17. Vieweg, Klaus; Werner, Almuth: Sachenrecht, 3.Auflage, Carl Heymanns Verlag, Köln, 2007, s.79-81.

18. ლ. ჭანტურია: უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1994, გვ.183.

Constitutum possessorium ანუ არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით და მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება, იგივე მოთხოვნის უფლების დათმობა. მაშასადამე, ქართველმა კანონმდებელმა გაითვალისწინა გერმანული გამოცდილება და სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების მიზნით მოახდინა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის რამდენიმე გზის რეგლამენტირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

3.1. შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში

შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში გულისხმობს, რომ ნივთი გადადის უშულოდ შემძენის ფაქტობრივ მფლობელობაში.¹⁹ მაშასადამე, იგი სრულიად გადის გამსხვისებლის ბატონობიდან და მას აღარ რჩება არანაირი ნაწილი მფლობელობისა აღნიშნულ ნივთზე.²⁰ ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება და ნივთის გადაცემის მომენტი ერთდროულად ხორციელდება და მათ შორის არ არის დროის განსაზღვრული მონაკვეთი. ნივთის გადაცემის აღნიშნული შემთხვევა ყველაზე ხშირია ყოველდღიურ ცხოვრებაში.²¹

3.2. Constitutum possessorium

Constitutum possessorium იგივე **Besitzkonstitut** გულისხმობს არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემას ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად. ამ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ, მაგალითად განსაზღვრული დროის განმავლობაში გამსხვისებელი იქნება კვლავ ნივთის პირდაპირი მფლობელი, რადგან ნივთი დროებით დარჩება მასთან, ხოლო ახალი მესაკუთრე, შემძენი ავტომატურად ხდება არაპირდაპირი მფლობელი. თუმცა, აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გამსხვისებელსა და შემძენს შორის დადებული შეთანხმება, ხელშეკრულება კონკრეტიზებული უნდა იყოს, რაც გულისხმობს იმას, რომ შემდეგში კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დადგეს ცალკეული ნივთის გადასვლა შემძენის საკუთრებაში.²²

მაგალითის სახით განვიხილოთ: **A** -მ შეიძინა ავტომანქანა **B**-სგან, რომელიც **A**-ს სურს, რომ შეძენის შემდეგ გააქირავოს. **B**-მ გადაწყვიტა იქირაოს **A**-სგან თავისი ყოფილი ავტომანქანა, ამ შემთხვევაში **B** არ არის ვალდებული ავტომანქანა ჩააბაროს **A**-ს პირდაპირ მფლობელობაში და შემდეგ ისევ მიიღოს იგი მისგან, როგორც მოქირავანემ, აღნიშნული, რა თქმა უნდა, გაართულებდა სამოქალაქო ბრუნვას. ამ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან მხოლოდ საკუთრების უფლების გადასვლაზე, გამსხვისებელი კვლავ რჩება ნივთის მფლობელად, თუმცა იგი ხდება ე.წ. მფლობელი სხვისთვის (**Fremdbesitzer**), ხოლო შემძენი კი ხდება ე.წ. მფლობელი თავისი თავისთვის (**Eigenbesitzer**). მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში ნივთის გადაცემის ჩანაცვლება ხდება **Constitutum possessorium**-ით.²³

3.3. მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, (**BGB 931-ე** პარაგრაფი) სსკ-ის **186-ე** მუხლი ითვალისწინებს შემძენისათვის მესამე პირისაგან ნივთის მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნის დათმობას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნივთი იმყოფება მესამე პირის მფლობელო-

19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, გვ.121.

20. ზ.ჭეჭელაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ.194.

21. ბ. ზოიძე: დასახელებული ნაშრომი, გვ.149.

22. Brehm, Wolfgang; Berger, Christian: Sachenrecht, 2. Auflage, Mohr Siebeck Tübingen, 2006, s.417.

23. იხ. დანვრ. ზ.ჭეჭელაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ.195.

ბაში მაგ. თხოვების საფუძველზე და მესაკუთრე შემძენს უთმობს მესამე პირისაგან ნივთის გამოთხოვის უფლებას. მაშასადამე, აუცილებელი წინაპირობაა, რომ მხარეები შეთანხმდნენ საკუთრების უფლების გადასვლაზე და რაც მთავარია ნივთი მესამე პირის მფლობელობაში (პირდაპირ ან არაპირდაპირ) უნდა იმყოფებოდეს. ამ შემთხვევაში კანონმდებელი მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტს (სსკ-ის 199-ე მუხლი) იყენებს ისევ და ისევ სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების მიზნით, კერძოდ, აღარ ჩნდება საჭიროება იმისა, რომ მესაკუთრემ მიიღოს ნივთი მესამე პირისაგან და შემდგომ გადასცეს იგი შემძენს. შემძენი გამსხვისებულთან შეთანხმებით ავტომატურად იძენს უფლებას თავად მოსთხოვოს ნივთი მესამე პირს.²⁴ მაშასადამე, მესამე პირისაგან ნივთის მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნის უფლების დათმობა ემსგავსება ნივთის არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემას, რადგან არც აქ გვაქვს სახეზე შემძენისათვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ფაქტი.²⁵

4. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აღიარებს რა აბსტრაქციის პრინციპს, შესაბამისად, იგი მიეკუთვნება საკუთრების უფლების შეძენის აბსტრაქტულ სისტემას. აბსტრაქციის პრინციპის აღიარება კი გამოიხატება იმაში, რომ გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, კერძოდ, BGB-ს 929-ე პარაგრაფის მიხედვით ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია:

1. მხარეთა შორის სპეციალური სანივთო შეთანხმება ე.წ. *dingliche Einigung*, რომელიც დამოუკიდებელია ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებისაგან და შესაბამისად მისი ბათილობა სანივთო შეთანხმებაზე გავლენას არ ახდენს.²⁶

2. ე.წ. რეალაქტი: გადაცემა *Übergabe* ან *Übergabeersatz* (§ 930, § 931).²⁷

აბსტრაქციისპრინციპისსაფუძვლადსწორედმავალდებულებელი (*Verpflichtungsgeschäft*) და განკარგვითი (*Verfügungsgeschäft*) გარიგებები განიხილება.²⁸ აბსტრაქციის პრინციპი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ე.წ. დაყოფის პრინციპთან (*Trennungsgrundsatz*), რომლის მიხედვითაც განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებები ერთმანეთისაგან გამოყოფილია, რაც ნიშნავს იმას, რომ საქმე ეხება ორ სამართლებრივ გარიგებას, რომელთა შედეგები და ნამდვილობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია.²⁹ გამომდინარე იქედან, რომ სსკ არ იცნობს ე.წ. განკარგვითი გარიგების ცნება, დაწვრილებით განვიხილოთ მავალდებულებელი და განკარგვით გარიგებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

1. განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებები

განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებები წარმოადგენენ ორ ერთმანეთსაგან დამოუკიდებელ სამართლებრივ გარიგებებს. მავალდებულებელია გარიგება, რომლის საფუძ-

24. ბ. ზოიძე: დასახელებული ნაშრომი, გვ.150.

25. ზ.ჭყელაშვილი: იქვე, გ.197.

26. Prütting, Wegen, Weinreich: BGB Kommentar, 1.Auflage, Luchterhand, 2006, s. 1904.

27. Vieweg, Klaus; Werner, Almuth: Sachenrecht, 3.Auflage, Carl Heymanns Verlag, 2007, s. 81-82.

28. იხ. დაწვრ. Wolf, Manfred: დასახელებული ნაშრომი, s. 175.

29. Wolf, Manfred: იქვე, s. 175 ასევე Prütting, Hanns, Sachenrecht, 33.Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2008, s. 144-145.

ველზეც ერთი პირი სხვა პირის მიმართ განსაზღვრულ ვალდებულებებს კისრულობს, ხოლო განკარგვით გარიგებებს უშუალოდ გადააქვთ უფლება ან მოქმედებენ მასზე, მაგ. ცვლიან მას, აუქმებენ და ა.შ.³⁰

სამართლებრივი გარიგებების უმეტესობა განსაზღვრავს ვალდებულებებს ხელშეკრულების მხარეებისათვის. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება 432-ე პარაგრაფის შესაბამისად ავალდებულებს გამყიდველს რომ გადასცეს მყიდველს ნივთი, ხოლო თავისმხრივ მყიდველს – გადაუხადოს გამყიდველს შესაბამისი საფასური. ამგვარი გარიგებები, რომლებიც სწორედ, ვალდებულებებს უდგენენ მხარეებს მიეკუთვნებიან მავალდებულებელ გარიგებებს.³¹ თუმცა, აღნიშნული მავალდებულებელი გარიგებები არ არის საკმარისი საკუთრების უფლების გადაცემისათვის, რადგან ისინი არ მოიცავენ სანივთო შეთანხმებებს, რომლებიც წარმოადგენენ საკუთრების უფლების ე.წ. გადამტან, დამოუკიდებელ გარიგებებს. მოცემულ სანივთო გარიგებებს უწოდებენ სწორედ განმკარგავ გარიგებებს, რომელთა მიმართაც მოქმედებს ე.წ. პრიორიტეტის პრინციპი (Prioritaetsgrundsatz), რომელიც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად პირებს შორის დადებული მავალდებულებელი გარიგების ნამდვილობისა, საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია სახეზე იყოს ნამდვილი განმკარგავი გარიგება.³²

გამომდინარე იქედან, რომ საფუძველი (კაუზა) განკარგვითი გარიგებისა არ არის დამოკიდებული მავალდებულებელ გარიგებაზე, იმ შემთხვევაში, თუ მავალდებულებელი გარიგება არ იქნება ნამდვილი, საკუთრების უფლება შემძენზე განკარგვითი გარიგების საფუძველზე მაინც გადასულად ჩაითვლება და იგი უკან 812-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად (Leistungskondition) უნდა იქნეს გამოთხოვილი. მაშასადამე, განსხვავებით ქართული სამოქალაქო სამართლისაგან, მოცემულ შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრება გვექნება სახეზე, რადგან შესრულება sine causa ხორციელდება. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სანივთო გარიგება – განკარგვითი გარიგება იქნება ბათილი, გამყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების საფუძველზე უფლებამოსილია მოითხოვოს შესრულება მყიდველისაგან.³³ ორივე გარიგების ბათილობის შემთხვევაში კი მოქმედებს ისევე Leistungskondition, მხოლოდ, იგი მიმართულია არა საკუთრების, არამედ მფლობელობის მიმართ.³⁴

2. მხარეთა შეთანხმება განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებების ურთეთდამოკიდებულებაზე

მაშასადამე ე.წ. გაყოფის და აბსტრაქციის პრინციპების საფუძველზე განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და მათი მოქმედება ცალ-ცალკე განიხილება. საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა, რომ აღნიშნული დაყოფა (Trennung) ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით მხარეთა შეთანხმების ძალით გაუქმდეს, კერძოდ, მხარეებმა ორივე სამართლებრივი გარიგება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფის მიხედვით, როგორც ერთიანი

30. ლ.ჭანტურია: უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1994, გვ.193.

31. Weber, Ralph: Sachenrecht I, bewegliche Sachen, 1.Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2005, s. 55.

32. Weber, Ralph: იქვე, s. 56.

33. Wolf, Manfred: დასახელებული ნაშრომი, s. 175-176.

34. Wolf, Manfred: იქვე, s.176.

განიხილონ.³⁵ აღნიშნული პარაგრაფი ითვალისწინებს გარიგების ნაწილობრივ ბათილობას, კერძოდ: თუ ბათილია გარიგების ნაწილი, მაშინ მთლიანად გარიგება ბათილია, თუ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი დაიდებოდა ბათილი ნაწილის გარეშე.³⁶

განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებების ამგვარი დაკავშირების დასაშვებობის შესაფასებლად, უნდა განისაზღვროს აბსტრაქციის პრინციპისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანაფარდობა.³⁷ ნაწილობრივ მხარეთა სურვილს აბსტრაქციის პრინციპთან მიმართებით ერთი შეხედვით, შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს. მხარეებს საკუთარი ნებით უნდა შეეძლოთ აღნიშნული გარიგებების მოქმედების ასე ვთქვათ გაერთიანება 139-ე პარაგრაფის მიხედვით. თუმცა, ამის საპირისპიროდ, რადგან აბსტრაქციის პრინციპი წარმოადგენს სტრუქტურულ ელემენტს გერმანული კერძო სამართლისა, მას ამგვარი შეერთება განკარგვითი და მავალდებულებელი გარიგებებისა საფუძველს გამოაცლიდა, რაც თავისთავად წინააღმდეგობაში მოდის გერმანულ სამართლებრივ წესრიგთან.³⁸

თუმცა გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია მოცემული გარიგებების ერთიანად განხილვა 139-ე პარაგრაფთან ურთიერთმიმართებით,³⁹ მაგრამ აუცილებელია, რომ სახეზე იყოს ამისათვის საკმარისი წინაპირობები. კერძოდ, დასაშვებია მავალდებულებელი გარიგების დაკავშირება განკარგვით – სანივთო გარიგებასთან.⁴⁰ ეს ის შემთხვევაა, მაგალითად როდესაც მხარეებს ეჭვი ეპარებათ მავალდებულებელი გარიგების ნამდვილობაში⁴¹ და გამომდინარე აქედან მას ხდიან დამოკიდებულს სანივთო გარიგებაზე. რაც მთავარია, მხარეებს შორის აღნიშნული შეთანხმება უნდა იყოს ნათლად გამოკვეთილი (*ausdruekliche Vereinbarung*).

მაშასადამე, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია არა ორივე მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგებების გაერთიანება მათი მოქმედებისა და შედეგების თვალსაზრისით, არამედ, მხოლოდ, მავალდებულებელი გარიგების სანივთო გარიგებაზე დამოკიდებულების გათვალისწინება, ისიც, მხოლოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც იქნება სახეზე საჭიროება (*Beduerfniss*) ამგვარი დაკავშირებისა.⁴²

3. აბსტრაქციის პრინციპის კრიტიკა

„ergewaltigung des Lebens“⁴³

სავინისეული აბსტრაქციის პრინციპი თანამედროვე გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკის საგანს წარმოადგენს. ჯერ კიდევ გირკე აკრიტიკებდა სანივთო შეთანხმების ამგვარ აბსტრაქტიზებას და მიიჩნევდა, რომ იგი ჩვეულებრივი ადამიანისათვის სრულიად წარმოუდგენელი და მიუღებელი იყო.⁴⁴

35. Vieweg, Klaus; Werner, Almuth: *Sachenrecht*, 3.Auflage, Carl Heymanns Verlag, 2007, s. 82.

36. იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფი.

37. Vieweg, Klaus; Werner, Almuth: იქვე, s. 82.

38. Vieweg, Klaus; Werner, Almuth: იქვე, s. 83.

39. Wolf, Manfred: *Sachenrecht*, 14.Auflage, Verlag C.H.Beck, München, 1999, s.176-177.

40. Wolf, Manfred: იქვე, s.177.

41. Vieweg, Klaus; Werner, Almuth: იქვე, s. 83.

42. Vieweg, Klaus; Werner, Almuth: იქვე, s. 83.

43. Gierke, Otto: *Der Entwurf eines bürgerlichen Gesetzbuchs und das deutsche Recht*, 1889, S.336 in ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1994, გვ.184.

44. იხ. დანჯერ. ბ.ზოიძე: დასახელებული ნაშრომი, გვ. 146-147.

აბსტრაქციის პრინციპის შემოღების მთავარ მიზანს მესაკუთრისათვის ერთგვარი სამართლებრივი გარანტიის მინიჭება და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვა წარმოადგენდა. აბსტრაქციის პრინციპის საფუძველზე დამოუკიდებელია რა ერთმანეთისაგან სანივთო და ვალდებულებითი ხელშეკრულებები, უზრუნველყოფილია მხარეების დაცვა ყოველგვარი მოულოდნელობებისაგან.⁴⁵

თუმცა, აბსტრაქციის პრინციპი უცხოა რეალური ცხოვრებისათვის და ამავდროულად *de lege felenda* ვალდებულებითი ხელშეკრულებით - მავალდებულებელი გარიგებით თავისუფლად შესაძლებელია ე.წ. სანივთო შეთანხმებისათვის დამახასიათებელი ფუნქციების გადატანა.⁴⁶ კრიტიკოსთა აზრით, საკუთრების უფლების გადაცემის ამგვარი აბსტრაქტულობა, მამასადამე, მისი დამოუკიდებლობა კაუზალური გარიგების ნამდვილობისაგან გარკვეულწილად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სანივთო სამართლებრივი რეგულირებების ელემენტარულ საფუძველს,⁴⁷ რადგან მთლიანობაში, რეალურად ვიღებთ პრაქტიკულად ერთმანეთისაგან სრულიად დაშორებულ კონსტრუქციებს.⁴⁸

4. Traditio brevi manu

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929-ე პარაგრაფის მეორე წინადადება ითვალისწინებს ე.წ. „მოკლე ხელის გადაცემას“, რომლის მიხედვითაც, თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკმარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმება თავისთავად გულისხმობს სანივთო და მის საფუძველზე არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ შეთანხმებასაც. მაგალითის სახით განვიხილოთ: A-ს ჰქონდა მფლობელობაში V-ს პიანინო, რომელსაც შემდგომ იგი შეიძენს. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების გადასვლისათვის საკმარისია ე.წ. *die blosse Einigung* მყიდველსა და გამყიდველს შორის და რაც მთავარია არ აქვს მნიშვნელობა იმას, აღნიშნული პიანინო A-ს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელობაშია. მხოლოდ მხარეებს შორის შეთანხმება იქნებოდა საკმარისი იმ შემთხვევაშიც, როდესაც A-ს პიანინო მაგ. თხოვების საფუძველზე თავისი მეგობრისთვის ექნებოდა პირდაპირ მფლობელობაში გადაცემული.⁴⁹

რაც შეეხება სსკ-ის, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც *Traditio brevi manu* 186-ე მუხლის მე-2 ნაწილში იგულისხმება,⁵⁰ თუმცა, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ *Traditio brevi manu*-ს დროს შემძენი წარმოადგენს ნივთის მფლობელს და შესაბამისად, შეუძლებელია ამ შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში გადაცემა, რომელსაც ეხება სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი.⁵¹ შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის გათვალისწინებული მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის აღნიშნული ინსტიტუტი.

45. Wolf, Manfred: დასახელებული ნაშრომი, s.176.

46. Prütting, Hanns: Sachenrecht, 33.Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2008, s. 144.

47. Weber, Ralph: დასახელებული ნაშრომი, s. 94

48. Kriemphove, Dieter: Das europäische Sachenrecht: Eine rechtsvergleichende Analyse, EUL Verlag, 1. Auflage, Koeln, 2006, s. 162.

49. Weber, Ralph: დასახელებული ნაშრომი, s.100, ასევე: Westermann, Harm, BGB-Sachenrecht, 10.Auflage, C.F.Mueller Verlag, Heidelberg, 2002, s.64

50. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, გვ. 122.

51. ზ. ჭეჭელაშვილი: დასახელებული ნაშრომი, გვ. 198.

5. დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მოცემულ ნაშრომში განხილულ იქნა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ასპექტები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მაგალითზე. საკუთრების უფლების შექმნის შერეული და აბსტრაქტული სისტემებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებების გათვალისწინებით ხაზი გაესვა სსკ-ისა და BGB-ს შორის არსებულ ძირითად განსხვავებებს. ასევე განხილულ იქნა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ის სახეები, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გერმანული სამართლის გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე იქნა მიღებული. გარდა ამისა, განხილულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისათვის სრულიად უცხო რეგულირებები, მაგალითად: ე.წ. განკარგვითი გარიგება, *Traditio brevi manu* და, რაც მთავარია, აბსტრაქციის პრინციპი და მასთან დაკავშირებული ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიცაა ხელშეკრულების თავისუფლებისა და აბსტრაქციის პრინციპის ურთიერთმიმართება. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით დადგინდა, რომ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია მავალდებულებელი გარიგების ნამდვილობისა და შესაბამისად შედეგების სანივთო შეთანხმებასთან დაკავშირება, მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

საკუთრების უფლების გადაცემა - გამიჯვნის თუ ერთიანობის პრინციპი?

1. შესავალი

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია თავისი ოთხდღიანი არსებობის პერიოდში საკუთრების უფლებას 114-ე მუხლით² აწესრიგებდა. მართალია, ამ დროისათვის ჯერ არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკვეთრად იყო გამოხატული საკუთრების კონსტიტუციური უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი ორიენტაცია. 1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლით განსაზღვრულ საკუთრების უფლებას საფუძვლად ედო ე.წ. საკუთრების ლიბერალური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, საკუთრება აბსოლუტური და შეუზღუდავი კატეგორიაა. იგი ლიბერალური სახელმწიფოს დოქტრინას უკავშირდება, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოს აქტიურ რეგულირებას გამორიცხავს.³

საკუთრების კონსტიტუციურსამართლებრივი რეგულირება უდევს საფუძვლად მის სამოქალაქოსამართლებრივ შინაარსს. საკუთრების უფლება გულისხმობს პირისათვის ქონებრივი სიკეთის სამართლებრივ მიკუთვნებას⁴, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთრება ქონებაზე „სრული ბატონობის“ გამომხატველი აბსოლუტური უფლებაა. მესაკუთრე უფლებამოსილია, მოექცეს ქონებას თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, იგი ამ ქონების ბედს განაგებს მასზე მესამე პირების ზემოქმედების გამორიცხვის თვალსაზრისითაც.⁵

თუმცა, საკუთრების უფლება არ არის შეუზღუდავი. უფლების აბსოლუტურობა უნდა განვიხილოთ მხოლოდ ამ უფლების მატარებლის ყველა დანარჩენ მესამე პირებთან ურთიერთდამოკიდებულებაში.⁶ მესაკუთრის მოქმედების თავისუფლება თავის საკუთრებასთან მიმართებით იზღუდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს აუცილებელია სხვა მესაკუთრეთა ქონებაზე ზემოქმედებისგან თავის შეკავების თვალსაზრისით.⁷ სწორედ, ამ ორ, როგორც წესი, „თანაბრად“ მესაკუთრეს შორის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და საკუთრების უფლების სამართლებრივი მონესრიგების, ანუ „ჩემისა“ და „შენისა“⁸

1. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი.

2. „საკუთრების იძულებით ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური, თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.“ იხ.: იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ლ.იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005, 143.

3. იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ლ.იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005, 143.

4. იქვე, 148.

5. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 220.

6. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 83.

7. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 220.

8. საკუთრების უფლების კონდიცია მოიცავს სუბიექტის, ობიექტისა და მათი ურთიერთქმედების დამოკიდებულების სამ ასპექტს. სუბიექტის, ე.ი. მესაკუთრის დამოკიდებულება ობიექტთან, ანუ ქონებრივ სიკეთესთან. შეად.: იზორია, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ლ.იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005, 148.

გამიჯვნის ნორმატიულ საფუძველს ქმნის კერძო სამართალი, კონკრეტულად კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი⁹ (შემდგომში - სსკ).

2. საკუთრების უფლების არსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა საბოლოოდ უარყო საბჭოთა სამართლით აღიარებული საკუთრების ფორმებად დაყოფა და მისი ერთიანი ცნება განამტკიცა.¹⁰ სსკ-ის 170-ე I მუხლით “მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.” მოცემული დეფინიცია მოიცავს საკუთრების სამ ელემენტს: მფლობელობას, სარგებლობასა და განკარგვას. ამასთან, სსკ-ის 170-ე I მუხლით კანონისმიერი ან სახელმეკრულებო შებოჭვა რელევანტურია ამ ქონებით სარგებლობისაგან სხვა პირების გამორიცხვის თვალსაზრისით - ბუნებრივია, რომ მესაკუთრე ვერ შეზღუდავს სხვა პირის სარგებლობას იმ ფარგლებში, რომელიც მას თავად განუსაზღვრა (ან კანონის ძალით განისაზღვრა). რაც შეეხება სსკ-ის 172-ე მუხლს¹¹, მის მაგალითზე, ნათელია, რომ კერძო სამართალში არსებული ყველაზე ძლიერი მოთხოვნაც კი, როგორც არის მესაკუთრის მიერ თავისი საკუთრების უკან დაბრუნების მოთხოვნა, ექვემდებარება სახელმეკრულებო ბოჭვიდან გამომდინარე შეზღუდვას.¹²

3. სანივთო უფლებები

სანივთო უფლებები იყოფა შეუზღუდავ და შეზღუდულ სანივთო უფლებებად. შეუზღუდავი სანივთო უფლებებია საკუთრება, შესაბამისად, ყველა სხვა შეზღუდულია მესაკუთრესთან მიმართებით. მხოლოდ საკუთრების უფლებით მოიპოვებს ინდივიდი ქონებაზე „სრულ ბატონობას“. შეზღუდული სანივთო უფლება საკუთრების უფლების შინაარსის მხოლოდ კონკრეტული მოცულობის ამსახველია, თუმცა, ამ ფარგლებში იგი, თავის მხრივ, ზღუდავს მესაკუთრეს თავისი უფლებების რეალიზებაში.¹³

საგულისხმოა, რომ ყველა „სანივთო უფლება“ აბსოლუტურია და ყველა მათგანი ქონებაზე ინდივიდის ძალაუფლების - ბატონობის ფორმის გამომხატველია. ამასთან, იგი გასამიჯნია რელატიური „ქონებრივი უფლების“ ცნებისგან, რომელიც ქონებაზე აბსოლუტური უფლების წარმოშობის (როგორც წესი, ვალდებულებითსამართლებრივი) საფუძველის, ანუ „კაუზას“, აღსანიშნავად უნდა იქნეს გამოყენებული. შესაბამისად, ქონებაზე ინდივიდისათვის სასურველი ეკონომიკური შედეგის დადგომისათვის, თავდაპირველად, აუცილებელია ინდივიდის მიერ რელატიური ქონებრივი უფლების მოპოვება.¹⁴

„სანივთო უფლების“ მოპოვების აუცილებელ წინაპირობას „სანივთო გარიგების“ არსებობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, საქართველოს სამართალში საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, მსგავსად კონტინენტური ევროპის არაერთი სხვა სამართლებრივი წესრიგისა, კაუზალური სისტემის გამომხატველია. ამ სისტემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იმიჯნება „კაუზა“, როგორც უფლების გადაცემის საფუძველი და ნივთის გადაცემა, თუ სანივ-

9. პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, №31.

10. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 81.

11. „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.“

12. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 221.

13. იქვე, 220.

14. იქვე, 217.

თო გარიგება.¹⁵ მოცემული განაპირობებს საკუთრების უფლების შექმნისა და შესაბამისად, საკუთრების გადაცემისათვის სსკ-ის ნორმებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას.

4. საკუთრების უფლების შექმნა

4.1 უძრავ ნივთებზე

კლასიკური რომის სამართალი უძრავი ნივთებზე საკუთრების გადასვლას განსაკუთრებულ ფორმალობებს უკავშირებდა.¹⁶ დღესდღეობით თანამედროვე მართლმცოდნეობაში მოქმედებს მინიმუმ საკუთრების გადასვლის ორი განსხვავებული სისტემა: 1) კერძო სისტემა - მხარეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკუთრების გადასვლის მომენტი და 2) საადგილმამულო წიგნის სისტემა - საჭიროა სპეციალური საჯარო აქტი ამგვარი გადასვლის ნამდვილობისათვის.¹⁷

ნათელია, რომ საადგილმამულო სისტემებში სახელმწიფო ორგანოების როლი გაცილებით დიდია და საკუთრების გადაცემის ინსტიტუტი უკვე საჯარო-სამართლებრივ მნიშვნელობას აქვს. თუმცა, ბუნებრივია, რეგისტრაციის სავალდებულობა ემსახურება მხარეთა ინტერესებს, მათ უსაფრთხოებასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. შესაბამისად, იგი არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს მხრიდან კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში თვითნებური ჩარევის მცდელობას.

უძრავი ნივთებზე საკუთრების შექმნის კუთხით, საინტერესოა, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითის განხილვა, კერძოდ, **ესპანური სამართლის მიხედვით** საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია ნივთის გადაცემა და ხელშეკრულების ნოტარიული დამონშება. საკუთრების გადასვლა შეიძლება დარეგისტრირდეს სანოტარო წესით დამონშებული ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ ეს ფაკულტატურია და არ წარმოადგენს საკუთრების იურიდიული შედეგის დადგომის აუცილებელ წინაპირობას.¹⁸

ანგლო-ამერიკული სამართალი უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას ერთმანეთისაგან ყოფს ვალდებულებით სამართლებრივ ხელშეკრულებასა და ნივთის გადაცემას. ამასთან, მინის ნაკვეთზე უფლების წარმოშობისა და გადაცემის ტიპურ საშუალებას წარმოადგენს კერძო დოკუმენტი - **Deed**, რომლის მეშვეობითაც საკუთრების უფლების გადასვლისათვის არ არის საჭირო შემქმნის თანხმობა, საჭიროა მხოლოდ „გადაცემა“¹⁹, რომელიც თანამედროვე ინგლისურ სამართალში გაიგება, როგორც გამსხვივებლის ცალმხრივი მოქმედება - მისი ნების გამოხატვა, რომ საკუთრება საბოლოოდ გადავიდეს შემქმნეზე²⁰. ხოლო სამართლებრივი პოსტულატი, რომ არავინ არ შეიძლება აღიჭურვოს უფლებით მისი ნების გარეშე, გამოხატულებას ჰპოვეს შემქმნის მიერ უარის თქმის უფლებაში.²¹

15. ქეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, 161 გვ. და შემდგომი.

16. აუცილებელი იყო სულ ცოტა ხუთი მონშის თანდასწრება (**mancipatio**) ან/და საკუთრების დათამობა სასამართლოს წინაშე (**in iure cessio**). მოგვიანებით დამკვიდრდა უძრავი ნივთების გადაცემის (**traditio**) ინსტიტუტი. შეად.: ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 172.

17. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 173.

18. იქვე, 174.

19. „*Delivery*“.

20. „*Delivery ist eine einseitige Handlung des Verkäufers.*“ შეად.: Hoffmann v. Bernd, Das Recht des Grundstückskauf, Eine rechtsvergleichende Untersuchung, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen, 1982, 21. წყარო: [http://books.google.de/books?id=KJhZs58dR5Yc&printsec=frontcover&dq=

Hoffmann+Das+Recht+des&hl=de&ei=M4fmTeipOoTLswbN3OWCCA&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=1&ved=0CCsQ6AEwAA#v=onepage&q&f=false] 20.03.13.

21. „*Disclaimer*“.

ფრანგული სამართლის მიხედვით მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება გადადის მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე. საფრანგეთში პირველად 1855 წელს შემოიღეს მინის რეესტრი, თუმცა რეგისტრაცია მხოლოდ ფაკულტატიური იყო. 1955 წლის 4 იანვრიდან რეგისტრაცია სავალდებულო გახდა, მაგრამ საკუთრების უფლების შეძენის თვალსაზრისით მას კონსტიტუციური მნიშვნელობა არ მიენიჭა.²² აქვე საინტერესოა, ყიდვის შეპირების საკითხი, რომელსაც ფრანგული სამართალი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას უთანბრებს. სასამართლო პრაქტიკით დადგინდა, რომ საკუთრების უფლება შემძენზე გადადის არა ყიდვის შეპირების, არამედ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტიდან.²³

გერმანული სამართლის მიხედვით მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადასვლისათვის აუცილებელია მესაკუთრისა და შემძენის თანხმობა და რეგისტრაცია საადგილმამულო წიგნში (§§ 873, 925). გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - გსკ) 925-ე | 1 პარაგრაფის მიხედვით, მოცემული თანხმობა ორივე მხარის მიერ გაცხადებული უნდა იყოს „სათანადო ადგილას“²⁴. ასეთ ადგილად თავდაპირველად საადგილმამულო წიგნის სამსახური ითვლებოდა, ხოლო 1969 წლის 28 აგვისტოს შემდეგ კი, ასეთად უკვე ნოტარიუსები მიიჩნევა.²⁵

რაც შეეხება საქართველოს სამართალს, მისი მიდგომა არსობრივად გერმანული სამართლის მიდგომის იდენტურია. სსკ-ის 183-ე | მუხლით „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.“ შესაბამისად, სსკ უძრავ ნივთის საკუთრების გადაცემას უკავშირებს მხარეთა შორის წერილობით დადებულ ხელშეკრულებასა და მის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. ამასთან, შემძენის გონივრული წინდახედულების ზღვარი, სწორედ, საჯარო რეესტრის ჩანაწერზე გადის და გამსხვისებლის მესაკუთრედ მიჩნევისათვის მხოლოდ ერთი გარემოების არსებობაა საკმარისი - იგი ასეთად რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრში; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე (სსკ-ის 185-ე მუხლი). კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მიდგომარეობისადმი მსგავსი მიდგომა გამოწვეულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში, რაც გამოიხატება იმაში, რომ რეესტრის მონაცემებს კანონმდებელი აპრიორიულად უტყუარობისა და სისრულის ნიშნით ნათლავს (სსკ-ის 312-ე მუხლი).²⁶

4.2 მოძრავ ნივთებზე

რაც შეეხება მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლას, სსკ-ის 186-ე | მუხლით „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი.“ შესაბამისად, საკუთრების უფლება შემძენზე გადადის მისთვის ნამდვილი უფლების საფუძველზე ნივთის გადაცემის მომენტიდან. „ნამდვილი უფლება“ საკუთრების გადაცემის საფუძველია, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც ვალდებულებითსამართლებრივი „კაუზა“ - ნასყიდობა, ჩუქება და სხვა, ასევე, რიგ შემთხვევებში, კანონიდან გამომდინარე „კაუზა“, მაგალითად, დელიქტიდან. არსებობს მოსაზრება იმის

22. „Die Eintragung hat keine konstitutive Bedeutung für den Eigentumserwerb“, იხ.: Hoffmann v.Bernd, Das Recht des Grundstückskauf, Eine rechtsvergleichende Untersuchung, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen, 1982, 22.

23. „Bereits mit Abschluß des Kaufversprechens geht das Eigentum auf den Käufer über.“, იხ.: Hoffmann v.Bernd, Das Recht des Grundstückskauf, Eine rechtsvergleichende Untersuchung, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen, 1982, 24.

24. „vor einer zuständigen Stelle“.

25. Hoffmann v.Bernd, Das Recht des Grundstückskauf, Eine rechtsvergleichende Untersuchung, Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, J.C.B. Mohr (Paul Siebeck) Tübingen, 1982, 27.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბილისი, 25 ივლისი, 2007, 92.

თაობაზე, რომ „ნამდვილი უფლების“ ნაცვლად სსკ-ში უნდა არსებობდეს ცნება „ნამდვილი გარიგება“. საგულისხმოა, რომ ეს მოსაზრება მართლებულად არ უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან „ნამდვილი უფლება“ სრულყოფილად გამოხატავს საკუთრების გადაცემის საფუძვლის არსს - ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების გარდა, საკუთრების გადაცემას შესაძლებელია საფუძვლად ედოს უშუალოდ კანონიდან გამომდინარე უფლება, შესაბამისად საკუთრების გადაცემის საფუძვლად „ნამდვილი გარიგების“ მითითება არ იქნებოდა მართებული.²⁷

აღსანიშნავია, რომ ნივთის გადაცემა გულისხმობს ნივთის ჩაბარებას შემძენისათვის პირდაპირ მფლობელობაში. ამასთან, სსკ-ის 186 II მუხლით ნივთის გადაცემად ითვლება, ასევე, შემძენისათვის ნივთის არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემა, რა დროსაც, ნასყიდობის ხელშეკრულების პარალელურად არსებობს სხვა ხელშეკრულებაც (მაგ.: თხოვა, მიბარება ან სხვა.), რომლის შესაბამისად, წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად. ასევე, ნივთის გადაცემას უთანაბრდება მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭებაც.

მოდრავი ნივთის შემძენის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი დეტალურად არის მოწესრიგებული სსკ-ის 187-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ იგი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. ამასთან, კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე (სსკ-ის 187-ე I მუხლი). სსკ-ის 187-ე II მუხლით კი, „მოდრავი ნივთების შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთები დაკარგა, მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა თუ შემძენმა ისინი უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქალაქებისა ან/და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ.“

საინტერესოა, მესაკუთრის მიერ ნების გამოვლენის რა სამართლებრივ ჩარჩოს უნდა ადგენდეს ნორმის ამგვარი ფორმულირება - „მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან“; და მოიცავს თუ არა იგი მაგალითად, თხოვნის ხელშეკრულებას (?). როდესაც მესაკუთრე ათხოვებს ნივთს მესამე პირს, ხოლო ეს უკანასკნელი კი გაყიდის მას (ნათხოვარ მოძრავ ნივთს), ამ შემთხვევაში უდავოა, რომ ნივთი მესაკუთრემ თავისი ნებით გადასცა მონათხოვრეს, თუმცა, მისი ნება შემოსაზღვრული იყო მხოლოდ თხოვნის ხელშეკრულებით (შესაბამისად, მხოლოდ ამ ხელშეკრულების ფარგლებში შეიბოჭა მესაკუთრემ თავი) და არ ვრცელდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. ამის მიუხედავად, ითვლება, რომ ნივთი მესაკუთრის ნებით გავიდა მისი მფლობელობიდან და მასვე აწევს არაკეთილსინდისიერი კონტრაჰენტის შერჩევის რისკი.

შესაბამისად, ნათელია რომ კანონმდებლის მთავარი მიზანი სასწორის სხვადასხვა მხარეს არსებული მესაკუთრისა და კანონიერი შემძენის ინტერესების სამართლიანი დაბალანსებაა; ხოლო სიმძიმის ცენტრს კი, მოცემულ შემთხვევაში, არა რომელიმე მხარის, არამედ სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და სტაბილურობის ინტერესი წარმოადგენს.

5. საკუთრების უფლების გადაცემის სისტემები

სსკ-ის ნორმათა ანალიზის შემდეგ, საინტერესოა, დავადგინოთ, საკუთრების გადაცემის რომელ სისტემას ირჩევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - გერმანულ სამართალში მოქმედ „გამიჯვნის პრინციპს“ თუ ფრანგულ სამართალში მოქმედ „ერთიანობის პრინციპს“.

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 186-ე I მუხლი ერთმენეთისაგან განასხვავებს ნივთის გადაცემას და იმ უფლებას, რომლის საფუძველზეც მოხდა ნივთის გადაცემა. ეს ფორმულირება გან-

27. შუად.: დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 43-44.

სხვაგვება გსკ-ის 929-ე პარაგრაფისაგან, რომლის მიხედვითაც, „მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკმარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება.“²⁸ შესაბამისად, გერმანული სამართლის მიხედვით საკუთრების უფლების გადაცემის ზოგადი ფორმულა ასე გამოიყურება: „საკუთრების უფლების გადაცემა = სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებას + ნივთის მფლობელობაში გადაცემა“.²⁹ ის, თუ რატომ არ სჭირდება გსკ-ის საკუთრების უფლების გადაცემისათვის „ნამდვილი უფლების“ მოხსენიება, მარტივად აიხსენება აბსტრაქციის პრინციპით, რომლის პირობებშიც უარი ითქვა „კაუზის“ აუცილებლობაზე და გარიგებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (აბსტრაქტულად) განიხილება. შესაბამისად, სანივთო შეთანხმება საკუთრების გადაცემას ინვესტ მამინაც კი, თუ ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა ან მოგვიანებით დაკარგა ძალა.³⁰

გერმანულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის აღიარებას ადასტურებს გსკ-ის 433-ე | პარაგრაფიც - „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია, მიანოდოს მყიდველს ნივთი და გადასცეს მასზე საკუთრების უფლება“.³¹ ლოგიკურია, ასევე, მოცემული ფორმულირება - „ვალდებულია მიანოდოს“, „გადასცეს“, ვინაიდან გერმანულ სამართალში ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით არ ხდება საკუთრების გადაცემა, მისით მხოლოდ საკუთრების გადაცემის ვალდებულება წარმოიშობა. საკუთრების გადაცემა ხდება უკვე სანივთოსამართლებრივი გარიგებითა და ნივთის მფლობელობაში გადაცემით.³²

სსკ-ის 477-ე | მუხლი განამტკიცებს გსკ-ის 433-ე | პარაგრაფის არსებითად იდენტურ დებულებას, რის გამოც, იგი ხშირად გამოიყენება არგუმენტად საქართველოს სამართალში გამიჯვნის პრინციპის დასაბუთებისათვის და ამასთან, შესამჩნევად ამცირებს „წმინდა ხელშეკრულების“ პრინციპის არსებობაზე მსჯელობის შესაძლებლობას.³³ სსკ-ის 477-ე | მუხლით „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი.“ ე.ი. სსკ მიჯნავს ერთმანეთისაგან საკუთრების უფლების გადაცემასა და ნივთის გადაცემას. ამასთან, გსკ-ის მსგავსად სსკ-ის 477-ე | მუხლში კანონმდებელი იყენებს ტერმინს „მოვალე“, რაც გვაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულებით, თავისთავად კი არ ხდება საკუთრების გადაცემა, არამედ, იგი წარმოშობს სანივთო უფლების გადაცემის, შეცვლის ან შეწყვეტის ვალდებულებას.³⁴

ბუნებრივია, ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი გარიგების ერთიან აქტად მოაზრების პირობებში (კაუზალური სისტემა) აბსტრაქციის პრინციპი სრულიად ზედმეტი გახდება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში ფსკ) 1583-ე მუხლით საკუთრება გადადის ხელშეკრულების საგანსა და ფასზე შეთანხმების მომენტიდან, ნივთის მიწოდებისა და ფასის გადახდის მიუხედავად. შესაბამისად, საკუთრების გადაცემა ხდება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით და ნივთის გადაცემას არ აქვს მნიშვნელობა. ზოგადი ფორმულა ფსკ-ის მიხედვით ასე გამოიყურება: „საკუთრების უფლების გადაცემა = ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას“.³⁵

28. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2010, 190.

29. დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 46.

30. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 182.

31. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2010, 81.

32. დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 45.

33. იქვე.

34. იქვე.

35. იქვე, 46.

„წმინდა ხელშეკრულების“ პრინციპის არსებობას საქართველოს სამართალში გამორიცხავს როგორც სსკ-ის 477-ე I მუხლი (შესაბამისად, სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის ნაწილი), ისე - 186-ე I მუხლი, რომელიც „ნამდვილ უფლებასთან“ ერთად მოითხოვს ნივთის შემძენისათვის გადაცემას. ამასთან, თუ დაეუშვებთ, რომ საქართველოს სამართალი აღიარებს „შუალედურ პრინციპს“ და საკუთრების წარმოშობას ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისა და ნივთის გადაცემის ერთიანობას უკავშირებს, გაუგებარი ხდება, თუ რატომ არ ჩამოაყალიბა კანონმდებელმა სსკ-ის 477-ე I მუხლი შემდეგი შინაარსით: „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა ნივთის გადაცემით გადასცეს მყიდველს მასზე საკუთრების უფლება.“³⁶

სავარაუდოდ, კანონმდებელს არჩევანი ე.წ. „შუალედურ პრინციპზე“ არ შეუჩერებია არც ნასყიდობის და არც ნივთის მფლობელობაში გადაცემის საკითხის გადანყვეტისას. ნივთის მფლობელობაში გადაცემაში ერთდროულად უნდა მოაზრებოდეს როგორც სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება, ისე ნივთის მფლობელობაში გადაცემა, რომელიც გერმანული სამართლის მსგავსად, მხარეთა ურთიერთმფარავი ნების - საკუთრების გადაცემისა და მიღების („შეთანხმების“)³⁷ სურვილის გამომხატველია. შესაბამისად, დასაშვებია ვარაუდი იმისა, რომ საკუთრების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ მითითების არარსებობა საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზია და საკუთრების გადაცემის სისტემათა ურთიერთსაწინააღმდეგო გაგების თავიდან აცილების მიზნით, სსკ-ის 186 I მუხლს (გკს-ის 929 პარაგრაფის მსგავსად) უნდა დაემატოს საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმება. შესაბამისად, ზოგადი ფორმულა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: საკუთრების უფლების გადაცემა = „ნამდვილ უფლებას“ + შეთანხმება საკუთრების უფლების გადაცემაზე + ნივთის გადაცემა.³⁸

6. აბსტრაქციისა და კაუზალური პრინციპების შედარება

აბსტრაქციის პრინციპის მთავარი მახასიათებელია ის, რომ იგი გამოყოფს ვალდებულებითსამართლებრივ და სანივთოსამართლებრივ გარიგებებს, როგორც მავალდებულებელ და განკარგვით გარიგებებს,³⁹ ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულებას⁴⁰ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მინიმუმ სამ სამართლებრივ პროცედურად განიხილავს. სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნევადა გირკე⁴¹ აბსტრაქციის პრინციპს ფიქციად, რომელიც უცხოა რეალური ცხოვრებისათვის - ეს არის „ცხოვრებისადმი გაძლიანება“⁴², რომელსაც ურთიერთობების გართულების გარდა სხვა რაიმე სიკეთე არ მოაქვს.⁴³

მართალია, აბსტრაქციის პრინციპის პირობებში საკუთრების უფლების გადაცემას არ სჭირდება ნამდვილი უფლება, მაგრამ „სამართლებრივი საფუძვლის“ არსებობა საკუთრების შენარჩუნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემდეგ ნივთი გამყიდველს ავტომატურად არ უბრუნდება; თუმცა, არც მყიდველს აქვს ნივთის შენარჩუნების უფლება. მან საკუთრება შეიძინა „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“, შესაბამისად უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით ნივთი მყიდველს უკან უნდა დაუბრუნდეს. აქვე, აღსანიშ-

36. ანალოგიური მოსაზრება იხ.: დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 46.

37. „*einiig*“; შეად.: ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 185.

38. დანელია, გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 47.

39. *Verpflichtungs- und Verfügungsgeschäften*; შეად.: ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, 168.

40. შემთხვევას განვიხილავთ ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითზე, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქართულ სამართალში „ტიპურ ხელშეკრულებად“.

41. *Otto v. Gierke (1841-1921)*.

42. *Vergewaltigung des Lebens*.

43. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 184.

ნავია, რომ ყოფილი მესაკუთრე მოითხოვს ნივთის უკან დაბრუნებას არა ვინდიკაციის სანივთო სანივთო უფლების საფუძველზე (ვინდიკაციის საფუძველს არ წარმოადგენს სანივთოსამართლებრივი მოთხოვნა), არამედ, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული ქონების ვინდიკაციის ვალდებულებითსამართლებრივი მოთხოვნის საფუძველზე.⁴⁴

ამის საპირისპიროდ, საფრანგეთში დამკვიდრდა საკუთრების გადაცემის კაუზალური პრინციპი. სანივთო გარიგების ნამდვილობა უშუალოდ არის დამოკიდებული მისი საფუძველის ნამდვილობაზე, შესაბამისად, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობა ავტომატურად ქმნის ვინდიკაციის სანივთოსამართლებრივი მოთხოვნის საფუძველს. ამასთან, ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული „წმინდა ხელშეკრულების პრინციპის“ თანახმად ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი მყიდველზე გადადის უშუალოდ ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მიუხედავად იმისა, გადაეცა თუ არა მყიდველს ნივთი.⁴⁵ ბუნებრივია, სადავოა, რამდენად გამართლებულია მყიდველისათვის ამგვარი რისკის დაკისრება; თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ აღნიშნული რეგულაციის ნეგატიური მხარე, გარკვეულ შემთხვევებში, პოზიტიურად კომპენსირდება, მაგალითად, თუკი მოვალე პარალელურად წარმოადგენს კრედიტორს, შემძენისათვის ხელსაყრელია, რომ გასხვისებული ნივთი არ შევა გაკოტრების მასაში, შემძენი ჩაითვლება „საკუთრების კრედიტორად“ და მასვე ექნება უფლება გამოითხოვოს ნივთი გაკოტრების მასიდან.⁴⁶

ასევე საყურადღებოა, რომ ფრანგული სამართლის მიხედვით, ორ შემძენს შორის უპირატესობა ენიჭება მას, ვინც პირველმა მიიღო მფლობელობა (თუ იგი კეთილსინდისიერი შემძენია).⁴⁷ შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, ფრანგული სამართალიც აღიარებს მფლობელობის პრინციპს და სწორედ, მას უკავშირებს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს.

ბუნებრივია, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს აბსტრაქციის პრინციპსაც. ზედაპირული მიდგომითაც ნათელია, რომ იგი შორსაა „წმინდა ხელშეკრულების პრინციპის“ მსგავსი სიმარტივისაგან. ამასთან, გსკ-მა აბსტრაქციის პრინციპი დანერგა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან და არა მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისად იგი ხშირად თვით მხარეთა ნებისგანაც კი ახდენს აბსტრაქტიზებას.⁴⁸ მაგალითისათვის, აბსტრაქციის პრინციპის პირობებში, ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში, გამყიდველი ნაკლებად დაცულია. მას რეალურად დაკარგული აქვს საკუთრება თავის ნივთზე და შეუძლია მიმართოს მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებას, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შესაბამისად.⁴⁹

თუმცა, აღსანიშნავია, რომ აბსტრაქციის პრინციპის დადებით მხარედ შეიძლება განვიხილით გსკ-ში ისეთი დამატებითი რეგულაციების არარსებობა, როგორცაა, მაგალითად, კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის ნორმები ფრანგულ (ან საქართველოს) სამართალში, რომელთა მიზანი სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რათა ყოველ მომდევნო შემძენს არ მოუწიოს ნივთის უკან დაბრუნება. აბსტრაქციის პრინციპიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების⁵⁰ ნამდვილობა არ არის დამოკიდებული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების⁵¹ ნამდვილობაზე, ე.ი. შემძენი ყველა შემთხვევაში გახდება მესაკუთრე. შესაბამისად, აბსტრაქციის პრინციპი უზრუნველყოფს სამოქალაქო

44. იქვე, 183 გვ. და შემდგომში; დამატებით იხ.: ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, 164.

45. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 188.

46. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, 164.

47. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, 189.

48. შეად.: *Medicus*, Allgemeiner Teil des BGB, 9., neu bearbeitete Auflage, C.F.Müller, 2006, 96, Rz. 230 vgl. u. Rz. 239. წყარო: [http://books.google.de/books?id=lw5FOd6U6KwC&pg=PA96&dq=abstraktionsprinzip&hl=de&ei=m5HmTYyIk8nHsgbo16SgCA&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=1&sqi=2&ved=0CCsQ6AEwAA#v=onepage&q=abstraktionsprinzip&f=false] 20.03.13.

49. იქვე.

50. *Verfügungsgeschäft*.

51. *Verpflichtungsgeschäft*.

ბრუნვის სტაბილურობას და რამდენჯერაც არ უნდა მოხდეს ნივთის გაყიდვა შემძენის ინტერესების დაცვა ყველა შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი.

„წმინდა ხელშეკრულების პრინციპთან“ შედარებით აბსტრაქციის პრინციპის ერთგვარ უპირატესობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის კუთხითაც. მაგალითისათვის, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი ყიდულობს ნივთს მაღაზიაში და უთანხმდება გამყიდველს, რომ ნივთს ერთ საათში მოაკითხავს და წაიღებს. გამყიდველი კი, აღნიშნული დროის განმავლობაში ნივთს სხვა მყიდველზე ასხვისებს. იმის გათვალისწინებით, რომ გარიგებაში მონაწილეობს არასრულწლოვანი ფრანგული (ისევე, როგორც საქართველოს) სამართლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობაზე, შესაბამისად, ფრანგული სამართალი არასრულწლოვანის ინტერესების დასაცავად ითვალისწინებს „მერყევი ბათილობის“ ინსტიტუტს. მსგავსი „დამცავი მექანიზმის“ არსებობის აუცილებლობა გერმანულ სამართალში არ არსებობს, ვინაიდან, აბსტრაქციის პრინციპიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი გახდებოდა მესაკუთრე, ხოლო მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა/არმონაწილეობა უკვე შემდგომში გადაწყვეტდა ხელშეკრულების ბედს. ამასთან, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გარიგების მონაწილეობის შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტიდან გამომდინარე, სამართლებრივი შედეგი იდენტურია ორივე ქვეყნის რეგულაციით - ახალი შემძენი ჩაითვლება კეთილსინდისიერი შემძენად, ხოლო არასრულწლოვანს ექნება გამყიდველისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნი უფლება.

7. დასკვნა

ნიშანდობლივია, რომ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია როგორც აბსტრაქციის, ისე კაუზალურ პრინციპს, მათ შორის არჩევანი კი, „იურიდიული გემოვნების“ საკითხია. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, ნათელია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, კაუზალური პრინციპის სასარგებლოდ, უარი ითქვა აბსტრაქციის პრინციპზე. ანალოგიური დასკვნის გაკეთება საკუთრების უფლების გადაცემის სისტემებთან მიმართებით შეუძლებელია, რადგან სსკ-ის ნორმები ცალსახად არ მიუთითებენ რომელიმე პრინციპის პრიმატზე; აღნიშნული ნორმების ანალიზი კი, იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ კანონმდებელს თავისი არჩევანი არ შეუჩერებია არც „წმინდა ხელშეკრულების“ და არც „შუალედურ“ პრინციპზე.

საგულისხმოა, რომ სსკ-ის 477-ე | მუხლი იდენტურია გსკ-ის 433-ე | პარაგრაფისა და გამოიყენება კიდევ საქართველოს სამართალში გამოჯვანის პრინციპის არსებობის დამადასტურებელ არგუმენტად. შესაბამისად, დასაშვებია ვარაუდი, რომ საკუთრების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ მითითების არარსებობა ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზია და მიზანშეწონილი იქნება, თუ სსკ-ის 186 | მუხლს (გსკ-ის 929 პარაგრაფის მსგავსად) დაემატება საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმება. თუმცა, საკუთრების უფლების გადაცემის რომელ სისტემასაც არ უნდა ემხრობოდეს ქართველი კანონმდებელი, აუცილებელია, რომ სსკ-ის ყველა ნორმა ექვეოდეს განმარტების ერთიან ლოგიკურ ჯაჭვში, ნათლად და გარკვევით აყალიბებდეს ეროვნული მართლწესრიგის მიდგომებს და არ იძლეოდეს იდენტურ საკითხთა განსხვავებული მონესრიგების შესაძლებლობას.

უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე

1. შესავალი

საქართველოში ახალი სამოქალაქო კოდექსი 1997 წლის 25 ნოემბრიდან ამოქმედდა. მან ჩაანაცვლა 1964 წლიდან მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. ორივე მათგანისათვის უცხო არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა ხანდაზმულობა. ეს ინსტიტუტი რომის სამართლიდან მომდინარეობს. კლასიკური რომის სამართალი ხანდაზმულობის ცნებას არ იცნობდა; მისი აღმნიშვნელი ტერმინი რომაელმა იურისტებმა ახ. წ. V საუკუნეში შეიმუშავეს.²

ქართულ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ინსტიტუტი უცხო სამართლიდან არის ნასესხები. კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით, იგი მატერიალურ სამართალს განეკუთვნება, ხოლო ანგლოსაქსურ სამართალში ეს ინსტიტუტი საპროცესო სამართლის კუთვნილებაა.

თავად ტერმინი – „ხანდაზმულობა“ ქართული წარმომავლობისაა.³ „ხანდაზმულობა“, როგორც სამართლებრივი ტერმინი, გამოყენებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში. ეს ტერმინი გვხვდება თანამედროვე სამოქალაქო კოდექსშიც და იგი ცნებას ქმნის როგორც ცალკე აღებული, ისე სხვა სიტყვებთან ერთად (მაგალითად, „ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა“ და ა.შ.).⁴

სამოქალაქო უფლებების დაცვა და განხორციელება განუყოფლად დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, შესაბამისად, ვადის ამონურვა გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს.⁵ ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა.⁶

ხანდაზმულობის ვადის გასვლა იწვევს სასამართლოს მემკვიდრით უფლების იძულებით განხორციელების შეუძლებლობას⁷ და არა სასამართლოსადმი მიმართვის

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი; თსუ-ის მონვეული ლექტორი.

2. Новицкий И.Б., Римское право, изд. „Теис“, М., 1998, С. 45-46.

3. ლომიძე ვ.: ხანდაზმულობა (ტერმინის საკითხისათვის), კრებულში: *ფერაძე გ.*, (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010, გვ. 370.

4. იქვე, გვ. 375; ასევე იხ. *ხუბუა გ.*, *თოთლაძე ლ.* (რედ.), განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, გამომც. „Berliner Wissenschafts-Verlag“, ბერლინი, 2012, გვ. 610-612.

5. *გალდავა გ.*: სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 139.

6. იხ. *ჭანტურია ლ.*: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2011, გვ. 120; *ახვლედიანი ზ.*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, მუხლი 128, გამომც. „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 316-317.

7. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში: *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა,

უფლების ჩამორთმევას; პირს ნებისმიერ დროს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს.⁸

ხანდაზმულობის ვადაზე მითითება მხოლოდ მოპასუხის მხრიდან უნდა მოხდეს.⁹ ზოგადად, უფლების შემაფერხებელი შესაგებელი არ ეხება მოთხოვნის არსებობას, არამედ აფერხებს მის განხორციელებას სასამართლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელს. უფლების შემაფერხებელი შესაგებელი მოვალეს აძლევს უფლებას, უარი თქვას შესრულებაზე. მოთხოვნის ხანდაზმულობა უფლების შემაფერხებელი შესაგებლის კლასიკური მაგალითია.¹⁰

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის მთავარი ხიბლი ისაა, რომ ამ დროს ხანდაზმულობის ვადა თავიდან აითვლება. ხანდაზმულობის შეწყვეტას ქართველი კანონმდებელი ორ გარემოებას უკავშირებს: 1) ვალდებული პირის მხრიდან მოთხოვნის აღიარებას ან 2) უფლებამოსილი პირის მიერ სასამართლოსადმი ან სხვა სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვას.¹¹

სტატიის განხილვის საგანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-140-ე მუხლები, რომლებშიც მოცემულია უფლებამოსილი პირის მხრიდან სასამართლოსადმი მიმართვის შედეგად ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის წინაპირობები და მისი სამართლებრივი შედეგები.¹²

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია იმით, რომ ხსენებულ ნორმებში გვხვდება არაერთი ისეთი დებულება, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უშლის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ამ მუხლების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის საჭიროება როგორც ქართულ მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაზე, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოსამართლო სამართლებრივ დაცვადობით.

2. უფლების განხორციელება, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის წინაპირობა

ზოგადად, სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თუ როდის წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა.¹³

თბ., 2011, გვ. 17; *ჭეჭელაშვილი ზ.*, სახელმეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2010, გვ. 23; *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006, გვ. 19; *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, მუხლი 316, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 39.

8. *ჭანტურია ლ.*: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 122; *ახვლედიანი ზ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 128, გვ. 317; *ძლიერიშვილი ზ.*, ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, თსუ გამომცემლობა, თბ., 1997, გვ. 11.

9. იხ. *ბილინიგი ჰ., ლუტრინგ ჰაუსი პ.*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომც. „სიესტა“, თბ., 2009 წ., გვ. 86; *ბოლინიგი ჰ., ჭანტურია ლ.*: სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამომც. „ჯისიაი“, თბ., 2004, გვ. 170; ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 39-40, ხელმისაწვდომია <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomenda-samoqadmin.pdf>>.

10. *ჭენტუელი ს.*: სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, გამომც. „სიესტა“, თბ., 2009, გვ. 91.

11. *ჭანტურია ლ.*: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 126.

12. აღსანიშნავია, რომ განსახილველი ნორმები ანესრიგებენ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან და არა საპროცესო ვადებთან დაკავშირებულ საკითხებს. *ამაზე ხაზგასმამა ხდება სასამართლო პრაქტიკაშიც. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის №ას-501-474-2012 განჩინება.*

13. *კობახიძე ა.*: სამოქალაქო სამართალი, I, ზოგადი ნაწილი, გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2001, გვ. 373.

სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „თუ უფლება რაიმე ფორმით განხორციელდა, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება.“¹⁴

უფლების განხორციელება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იმიტომ იწვევს, რომ ხანდაზმულობა უფლების იძულებით განხორციელების გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს.¹⁵

ხანდაზმულობის ვადის დასასრული უკავშირდება პირის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მისი ნება, რაც სარჩელის წარდგენაში გამოიხატება. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის ბოლო მომენტს განსაზღვრავს პირის ნების გამოვლენა, დაიცვას თავისი უფლება სასამართლო წესით.¹⁶

სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას უკავშირებს სარჩელის შეტანას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან დასადგენად, ანდა სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვას მოთხოვნის არსებობის შესახებ. რა ხდება მაშინ, თუ პირი მიმართავს არა სასამართლოს, არამედ არბიტრაჟს? ზოგადად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, საარბიტრაჟო განხილვის დაწყება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი, თუ გამოსაყენებელი სამართალი ამას ითვალისწინებს.¹⁷ მართალია, სამოქალაქო კოდექსში ამგვარი ჩანაწერი არ გვხვდება, თუმცა, გასაზიარებელია უზენაესი სასამართლოს მიდგომა, რომელმაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და მე-12 მუხლის შესაბამისად, განმარტა, რომ სამოქალაქო სარჩელი განხილვისათვის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს როგორც სასამართლო, ისე არბიტრაჟი, მხარეთა ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში. მართალია, საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება საერთო სასამართლოების მეშვეობით, მაგრამ „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მიღებით სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართალწარმოების ალტერნატიულ საშუალებას. ამდენად, პირის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა გამოიწვევს შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას.¹⁸ ამდენად, სამართლებრივი სისტემა საშუალებას აძლევს კრედიტორს, განახორციელოს თავისი მოთხოვნა მოვალის მიმართ სახელმწიფოს დახმარებით, კერძოდ, სასამართლოში სასარჩელო წარმოებით ან არბიტრაჟის მეშვეობით.¹⁹

მართალია, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწვევს, თუმცა, მხედველობაშია მისაღები, ხომ არ გვაქვს საქმე სამოქალაქო კოდექსის 476-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევასთან. კერძოდ, ამ ნორმის მიხედვით, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა თითოეულ სოლიდარულ მოვალესთან მიმართებით ცალ-ცალკე უნდა მოხდეს. მაგალითად, კომპანიები — ა, ბ და გ არიან

14. **Энгельман И.Е.: О давности по русскому гражданскому праву: Историко-догматическое исследование**, изд. „Сенатская типография“, СПб., 1901, С. 15, ხელმისაწვდომია <http://oldbook.megacampus.com/files/course/0836_Engeljan_O%20davnosty.pdf>.

15. იხ. *პიჭია შ.*: ხანდაზმულობა სისხლის სამართალში, თსუ გამომცემლობა, თბ., 2010, გვ. 46, ხელმისაწვდომია <<http://www.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/xandazmuloba%20disertacia.pdf>>.

16. იქვე, გვ. 158-159.

17. **Berger K.P.**; *Private Dispute Resolution in International Business: Negotiation, Mediation, Arbitration*, Volume I: Case Study, Kluwer Law International, 2006, p. 346, ციტი.: *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2009, გვ. 199. ამგვარ წინაპირობას ითვალისწინებს, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 204-ე პარაგრაფი; საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპების (UNIDROIT) მე-10.6 მუხლი.

18. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 იანვრის №ას-1728-1710-2011 განჩინება.

19. **Brox/Walker**, *Allgemeines Schuldrecht*, 32. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2007, S. 14, ციტი.: *მარიამიძე გ.*: ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, | ნაწილი, | გამოცემა, გამომც. „რაიზი“, თბ., 2011, გვ. 17.

თანამოვალეები და თანამოპასუხეები, ხოლო მოსარჩელეა ბანკი დ. სასამართლო განხილვის დროს სამივე მოპასუხემ მიუთითა ხანდაზმულობაზე. როგორც დადგინდა, ორი მოვალის მიმართ მოთხოვნა მართლაც ხანდაზმული იყო, ხოლო მესამის მიმართ ბანკს ადრე ჰქონია სარჩელი წარდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლიდან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას, შესაბამისად, ბანკის მოთხოვნა მესამე მოვალის მიმართ ნამდვილი იყო.²⁰

3. სარჩელის წარდგენით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის თავისებურებანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია. კანონის ეს დანაწესი განმარტებას საჭიროებს. კერძოდ, როდესაც პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს და სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკითხი ხანდაზმულობის ვადის შესახებ საერთოდ აღარ დგას დღის წესრიგში, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში²¹ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გადაუწყვეტელი რჩება ზოგიერთი მოთხოვნა და საჭირო ხდება ახალი სარჩელის შეტანა.²²

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასარჩელო განცხადებას ფოსტის მეშვეობით გააგზავნის, ეს უკანასკნელი კი მას დაკარგავს? ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ თუ მოსარჩელეს შენახული აქვს საფოსტო ქვითარი, რომელიც ადასტურებს ფოსტისათვის სასარჩელო განცხადების გადაცემას, მას სარჩელის წარსადგენად ხანდაზმულობის ახალი ვადა ექნება.²³ ამ საკითხთან დაკავშირებით გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, რომელმაც სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მეორე ნაწილსა და 138-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისათვის უფლებამოსილმა პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს და უნდა სცადოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. იმისათვის, რომ არსებობდეს სასამართლოს მეშვეობით მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, სარჩელი ან განცხადება სასამართლოს წარმოებაში უნდა იყოს, ე.ი. ხანდაზმულობის ვადას წყვეტს უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი განცხადება, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს.²⁴ ამდენად, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის მომენტად უნდა ჩაითვალოს სასამართლოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების დარღვევისა და დამრღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება.²⁵

სარჩელის შეტანა ყოველთვის როდი იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას. კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს, რომ ვადის დენა წყდება, თუ სარჩელს შეიტანს უფლება-

20. მაგალითი მოყვანილია წიგნიდან: *თოდუა მ., ვილემსი ჰ.: ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006 წ., გვ. 21.*

21. მაგალითისათვის, აღიარებითი სარჩელის აღძვრა იქნება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი და პირს ექნება ახალი ვადა მიკუთვნებითი სარჩელის შესატანად; ასევე, ვთქვათ, თუ ზიანის მოცულობა დავას იწვევს, ხოლო ექსპერტიზას გარკვეული დრო სჭირდება, პირს შეუძლია, მოითხოვოს ფაქტის დადასტურება. ამ შემთხვევაში სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლიდან გამომდინარე, გამოიტანს წინასწარ გადაწყვეტილებას, რომ მოსარჩელეს კონკრეტული მოპასუხის მიმართ აქვს მოთხოვნის უფლება. ეს გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას და მოსარჩელეს ზიანის მოცულობის დასადგენად საერთო ხანდაზმულობის ვადა ექნება.

22. იხ. *ახვლედიანი ზ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 138, გვ. 331; Новицкий И.Б., Сделки. Исковая давность, Госюриздат, М., 1954, С. 190-191.*

23. *Новицкий И.Б., Сделки. Исковая давность, С. 191.*

24. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის №ას-271-601-07 განჩინება.

25. იხ. *ბიჭია შ.: დასახ. ნაშრომი, გვ. 159.*

მოსილი პირი.²⁶ ამრიგად, ვადის დენის შეწყვეტას გამოიწვევს მხოლოდ ისეთი სარჩელი, რომელიც წარდგენილია სათანადო მოსარჩელის მიერ სათანადო მოპასუხის მიმართ. ამიტომ თუ კრედიტორი თავის მოთხოვნის უფლებას სხვა პირს დაუთმობს და ამის მიუხედავად მაინც წარადგენს სარჩელს მოვალის მიმართ, ამგვარი სარჩელი არ შეწყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას იმდენად, რამდენადაც იგი წარდგენილია იმ პირის მიერ, რომელიც აღარ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს.²⁷ ამგვარად გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზე გვაქვს მოთხოვნა ნივთის მესაკუთრისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუკი ასეთ სარჩელს წარადგენს ნივთის ფაქტობრივი მფლობელი მესაკუთრის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების გარეშე.²⁸

ანალოგიურად არ შეწყვეტს ვადის დენას სარჩელის წარდგენა არა უშუალოდ სათანადო მოპასუხის, არამედ სხვა პირის მიმართ, თუნდაც ერთი და იმავე მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. მაგალითად, ტვირთის მიმღებმა თავდაპირველად სარჩელით მიმართა ტვირთის გამგზავნს, ტვირთის დანაკლისიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო შემდეგ (ისე, რომ არ მიუღია დაკმაყოფილება ამ სარჩელიდან გამომდინარე) წარადგინა იგივე სარჩელი გადამზიდველის წინააღმდეგ.²⁹

საინტერესოა, როდესაც პირი სასამართლოს მიმართავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და ამ მომენტისათვის მას ეწერება ხანდაზმულობის ვადა, მოხდება თუ არა ამ ვადის დენის შეწყვეტა? სასამართლო პრაქტიკით ეს შემთხვევა არ წარმოადგენს შეწყვეტის საფუძველს. ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე ვერ იქნება მიჩნეული ამ ნორმით გათვალისწინებულ განცხადებად. ამგვარი განცხადების წარდგენისას სასამართლოს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, იმსჯელოს და არსებითად გადაწყვიტოს სადავო საკითხი. გარდა ამისა, ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის ისეთი განცხადება წყვეტს, რომელიც ექვემდებარება სასამართლო წარმოებაში მიღებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადება ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს რომ აკმაყოფილებდეს, იგი უნდა ემსახურობოდეს უფლების დადგენას ან დაცვას. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი კი მდგომარეობს მოსარჩელისათვის იმგვარი წინაპირობის შექმნაში, რომ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების რეალიზაცია და მისი ეფექტური აღსრულება, ე.ი. უკვე დადგენილი უფლების განხორციელება.³⁰

სადავო შეიძლება იყოს, გამოიწვევს თუ არა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას სარჩელის შეტანა, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქმე თავის განსჯადობას არ განეკუთვნება. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენა, ზოგადი წესის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ იწვევს.³¹ თუმცა, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ თუ სასამართლო მიიღებს სარჩელს წარმოებაში და შემდგომ გამოარკვევს, რომ სარჩელი წარდგენილია არაგანსჯად სასამართლოში, მაშინ ვადა შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც სასამართლომ ამ შემთხვევაში ან უნდა განიხილოს საქმე, ან უნდა გადასცეს იგი განსახილველად განსჯად სასამართლოს.³²

26. ახვლედიანი ზ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 138, გვ. 331.

27. Новицкий И.Б.: Сделки. Исковая давность, С. 191.

28. იქვე.

29. იქვე.

30. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის №ას-71-62-2011 განჩინება.

31. Абрамов С.Н., Исковая давность: Юриздат, М., 1946, С. 21. შეად. Новицкий И.Б., Сделки. Исковая давность, С. 193.

32. Абрамов С.Н.: დასახ. ნაშრომი, С. 22.

სხვა საკითხია, თუ სარჩელი წარდგენილია განსჯად სასამართლოში, მაგრამ სასამართლო არ მიიღებს სარჩელს წარმოებაში. ასეთ ვითარებაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ წყდება. კანონის მოთხოვნათა დაცვის გარეშე სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო გამოაქვს ხარვეზის შესახებ განჩინება და მოსარჩელეს უნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების თაობაზე, რა დროსაც სარჩელი არ ჩაითვლება წარდგენილად და ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება.³³ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის მომენტად ითვლება არა ხარვეზის შევსების, არამედ სასამართლოში სარჩელის ფაქტობრივად შეტანის დღე, მიუხედავად იმისა, რომ იგი უმოძრაოდ იყო დატოვებული გარკვეული ხნის განმავლობაში.³⁴

4. სარჩელზე უარის თქმისა და სარჩელის განუხილველად დატოვების ზეგავლენა ხანდაზმულობის ვადის დენაზე

მართალია, კანონმდებელი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლად ადგენს სარჩელის შეტანას სასამართლოში, რა დროსაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა გრძელდება სარჩელის შეტანიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე (სამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლი), თუმცა სარჩელის შეტანა ყოველთვის არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას. სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული, ხანდაზმულობის ვადა არ ჩაითვლება შეწყვეტილად.³⁵ უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ მუხლში ყურადღება გასამახვილებელია სარჩელზე უარის თქმისა და სარჩელის განუხილველად დატოვების პროცესუალურ თავისებურებაზე, კერძოდ, მითითებული ნორმა განსაზღვრავს მოსარჩელის მიერ სასამართლოში აღძრული სარჩელზე უარის თქმისა და სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვების შედეგებს, ე.ი. თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს პროცესუალური ვალდებულების განუხორციელებლობამ მოსარჩელის მატერიალურსამართლებრივი უფლების სასამართლო წესით დაცვის მოთხოვნაზე.³⁶

როგორც კომენტატორულ ლიტერატურაში მიუთითებენ, სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოიხატოს მოსარჩელის მიერ სარჩელის უკან გამოხმობაში ან მოსამზადებელ სხდომაზე მასზე უარის თქმაში; სარჩელზე უარის თქმად ჩაითვლება, ასევე, მხარეთა მორიგება.³⁷

რაც შეეხება სარჩელის განუხილველად დატოვებას, ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ მასში არ იგულისხმება პროცესუალურსამართლებრივი საფუძვლით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლი) სარჩელზე გადაწყვეტილების მიღება, არამედ ეს ნორმა სარჩელის განუხილველად დატოვებაში მოიაზრებს ისეთ შემთხვევას, როდესაც სარჩელი არ იქნა არსებითად განხილული, რაც საპროცესო კოდექსის მიხედვით, უკავშირდე-

33. Новицкий И.Б.: Сделки. Исковая давность, С. 192.

34. Абрамов С.Н.: დასახ. ნაშრომი, С. 22.

35. ანალოგიური შინაარსის ნორმა გვხვდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც. კერძოდ, 277-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. რამდენადაც ხანდაზმულობის საკითხი მატერიალური სამართლის კუთვნილებაა, საპროცესო კოდექსის ეს ნორმა მატერიალურსამართლებრივი შინაარსის მატარებელია.

36. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის №ას-457-791-05 განჩინება.

37. იხ. ახვლედიანი ზ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 140, გვ. 334. ასევე იხ. Новицкий И.Б., Сделки. Исковая давность, С. 191.

ბა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას ან სარჩელის განუხილველად დატოვებას.³⁸ შესაბამისად, კანონმდებელი 140-ე მუხლის პირველი ნაწილში სარჩელის განუხილველად დატოვებაში მოიაზრებს ყველა იმ საპროცესო ნორმას, რომელიც სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობებს ადგენს.³⁹

სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილში მოცემული წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, ახალი სარჩელის 6 თვის განმავლობაში წარდგენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანიდან. მაშასადამე, მოსარჩელეს არ ერთმევა უფლება, კანონით დადგენილ ვადაში (და არა სარჩელის შეტანის შემდეგ დროში) ხელახლა შეიტანოს სარჩელი საერთო წესის დაცვით.⁴⁰ ერთ-ერთ დავასთან დაკავშირებით სასამართლოში რამდენიმეჯერ იყო შეტანილი სარჩელი, რომელიც დატოვებულ იქნა განუხილველად. ყოველი მომდევნო სარჩელის წარდგენა ხდებოდა წინა სარჩელის განუხილველად დატოვებდან 6 თვიან ვადაში, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ჩაითვალა პირველი სარჩელის შეტანიდან.⁴¹ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ „ახალ სარჩელში“ იგულისხმება სარჩელი, რომელიც შეეხება დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. მაგალითისათვის, ერთ-ერთ საქმეზე ხელმეორედ წარდგენილი სარჩელი იმავე მხარეებს შორის და იმავე საგანზე მიმართულ სასარჩელო განცხადებას წარმოადგენდა, მაგრამ ამ სარჩელის საფუძველი პირველი სასარჩელო განცხადების საფუძვლისაგან განსხვავდებოდა, რის გამოც ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად არ ჩაითვალა.⁴²

ამრიგად, იმისათვის, რომ 6 თვის განმავლობაში ახალი სარჩელის წარდგენამ გამოიწვიოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა, სახეზე უნდა გვექონდეს საქმის წარმოების შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება. მესამე შემთხვევას წარმოადგენს სარჩელის მიღებაზე უარის თქმა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი), რა დროსაც ეს წესი არ გამოიყენება, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ერთ გამონაკლისს. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს. შესაბამისად, ვინაიდან ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება საქმის წარმოების შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება, 6 თვის ვადაში მოსარჩელის მიერ ახალი სარჩელის წარდგენა შეწყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას თავდაპირველი სარჩელის შეტანიდან.

5. დასკვნის ნაცვლად

მოცემული სტატიის ფარგლებში ხანდაზმულობის ერთი კონკრეტული ასპექტის წარმორჩენა კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს ამ ინსტიტუტის მნიშვნელობას სამოქალაქო სამართლისათვის. შესაბამისად, ნაშრომის მიზანი იყო სასამართლოსადმი მიმართვის გზით

38. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის №ას-495-469-2011 განჩინება.

39. საუბარია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე, 83¹-ე, 187-ე, 229-ე, 275-ე, 278-ე, 281-ე და 447-ე მუხლებზე.

40. Новицкий И.Б.: Сделки. Исковая давность, С. 190.

41. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 14 სექტემბრის №ას-454-734-04 განჩინება.

42. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ნოემბრის №ას-346-598-08 განჩინება.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების განხილვა.

ზოგადად, ხანდაზმულობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევისას საჭიროა როგორც მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების ურთიერთკავშირის დანახვა, ისე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. ამდენად, ნაშრომში იყო მცდელობა, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით განხილული ყოფილიყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოსამართლო სამართალი.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სტატიაში დასმულ ზოგიერთ საკითხზე დღემდე არ არსებობს ერთიანი პოზიცია მეცნიერებასა თუ პრაქტიკაში, ამდენად, იმედს გამოვთქვამ, რომ მკვლევარებს სამომავლოდ გაუჩნდებათ ინტერესი, იკვლიონ ხანდაზმულობის ინსტიტუტთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები.

კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენისას მესაკუთრის ნების არარსებობის შემთხვევაში – კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

შესავალი

უძრავი ქონების შემძენის სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) რეგულირების სფეროშია მოქცეული. სსკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 185-ე მუხლი კი შემძენის ინტერესების დაცვის ფარგლებს ადგენს: „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.“ სამოქალაქო კოდექსის ამ დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ შემძენი გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ იგი რეესტრის ჩანაწერის საფუძველზე შეიძენს უძრავ ნივთს და არ ექნება ინფორმაცია ჩანაწერის უსწორობის შესახებ. მუხლი პირდაპირ არ ადგენს, რომ ასეთ შემთხვევაში შემძენი კეთილსინდისიერია, მაგრამ ამგვარი ჩანაწერი სხვა არაფერია, თუ არა შეძენის კეთილსინდისიერებისათვის დადგენილი სტანდარტი. სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ნივთის გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.“ 187-ე მუხლში უშუალოდ ტერმინი „კეთილსინდისიერი“-ა გამოყენებული, რომელიც არ გვხვდება 185 მუხლში, თუმცა ორივეგან აქცენტი ცოდნაზეა გაკეთებული, რაც პირდაპირ უკავშირდება კეთილსინდისიერებას. კეთილსინდისიერების შეფასებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემძენის მიერ ფაქტების გაცნობიერების შესაძლებლობით². თუ შემძენს გააჩნია ცოდნა უფლების ხარვეზის შესახებ, იგი ვერ იქნება კეთილსინდისიერი. 185-ე მუხლის რეგულირება უფრო შორსაც მიდის და შემძენის კეთილსინდისიერებას უშუალოდ უკავშირებს მესაკუთრეობას. სწორედ, კეთილსინდისიერებაა უძრავი ნივთის მესაკუთრედ ყოფნის გარანტი. ამგვარად, სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთის შემძენის ინტერესებს იცავს მხოლოდ მაშინ, თუ იგი კეთილსინდისიერია.

185-ე მუხლი შეძენის კეთილსინდისიერებას საჯარო რეესტრზე დამოკიდებულს ხდის. ეს მიდგომა სრულ თანხვედრაში მოდის სსკ-ის 312-ე მუხლის რეგულირებასთან, რომელიც საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას აწესებს. რაც შეეხება პრეზუმფციის მოქმედების ფარგლებს, ამავე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია: „იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რე-

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-ნ სემესტრის სტუდენტი;

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011, 72.

გისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.“ 185-ე და 312-ე მუხლების რეგულირებიდან გამომდინარეობს, რომ რეესტრის ხარვეზიანი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაშიც კი უძრავი ნივთის შემძენი გახდება მესაკუთრე, თუ იგი კეთილსინდისიერია და რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ საჩივარი არ არის შეტანილი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას სწორედ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას უკავშირებს, რეესტრის ჩანაწერისათვის პრიმატის მინიჭება სრულიად მართებულია. თუმცა, ჩნდება კითხვა: რა ელის იმ პირს, რომელმაც კანონის ყველა წესის დაცვით შეიძინა უძრავი ნივთი, მაგრამ შემდეგ ეს ნივთი მისი ნების გარეშე გასხვისდა და შემძენი კეთილსინდისიერია? საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თავდაპირველ მესაკუთრეს უშუალოდ არ ეხება, შესაბამისად, მისი ბედი იმაზეა დამოკიდებული დარჩება თუ არა ნივთი შემძენს. კოდექსის რეგულირებით კი, ნივთი შემძენს რჩება, თუ იგი კეთილსინდისიერია და რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, რეგისტრირებული მესაკუთრისაგან შეიძინა ნივთი. აქედან გამომდინარე, პირი, რომელიც უძრავი ნივთის კანონიერი მესაკუთრეა ამ უფლებას დაკარგავს, თუ ნივთი მისი ნების გარეშე კეთილსინდისიერი შემძენზე გასხვისდა. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. საინტერესოა, თუ რატომ უშვებს სამოქალაქო კოდექსი საკუთრების უფლების შელახვას, თანაც ისე, რომ მესაკუთრეს არანაირი კომპენსაცია არ ეძლევა? რა განაპირობებს კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის ასეთ მაღალ სტანდარტს? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და იმისათვის, რომ ქართული კანონმდებლობაში კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის მიზნები და მიზეზები უკეთ შეფასდეს, აუცილებელია განხილულ და გაანალიზებულ იქნეს ქართული სასამართლო პრაქტიკა. სწორედ ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად წარმოჩნდება არის თუ არა კანონმდებლობაში ხარვეზები, რაც გარკვეული სამართლებრივი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას შექმნის და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გაანალიზება-გადაჭრის გზას გვიჩვენებს.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით ქართულ სასამართლოების მიერ საკმაოდ ბევრი გადაწყვეტილებაა მიღებული, არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკაც. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ქართულმა სასამართლოებმა განიხილეს საკმაოდ რთული საქმე. სირთულე იმაშია, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სრულყოფილად ვერ ხერხდება და კითხვის ნიშნებს აჩენს. კარგი იქნება, თუ ერთგვაროვანი პრაქტიკის განხილვა სწორედ ამ საქმეზე მოცემულ სამართლებრივ განმარტებებთან მიმართებით მოხდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1244-1267-2011

დავის საგანი — ხელშეკრულების ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის მიკუთვნება

1. საქმის გარემოებანი

ო. ნ.-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ლ.-ის, ნ. ც.-ის, მ. გ.-ის, თ. ს.-ისა და ჯ. თ.-ის მიმართ. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო და დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რაც ზემდგომი ინსტანციების მიერაც იქნა გაზიარებული.

დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში მდებარე საცხოვრებელი ბინა 1992 წლიდან პრივატიზაციის საფუძველზე ირიცხებოდა ო. ნ.-ის სახელზე და საჯარო რეესტრში მის სახელზე კანონიერად დარეგისტრირდა 2005 წელს. 2008 წელს ო. ნ.-მ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა მიაქირავა ნ. ც.-ს. ხელშეკრულების დადების შემდეგ ნ. ც.-მ გააყალბა გარდაცვლილი მამის — ი. ც.-ის პირადობის მოწმობა. მამის პირადობის მოწმობაში ნ. ც.-მ მოათავსა თავისი ფოტოსურათი და შეცვალა მამის დაბადების თარიღი თავისი დაბადების თარიღით. ამან საშუალება მისცა ნ. ც.-ის ემოქმედა გარდაცვლილი მამის, ი. ც.-ის სახელით. ნ. ც.-მ დაამზადა ყალბი სანოტარო აქტი, ი. ც.-სა და ო. ნ.-ს შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება ო. ნ.-ს უძრავ ქონებაზე, რომელიც დაათარიღა 2006 წლის 8 თებერვლით. ანალოგიურად დაამზადა ყალბი სანოტარო აქტი — უძრავი ქონების დამატებითი ნასყიდობის ხელშეკრულება, დათარიღებული 2008 წლის 14 მაისით. შემდეგ ეს ხელშეკრულებები წარადგინა საჯარო რეესტრში და ო. ნ.-ის უძრავი ქონება დაარეგისტრირა გარდაცვლილი მამის ი. ც.-ის სახელზე. ი. ც.-ის სახელზე დარეგისტრირებული ბინა ნ. ც.-მ დატვირთა იპოთეკით მ. გ.-ის, ჯ. თ.-სა და თ. ს.-ის სასარგებლოდ, რაზეც გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. იპოთეკის ფარგლებში თითოეული პირისაგან ნ. ც.-მ ცალ-ცალკე მიიღო გარკვეული თანხა. 2008 წლის 10 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნ. ც.-მ, ი. ც.-ის სახელით, თბილისში, მდებარე საცხოვრებელი ბინა მიჰყიდა ნ. ლ.-ს 47 950 აშშ დოლარად და იმავე დღეს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ნ. ლ.-მ ივალდებულა იპოთეკარების: მ. გ.-ის, ჯ. თ.-ის და თ. ს.-ის ვალის გადახდა, რის შემდეგაც ნ. ც.-ი მიიმალა.

ნ. ც.-ის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით ი. ც.-სა და ო. ნ.-ს შორის დადებულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერები ო. ნ.-სა და ხელშეკრულების დამმოწმებელ ნოტარიუსს არ ეკუთვნოდათ, გაყალბებული იყო ნოტარიუსის ბეჭედიც.

ო. ნ.-მ მოითხოვა გასხვისებული უძრავი ქონების დაბრუნება და ნ. ც.-ის მიერ გარდაცვლილი მამის სახელით დადებული ყველა ხელშეკრულების გაბათილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ო. ნ.-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ო. ნ.-სა და ი. ც.-ს შორის 2006 წლის 8 თებერვლით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე. ბათილად იქნა ცნობილი ო. ნ.-სა და ი. ც.-ს შორის 2008 წლის 14 მაისის თარიღით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება დანარჩენი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა, შესაბამისად ქონება მესაკუთრეს არ დაბრუნებია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ნ.-მ, მოითხოვა რა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და სარჩელის სრული დაკმაყოფილება. აღნიშნულია, რომ ეს საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი სასამართლოების მიერ, მაგრამ არ არის ინფორმაცია თუ რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. საქმეში მოცემულია სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ბოლოს იქნა გასაჩივრებული მოპასუხე ნ. გ.-ის მიერ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნახსენებია უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განჩინება³ და აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლო ამ განჩინებაში არსებული მითითებიდან გამომდინარე განსაზღვრავს განხილვის საგანს.

უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განჩინებიდან ირკვევა, რომ ო. ნ.-ის საჩივარი სააპელაციო პალატამ წარმოებაში მიიღო, არ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და სრულად დააკმაყოფილა ო. ნ.-ის სარჩელი. სააპელაციო სასამართ-

3. საქმის ნომერი: ას-465-435-2010

ლოს გადანყვეტილება მოპასუხეების მიერ გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება და თავისი განჩინებით საქმე კვლავ სააპელაციო პალატას დაუბრუნა. აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეში განხილულია სააპელაციო სასამართლოს ის გადანყვეტილება რომელიც მან საქმის დაბრუნების შემდეგ მიიღო.

ხელშეკრულების განხილვისას სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განჩინებაზე და ისე დაადგინა განხილვის საგანი: 1) იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, 2) ი. ც.-სა და ნ. ლ.-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. 3) ი. ნ.-ს საკუთრების უფლების აღდგენა უძრავ ქონებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გარიგებები დადებულია ი. ც.-ის მიერ, რომლის პირადობის მოწმობის ასლიდანაც თვალნათლივ იკვეთება სიყალბის კვალი, კერძოდ, დაბადების თარიღის გადაკეთების კვალი თვალსაჩინოა, ამიტომაც იპოთეკარების და შემძენ ნ. ლ.-ის მოქმედებები ვერ ჩაითვლება გონივრული წინდახედულობის ფარგლებში განხორციელებულად. სამართლებრივი ნება, რომელიც გამოავლინა ი. ც.-მ არ არის ნამდვილი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. საჯარო რეესტრში სადავო ბინაზე რეგისტრაცია განხორციელდა ნ. ც.-ის მიერ პირადობის მოწმობის გაყალბებით და მისი გარდაცვლილი მამის სახელის გამოყენებით. არარსებული სუბიექტის უფლება რეგისტრაციის ჩანაწერის ხარვეზია, რომელიც ვერ გამოიციხავს იურიდიული ფიქციის — საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის არსებობას. მაგრამ აღნიშნული პიროვნება რეალობაში არ არსებობს. სასამართლო სსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 185-ე მუხლით ვერ მოახდენს კვალიფიკაციას, ვინაიდან ფაქტობრივი გარემოებებით ირკვევა, რომ რეესტრში რეგისტრირებული სუბიექტი ი. ც (გარდაცვლილი) არ არის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირი. საქმე ეხება გამოგონილი პიროვნების რეგისტრაციას უზენაესი სასამართლომ მიმართა არ არსებობს უტყუარობის პრეზუმფციის დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია რომ, ნ. ლ.-ის მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში განხორციელებულად. ნ. ლ.-მ იცოდა იპოთეკის ხელშეკრულების არსებობის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის თანხას იპოთეკარებს გადაუხდიდა ნ. ლ. მას შეეძლო, მოეთხოვა გამსხვისებლისაგან კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები ბინაზე რიცხული დამატებითი ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით, რითაც გამოაშკარავებდა, რომ აღნიშნულ ბინაში აბონენტად კომუნალურ გადასახადებზე ირიცხებოდა არა რეესტრში რეგისტრირებული გამსხვისებელი არამედ ი. ნ.-ი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, უფლების ნაკლის თავიდანვე გამოაშკარავება, სირთულეს არ წარმოადგენდა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არ არსებობს კეთილსინდისიერი შემძენი, რომლის უფლების დაცვის მიზანსაც ემსახურება იურიდიული ფიქცია რეესტრის ჩანაწერების მიმართ. დასახელებული გარემოება გამოიციხავს პრეზუმფციის მოქმედებას და აღნიშნული ფაქტორები მიუთითებენ შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე.

477-ე მუხლის თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულების დადება შეუძლია საამისოდ უფლებამოსილ პირს. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს მესაკუთრის ნების გამოვლენა. ი. ც გარდაცვლილია და იგი ვერ გამოავლენდა ნებას. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას რეალურად მოხდა არანამდვილი მესაკუთრე პირისა და მყიდველის ნებათა თანხვედრა და სადავო ბინის გასხვისება მოხდა არამესაკუთრის ნების გამოვლენით. დაირღვა კანონით დადგენილი საჯარო წესრიგი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 477-ე მუხლების დანაწესი, რის გამოც, ეს არის მართლსაწინააღმდეგო გარიგება სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე და 61-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ამ ნორმათა დებულებების გათვალისწინებით, იპოთეკის ხელშეკრულებებისა და ნ. ლ.-სთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძვლები არსებ-

ობს ო. ნ.-სა და ი. ც.-ის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მსგავსად, რადგან სადავო ხელშეკრულებებიც დადებულ იქნა მხარის ნების გამოვლენის გარეშე. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ასევე დაიდო ბუნებაში არარსებულ პირთან და იპოთეკით დაიტვირთა მისი ბინა. შესაბამისად ო. ნ.-ის უნდა დაუბრუნდეს გასხვისებული ქონება. სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა უზენაეს სასამართლოში, იმ მოტივით, რომ მოპასუხეები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და მათ მიმართ უნდა ემოქმედა საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას.

2. უზენაესი სასამართლოს შეფასება

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

უძრავი ქონების გამსხვისებელი ნ. ც. არ არის უძრავი ქონების მესაკუთრე, ხოლო საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირი - ი. ც. უძრავი ქონების განკარგვის მომენტისათვის გარდაცვლილია. ხელშეკრულებები დაიდო გარდაცვლილ მესაკუთრესთან, რომელიც რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას მართებულად გაამახვილა ყურადღება დავის გადაწყვეტისათვის ორ მნიშვნელოვან საკითხზე: ნამდვილად უნდა ჩაითვალოს თუ არა ი. ც.-სა და კასატორებს შორის წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, და შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. გარდაცვლილ პირს არ შეუძლია გამოავლინოს ნება, აქედან გამომდინარე, სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგებები. განსახილველ შემთხვევაში, კასატორებს ი. ც.-ის ნების არარსებობის გამო არ შეუძენიათ რაიმე უფლება, ხოლო ნ. ც.-ი ნების გამოვლენისას წარმოადგენდა არაუფლებამოსილ პირს, ამასთან, საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით იგი მესაკუთრედ არასოდეს არ ყოფილა რეგისტრირებული, სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები ვერ დაიცავს კასატორების ინტერესებს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გადაწყვიტოს გვექონოდა მსჯელობა, თუკი ნ. ც.-ი იქნებოდა სადავო ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული, მიუხედავად იმისა, რამდენად კანონიერად იქნებოდა ამგვარი ჩანაწერი შესრულებული. ამგვარად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 170-ე, 185-ე, 312-ე და 477-ე მუხლები, შესაბამისად საკასაციო საჩივრები უსაფუძვლოა.

3. კომენტარი

როგორც ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა უზენაესმა სასამართლომ ორჯერ განიხილა ხსენებული სამე. 2011 წლის 31 იანვრის განჩინებაში სასამართლო უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოერიცხა 185-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ვინაიდან ხსენებულ შემთხვევასთან მიმართებით მაინც გავრცელდება საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 185-ე მუხლით ნახსენებ ტერმინ „გამსხვისებელ“-ში ყოველთვის იგულისხმება პირი, რომელიც არ არის უფლებამოსილი, გასხვისოს საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრი-

რებული უფლება და ამდენად, ის არ არის უფლებამოსილი, დადოს ეს გარიგება.“ – აღნიშნავს სასამართლო. ვინაიდან, სააპელაციო პალატამ გამოიცილა საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის გამოყენების შესაძლებლობა და აღარ შეამოწმა შექმნის კეთილსინდისიერება, უზენაესმა სასამართლომ ვერ შეძლო ახალი გადანყვეტილების გამოტანა და მიიჩნია, რომ არ იყო დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებანი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა შემქნის სუბიექტური დამოკიდებულების დადგენა რეესტრში რეგისტრირებული ფაქტის მიმართ. სწორედ ამიტომ, უზენაესმა სასამართლომ დაუბრუნა საქმე სააპელაციო სასამართლოს და დაავალა დაედგინა იყო თუ არა შექმნა კეთილსინდისიერი.

სააპელაციო პალატამ კვლავ გამოიცილა რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, მაგრამ მაინც შეამოწმა შექმნის კეთილსინდისიერება ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საფუძველზე. გადანყვეტილება კვლავ გასაჩივრდა საკასაციო წესით, თუმცა, ამჯერად, უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს პოზიცია გაიზიარა.

გამოდის, რომ საკასაციო სასამართლო ერთ საქმეზე ურთიერთგამომრიცხავ სამართლებრივ განმარტებებს აკეთებს, რაც ქმნის ბუნდოვანებას და ხელს უშლის ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ქართული სასამართლო პრაქტიკა საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას ავრცელებს იმ შემქნეზე, რომელიც რეესტრში რეგისტრირებული პირისაგან იძენს ნივთს. შემქნე უშუალოდ რეესტრის ჩანაწერს ეყრდნობა და მისი კეთილსინდისიერებაც აქედან გამომდინარეობს. შემქნე კეთილსინდისიერად არ ითვლება, თუ იგი იმ პირისაგან იძენს ნივთს, რომელიც არ არის რეგისტრირებული მესაკუთრე. როდესაც გასხვისება ხდება, მაგალითად, მინდობილობის საფუძველზე შემქნის მოეთხოვება მეტი წინდახედულობა რადგან, ამ შემთხვევაში იგი ენდობა არა მხოლოდ რეესტრის ჩანაწერს, არამედ მინდობილობასაც და ამიტომაც სუსტდება მისი დაცვის ფარგლები.⁴

გამსხვისებელი ნ. ც.-ი, რომელიც ავლენს ნებას არ არის რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრე, რეესტრში რეგისტრირებულია ამ პირის გარდაცვლილი მამა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იგი შემქნის თავს ისე აჩვენებს, რომ იგი გამსხვისებელია. სააპელაციო სასამართლოს კი არ უნდა გამოეჩინა 185-ე და 312- მუხლების გამოყენების შესაძლებლობა არამედ უნდა დაედგინა ხომ არ ჰქონდა შემქნის შესაძლებლობა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. სააპელაციო სასამართლომ საქმის დაბრუნების შემდეგ მართლაც შეამოწმა შექმნის კეთილსინდისიერება და აღნიშნა, რომ შექმნა არ იყო კეთილსინდისიერი. მაგრამ მანამდე განაცხადა: „დაუშვებელია აბსტარქტული სუბიექტის რეგისტრაციაუნარიანი უფლების ნამდვილობის პრეზუმფციაზე მითითება. სასამართლოს მოსაზრებით, კანონის მითითება რეესტრის ჩანაწერის დაცულობაზე, მოცემულ ურთიერთობაზე არ გავრცელდება, რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე ეხება გამოგონილი პიროვნების რეგისტრაციაუნარიან უფლებას, რომლის მიმართაც არ არსებობს უტყუარობის პრეზუმფციის დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენების სამართლებრივი წინაპირობები.“ როგორც ჩანს, სააპელაციო სასამართლო თავიდანვე, კეთილსინდისიერების შემოწმების გარეშე, გამოიცილავს პრეზუმფციის გამოყენების შესაძლებლობას. მაშინ გაუგებარია, თუ რატომ ამოწმებს შემდეგ შემქნის სუბიექტურ დამოკიდებულებას რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი. თუ შექმნა კეთილსინდისიერი აღმოჩნდებოდა, მაშინ სასამართლო წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ მსჯელობასთან.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა რომ, შემქნისთვის ცნობილი იყო იპოთეკის არსებობის შესახებ და მანვე იკისრა იპოთეკარებისათვის თანხის გადახდა. დამატებითი ვალდებულებების თავიდან ასაცილებლად მას შეეძლო მოეთხოვა კომუნალური გადასახადების ქვითრები

4. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011, 71.

რაც ფარდას ახდიდა სიყალბეს. რადგან შემძენმა ეს არ გააკეთა, იგი ვერ იქნება კეთილსინდისიერი.

მიმაჩნია, რომ კეთილსინდისიერების სტანდარტი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ შემძენს დაუნესა, მეტისმეტად მკაცრია და ამ პირისაგან ითხოვს იმას, რაც მისი წინდახედულების ფარგლებს სცდება. ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შეძენა კეთილსინდისიერია, რადგან ნ. ც.-ი შემძენის მიმართაც იმ პირადობის მონობის გამოყენებით მოქმედებდა, რომლითაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაყალბება შეძლო და თუ საჯარო რეესტრის გაცილებით გამოცდილმა მოხელეებმა ვერ შეძლეს სიყალბის გამოაშკარავება, რატომ უნდა დავაკისროთ გამოუცდელ შემძენს რეესტრის მოხელეებზე მეტი პასუხისმგებლობა? რაც შეეხება კომუნალური გადასახადების ქვითრებს, პირის ამ ქვითრების გამოთხოვა არ ევლება, მისთვის ინფორმაციის ერთადერთი წყარო საჯარო რეესტრია. შემძენი გაეცნო რეესტრის ჩანაწერს და სწორედ იმ ადამიანთან დადო გარიგება, რომელიც რეესტრის ჩანაწერების თანახმად იყო გამსხვისებელი. ნ. ც. -მ გაყალბებული პირადობის მონობის საშუალებით შეცდომაში შეიყვანა საჯარო რეესტრის მოხელეები და რა გასაკვირია რომ იმავე დოკუმენტაციის მონაცემებს შემძენიც ენდო. სწორედ ამიტომ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, უფრო მისაღები და გასაზიარებელი უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განჩინებაში გაკეთებული განმარტებაა.

უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელებული ორი ურთიერთგამომრიცხავი სამართლებრივი შეფასების ანალიზისას ნათლად იკვეთება თვით კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს. გასაგებია, რომ საჯარო რეესტრის მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის გამოყენების გარეშე თვით რეესტრის ინსტიტუტის არსებობას აზრი დაეკარგებოდა. მაგრამ, როდესაც რეესტრიერებული მესაკუთრე საკუთრებას კარგავს იმის გამო, რომ სხვამ დანაშაული ჩაიდინა და შეცდომაში შეიყვანა რეესტრი, უნდა არსებობდეს მესაკუთრის დაცვის რაიმე საშუალება. უზენაესმა სასამართლომ ნივთი მესაკუთრეს კი დაუბრუნა, მაგრამ ეს განახორციელდა რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციისათვის გვერდის ავლის ხარჯზე, რის საფუძვლადაც ნების გამოვლენის ბათილობაზე მიუთითა, ეს კი, როგორც აღვნიშნე უმართებულოა. მაგრამ არსებობდა სხვა გამოსავალი, კერძოდ სსკ-ის 187-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ამ შემთხვევასთან მიმართებით.

2012 წლის 1-ელ იანვარს სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილმა ცვლილება განიცადა, გასწორდა არსებული ხარვეზი, რომელიც ქმნიდა კეთილსინდისიერი შემძენის ცნების არასწორად განმარტების შესაძლებლობას. სსკ-ის 187-ე მუხლი სამოქალაქო კოდექსის იმ თავშია განთავსებული რომელსაც ეწოდება „საკუთრების შეძენა მოძრავ ნივთებზე“, მაგრამ ცვლილების შემდეგ, სსკ-ის 187-ე მუხლიდან საერთოდ გაქრა ტერმინი „მოძრავი ნივთი“ და მის ადგილს სიტყვა „ნივთი“ იკავებს. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება 2012 წლის 25 იანვარს გამოიტანა. მესაკუთრის ინტერესების დაცვისათვის მას შეეძლო გამოეყენებინა 187-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც ნივთის კეთილსინდისიერად შემძენი ვერ გახდება მესაკუთრე, თუ ნივთი ნამდვილი მესაკუთრის ნების გარეშე გავიდა მისი მფლობელობიდან. სასამართლო ამ ნორმის გამოყენებით შეძლებდა ახალი მიდგომის დამკვიდრებას, კერძოდ დავა გადაწყდებოდა მესაკუთრის სასარგებლოდ კეთილსინდისიერი შეძენის მიუხედავად. სსკ-ის 187-ე მუხლის რეგულირების უძრავ ნივთებზე გავრცელება ხელს შეუწყობდა შემდგომში კეთილსინდისიერი შემძენისა და მესაკუთრის უფლებათა საბოლოო ბალანსირებას კანონმდებლობაში ცვლილებებისა თუ სასამართლოს მიერ ახალი პრაქტიკის დანერგვის გზით. დღეს სასამართლოები სსკ-ის 187-ე მუხლს უძრავ ნივთებთან მიმართებით არ იყენებენ. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმა, რომელიც მესაკუთრეს დაიცავს, თუ ნივთი მისი ნების გარეშე გასხვისდა და შეძენა კეთილსინდისიერია.

კანონმდებლობაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები

უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერება საჯარო რეესტრის ჩანაწერიდან გამომდინარეობს და თუ იგი მართლაც ასეთია დავა მის სასარგებლოდ წყდება.⁵ ამგვარ მიდგომას საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია განაპირობებს, რაც გამართლებულია იმით, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და თუ საჯარო რეესტრის მონაცემები ვერ იქნება სარწმუნო მაშინ ბრუნვაც არასტაბილური გახდება.⁶ საინტერესოა, მართლაც შეარყევს თუ არა ბრუნვის სტაბილურობას სასამართლოს მიერ დავის მესაკუთრის სასარგებლოდ გადაწყვეტა, იმ შემთხვევაში, თუ ნივთი მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების გარეშე გავიდა და რატომ არ ხდება ბრუნვის სტაბილურობის შერყევა მაშინ თუ ნივთი მესაკუთრის ნების გარეშე გასხვისდა?

ბრუნვის სტაბილურობას საფრთხე ექმნება რეესტრის ჩანაწერის ხშირად გაყალბების შემთხვევაში, რადგან თუ შემძენი იქნება დაეჭვებული, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი არასწორია და სასამართლოში დავა მოუწევს, მაშინ იგი ინტენსიურად აღარც ჩაერთვება სამოქალაქო ბრუნვაში. სწორედ ამიტომ, უნდა დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევისთვის, თუ რეესტრის უსწორო ჩანაწერის საფუძველზე მოხდება ნივთის გასხვისება. ძველ მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაულებრივი გზით გაასხვისა ნივთი. პასუხისმგებლობა რეესტრსა და გამსხვისებელს შორის შესაძლოა გადანაწილდეს ბრალის მიხედვით ან სოლიდარულად. საბოლოოდ კი უნდა შემუშავდეს მესაკუთრის უფლებების დაცვის მყარი მექანიზმები, თანაც ისე რომ რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია ძალაში დარჩეს.

კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ უცხოურ გამოცდილებასაც. შესაძლებელია, გაზიარებულ იქნეს მიდგომა, რომელიც დამკვიდრებულია ტორენსის სისტემაში. ეს სისტემა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში არსებობს და თავდაპირველად ავსტრალიაში იქნა გამოყენებული. ტორენსის სისტემის ქვეყნებშიც ქართული კანონმდებლობის მსგავსად რეგულირდება საკუთრების შექმნის საკითხი: თუ პირი კეთილსინდისიერია და ისე დარეგისტრირდა ტორენსის სისტემაში, მაშინ იგი აღარ დაკარგავს საკუთრების უფლებას. მიუხედავად ამისა, მესამე პირს, რომელსაც აქვს პრეტენზია მესაკუთრეობაზე, შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციისათვის შექმნილია სპეციალური ფონდი, რომლისთვისაც სახსრების მოზიდვა ხდება საკუთრების რეგისტრაციისათვის გადახდილი გადასახადებიდან.⁷

დასკვნა

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემძენი უძრავი ნივთის მესაკუთრე ხდება მხოლოდ რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ, რაც მართებულია, ვინაიდან სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრების უფლების სახელმწიფოს მიერ გარანტირებას. მისასაღმებელია ისიც, რომ შემძენს რეესტრის ჩანაწერი

5. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011, 70-71.

6. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011, 70-71.

7. Dukeminier Krier/Alexander schill, Property, seventh edition, Wolters Kluwer Law & Business, 2010, aspen publishers, 709-711.

რის შემონახვის გარდა სხვა არაფერი ესაჭიროება, რათა დარწმუნდეს, რომ უძრავ ნივთს ნამდვილი მესაკუთრისაგან იძენს; თუ მას ეჭვის საფუძველი არ აქვს, შეუძლია უყოყმანოდ ენდოს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას. ამასთან, სახელმწიფო სისტემა არ არის შეუვალა და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ზოგიერთი პირი დანაშაულებრივი გზით, თაღლითური სქემების გამოყენებით ცვლის რეესტრის ჩანაწერს და უძრავ ნივთს კეთილსინდისიერ შემძენზე ასხვისებს. რაც უფრო იხვეწება სისტემა, მით უფრო რთულია საჯარო რეესტრის შეცდომაში შეყვანა. მიუხედავად ამისა, უფლების რეგისტრაციის სრულყოფილი მექანიზმი არ არსებობს და ვერც ვერასოდეს იარსებებს. პირი, რომელსაც რეესტრი შეცდომაში შეჰყავს, სამოქალაქოსამართლებრივადაც უნდა იყოს პასუხისმგებელი, რადგან მისი ქმედებით მატერიალური ზიანი ადგება სხვა პირს. მეორეს მხრივ, საჯარო რეესტრმა არ უნდა დაარეგისტრიროს არარსებული უფლება, რადგან მისი ფუნქცია საჯარო რეესტრში სწორი ჩანაწერის შეტანაა. რეესტრი სახელმწიფო ორგანოა და მისი შეცდომის გამო, სწორედ, სახელმწიფომ უნდა აგოს პასუხი. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს რეესტრის ჩანაწერის გაყალბების შედეგად წარმოშობილ პრობლემატურ საკითხებს, რათა არ დაზარალდეს არც მესაკუთრე, რომლის ნების გარეშეც გასხვისდა ნივთი და არც კეთილსინდისიერი შემძენი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების უფლების შეზღუდვის ზოგიერთი შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი

თბილისი – 2013

„საკუთრება სამართლებრივი წესრიგის
ქმნილებაა და არა კანონმდებლის“²

1. შესავალი

საკუთრების უფლება აღიარებული აბსოლუტური უფლებაა, მაგრამ არსებობს გამონაკლისები მითვის დამახასიათებელი აბსოლუტური ხასიათიდან. სწორედ საკუთრების უფლებისა და მისთვის იმანენტური აბსოლუტური ხასიათიდან გამონაკლისების სახით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდგომში სსკ) გათვალისწინებული საკუთრების უფლების შეზღუდვის ცალკეული შემთხვევების განხილვა და მათი მიზანშეწონილობის დადგენა წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მიზანს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უპრიანია საკუთრების უფლების ცნების საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი არსის განსაზღვრა. ამის შემდეგ მოცემული იქნება საკუთრების უფლების შეზღუდვის სახეები: საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი შეზღუდვა და შესაბამისად, ამ შეზღუდვების სამართლებრივი საფუძვლები. ნაშრომის მთავარი ნაწილი კი სსკ-ით გათვალისწინებული საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევების, კერძოდ, სამეზობლო ზემოქმედებათა თემნის ვალდებულების (175-ე მუხლი), დაუშვებელი ხელყოფის (176-ე მუხლი), მშენებლობის დროს საზღვრის გაცდენისა (179-ე მუხლი) და აუცილებელი გზის (180-ე მუხლი) განხილვას დაეთმობა. ამასთან, მოცემული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში საკუთრების უფლების კერძოსამართლებრივი შეზღუდვის შემთხვევების მონესრიგების მაგალითები. ნაშრომი განსახილველ საკითხთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკასაც შეეხება. სტატიის დასასრულს შეჯამდება განხილული საკითხები და წარმოდგენილი იქნება ის საკანონმდებლო რეკომენდაციები, რომლებიც სასურველია ქართველი კანონმდებლის მიერ საკითხის სამართლებრივი მონერეგების სრულყოფის მიზნით გათვალისწინებულ იქნეს.

2. საკუთრების უფლება, როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების გარანტია

2.1 საკუთრების უფლების საჯაროსამართლებრივი ხასიათი

„საკუთრება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება, შეიძლება ითქვას, ზესახელმწიფოებრივი უფლებაა“.³ „საქართველო პირველი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც უარყო

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის VI სემესტრის სტუდენტი
2. ზოიძე ბესარიონ: საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 98.
3. იქვე, 96.

საკუთრების სოციალისტური კონცეფცია და საკუთრების დაყოფა ე.წ. საკუთრების ფორმებად. ამით მან ასპარეზი დაუთმო საკუთრების თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისეულ გაგებას. უნინარეს ყოვლისა, ეს შეეხება საქართველოს კონსტიტუციას, რომლის 21-ე მუხლმა საკუთრება განამტკიცა როგორც ძირითადი უფლება⁴. იგი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის სრულფასოვანი განხორციელება, ერთი მხრივ, ინდივიდის ღირსეული არსებობისა და, მეორე მხრივ, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების არსებობის წინაპირობაა⁵. საკუთრების უფლება მჭიდრო კავშირშია ადამიანის თავისუფლებასთან, რადგან სწორედ საკუთრება არის ადამიანის არსებობისა და საქმიანობის ქონებრივი საფუძველი, რაც, თავის მხრივ, საკუთარი ცხოვრების თავისუფლად, საკუთარი პასუხისმგებლობის საფუძველზე ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა⁶.

„...კერძო სამართალი პასუხობს კითხვაზე, თუ რა არის საკუთრება, კონსტიტუციური კი იმაზე, თუ როგორია ამ საკუთრების დაცვის გარანტიები“⁷. კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების არსი სახელმწიფოს ჩარევისაგან მის დაცვაში მდგომარეობს⁸. ამასთან, კონსტიტუცია იცავს საკუთრებას, რომლის არსებობა კანონიერია, რომელიც ნდობაუნარიანია. „კონსტიტუციური დაცვის საგანს წარმოადგენს სამართლებრივად უხარვეზო საკუთრება“⁹.

2.2 საკუთრების უფლების კერძოსამართლებრივი „ცნება“

საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი საკუთრებასთან მიმართებით სრულიად შეესაბამება საბაზრო ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებს¹⁰. „საკუთრება ადამიანის ბუნებითი უფლებაა. იგი ადამიანს დაბადებისთანავე გააჩნია“¹¹. სამოქალაქოსამართლებრივი წესრიგი საკუთრებას უმაღლესი რანგის სანივთო უფლებად მიიჩნევს¹².

ევროპის ქვეყნების თანამედროვე კოდიფიკაციების მსგავსად სსკ-ის 170-ე მუხლი, რომლის სახელწოდებაა: ცნება. საკუთრების უფლების შინაარსი — რეალურად საკუთრების უფლების ცნებას არ იძლევა¹³.

საკუთრება პოზიტიურ და ნეგატიურ მდგომარეობას გულისხმობს. საკუთრების პოზიტიურ შინაარსში მოიაზრება მესაკუთრის ნივთთან ურთიერთობა, რაც საკუთრების სტატიკური მდგომარეობის გამომხატველია¹⁴. „საკუთრების პოზიტიური შინაარსი ვერ განხორციელდება მისი ნეგატიური მდგომარეობის გარეშე. ამ უკანასკნელში მოიაზრება ნივთის თაობაზე პირთა შორის ურთიერთობა, რომელსაც აბსოლუტური ურთიერთობა ჰქვია. ეს კი იმას ნიშნავს,

4. ჭანტურია ლადო: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 96.

5. პაპუაშვილი სიმონ: საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 178.

6. კუბლაშვილი კონსტანტინე: ძირითადი უფლებები, თბილისი, 2010, 168.

7. ზოიძე ბესარიონ: საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 95.

8. ზოიძე ბესარიონ: საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 98. შეადარეთ: კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2010, 171.

9. ზოიძე ბესარიონ: საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 97.

10. ჭანტურია ლადო: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 97.

11. ზოიძე ბესარიონ: ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 85.

12. ქოჩიაშვილი ქეთევან: მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2011, 114. შეადარეთ: ზარანდია თ., საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2008, 753.

13. ზარანდია თამარ: საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2008, 751.

14. ზოიძე ბესარიონ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 84.

რომ ყველა მესამე პირი ვალდებულია თავი შეიკავოს სხვისი საკუთრების დარღვევისაგან.¹⁵ მხედველობაში მიიღება თანაზომიერების პრინციპი, რაც მესაკუთრის მიერ სხვა მესაკუთრის უფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას გამორიცხავს.¹⁶

სსკ საკუთრებას განმარტავს, როგორც ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთიანობას.¹⁷ ამ სამმა ელემენტმა შუა საკუთრებში საკუთრების შინაარსის ცნება ე.წ. ტრიადის სახით შეადგინა.¹⁸ ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებები საკუთრების უფლების მთელ მოცულობასა და მის არსებობას სრულყოფილად არ გამოხატავს.¹⁹ სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ თანამედროვეობაში იურისტებს მესაკუთრის უფლებამოსილების განსაზღვრა ტრიადის სახით აღარ აკმაყოფილებთ და ცდილობენ ახლებურად გაიაზრონ საკუთრების შინაარსი.²⁰

3. საკუთრების უფლების შეზღუდვა, როგორც გამონაკლისი საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათიდან

3.1 საკუთრების უფლების შეზღუდვის საჯაროსამართლებრივი ხასიათი

„კერძო საკუთრების დაცვა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ლიბერალური ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილური დემოკრატიული, პოლიტიკური და საკანონმდებლო სისტემების მშენებლობის თვალსაზრისით, რაც თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოებისა და ამ საზოგადოების ინდივიდუალური წევრების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს“.²¹

საკუთრების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება.²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, საკუთრება სოციალური ფუნქციის მატარებელია: „... საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას“.²³ საკუთრების უფლების სოციალური ფუნქცია გულისხმობს მესაკუთრეთა შიდა და გარე ვალდებულებებს.²⁴

საკუთრების უფლების საჯაროსამართლებრივი წესით შეზღუდვისას მოქმედებს პროპორციულობის პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი პრინციპია და გულისხმობს კანონმდებლის შეზღუდვას.²⁵ „... მესაკუთრის პრეროგატივები ძალიან ხშირად იზღუდება იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეს სხვა ფუნდამენტური უფლებების განხორციელებას“.²⁶

15. იქვე.

16. კერესელიძე დავით: კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 220.

17. თუმანიშვილი გ. გიორგი: შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბილისი, 2012, 200.

18. ქოჩაშვილი ქეთევან: მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2011, 116.

19. Венедиктов А. В.: государственная социалистическая собственность, Москва-Ленинград, 1948, 31.

20. დანვილებით იხ.: ქოჩაშვილი ქეთევან: მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2011, 117.

21. პუშკარი ვ. პავლო: საკუთრების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ინდივიდუალურ საკუთრების უფლებებში ჩარევის პროპორციულობის დაბალანსების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, გ. პაპუაშვილის რედაქტორობით, №5, 2012, 169-170.

22. კუბლაშვილი კონსტანტინე: ძირითადი უფლებები, თბილისი, 2010, 172.

23. იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/51, 21 ივლისი, 1997.

24. Fordham Law Review, December, 2011 – ხელმისაწვდომია: <http://www.lexisnexis.com/hottopics/Inacademic/> [ბოლოს გამოხმობილია: 22.02.2013].

25. Turava p., Right to Property According to the Georgian Constitution, south Caucasus Law Journal, 2010, 100.

26. ფრისერო ნატალი: საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, უფლება ქონების პატივისცემაზე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, 33.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების პატივისცემის უფლება არ უკრძალავს სახელმწიფოს, ჩამოართვას პირს მისი კუთვნილი საკუთრება „იმ შემთხვევების გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვენ და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით“.²⁷ კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მიზნებისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვა მართლ-ზომიერად რომ იქნას მიჩნეული, საჭიროა არსებობდეს გარკვეული პირობები, კერძოდ, საკუთრების უფლების ნებისმიერი ხელყოფა საჯარო ან საერთო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს.²⁸ „ხანდახან საკუთრების ჩამორთმევა გამომდინარეობს ცალკეული პროცედურიდან: ამგვარად, არსებობს ჩამორთმევის „ვალაუვალობის“ პროცედურა ან „კოლექტიური“ პროცედურა“.²⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპის სასამართლოს პრაქტიკა აწესებს ერთმნიშვნელოვან კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება კანონიერების მოთხოვნებს საკუთრებაში ჩარევასთან მიმართებით. აღნიშნული სასამართლოები საკუთრების უფლების დაცვის საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით უდგებიან, ანალიზებენ იმ გარემოებას, თუ რამდენად არის საკუთრების უფლებაში ჩარევა დაფუძნებული კანონზე და რამდენად არის დაცული სამართლიანი ბალანსი საკუთრების უფლებასა და საჯარო ინტერესს შორის.³⁰

3.2 სსკ-ით გათვალისწინებული საკუთრების უფლების შეზღუდვის კერძოსამართლებრივი საფუძვლები

„საკუთრება ქონებაზე „სრული ბატონობის“ გამომხატველი აბსოლუტური უფლებაა“.³¹ საკუთრების უფლების, როგორც სანივთო უფლების, აბსოლუტურობა სრულიად არ ნიშნავს მის შეუზღუდაობას.³² „მიუხედავად თავისი აბსოლუტური ხასიათისა, საკუთრების უფლება ყოველთვის შეზღუდულია“.³³ მესაკუთრის უფლებებს კანონი ან ხელშეკრულება ზღუდავს. საკუთრების უფლების შეზღუდვის გარდაუვალობაზე სსკ-ის 170-ე მუხლი მიუთითებს, რომლის თანახმადაც, „მესაკუთრის უფლებებით ასევე არ უნდა ილახებოდეს მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები“.³⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთრე-

27. იქვე, 42.

28. *პაპუაშვილი სიმონ*: საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2009, 181. შეადარეთ: *პუშკარი პ. ვ.*, საკუთრების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ინდივიდუალურ საკუთრების უფლებებში ჩარევის პროპორციულობის დაბალანსების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, გ. პაპუაშვილის რედაქტორობით, №5, 2012, 176, 181.

29. *ფრისერო ნატალი*: საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, უფლება ქონების პატივისცემაზე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №1 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, 42.

30. დანერვილებით ამის შესახებ იხ.: *პუშკარი ვ. პავლო*: საკუთრების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ინდივიდუალურ საკუთრების უფლებებში ჩარევის პროპორციულობის დაბალანსების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, გ. პაპუაშვილის რედაქტორობით, №5, 2012, 169-185.

31. *Puchta, Pandekten, 1877, §141, 210f.; §144, 216f.* – მითითებულია: კერძო კონსტიტუციური დავით: კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 220.

32. *ზარანდია თამარ*: საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2008, 753.

33. *ჭეჭელაშვილი ზურაბ*: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 115.

34. *ზოიძე ბესარიონ*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 84.

ბის უფლება თავის თავში ამ უფლების შეზღუდვასაც მოიცავს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ „შეზღუდვა უნდა იყოს გამონაკლისი, ხოლო თავისუფლება — გაბატონებული წესი“.³⁵

კონსტიტუციის 21-ე მუხლი ითვალისწინებს საკუთრების უფლების შეზღუდვისას საახელმწიფოს მიერ წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების გაცემის ვალდებულებას. სამოქალაქო სამართალშიც არსებობს ასეთივე მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს საკუთრების უფლებაზე შეზღუდული მესაკუთრისათვის ფულადი კომპენსაციის გადაცემას, თუმცა ამ შემთხვევაში არა სახელმწიფოს, არამედ ფიზიკური პირის მიერ.

3.2.1 სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება

სსკ-ის 175-ე მუხლით გათვალისწინებულია სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება, რომელსაც საემისიო სამართალსაც უწოდებენ. „ემისიის ცნებაში იგულისხმება ყველა ის ზემოქმედებანი, რაც მინის ერთი ნაკვეთიდან მეორეზე ვრცელდება და გავრცელებული აზრით ზიანს აყენებს მას“.³⁶ „ემისიებიც, თავის მხრივ, იყოფა არსებით და არაარსებით ემისიებად. არაარსებითი ემისიების თმენის ვალდებულება უპირობოა, არსებითი ემისიები კი, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ექვემდებარებიან თმენის ვალდებულებას“.³⁷

სსკ-ის 175-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია მინის ნაკვეთზე ან სხვა უძრავ ქონებაზე არაარსებითი ზემოქმედების თმენის ვალდებულება. ამ შემთხვევაში მინის ნაკვეთისა თუ სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს უპირობოდ ეკისრება თმენის ვალდებულება.

რაც შეეხება აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილს, აქ საქმე სხვაგვარადაა. იგი ეხება არა არაარსებით, არამედ არსებით ზემოქმედებას, თუმცა, შედეგის მხრივ, განსხვავება არ არსებობს. უძრავი ქონებისა თუ მინის მესაკუთრე ვალდებულია ითმნოს ზემოქმედება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზემოქმედება არსებითია, „მაგრამ იგი გამონკვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარში აღნიშნულია, რომ არსებითი ზემოქმედების თმენის ვალდებულება არსებობს მაშინ, როცა „იგი გამონკვეულია მეზობელი ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების ჩვეულებრივი სარგებლობით, რაც მისი **ნორმალური სამეურნეო საქმიანობით ხორციელდება**“.³⁸ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ აღნიშნულია, რომ სსკ-ის 175-ე მუხლის მე-2 ნაწილის მითითება: „არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალური სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა,“ არ შეესაბამება გერმანულ პირველწყაროს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარშიც არასწორად არის განმარტებული.³⁹

სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულების სანაცვლოდ უძრავი ქონებისა თუ მინის მესაკუთრეს კომპენსაციის მიღების უფლება გააჩნია. არსებითი ზემოქმედების თმენის ვალდებულების სანაცვლოდ მესაკუთრეს „შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღმატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობასა და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს“. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება

35. Ramm Thilo, Einführung in das Privatrecht. Allgemeiner Teil des BGB. Bd. I, G 9, Münchn, Deutscher Taschenbuch Verl. 1974. — მითითებულია: ჭანტურია ლადო: სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 87.

36. იხ., Schwab, prutting, Sachenrecht, 25 Auflage, Verlag C. H. Beck, Munchen, 1994, S. 135 — მითითებულია ზოიძე ბესარიონ: ქართული საწიფო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 113.

37. ზოიძე ბესარიონ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 96.

38. ზოიძე ბესარიონ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 98.

39. ჭეჭელაშვილი ზურაბ: საწიფო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 138.

დამოკიდებულია კონკრეტულ ადგილსა და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს. „თმენისათვის ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის წინაპირობას არ წარმოადგენს პირის ბრალი“.⁴⁰

რაც შეეხება ე.წ. ნეგატიურ და იდეალურ ზემოქმედებათა თმენის ვალდებულებას, „დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში სადავოა იდეალური ემისიების, კერძოდ, ესთეტიკური და ზნეობრივი ხასიათის ზემოქმედების საკითხი“.⁴¹ სხვადასხვა ქვეყნის სამართალი მიმართავს ანალოგიას, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 906-ე პარაგრაფის ანალოგიით ამგვარ ზემოქმედებათა თმენისათვის შეიძლება დადგენილ იქნას ფულადი კომპენსაცია.⁴² „ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოები მიმართავენ უფლების ბოროტად გამოყენების ნორმებს, ე.წ. შიკანას“.⁴³ ზოიძის აზრით, „იგი საგანგებოდ არ გამოყოფს იდეალურ ემისიებს, რასაც გერმანული სასამართლო პრაქტიკა სერიოზულ ყურადღებას უთმობს“.⁴⁴ ამგვარ შემთხვევაში შესაძლებელია უფლების ბოროტად გამოყენების ნორმებით ხელმძღვანელობა.⁴⁵

3.2.2 დაუშვებელი ხელყოფა

სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებულია მესაკუთრის უფლება დაუშვებელი ხელყოფის აკრძალვის შესახებ. ეს იმას გულისხმობს, რომ მინის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მეზობელი მინის ნაკვეთის მესაკუთრეს აუკრძალოს ნაგებობის მშენებლობა თუ ექსპლუატაცია იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ქმედება დაუშვებლად ხელყოფს ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს აშკარაა.

„ნაგებობის აშენებით ან ექსპლუატაციით გამონვეულ ზემოქმედებაში მხოლოდ დამატებითი, ზღვარგადასული ზემოქმედება ივარაუდება ისეთი, რომელიც დაუშვებლად ხელყოფს ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა“.⁴⁶

„176-ე მუხლით გათვალისწინებული რიგი ზემოქმედებანი 175-ე მუხლითაცაა მოწესრიგებული, მაგრამ 175-ე მუხლისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ნაკვეთის მესაკუთრეს არ ევალება ითმინოს უარყოფითი ზემოქმედებანი“.⁴⁷ იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ზემოქმედების მოსპობა მაშინაც, თუ ამისათვის ნაგებობის დანგრევა გახდება საჭირო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სსკ-ის 176-ე მუხლი არის არაზუსტად თარგმნილი. მისი სწორი თარგმანი კი შემდეგია: „მინის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომელთა შესახებაც აშკარად შეიძლება ივარაუდო, რომ მათი არსებობა ან ექსპლუატაცია ქმნის მის [მესაკუთრის] მინის ნაკვეთზე დაუშვებელი ზემოქმედების საფრთხეს“.⁴⁸

40. Wolf, Manfred, *Sachenrecht*, 19. Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1996, 143; BGH NJW 1985, 47. – მითითებულია: ჭეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 139.

41. ზოიძე ბესარიონ: ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადაამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 113.

42. Wolf, Manfred, *Sachenrecht*, 19. Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1996, 146. – მითითებულია: ჭეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 141.

43. ზოიძე ბესარიონ: ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადაამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 113.

44. Schwab. Prütting, *Sachenrecht*, s. 135-136. — მითითებულია: ზოიძე ბესარიონ: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 255.

45. Schwab. Prütting, *Sachenrecht*, s. 135-136. — მითითებულია: ზოიძე ბესარიონ: ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 255. შეადარეთ იხ.: ჭეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 141.

46. ზოიძე ბესარიონ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეორე, თბილისი, 1999, 99.

47. იქვე, 100.

48. ჭეჭელაშვილი ზურაბ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ტექსტუალური და თარგმნითი ხასიათის ხარვეზები, ქართული კერძო სამართლის კრებული, ნიგნი I, თბილისი, 2004, 56.

3.2.3 საზღვრის გაცდენა მშენებლობის დროს

სსკ-ის 179-ე მუხლიც ინტერესთა კოლიზიას განსაზღვრავს. უმჯობესი იქნება, თუ ამ მუხლის სათაური იქნება არა „ფულადი კომპენსაცია თმენის ვალდებულებისათვის,“ არამედ „საზღვრის გაცდენა მშენებლობის დროს“. ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ თავის ნაკვეთზე მშენებლობის დროს მეზობელი მიწის ნაკვეთის საზღვრის გაცდენის კერძო-სამართლებრივ მონესრიგებაა მოცემული.

აქ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებებს ხელყოფს განზრახვის გარეშე.

ამასთან, მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის წინააღმდეგ „წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა“. „დარღვევის აღკვეთაში იგულისხმება ის, რომ მეზობელს 172-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოითხოვოს ნაგებობის მოშორება, დანგრევა ან მისი სახეცვლილება, ანდა ნაკვეთის შესაყიდვა“.⁴⁹

„თეორიასა და პრაქტიკაში საკამათოა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთდამოკიდებულება მყარდება სხვის ნაკვეთზე გადასულ ნაგებობასა და მიწის ნაკვეთს შორის. მიწის ნაკვეთი კვლავაც მისი პატრონის საკუთრებაში რჩება“.⁵⁰ „... მეზობლის მიწის ნაკვეთზე გადმოსული ნაგებობა თუ ნაგებობის ნაწილი წარმოადგენს არა ამ უკანასკნელის, არამედ იმ მიწის ნაკვეთის შემადგენელ ნაწილს, საიდანაც იგი გასცდა საზღვარს“.⁵¹ „საკუთრება მიჯნადარღვეულ მიწის ნაკვეთზე ხელშეუხებლად რჩება“.⁵² 179-ე მუხლი წარმოადგენს საერთო წესიდან იშვიათ გამონაკლისს, როცა მიწის ნაკვეთი ერთი პირის საკუთრებაა, მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი კი მეორე პირის საკუთრებაა.⁵³

მშენებლობის დროს მიჯნის დარღვევის გამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრების უფლების შეზღუდვა და მისთვის თმენის ვალდებულების დაკისრება გამონვეულია იმ მიზეზით, რომ ხელყოფის აკრძალვა და მშენებლობის ლიკვიდაცია მშენებლისათვის დიდი ზიანის წყაროს წარმოადგენს. სწორედ აქედან გამომდინარე, გამართლებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრების უფლების შეზღუდვა. სსკ-ის თანახმად, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ დაწესებულია ფულადი კომპენსაციის ყოველწლიურად და წინასწარ გადახდა.

3.2.4 აუცილებელი გზა

180-ე მუხლში საკუთრების კანონისმიერი შეზღუდვის მდგომარეობა აისახა.⁵⁴ აუცილებელი გზის გამოყენება მესაკუთრეს იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა თუ წყალმომარაგების ქსელთან. „თუ სახეზეა ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები, მაშინ მეზობელს ისლა დარჩენია ითმინოს თავისი მიწის ნაკვეთის დატვირთვები“.⁵⁵ A„... ეს ვალდებულება მას ავტომატურად არ წარმოეშობა, არამედ მხოლოდ უფლებამოსილი მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე“.⁵⁶

49. *ზოიძე ბესარიონ*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 107.

50. *იქვე*, 107-108.

51. Dr. Ludwig Ennecerus, Dr. Theodor Kipp und Dr. Martin Wolff, *Lehrbuch des Bürgerlichen Rechts*, Easter Band, 162. — მითითებულია: ქეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 147.

52. *ჭანტურია ლადო*: უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბილისი, 2001, 200.

53. *ზოიძე ბესარიონ*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 108.

54. *ზოიძე ბესარიონ*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 109.

55. *იქვე*.

56. *ჭანტურია ლადო*: უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბილისი, 2001, 201.

აუცილებელი გზის შესახებ საუბრისას იგულისხმება, როგორც საცალფეხო ბილიკი, ისე სამანქანო გზა. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, გერმანიის) სასამართლო პრაქტიკაში ეს უკანასკნელი საკითხი დავის საგანს დიდხანს წარმოადგენდა.⁵⁷ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აუცილებელი გზის მოთხოვნის უფლებით აღჭურვილ მესაკუთრეს არ აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე მინის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობა არსებობს.⁵⁸

აღნიშნული კანონიერი თემის ვალდებულება უსასყიდლო თემის ვალდებულებათა რიცხვს არ განეკუთვნება. სხვისი უფლებებით დატვირთული მინის ნაკვეთის მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც შეიძლება ერთჯერადი გადახდით განისაზღვროს. „მიჩნეულია, რომ აუცილებელი კომპენსაციის უფლება მეზობელი მინის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილია და მისი სხვაზე დამოუკიდებლად გადაცემა შეუძლებელია. კომპენსაციაზე ვალდებული პირიც მხოლოდ მინის მესაკუთრეა და არა სხვა ვინმე (მაგალითად, მოიჯარე).“⁵⁹

4. საკუთრების უფლების კერძოსამართლებრივი შეზღუდვების მონესრიგება სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში

საინტერესოდ არის მონესრიგებული საკუთრების უფლების შეზღუდვის კერძოსამართლებრივი შეზღუდვები სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი რომის სამართლის გავლენით კერძოსამართლებრივი შეზღუდვების საფუძვლებად ასახელებს: 1. მინის ნაკვეთების ბუნებრივ განლაგებას, 2. კანონით დადგენილ ვალდებულებებსა და 3. მესაკუთრეთა შორის შეთანხმებებს.⁶⁰ ასეთ შეზღუდვებს კოდექსი სერვიტუტებს უწოდებს.

იტალიის სამოქალაქო კოდექსი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, ანალოგიურ შეზღუდვებს აღარ უწოდებს სერვიტუტებს და იგი უფრო დახვეწილად და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ადგენს საკუთრების უფლების შემზღუდველ ნორმებს.⁶¹

„მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის ნორმების უმრავლესობისა, სამეზობლო სამართლის ნორმათა უდიდესი უმრავლესობაც თითქმის სიტყვასიტყვით რეცეფცირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ანალოგიური პარაგრაფებიდან“.⁶² სწორედ ამ მიზეზით არის განპირობებული სამეზობლო სამართლის ნორმათა მკაფიო ერთგვაროვნება გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მონერიგებისას.

სსკ-ით გათვალსწინებული სამეზობლო ზემოქმედებათა თემის ვალდებულება წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 906-ე პარაგრაფის ანალოგს. „მავნე ზემოქმედების (Immision) ცნების ქვეშ გერმანული იურიდიული მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა მოიაზრებს მეზობლის მინის ნაკვეთზე ისეთ ზემოქმედებას, რომელიც, რო-

57. *ზოიძე ბესარიონ*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 109.

58. *ჭანჭურია ლადო*: უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბილისი, 2001, 201-202.

59. *ზოიძე ბესარიონ*: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999, 110. შეადარეთ, *ჭეჭელაშვილი ზურაბ*: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 140.

60. *ჭეჭელაშვილი ზურაბ*: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 117.

61. *იქვე*.

62. *იქვე*, 133.

გორც წესი, თავისი გავრცელების დროს არ ექვემდებარება კონტროლს და რომლის ინტენსივობა მერყეობს“.⁶³

საინტერესოა საკითხი მშენებლობის დროს საზღვრის გადაცდენასთან დაკავშირებითაც. აღნიშნა, რომ სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებებს ხელყოფს განზრახვის გარეშე. ეს პოზიცია არ არის გაზიარებული გერმანიისა და ამ უკანასკნელის მიხედვით მრავალი (მათ შორის, ისეთ უახლეს კანონმდებლობებში როგორცაა მოლდოვის სამოქალაქო კოდექსი და ესტონეთის კანონი „სანივთო სამართლის შესახებ“) ქვეყნის სამოქალაქო კოდექსის გადაწყვეტა, რომლის თანახმადაც საზღვრის გაცდენა შეიძლება მოხდეს არამართო განზრახვით, არამედ უხეში გაუფრთხილებლობითაც.⁶⁴

სსკ-ის 179-ე მუხლის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ საკუთრება კვლავ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრებაში რჩება მაშინ, როდესაც აღნიშნული მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის საინინალმდეგო მონესრიგებას შეიცავს „სანივთო სამართლის შესახებ“ ესტონეთის კანონის 148-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: ნაგებობა ან მისი ნაწილი მიიჩნევა იმ უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილად, რომლის საზღვარსაც იგი გადასცდა მხოლოდ იმ პირობით, თუ „შესაბამისი სანივთო უფლება შეტანილია საადგილმამულო წიგნში“.⁶⁵

5. სასამართლო პრაქტიკა საკუთრების უფლების შეზღუდვის განხილულ შემთხვევებთან მიმართებით

საკუთრების უფლების შეზღუდვის შემთხვევებთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული მუხლების დამკვიდრებული განმარტებისაგან განსხვავებული არ არის, საინტერესოა და მნიშვნელოვანია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-542-510-2012 გამოთქმული მოსაზრებით, „კანონი უშვებს მეზობელი უძრავი ქონებიდან მომდინარე ზემოქმედების არსებობისას კანონით დასაშვებ ფარგლებში (სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი) და ამ ზემოქმედებათა თმენა სამეზობლო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც თანხმობაშია მეზობლების ურთიერთპატივისცემის მოვალეობასთან“.⁶⁶

საქართველოს სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „დაუშვებელ ხელყოფაში“ იგულისხმება ნაგებობის იმგვარი ექსპლუატაცია, რომელიც სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულების კანონით დადგენილ ფარგლებს სცილდება და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს გარკვეულ საფრთხეს უქმნის“. ამ მოსაზრებას სავსებით დაეთანხმა საქართველოს უზენაესი სასამართლო.⁶⁷

რაც შეეხება სსკ-ის 179-ე მუხლს, საქართველოს უზენაესი სასამართლომ 2012 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-1185-1205-2011 აღნიშნა, რომ მისი პირველი ნაწი-

63. Wolf, Manfred, *Sachenrecht*, 19. Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1996, 140; BGH NJWB2992, 1392; იხ., აგრეთვე, Palandt, *Bürgerliches Gesetzbuch*, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas. 62. neubearbeitete Auflage. C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 2003, 1383. — მითითებულია: ჭეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 135.

64. *ჭეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი*, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2010, 145-146.

65. *იქვე*, 147.

66. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-542-510-2012, 3 მაისი, 2012.

67. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-40-38-2012, 22 მარტი, 2012.

ლი ეხება მხოლოდ ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელიც მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდება მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს.⁶⁸

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი განმარტება არსებობს სსკ-ის 180-ე მუხლთან დაკავშირებით. საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათიდან დადგენილი შეზღუდვის საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს სსკ-ის აღნიშნული მუხლი. ეს ნორმა ადგენს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებას, მოსთხოვოს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად, თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან.⁶⁹

ზემოთქმული ნათლად გამოსატყავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციას საკუთრების უფლების შეზღუდვის განხილულ შემთხვევებთან მიმართებით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ განმარტებები ერთგვაროვანია, თუმცა არ არის განხილული და განმარტებული ის დეტალები, რომლებიც შეიძლება ხარვეზად იქნას მიჩნეულა სსკ-ის მიერ შემოთავაზებულ მონესრიგებაში.

დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების შეზღუდვის სსკ-ით გათვალისწინებული შემთხვევები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. როგორც აღმოჩნდა, ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა ცდილობს შექმნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც, ერთი მხრივ, მინიმუმამდე დაიყვანს მესაკუთრის უფლების შელახვის არამართლზომიერ და შეუსაბამო შემთხვევებს და მეორე მხრივ, დაიცავს სამოქალაქო ბრუნვის იმ მონაწილეს, რომლის ინტერესშიც საკუთრების უფლების შეზღუდვის კერძოსამართლებრივი შემთხვევა შედის. ნაშრომში წარმოჩენილია ქართული კანონმდებლობის მიდგომა საკუთრების უფლების კერძოსამართლებრივი შეზღუდვის ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით. იგი ევროპულ სამართლებრივ სივრცეში ჩამოყალიბებულ მონესრიგებას სრულად შეესაბამება. ამის მიუხედავად, არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც სასურველია აღმოიფხვრას.

მნიშვნელოვანია სსკ-ით გათვალისწინებულ იქნას ე.წ. ნეგატიურ და იდეალურ ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება. ეს მესაკუთრის უფლებების დაცვის მყარ გარანტიებს უზრუნველყოფს და სპეციალური მონესრიგება გამორიცხავს ზოგადი ნორმებისა თუ ანალოგიის გამოყენების შესახებ არსებულ მოსაზრებათა სახესხვაობას. აღსანიშნავია, რომ ამ სახის ემისიების შესახებ ქართული სასამართლო პრაქტიკა, განსხვავებით სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკისაგან, არ არსებობს, რაც ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დარღვევის რისკს მეტად ამადლებს. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს ნეგატიურ და იდეალურ ზემოქმედებათა თმენის ვალდებულების სპეციალური ნორმით მონესრიგების აუცილებლობას.

უმჯობესია სსკ-ის 176-ე მუხლი არაზუსტი თარგმანის გამო შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: „მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომელთა შესახებაც აშკარად შეიძლება ივარაუდო, რომ მათი არსებობა ან ექსპლუატაცია ქმნის მის [მესაკუთრის] მიწის ნაკვეთზე დაუშვებელი ზემოქმედების საფრთხეს“.

სასურველია, რომ სსკ-ის 179-ე მუხლის სახელწოდება - „ფულადი კომპენსაცია თმენის

68. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1185-1205-2011, 5 მარტი, 2012.

69. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1205-1134-2012, 15 ოქტომბერი, 2012.

ვალდებულებისათვის“ შეიცვალოს შემდეგი სახელწოდებით: „საზღვრის გაცდენა მშენებლობის დროს“. აღნიშნული უფრო ცხადად გამოხატავს ამ მუხლის სამართლებრივ შინაარსს.

საინტერესოააა გადანყვეტილი საკითხი აღნიშნულ საკანონმდებლო ნორმათა პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა სრულიად შეესაბამება იმ მიდგომებს, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარეობს და რომლებიც ზოგადად ქართული კანონმდებლობის მიერ დადგენილი საკუთრების უფლების კერძოსამართლებრივი შეზღუდვის „სისტემისათვისაა“ დამახასიათებელი.

საერთო სასამართლოების გადანაცვლებების საკონსტიტუციო კონტროლი - ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმი

1. შესავალი

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ცხოვრების ერთ დაიწყო, კონსტიტუციის მიღებამ საფუძველი ჩაუყარა ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას, რომელთა მიზანიც იყო (არის) სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წამყვანი ადგილი უჭირავს ამ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, მის უფლებამოსილებაში შედის საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება - ადამიანის კონსტიტუციური უფლებების და „სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის შეკავება-განონასწორების რეჟიმის“³ დაცვაში, რაც გულისხმობს ხელისუფლების შტოებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებას და ასევე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ქვეყნის უზენაესი კანონის დაცვის კონტროლს.

კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო და მისი უფლებამოსილების კანონიერი ფარგლები არა ერთი დისკუსიის და სამეცნიერო ნაშრომის განხილვის ობიექტი ყოფილა, მიუხედავად ამისა ეს საკითხი აქტუალურობას არ ჰკარგავს. წინამდებარე სტატიის მიზანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტის უფლებამოსილების ფარგლების ეფექტურობის განსაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო ზედამხედველობას უწევს პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის და აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა მიერ ქვეყნის უმაღლესი კანონის დაცვას და უზრუნველყოფას.⁴

აღნიშნული რეგულაციიდან „საქართველოს კონსტიტუციის სამართლებრივი ლოგიკა შემდგომში მდგომარეობს“⁵, რომ საპარლამენტო და ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების (პრეზიდენტი, მთავრობა) მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები შეიძლება არღვევდეს კონსტიტუციას, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი ხელისუფლების ამ ორ შტოზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არ არის დარეგულირებული საკითხი, თუ ვინ უნდა

1. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი.

2. იხ. ქალდანი თ., ჩხეიძე გ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ მე-4 გამოცემა, 2000, გვ. 216.

3. გ. კახიანი: საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, გვ. 20.

4. იხ. საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 89.

5. ქალდანი თ., ჩხეიძე გ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ მე-4 გამოცემა, 2000, გვ. 217.

გაუწიოს საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადანყვეტილებას ან განაჩენს, თუ ის არღვევს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. აღნიშნული საკითხი სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს, მაშინ როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოების ამოსავალი წერტილი ადამიანის უფლებების დაცვაა და შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის უპირველესი მიზანი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დარღვეული ადამიანის უფლებების აღდგენა უნდა იყოს.

მიმაჩნია, რომ გამორიცხული არ არის საერთო სასამართლოების მიერ არაკონსტიტუციური გადანყვეტილების მიღება. თუ კონსტიტუცია არ გამორიცხავს პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმატიული აქტების მიღებას, რატომ არ შეიძლება სასამართლო ხელისუფლების მიერ საერთო სასამართლოების მეშვეობით გამოტანილ იქნეს არაკონსტიტუციური გადანყვეტილება?⁶

2. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტი და კონტროლის ობიექტა წრე საქართველოს კანონმდებლობაში

საკონსტიტუციო სასამართლოს, სასამართლო ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია,⁷ ვინაიდან მის განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს ქვეყნის უზენაესი კანონის დაცვის კონტროლი. საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტი არის საქ. საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის მიზანია უზრუნველყოს კონსტიტუციის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა, პირველ რიგში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სუბიექტს საქართველოში წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლო. საინტერესოა რატომ გახდა აუცილებელი „საკონსტიტუციო კონტროლის“, როგორც ინსტიტუტის შემოღება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში. კონსტიტუცია, როგორც უზენაესი სამართლებრივი აქტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სუვერენული სახელმწიფოებისათვის, მასში ქვეყნები განამტკიცებენ თავიანთ არსს, თავისუფლებას და სახელმწიფოებრივ თვითშეგნებას, რომელიც დამყარებულია უზენაეს ღირებულებაზე - ადამიანის უფლებების დაცვასა და უზრუნველყოფაზე. საქართველოს სახელმწიფომ 1995 წლის 24 აგვისტოს განაცხადა მზადყოფნა და სურვილი შესულიყო იმ თანამედროვე სივრცეში, რასაც სამართლებრივი სახელმწიფო ჰქვია. ამიტომ მოწესრიგდა კონსტიტუციასა და შემდგომ სხვა სამართლებრივ აქტებში აღნიშნული ინსტიტუტი. საკონსტიტუციო კონტროლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს შეკავება-განონსანორების პრინციპის საფუძველზე უზრუნველყოს ქვეყნის უზენაესი კანონის დაცვა ხელისუფლების შტოების მიერ.

სტატიის ერთერთ მიზანს წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრის მიმოხილვა და არსებული კონტროლის ეფექტურობის შეფასება კანონმდებლობის საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობით, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრეს წარმოადგენს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, ასევე მათი მხრიდან განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა.

6. იხ. ჯინჯოლავა ზ.: კონსტიტუციური სამართლის პრობლემები, „კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები“, 2002, თსუ-ს გამოცემა, გვ.137.

7. ქალდანი თ., ჩხეიძე გ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ მე-4 გამოცემა, 2000, გვ. 217.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის „ობიექტა წრეს“⁸ წარმოადგენს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედების კონსტიტუციურობის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლო რამდენიმე შემთხვევაშია უფლებამოსილი განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოების მიერ გამოცემული/მიღებული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე:

1. ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, როდესაც ფიზიკური და იურიდიული პირები თვლიან, რომ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებები;

2. საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ ნორმატიული აქტით/კანონით დარღვეულია კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებები;

3. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე, როდესაც მოსამართლეს მიაჩნია, ნორმა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს მისი გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავს;

4. საქართველოს საკანონმდებლო აქტების, პარლამენტის დადგენილებების მიღება/გამოცემის, ხელმოწერის გამოქვეყნების და ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე;

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე უფლებამოსილია *a priori* - პრევენციული კონტროლი განახორციელოს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადანყვეტილებებზე, რაც მიმართა რომ ხარვეზია, ვინაიდან „სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა ხელისუფლებისგან ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან გარანტიას, კონსტიტუციით ადამიანის უფლება-თავისუფლებების აღიარების პარალელურად, წარმოადგენს ამ უფლებების დაცვის ქმედითი მექანიზმების გათვალისწინება.“⁹ უფლებათა დაცვის მექანიზმები უფრო ეფექტური ხდება თუ საერთო სასამართლოებთან ერთად უფლებების „რეალურ“ და არა აბსტრაქტულ დაცვას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოც.

8. ქალდანი თ., ჩხეიძე გ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ მე-4 გამოცემა, 2000, გვ. 216.

9. კვეციანიძე გ.: კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები, სამეცნიერო შრომების კრებული, 2008, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 74.

3. საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა გადახედვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

(საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება - შედარებითი ანალიზი)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა გადახედვის უფლებამოსილების მინიჭება მრავალჯერ გახდა მსჯელობის საგანი, მიუხედავად მრავალმხრივი განხილვისა საკონსტიტუციო სასამართლოს დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ გააჩნია კომპეტენცია საკონსტიტუციო კონტროლი გაუწიოს სასამართლო ხელისუფლების, კერძოდ საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადანყვეტილებების კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობის საკითხს. იურისტთა გარკვეული წრის აზრით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება ერთის მხრივ, ეწინააღმდეგება სასამართლო ხელისუფლებაში ჩაურევლობის კონსტიტუციურ პრინციპს და მეორეს მხრივ, აღნიშნული უფლებამოსილების დაკისრება გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვას.

აღსანიშნავია ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა ამგვარი კონტროლი არ გულისხმობს საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა გადასინჯვას მათი მიზანშეწონილობის და სისწორის მიხედვით.¹⁰

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოსამართლე დამოუკიდებელია და ის ემორჩილება კონსტიტუციას და კანონს. აღნიშნული ფორმულირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოსამართლის მიერ გამოყენებული იქნეს ისეთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც კონსტიტუციის მეორე თავთან მოდის წინააღმდეგობაში. მაგალითად, 2006 წლის 22 ივნისს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის განკარგულებით მოქ. ვ.მ-ს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის» 208-ე მუხლის საფუძველზე მოსამართლისთვის აშკარა და უხეში უპატივცემულობისთვის შეეფარდა პატიმრობა 20 დღის ვადით, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ მოქ. ვ.მ-ს პატიმრობა შეუფარდა იმ მოსამართლემ, რომლის მიმართაც დარღვეული იქნა კანონი ვ.მ-ს მიერ. 2006 წელს მოქმედი სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად „(.....) მოსამართლის ზეპირი მოსმენის გარეშე ადგილზე თათბირით გადანყვეტილების მიღება გამოორიცხავს დამრღვევის მონაწილეობას ამ პროცესში, აგრეთვე მის შესაძლებლობას დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით,“¹¹ გარდა ამისა ამ ნორმის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების და დასაბუთებულობის აპელაცია შეუძლებელი იყო [„**ამ მუხლით გათვალისწინებული სხდომის თავჯდომარის ან სასამართლოს თავჯდომარის განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება**“], რაც პირდაპირ ხელყოფს სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას. მიუხედავად ამისა სასამართლოს მიერ არ იქნა კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი დაცული და ის დაეყრდნო იმ ნორმას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ქვეყნის უზენეს კანონთან. გარდა ამისა გამოყენებული არ იქნა კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმი, რაც გონივრულ ვარაუდს იძლევა იმისა, რომ საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადანყვეტილება შეიძლება დაეყრდნოს კანონის იმ ნორმას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებულ ადამიანის უფლებებთან. **მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილი არაკონსტიტუციურად სცნო.**¹²

10. ქალდანი თ., ჩხეიძე გ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალობა და განვითარების პერსპექტივები, უსრ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ მე-4 გამოცემა, 2000, გვ. 217.

11. იხ. წყარო: http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=428&action=show

12. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადანყვეტილება, საქმე №1/3/393,397.

აღნიშნული მაგალითიდან ივარაუდება, რომ „კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის განხორციელება არ ხდება ავტომატურად, ის შეიძლება დარღვეულ იქნეს განზრახ ან სამართალმემოქმედების პროცესში დაშვებული შეცდომების შედეგად.“¹³ სახეზეა კონსტიტუციის უზენაესობის დარღვევის ორივე შემთხვევა — ჯერ ერთი, კანონმდებლის მიერ თავის დროზე მიღებული იქნა ნორმა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებასთან (იხ. ზემოთ), მეორე, მოსამართლის მიერ კონსტიტუციის უზენაესობის განზრახი დარღვევა. ვინაიდან მოსამართლე პირველ რიგში ემორჩილება კონსტიტუციას, მას შეეძლო მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ ხელყოფდა კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: რამდენად ეფექტურია არსებული საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით? რამდენად რეალურად უზრუნველყოფს ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი დარღვეული უფლების აღდგენას? ჰპრაქტიკის ანალიზი ხომ არ მიანიშნებს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრის გაზრდის აუცილებლობაზე?¹⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, ის იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ ამ ნორმიდან ნათელია, რომ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის მეშვეობით მოთხოვნილი დარღვეული უფლების აღდგენა, რეალურად ვერ იქნება განხორციელებული, ვინაიდან „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დავა სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის ფარგლებს ეხება (...).“¹⁵ შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი ცალსახად ეფექტურ საშუალებას არ წარმოადგენს დარღვეული უფლების აღსადგენად, თუმცა ეფექტურია, პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის არაეფექტურობაზე მიანიშნებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში №40765/02 აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ. „(...) უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ინდივიდუალური მიმართვის უფლებას ე.წ. „არარეალური“ საკონსტიტუციო საჩივრის ფორმით. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ცალკეულ პირებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ მოქმედი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი, მაშინაც კი როცა მისი განხორციელება მათზე ზემოქმედებას არ ახდენს. თუმცა, მათ არ შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოების ან საჯარო უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ კონკრეტულ მდგომარეობაზე. (...) რათა საშუალება ეფექტური იყოს. მან უბრალოდ ირიბად კი არ უნდა დაიცვას კონვენციის მე-8 მუხლით (რაც გულისხმობს სასამართლოსადმი მიმართვის და სამართლიანი სასამართლოს უფლებას) უზრუნველყოფილი უფლება, არამედ უნდა უზრუნველყოს სასარჩელო პრეტენზიების პირდაპირი და სწრაფი დაკმაყოფილება კონკრეტული ზიანისთვის.“¹⁶

როდესაც საუბარია საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სუბიექტის უფლებამოსილების ფარგლებსა და

13. კვერენჩილაძე გ.: კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები, სამეცნიერო შრომების კრებული, 2008, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 72.

14. იხ. ქალდანი თ., ჩხეიძე გ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რეალობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“ მე-4 გამოცემა, 2000, გვ. 219.

15. ფუტყარაძე ი.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, მე-2 გამოცემა, გვ. 27.

16. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება №407/65/02, საქმეზე: „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“.

ეფექტურობაზე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ დიდი რაოდენობით განცხადებაა შესული. აღნიშნული იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში არსებული შიდასამართლებრივი უფლებათა დაცვის საშუალებები საკმარისად ეფექტური არაა. - „სახელმწიფოებს პირველ რიგში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა რათა მის ხელთ არსებული საშუალებებით ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში აღმოფხვრას ინდივიდუალური პირის მიმართ განხორციელებული დარღვევა.“¹⁷ ამასთან, პრობლემატურია საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულების საკითხი. არსებობს შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა ან ნორმის ნაწილი არაკონსტიტუციურად ცნო, მაგრამ კანონმდებელმა მსგავსი შინაარსის ნორმა, განსხვავებული ფორმულირებით, ისევ აისახა კანონმდებლობაში. კანონმდებლის ამ მიდგომიდან გამომდინარე ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას, ცალკეულ შემთხვევებში, ფორმალური ფუნქცია აქვს. ასევე, თითქმის არ გამოიყენება საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება, რომლის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლოს გადახედვას დაექვემდებარება საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადანყვეტილებები. იმ ფონზე, როდესაც დარღვეული უფლების აღდგენისთვის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არასაკმარის საშუალებადაა მიჩნეული და არც თუ ისე ეფექტურად მუშაობს საკონსტიტუციო კონტროლის სხვა მექანიზმები, მიზანშეწონილია გაიზარდოს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრე. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეცეს უფლება განხორციელოს საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა კონტროლი, რაც არ გულისხმობს გადანყვეტილებათა მიზანშეწონილობის ეჭვქვეშ დაყენებას. იგი ემსახურება სახელმწიფოში ისეთი ეფექტური და მოქნილი მექანიზმების არსებობას, რომელიც საშუალებას მისცემს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეროვნულ დონეზე მოახდინონ საკუთარი დარღვეული უფლების აღდგენა. აღნიშნული საერთო სასამართლოებს დააკისრებს მეტ პასუხისმგებლობას და უფრო მეტად დააფიქრებს იმის შესახებ, რომ ნორმა, რომელსაც მათი გადანყვეტილება ეყრდნობა, შეიძლება ხელყოფდეს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს. იმავდროულად გაუმჯობესდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა ხარისხი.

საერთო სასამართლოების გადანყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის დაწესების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად საინტერესოა უცხოეთის პრაქტიკის ანალიზი. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში 1803 წელს, საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ საფუძველი ჩაეყარა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს, აქსიომად იქცა ის, რომ „... სხვა არჩევანი არ არსებობს. კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ბათილია, ეს ბოჭავს, როგორც სასამართლოებს ისე ხელისუფლების სხვა განშტოებებსაც.“¹⁸ ამ მიმართულებით, ანგარიშგასაწევია, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის შუამდგომლობა (საჩივარი), რომელთა კონსტიტუციური უფლებები იქნა დარღვეული და არ მოხდა დარღვეული უფლების აღდგენა უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურის მიერ. საკონსტიტუციო სასამართლო მოქალაქეთა საჩივრის შედეგად „ამპაროს“ პროცედურით განიხილავს საქმეთა იმ კატეგორიას, რომელიც ეხება ძირითადი კანონის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილში დაცულ ადამიანის უფლებებს. მაგალითად, მოქალაქეთა უფლებას სიცოცხლეზე, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლებას, უფლება პირად თავისუფლებასა და უსაფრ-

17. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საქმე - Nielsen v. Denmark.

18. კვერენჩილაძე გ.: კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები, სამეცნიერო შრომების კრებული, 2008, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 71.

თხოვბაზე და სხვა.¹⁹ „აღნიშნული პროცედურა ემსგავსება სარჩელის წარდგენის და განხილვის ჩვეულებრივ წესს, განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ „ამპაროს“ პროცედურის გამოყენების შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ინდივიდუალური ხასიათისაა და მხოლოდ მოსარჩელეზე ვრცელდება.“²⁰ მნიშვნელოვანია ის, რომ ესპანეთის სამეფოს საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს იმ ქმედით ინსტიტუტს, რომელიც კონტროლს უწევს კონსტიტუციის დაცვას პირველ რიგში სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, მათ შორის სასამართლოების მხრიდანაც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ინდივიდუალური სარჩელის (შუამდგომლობის) საფუძველზე მხოლოდ კონსტიტუციური ნორმების აბსტრაქტულ განმარტებას არ ახდენს. პირიქით, დარღვევის დადგენის შემთხვევაში, თავისი გადაწყვეტილებით მიმართულია დარღვეული უფლების აღდგენასა და კომპენსირებაზე. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ინდივიდუალური ხასიათისაა და ვრცელდება მხოლოდ მოსარჩელეზე.

გერმანიის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა განახორციელოს ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილი და დაცული იქნეს სახელმწიფოს ყველა ორგანოს მიერ ფედერალური კონსტიტუცია და ცალკეული ფედერაციული მიწების კონსტიტუციები.²¹ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც სასამართლო ორგანოს, განსაკუთრებული ადგილი უკავია მთლიანად გერმანიის სასამართლო სისტემაში. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს, როგორც პირველი და ბოლო ინსტანცია.²²

კონსტიტუციური საჩივრის შეტანა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილებით (აქტით) დარღვეულია მისი ძირითადი უფლება.²³ გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პირი ამონურავს ყველა შესაძლო სამართლებრივ საშუალებას, რაც გულისხმობს ყველა იმ ინსტანციისთვის მიმართვას, რომელიც ვალდებულია დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები.²⁴

ესპანეთის სამეფოს და გერმანიის ფედერაციული სახელმწიფოების საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციური კონტროლის ერთადერთი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის უპირატეს ღირებულებად გამოცხადება. აქედან გამომდინარე, ეს სახელმწიფოები საკუთარი კანონმდებლობაში ქმნიან ისეთ მექანიზმებს, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას საჯარო დანესებულებების, მათ შორის სასამართლოების მიერ დარღვეული უფლების აღდგენა მოახდინონ ეროვნულ დონეზე. მაღალი სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ერთ-ერთი გამოხატულება სწორედ ისაა, რომ ქვეყანა თავისი კანონმდებლობით უმაღლეს კონტროლს უწესებდეს ადამიანის უფლებების დაცვას, არ მოხდეს მისი მხრიდან უხეში, არალეგიტიმური ჩარევა.

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ესპანეთის და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოებს ხშირად მიიჩნევს, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტურ შიდასამართლებრივ მექანიზმების მქონე სტრუქტურებს. „..... ამგვარი კონსტიტუციური სარჩელები ასევე შესაძლებელს ხდის აღმოფხვრას ის

19. მელქაძე ო., თვედორაშვილი გ.: საკონსტიტუციო ზედამხედველობა ესპანეთში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, მე-2 გამოცემა, გვ. 100.

20. იხ. იქვე.

21. ხუბუა გ., ტრაუტი ი.: კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, 2001, გვ. 15.

22. ხუბუა გ., ტრაუტი ი.: კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, 2001, გვ. 18.

23. იქვე, გვ. 25.

24. იქვე, გვ. 26-27.

დარღვევები, რომელებიც პირდაპირ ან უშუალოდ არის გამოწვეული სამართლებრივი ორგანოს ქმედებით ან უმოქმედობით.²⁵ ამ ქვეყნების წინააღმდეგ ადამიანის უფლებათაA ევროპულ სასამართლოში ყველაზე ნაკლები საჩივლია შეტანილი. მაგალითად, 1959 წლიდან 2011 წლის ჩათვლით ესპანეთის წინააღმდეგ შეტანილი იქნა მხოლოდ 103 საჩივარი.²⁶

ესპანეთის და გერმანიის მაგალითებით ნათლად ჩანს, რომ საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა გადახედვის შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ არ წარმოადგენს ჩარევას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ საქმიანობაში, პირიქით, აღნიშნული მექანიზმით უფრო ეფექტური ხდება დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს პრინციპი და მისი განმტკიცება. საკონსტიტუციო სასამართლო თავად წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ნაწილს, რომლის ერთ-ერთი მიზანია უზრუნველყოს ქვეყნის კონტიტუციის დაცვა სახელმწიფო ორგანოების მიერ.

4. დასკვნა

საქართველოში არსებული საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი, ვფიქრობ, აუცილებელია უფრო ეფექტური გახდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით არ ხდება დარღვეული უფლების აღდგენა. ის იწვევს, მხოლოდ, გადანყვეტილების აღსრულების შეჩერებას. უფრო კონკრეტულად, თუ პირს შეეფარდება სასჯელი იმ ნორმის საფუძველზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებებთან და ამ ნორმას საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს, დარღვეული უფლების სუბიექტს არ გააჩნია სამართლებრივი ბერკეტი, რომ ქვეყნის შიგნით მოითხოვოს უფლების აღდგენა. ასევე, თითქმის უფუნქციოა საერთო სასამართლოების მიერ კონტიტუციური წარდგინების მექანიზმი. ზემოთ მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ მოსამართლემ არ გამოიყენა აღნიშნული უფლება, როდესაც თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა ვ.მ-ს იმ ნორმით, რომელიც ცალსახად არაკონსტიტუციური იყო (იხ. ზემოთ). მეტიც, ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში „კაკაბაძე და სხვები“ საქართველოს წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავჯდომარის „თვითნებობას“, როდესაც 2006 წელს მოქმედი სსსკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე შეუფარდა განმცხადებლებს თავისუფლების აღკვეთა. „ (...) როდესაც თავისუფლების ნებისმიერი სახის აღკვეთის კანონიერება დავის საგანი ხდება კონვენცია მიმართავს ეროვნულ კანონმდებლობას (...), აღნიშნული პირველ რიგში მოითხოვს ნებისმიერ დაკავებას ან დაპატიმრებას ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგრამ ასევე კავშირში უნდა იყოს კანონის ხარისხთან, რაც გულისხმობს მის შესაბამისობას კანონის უზენაესობასთან (...), რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობის ყველა რისკი. (...) თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს კანონიერი ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით, მაგრამ თვითნებური, რაც პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში კონვენციასთან. (...) უფრო მეტიც დაპატიმრება იქნება „თვითნებური“, როცა ეროვნული კანონმდებლობის დაცვის მიუხედავად შესაბამისი ორგანოების მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.“²⁷

აღნიშნულ არგუმენტებზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ უნდა გაიზარდოს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრე, რადგან არსებობს საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციის დარღვევის ალბათობა. საქართველოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს,

25. იხ. 2006 წლის 28 ნოემბრის საქმე №40765/02, „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“.

26. იხ. წყარო: http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/E58E405A-71CF-4863-91EE-779C34FD18B2/0/APERCU_19592011_EN.pdf

27. იხ. წყარო: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1815564

ასევე იურიდიულ პირებს, რომელთა უფლებები დაირღვა ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, უნდა ჰქონდეთ კანონიერი ბერკეტი იმისა, რომ პირველ რიგში ქვეყნის შიგნით მოახდინონ დარღვეული უფლების აღდგენა არა აბსტრაქტულად, არამედ რეალურად - კონკრეტული დარღვევიდან გამომდინარე. არგუმენტი იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება გამოიწვევს სასამართლოს გადატირთვას არ არის მყარი, ვინაიდან სტატისტიკური მონაცემებით საკონსტიტუციო სასამართლოში 1996 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მხოლოდ 532 კონსტიტუციური სარჩელი და 16 კონსტიტუციური წარდგინება არის შეტანილი.²⁸

ერთადერთი რისკ ფაქტორი, რაც შეიძლება საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრის გაფართოებას მოჰყვეს ისაა, რომ შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების გასაჩივრებამ ფორმალური ხასიათი მიიღოს. აღნიშნულის აღმოფხვრაც შესაძლებელია ისეთი საკანონმდებლო ნორმების მეშვეობით, რომლებშიც მკაცრად იქნება განერილი საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევები. ასე მაგალითად, 1. ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც თვლის, რომ დაერღვა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებით ან აქტით კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით/საჩივრით, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამონაურული ყველა სხვა სამართლებრივი საშუალება. აღნიშნული პროცედურა უნდა იყოს მარტივი და მოქნილი; 2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გავრცელდეს, ესპანეთის მსგავსად, მხოლოდ მოსარჩელეზე. 3. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება უნდა იყოს დასჯადი. 4. საჭიროა გაიწეროს გონივრული ვადა, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლო დაასრულებს საქმის განხილვას.

მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გადახედვა არ იწვევს სასამართლო ხელისუფლების არსის და პრინციპის ხელყოფას. აღნიშნული ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს — ეროვნულ დონეზე მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები და ზოგადად, კონსტიტუცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გადახედვის შესაძლებლობა ეფექტური მექანიზმია ადამიანის უფლებების დაცვისათვის, რაც, ვფიქრობ, უდავოდ შეამცირებს ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ განცხადებათა რაოდენობას.

28. იხ. წყარო: http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=243

ვეტოს უფლებით პრეზიდენტის აღჭურვის მიზანშეწონილობა საქართველოში არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობაში²

შესავალი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ძალიან საინტერესო კონსტრუქციას ქმნის ბევრ კონსტიტუციურ საკითხთან მიმართებით. რეალურად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველად ხდება, რომ პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ერთ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს. შესაბამისად, შეიქმნა წინაპირობა იმისა, რომ ბევრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც აქამდე მხოლოდ ფორმალურ დატვირთვას ატარებდა, პრაქტიკულად ამოქმედდეს. ამ საკითხთან მიმართებით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პრეზიდენტის უფლებამოსილება გამოყენოს ვეტოს უფლება კანონპროექტთან მიმართებით.

თანამედროვე სამართალში ვეტოს გამოყენების ყველაზე დიდი პრაქტიკა აშშ-ს გააჩნია და მარტივი სტატისტიკიდანაც აშკარად ჩანს, რომ პრეზიდენტები ვეტოს ყველაზე ხშირად სწორედ მაშინ იყენებდნენ, როდესაც პარლამენტში უმრავლესობას მონინალმდევე პოლიტიკური ძალა წარმოადგენდა.³ შესაბამისად, არსებული პოლიტიკური მოცემულობის ფონზე, როდესაც პრეზიდენტს აღარ ჰყავს საპარლამენტო უმრავლესობა მისთვის არასასურველი კანონის მიღების ხელშესაძლებლად ერთადერთი საშუალება სწორედ ვეტო რჩება.⁴

შექმნილი პოლიტიკური ვითარების გარდა საკითხის აქტუალობას განაპირობებს ბოლო პერიოდის კონსტიტუციური რეფორმის ანალიზიც, რომელშიც აშკარად გამოიკვეთა მისწრაფება პარლამენტის როლის გაზრდის კუთხით. ერთი მხრივ, პარლამენტარიზმის პირობებში შესაძლოა ვეტოს ინსტიტუტის არსებობა არ იყოს მიზანშეწონილი, რომ არ შეილახოს პარლამენტის პრივილეგირებული მდგომარეობა, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა სწორედ პრივილეგირებული პარლამენტის დროს უფრო მეტად იყოს საჭირო საკანონმდებლო ორგანოს განწინასწორება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატია მიზნად ისახავს გაანალიზებულ იქნას საქართველოში არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური მოცემულობის ფონზე ვეტოს ინსტიტუტის დატვირთვა და პრაქტიკული მნიშვნელობა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხილული იქნება ვეტოს ინსტიტუტის არსი მისი აღმოცენების დროს და თანამედროვე სამართალში. აგრეთვე, გაანალიზებულ იქნება ვეტოსთან მიმართებით ქართულ კანონმდებლობაში არსებული რეგულაციები და მათი ეფექტურობა ხელისუფლების დანაწილების არსებული კონსტრუქციის გათვალისწინებით.

1. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი.

2. სტატია შესრულებულია 2012 წლის დეკემბერში.

3. David McKay, 'Presidential Strategy and the Veto Power: A Reappraisal' (1989) 104(3) Political Science Quarterly, 447.

4. ავთანდილ დემეტრაშვილი (რედ), კონსტიტუციური სამართალი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2005, 403.

1. ვეტოს უფლების არსი და მისი დატვირთვა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ქრილში

1.1. ვეტოს უფლების მნიშვნელობა მისი განვითარების საწყის ეტაპზე

„ვეტო“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და აკრძალვას ნიშნავს. თავად ინსტიტუტი პირველად რომის იმპერიაში აღმოცენდა, სადაც ტრიბუნი ალჭურვილი იყო უფლებით შეეჩერებინა ცალკეული აქტების ძალაში შესვლა.⁵ ვეტოს მთავარი დატვირთვა იმ პერიოდში იყო პლებეების დაცვა პატრიციებისგან, რომლებიც უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილი სენატში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ რომის იმპერიაში ვეტო წარმოადგენდა მოქალაქეების⁶ დაცვის საშუალებას სახელისუფლებო ორგანოებისგან, რომლებშიც ძალაუფლება ძირითადად მაღალი კლასის წარმომადგენლებს, პატრიციებს ჰქონდათ.⁷

განვითარების შემდეგ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო ვეტოს უფლებით სახელმწიფოს მეთაურის ალჭურვა. ლოგიკურია, რომ როდესაც მოქალაქეების დაცვის მიზნით ხდება ვეტოს უფლების რეალიზება, ამ უფლებით უნდა აღიჭურვოს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი. შუა საუკუნეებში ვეტომ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ინგლისში, სადაც მონარქის აბსოლუტური ძალაუფლება თანდათანობით შეიზღუდა და კანონშემოქმედების პროცესში წამყვანი ფიგურა პარლამენტი გახდა. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან პარლამენტი მხოლოდ სათათბირო ორგანოს აღარ წარმოადგენდა და მას უკვე კანონის მიღების პრეროგატივა ჰქონდა იმ პირობით, რომ სახეზე იქნებოდა მონარქის თანხმობა. აღსანიშნავია, რომ კანონის ძალაში შესასვლელად მონარქის თანხმობა დღესაც აუცილებელია გაერთიანებულ სამეფოში, თუმცა მას მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს, რადგან ბრიტანელ მონარქს ეს უფლებამოსილება 1708 წლის შემდეგ აღარ გამოუყენებია. გაერთიანებულ სამეფოში ვეტო იმდენად ფორმალურ ინსტიტუტად იქცა, რომ ხშირად ხუმრობით აღნიშნავენ, რომ კანონპროექტი მონარქის ჩამოხრჩობას რომ ითხოვდეს ეს უკანასკნელი მაინც არ გამოიყენებს ვეტოს უფლებას.⁸ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში ვეტომ აქტიულობა დაკარგა ბრიტანეთის მაგალითი ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი დასკვნების გასაკეთებლად. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მოქალაქეების ინტერესების დაცვის გარდა ინგლისის მონარქის ხელში ვეტომ ახალი დატვირთვა შეიძინა და სახელმწიფოს მეთაურის საკანონმდებლო ფუნქციის ერთ-ერთ გამოვლინებად იქცა.

1.2. ვეტო, როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შემადგენელი კომპონენტი

აშშ-ს კონსტიტუციაზე მუშაობის პერიოდში ერთ-ერთი აქტიუალური საკითხი იყო უნდა შენარჩუნებულიყო თუ არა ვეტოს ინსტიტუტი და რა დატვირთვის მატარებელი უნდა ყოფილიყო ის აშშ-ს კონსტიტუციურ მოწყობაში. ინგლისელი მონარქის მიერ გადამეტებული უფლებამოსილების გამოყენების გამო აშშ-ს კონსტიტუციის ავტორები თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ დამოუკიდებელი აშშ-ს სისტემაში გამორიცხული უნდა ყოფილიყო ძალაუფლების რაიმე ფორმით უზურპაცია. სწორედ ამიტომ აშშ-ს კონსტიტუციის საყრდენ სვეტს წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ეს პრინციპი არ გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების მკაცრ სეპარაციას. ამ ინსტი-

5. John A. Fairlie, 'The Veto Power of the State Governor' (1917) 11(3) The American Political Science Review, 473.

6. პლებეები წარმოადგენდნენ მოქალაქეების ძირითად კატეგორიას რომის იმპერიაში.

7. William A. Clineburg, 'The Presidential Veto Power' (1966) 18 South Carolina Law Review, 732, 733.

8. Carl McGowan, 'The President's Veto Power: An Important Instrument of Conflict in Our Constitutional System' (1986) 23 San Diego Law Review, 791, 793.

ტუტის მთავარი იდეა არის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის მმართველობის საუკეთესო მოდელის შექმნა. რეალურად, სახეზეა ერთი ხელისუფლების სამი შტო და არა სამხელისუფლებიანობა, ამიტომ ჯერ კიდევ ლოკის და მონტესკიეს თეორიები აუცილებლად მიიჩნევა ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთთანამშრომლობას.⁹

აღნიშნული თეორია კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა აშშ-ს კონსტიტუციურ მოწყობაში, სადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის აუცილებელ ელემენტად დასახელდა შტოებს შორის ურთიერთკონტროლი და განონასწორება. ე.წ. **checks and balances** სისტემა მიზნად ისახავს თავიდან იქნას აცილებული ხელისუფლების რომელიმე შტოს ხელში გადაჭარბებული უფლებამოსილების დაგროვება და ხელისუფლების უზურპაცია.¹⁰ სწორედ ამ კონსტრუქცი-აში აუცილებელ კომპონენტად იქნა მიჩნეული პრეზიდენტის აღჭურვა ვეტოს უფლებით, რაც უნდა გამხდარიყო საკანონმდებლო ორგანოს გამანონასწორებელი ბერკეტი.¹¹

საინტერესოა ვეტოს უფლების ამერიკულმა მიდგომამ ამ ინსტიტუტის ახალი ფუნქცია გამოკვეთა, თუ არსებული ფუნქციების სისტემური გააზრება მოხდა. როგორც ითქვა, ისტორიულად ვეტოს დატვირთვა მოქალაქეების დაცვა და სახელმწიფოს მეთაურის საკანონმდებლო ფუნქციით აღჭურვა იყო. რეალურად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ამ ორივე ფუნქციას მოიცავს თავის თავში. ხელისუფლების დანაწილების მთავარი იდეა, როგორც აღინიშნა, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების მინიჭებას, ესეც პირდაპირი გამოხატულებაა **checks and balances** სისტემის. რეალურად, აშშ-ს კონსტიტუციის ავტორებმა პრეზიდენტის ხელში ვეტოს უფლება ახლებურად გაიზარეს. განსხვავებით ინგლისის მონარქისა, რომლის ვეტოს უფლებით აღჭურვა მონარქის ძლიერებას უსვამდა ხაზს, აშშ-ს პრეზიდენტისთვის ამ უფლების მინიჭება აუცილებელი გახდა საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების შეზღუდვის მიზნით. ლოგიკურად, პარლამენტის უფლებამოსილების შეზღუდვა შეიძლება ავტომატურად ნიშნავდეს პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას, თუმცა უნდა ითქვას, რომ აშშ-ს პრეზიდენტის საკანონმდებლო ფუნქცია დიდწილად მხოლოდ ვეტოში¹² აისახა და პრეზიდენტს არ ჰქონია ზედმეტი საკანონმდებლო უფლებამოსილება.¹³

1.3. ვეტოს დატვირთვა თანამედროვე სამართალში

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე მიზანშეწონილია მოხდეს ვეტოს ინსტიტუტის დანიშნულების გენერალიზება თანამედროვე სამართლებრივი მოცემულობის გათვალისწინებით. ლოგიკურია, რომ ვეტოს გამოყენება პრეზიდენტის მიერ ხშირი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტში უმრავლესობას სხვა პოლიტიკური ძალა წარმოადგენს. სახელმწიფოთა პრაქტიკა ადასტურებს, რომ პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის კონფრონტაციის პირობებში ყველაზე ხშირად ხდება ვეტოს გამოყენება. სწორედ ამიტომ, ლიტერატურაში ხშირად მსჯელობენ თუ რა კავშირია აღნიშნულ კონფრონტაციასა და ვეტოს გამოყენებას შორის.¹⁴ ერთი მიდგომის მიხედვით, პრეზიდენტსა და პარლამენტს

9. Rohini Dasgupta, 'Notes on the Montesquieu Theory of separation of powers' <<http://www.preservearticles.com/201104235909/notes-on-the-montesquieu-theory-of-separation-of-powers.html>> (02.01.2012).

10. Richard A. Riggs, 'Separation of Powers: Congressional Riders and the Veto Power' (1972-1973) 6 U. Mich. J.L. Reform, 735, 751; აგრეთვე იხილეთ: 'Checks and Balances' <<http://www.shmoop.com/constitution/checks-and-balances.html>> (02.01.2012).

11. Carl McGowan, 'The President's Veto Power: An Important Instrument of Conflict in Our Constitutional System' (1986) 23 San Diego Law Review, 791, 806.

12. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006, 293.

13. William A. Clinenburgh, 'The Presidential Veto Power' (1966) 18 South Carolina Law Review, 732, 738.

14. David McKay, 'Presidential Strategy and the Veto Power: A Reappraisal' (1989) 104(3) Political Science Quarterly, 447, 448.

შორის არსებული არასახარბიელო ურთიერთობა არის ვეტოს გამოყენების გამომწვევი მიზეზი. მეორე მიდგომის მიხედვით კი, პირიქით, პრეზიდენტის მხრიდან ვეტოს გამოყენება ხდება შემდეგ პარლამენტთან კონფრონტაციის მიზეზი.¹⁵ რეალურად, ამ საკითხის ირგვლივ სიღმრისეულ ველის ჩატარება საჭირო არ არის, რადგან ერთსა და იმავე დროს ორივე მიდგომა რაციონალურია და ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვეტოს გამოყენება და სახელმწიფო დავის დაპირისპირება ურთიერთდაკავშირებული საკითხებია და მიზანშეწონილია მოხდეს ამ ინსტიტუტის ანალიზი და არა იმის დადგენა დაპირისპირება იწვევს ვეტოს თუ პირიქით.

იმისათვის, რომ ვეტოს არსი იქნას გაანალიზებული პირველ რიგში უნდა დადგინდეს თუ რა მიზნით ხდება პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენება თანამედროვე რეალობაში. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს რაიმე ჩამონათვალი იმ წინაპირობებისა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პრეზიდენტი გამოიყენებს ვეტოს უფლებას.¹⁶ სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოკვეთოს ის ძირითადი მიზეზები, რის მისაღწევადაც სახელმწიფოს მეთაურები იყენებენ ამ უფლებამოსილებას. უმეტეს შემთხვევაში კანონპროექტის ხელმწიფაზე პრეზიდენტი უარს ამბობს იმ მოტივით, რომ მის წინაშე წარდგენილი კანონპროექტი არაკონსტიტუციური¹⁷ ან არაგონივრულია.¹⁸ ბუნებრივია, ორივე შემთხვევაში გამართლებულია პრეზიდენტმა არ დაუშვას ამგვარი კანონმდებლობის მიღება, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ მისი შეფასება მთლიანად პრეზიდენტზეა დამოკიდებული არსებობს საფრთხე იმისა, რომ ვეტოს გამოყენება სუბიექტური ინტერესების გათვალისწინებით მოხდება. შესაბამისად, შესაძლოა მოხდეს გონივრული კანონმდებლობის დაბლოკვა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური ინტერესებისთვის. რეალურად ვეტო შესაძლებელია პრეზიდენტის მიერ გამოყენებულ იქნას პარლამენტთან პოლიტიკური ვაჭრობის იარაღად.¹⁹

ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ, რომ ვეტო აგრეთვე არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაცვის მექანიზმი საკანონმდებლო ორგანოსგან.²⁰ რეალურად, ეს არგუმენტი სწორი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ ნაწილში, თუ პარლამენტი კანონმდებლობის შეცვლის გზით ცდილობს აღმასრულებელი შტოს უფლებამოსილების შემცირებას საკუთარი უფლებამოსილების გაზრდის ხარჯზე. ამ კუთხით, ვეტო შეიძლება მართლაც ჩაითვალოს პარლამენტისგან დაცვის მექანიზმად, თუმცა ამ შემთხვევაშიც შესაძლოა სრულიად საპირისპირო მოცემულობა დადგეს და შეიძლება თავად პრეზიდენტმა ეს უფლებამოსილება გამოიყენოს პირიქით პარლამენტზე ზეწოლის ბერკეტად.

კიდევ ერთი ფუნქცია, რომელსაც ვეტოს ინსტიტუტი ატარებს არის სახელმწიფო მეთაურის საკანონმდებლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ფუნქცია ვეტომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ინგლისში შეიძინა და სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს, თუმცა საინტერესოა თანამედროვე მონაცემების სახელმწიფოებში რა მიზანი აქვს პრეზიდენტის საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვას. ზოგადად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია ყველა შტო და შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოც, საქმიანობას ისე ახორციელებდეს, რომ სხვა შტოს ჰქონ-

15. იქვე, 450.

16. Carl McGowan, 'The President's Veto Power: An Important Instrument of Conflict in Our Constitutional System' (1986) 23 San Diego Law Review, 791, 804.

17. John A. Fairlie, 'The Veto Power of the State Governor' (1917) 11(3) The American Political Science Review, 473, 491.

18. Richard A. Riggs, 'Separation of Powers: Congressional Riders and the Veto Power' (1972-1973) 6 U. Mich. J.L. Reform, 735, 742.

19. Andrea Chandler, 'Presidential Veto Power in Post-Communist Russia, 1994-1998' (2001) 34(3) Canadian Journal of Political Science, 487, 492.

20. Nolan M. McCarty and Keith T Poole, 'Veto Power and Legislation: An Empirical Analysis of Executive and Legislative Bargaining from 1961 to 1986' (1995) 11 Journal of Law, Economics and Organization, 282.

დეს მისი განონასწორების შესაძლებლობა.²¹ სწორედ ეს არის ძირითადი იდეა თუ რატომ უნდა მიიღოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა ვეტოს უფლების რეალიზების სახით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ცალკეულ ქვეყნებში ამ საკითხს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა აქვს ვიდრე უბრალოდ პარლამენტის განონასწორება. აშშ–ს უზენაესი სასამართლოს პოზიციით, პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია, რომელმაც უნდა აღასრულოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობა და სწორედ ამიტომ ლოგიკურია, რომ ის მონაწილეობდეს ამ კანონმდებლობის შემუშავების პროცესში.²² მართალია სასამართლოს ეს პოზიცია უშუალოდ აშშ–ს შეეხებოდა, თუმცა იგივე არგუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას საპრეზიდენტო მმართველობის ნებისმიერ მოდელში, სადაც პრეზიდენტი ამასთანავე არის აღმასრულებელი შტოს ხელმძღვანელი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამართალში ვეტოს უფლება შეიძლება ატარებდეს შემდეგ ძირითად დაცვით ფუნქციებს: 1) მოსახლეობის ინტერესების დაცვა; 2) აღმასრულებელი შტოს დაცვა; 3) კონსტიტუციის დაცვა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გარდა დაცვითი ფუნქციებისა ვეტო წარმოადგენს პრეზიდენტის მიერ პარლამენტზე ზემოქმედების საკმაოდ ძლიერ იარაღს.

2. ვეტოს უფლებასთან მიმართებით საქართველოში არსებული რეგულაციების ანალიზი

იქიდან გამომდინარე, რომ ვეტო საკანონმდებლო პროცედურის ერთ–ერთი ეტაპია, ქართული კანონმდებლობა საკმაოდ დეტალურად არეგულირებს ვეტოს უფლების რეალიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს კონსტიტუციის²³ და პარლამენტის რეგლამენტის დონეზე²⁴. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს გარკვეული პროცედურული დეტალები, რომლებიც ტექსტში ასახული არ არის და მათი განსაზღვრა შესაბამისი ნორმების ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს.

უშუალოდ ამ რეგულაციების მიმოხილვამდე, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს პრეზიდენტს საკმაოდ ძლიერი საკანონმდებლო უფლებამოსილებები გააჩნია. პრეზიდენტს შეუძლია საკანონმდებლო ინიციატივით შევიდეს პარლამენტში და უფრო მეტიც, მოითხოვს ამ კანონპროექტის რიგგარეშე განხილვა.²⁵ ამ ყველაფერს ემატება პრეზიდენტის ხელში არსებული სუსპენზიური ვეტოს უფლება, რაც მთლიანობაში პრეზიდენტს საკანონმდებლო პროცესში ერთ–ერთ წამყვან ფიგურად აქცევს. კონსტიტუციური რეფორმის მიმდინარეობის დროს ექსპერტების მხრიდან ერთ–ერთი ძირითადი შენიშვნა სწორედ ამ საკითხთან მიმართებით კეთდებოდა²⁶, რამაც პრაქტიკული შედეგი გამოიღო და კონსტიტუციაში შესული ცვლილების შედეგად პრეზიდენტს საკანონმდებლო პროცესში მხოლოდ ვეტოს უფლება დარჩა.²⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ რეალობაშიც ვეტოს ინსტიტუტი განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა და

21. Richard A. Riggs, 'Separation of Powers: Congressional Riders and the Veto Power' (1972-1973) 6 U. Mich. J.L. Reform, 735, 751.

22. William A. Clinenburt, 'The Presidential Veto Power' (1966) 18 South Carolina Law Review, 732, 738.

23. იხ. საქართველოს კონსტიტუციის 68–ე მუხლი.

24. იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 171–ე და 172–ე მუხლები.

25. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 67.

26. ვახტანგ ხმაღაძე და ზურაბ ჯიბლაშვილი, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტის (2010 წ.) კომენტარი, (ხელმისაწვდომია: <<http://www.parliament.ge/publicdebates/khmaladze.pdf>> 15.12.2012), 11.

27. საქართველოს კონსტიტუციის 67–ე მუხლში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, საქართველოს პრეზიდენტს აღარ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მიზანშეწონილია მოხდეს მასთან დაკავშირებული რეგულაციების ანალიზი, რათა დადგინდეს მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის ეფექტურობა.

2.1. პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების მოტივირებული დასაბუთება

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ვეტოს უფლების გამოყენების შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებულია კანონპროექტი დააბრუნოს პარლამენტში მოტივირებული შენიშვნებით. ერთი შეხედვით, ძალიან ჩვეულებრივი რეგულაციაა, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონეა, რომ პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების დროს ყველასთვის ცხადი იყოს მისი მოტივაცია. რუსეთის კანონმდებლობაში აღნიშნული მოთხოვნის არ არსებობის გამო 90-იან წლებში ელცინის მიერ გამოყენებული ვეტოების დიდი რაოდენობა მოსახლეობისთვის გაუგებარი იყო და მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი პოზიცია ჩამოეყალიბებინათ პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის არსებული კონფრონტაციის პირობებში რომელი შტო არღვევდა კონსტიტუციური «თამაშის წესებს».²⁸

აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის რეგლამენტში არსებული რეგულაცია ძალიან კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ვეტოს გამოყენების პროცედურა იყოს გამჭვირვალე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს პრეზიდენტის მიერ ამ უფლებამოსილების პირადი ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. ამ კუთხით, ძალიან საინტერესო მოთხოვნას აწესებს აშშ-ს კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს არა მხოლოდ ევალება ვეტოს გამოყენების დასაბუთება, არამედ ეს არგუმენტაცია ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს კიდევ სათანადო ორგანოში, რაც კიდევ უფრო მეტ საჯაროობას უწყობს ხელს.²⁹

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ გონივრულად მოხდეს ვეტოს უფლების გამოყენება ასახულია რეგლამენტის 171-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები კანონპროექტის სახით უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ეს ნორმა საკმაოდ კარგი მექანიზმია იმისათვის, რომ ვეტოს რეალიზებამ არ მოახდინოს კანონის მიღების პროცედურების გაჭიანურება და არ წარმოშვას ახალი კონფრონტაცია სრულად მოხდა თუ არა პრეზიდენტის აზრის ასახვა პარლამენტის მიერ შენიშვნის გათვალისწინების შემთხვევაში. არსებული რეგულირება, საშუალებას იძლევა, რომ პარლამენტმა ყოველგვარი დროის დაკარგვის გარეშე ან უარყოს შენიშვნა და დაძლიოს ვეტო, ან მიიღოს პრეზიდენტის შენიშვნა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რადგან ამ შენიშვნას კანონპროექტის სახე აქვს პირდაპირ მოხდება მისი ინკორპორირება პირველად რედაქციაში.

2.2. დასაშვებია თუ არა ერთსა და იმავე კანონპროექტზე ვეტოს განმეორებით გამოყენება?

ვეტოს უფლებაზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ თანამედროვე დემოკრატიული მონყოლის სახელმწიფოში მოქმედებს მხოლოდ ე.წ. შეყოვნებითი ან სუსპენზიური ვეტო, რაც ნიშნავს იმას, რომ პარლამენტი უფლებამოსილია ხმათა უფრო მაღალი რაოდენობით დაძლიოს ვეტო და მაინც მიიღოს კანონი. თანამედროვე დემოკრატია არ აღიარებს აბსოლუტური ვეტოს არსებობას, როდესაც ვეტოს საბოლოო ძალა აქვს და მისი გადალახვა შეუძლებელი ხდება.³⁰ ეს უკანასკნელი ამკარად წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რომლის მიხედვითაც, მართალია ვეტო აუცილებელი ინსტრუმენტია საკანონ-

28. Andrea Chandler, 'Presidential Veto Power in Post-Communist Russia, 1994-1998' (2001) 34(3) Canadian Journal of Political Science, 487, 502.

29. იქვე, 496.

30. ოთარ მეღვანე, კონსტიტუციონალიზმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006, 294.

მდებლო ორგანოს გასაწინააღმდეგებლად, მაგრამ განწინააღმდეგება არ უნდა მოხდეს ისე, რომ ფუნქცია დაუკარგოს პარლამენტის არსებობას. უფრო ზუსტად რომ ითქვას, საკანონმდებლო ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ჰქონდეს საბოლოო სიტყვის თქმის შესაძლებლობა, რომ არ მოხდეს მის სფეროში გაუმართლებელი ჩარევა. სწორედ ამას უზრუნველყოფს შეყოვნებით ვეტო, რომლის დროსაც გადამწყვეტი სიტყვა მაინც პარლამენტზეა შევა თუ არა კანონი ძალაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე სამართალში ვეტოს მხოლოდ შეყოვნებითი და არა დაბლოკვითი ფუნქცია უნდა ჰქონდეს და სწორედ ამ ქრილში უნდა იქნას განხილული განმეორებითი ვეტოს მიზანშეწონილობაც.

როგორც ნესი, განმეორებითი ვეტო კანონმდებლობაში დარეგულირებული არ არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თანამედროვე სამყაროში ვეტო ყოველთვის განიხილება, როგორც ერთჯერადად შეყოვნებითი ეფექტის მქონე ინსტიტუტი. მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რომ დროთა განმავლობაში ეს მიდგომა შეიცვალოს და პირდაპირი აკრძალვის არ არსებობის პირობებში პრეზიდენტმა განმეორებით დაადოს ვეტო ერთსა და იმავე კანონპროექტს. ამის პრეცედენტი არაერთხელ დაფიქსირდა 90-იანი წლების რუსეთში, როდესაც პრეზიდენტი ელცინი კანონპროექტს განმეორებით ადებდა ვეტოს იმ მოტივით, რომ მისი აზრით წარდგენილი პროექტი იყო არაკონსტიტუციური და პრეზიდენტი, როგორც კონსტიტუციის გარანტი, ხელს ვერ მოაწერდა აღნიშნულ აქტს.³¹

საინტერესოა, როგორ რეგულირდება ეს საკითხი ქართულ კანონმდებლობაში. რეალურად არც საქართველოს კონსტიტუცია და არც პარლამენტის რეგლამენტი ამ საკითხს არ აწესრიგებს. ორივე აქტში საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ თუ ვეტოს დაძლევის შემდეგ პრეზიდენტი არ გამოაქვეყნებს კანონს, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.³² საკითხავია რა ხდება მაშინ, თუ პრეზიდენტმა ეს კანონპროექტი განმეორებით უკან დააბრუნა იმ მოტივით, რომ მან ეს პროექტი არაკონსტიტუციურად მიიჩნია? აქვს თუ არა პრეზიდენტს ეს უფლება იმ მოტივით, რომ ის კონსტიტუციის გარანტია? რას ნიშნავს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომ პრეზიდენტმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა კონსტიტუციის შესაბამისად? ერთი შეხედვით, შეიძლება მართლაც გამართლებული ჩანდეს, რომ პრეზიდენტმა უარი თქვა იმ კანონის ხელმოწერაზე, რომელიც მას არაკონსტიტუციურად მიაჩნია, თუმცა ამ საკითხს უფრო სისტემური გააზრება სჭირდება. პრეზიდენტის აღნიშნული ფუნქცია არ შეიძლება განმარტებულ იქნას მონყვეტილად, არამედ ის მთლიანი კონსტიტუციური მოწყობის და საკანონმდებლო პროცესის ფარგლებში უნდა იქნას გააზრებული.

როგორც უკვე აღინიშნა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო პროცესში საბოლოო სიტყვის თქმის შესაძლებლობა პარლამენტს უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, დაუშვებელია პრეზიდენტმა ნებისმიერი მოტივით საკანონმდებლო პროცესის „დაბლოკვა“ მოახდინოს. ამიტომ, პრეზიდენტმა კონსტიტუციის დაცვა სხვა საშუალებებით უნდა განახორციელოს. სწორედ ამას ცხადყოფს კონსტიტუციური რეფორმის შედეგად კონსტიტუციის 69-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ჩანაწერი „უზრუნველყოფს (...) სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად“ შეიცვალა შემდეგი ჩანაწერით „კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას“. ერთი შეხედვით, დიდი განსხვავება არ არის ამ ორ ტექსტს შორის, თუმცა ახალი რეგულაცია პირდაპირ მიუთითებს, რომ პრეზიდენტმა საკუთარი ფუნქცია უნდა განახორციელოს უშუალოდ კონსტიტუ-

31. Andrea Chandler, 'Presidential Veto Power in Post-Communist Russia, 1994-1998' (2001) 34(3) Canadian Journal of Political Science, 487, 17.

32. იხ. საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტი და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ცხადია, კონსტიტუცია პრეზიდენტს არ ანიჭებს განმეორებითი ვეტოს გამოყენების უფლებას თუნდაც კანონპროექტი არაკონსტიტუციურად მიაჩნდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პრეზიდენტს კონსტიტუციის 89-ე მუხლიდან გამოდინარე აქვს შესაძლებლობა კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სწორედ ეს პოზიცია გააჟღერა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ბორის ელცინის არგუმენტის სანინააღმდეგოდ და პრეზიდენტი დაავალდებულა, რომ პარლამენტის მიერ ვეტოს დაძლევის შემთხვევაში ხელი მოენერა კანონისთვის, თუნდაც პრეზიდენტს ის არაკონსტიტუციური მიაჩნდეს.³³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის მიერ ერთსა და იმავე კანონპროექტზე ვეტოს განმეორებით გამოყენება არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და კანონმდებლობაში მისი პირდაპირ არ აკრძალვა არ შეიძლება გახდეს განმეორებითი ვეტოს გამოყენების საფუძველი.

2.3. „ჯიბის ვეტო“ და მისგან დაცვის მექანიზმები ქართულ კანონმდებლობაში

აშშ-ს კონსტიტუციურ სამართალში ცნობილია ე.წ. „ჯიბის ვეტოს“ ინსტიტუტი, რაც სახეზეა მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ხელმოსაწერად წარდგენილ კანონპროექტს არ აწერს ხელს, მაგრამ ვერც პარლამენტში აბრუნებს განსახილველად, რადგან საპარლამენტო არდადგებია ან გასულია საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ვადა. ამ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი არ მოაწერს ხელს კანონპროექტს, ის ძალაში ვერ შედის. შესაბამისად თეორიაში საუბრობენ, რომ ამ დროს პრეზიდენტმა „ვეტო ჯიბეში ჩაიდო“.³⁴ ეს შემთხვევა ხშირი კრიტიკის საგანია, რადგან პრეზიდენტს ერთპიროვნულად შეუძლია საპარლამენტო უმრავლესობის ნების წინააღმდეგ წასვლა.³⁵ თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა პრეზიდენტმა მისთვის ხელმოსაწერად განკუთვნილი ვადა არაკეთილსინდისიერად არც გაწელოს და მოხდეს ისე, რომ პარლამენტის „არადადგებზე გასვლის“ ან უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სურდეს კანონპროექტის დაბრუნება. ამ დროს სახეზე არ არის პრეზიდენტის არაკეთილსინდისიერი საქციელი, არამედ საკანონმდებლო ჩიხი, რომელიც ტექნიკურად გამორიცხავს კანონპროექტის პარლამენტში დაბრუნებას და ეს პროექტი ავტომატურად კარგავს ძალას. სწორედ, ეს პოზიცია დააფიქსირა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ 1929 წელს ჯიბის ვეტოს საქმეზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ჯიბის ვეტო ყოველთვის პრეზიდენტის „ბრალეულებას“ არ გულისხმობს.³⁶ მოგვიანებით, 1938 წელს *Wright v. US* -ს საქმეზე უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია პრეზიდენტის შენიშვნების პარლამენტში დაბრუნება იმ შემთხვევაშიც თუ სესია უკვე დამთავრებული იყო, იმ პირობით, რომ კონგრესი დანიშნავდა სპეციალურ წარმომადგენელს არასასესიო პერიოდში ვეტოს შეტყობინების მისაღებად.³⁷ ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციის დებულებები არ შეიძლება ისე ხისტად განიმარტოს, რომ საკანონმდებლო პროცესში რაიმე ფორმით შეიზღუდოს 1) პრეზიდენტის შესაძლებლობა გაანალიზოს მისთვის ხელმოსაწერად გადაცემული კანონპროექტი და 2) პარლამენტის შესაძლებლობა გაანალიზოს პრეზიდენტის შენიშვნები ვეტოს გამოყენებისას.³⁸

33. Andrea Chandler, 'Presidential Veto Power in Post-Communist Russia, 1994-1998' (2001) 34(3) Canadian Journal of Political Science, 487, 404.

34. Carl McGowan, 'The President's Veto Power: An Important Instrument of Conflict in Our Constitutional System' (1986) 23 San Diego Law Review, 791, 817.

35. William A. Clinenburgh, 'The Presidential Veto Power' (1966) 18 South Carolina Law Review, 732, 742.

36. Carl McGowan, 'The President's Veto Power: An Important Instrument of Conflict in Our Constitutional System' (1986) 23 San Diego Law Review, 791, 818.

37. William A. Clinenburgh, 'The Presidential Veto Power' (1966) 18 South Carolina Law Review, 732, 743.

38. <<http://supreme.justia.com/cases/federal/us/302/583/>> (15.12.2012).

საინტერესოა, არსებობს თუ არა „ჯიბის ვეტოს“ გამოყენების საფრთხე საქართველოში და რა რეგულაციებია ამ საკითხთან მიმართებით. პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლი გამორიცხავს კლასიკური «ჯიბის ვეტოს» შესაძლებლობას, რადგან გათვალისწინებულია ვეტოს პარლამენტში დაბრუნების შესაძლებლობა პარლამენტის უფლებამოსილების გასვლის და საპარლამენტო არადადეგების დროს. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში თეორიულად მაინც არსებობს ვეტოს „ჯიბეში ჩადების“ შესაძლებლობა. კერძოდ, საუბარია გარდამავალ პერიოდზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე. საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლის მიხედვით, ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 126-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „ახალი პარლამენტის არჩევნების დღის შემდეგ წინა მოწვევის პარლამენტის მორიგი სესიები არ იმართება, ხოლო რიგგარეშე სესია ან რიგგარეშე სხდომა იმართება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლით, 52-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 76-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-100 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე». ამ გამონაკლისი მუხლების ჩამონათვალი არ ითვალისწინებს ვეტოს უფლების დასაძლევად რიგგარეშე სესიის მოწვევას. შესაბამისად, პარლამენტის არჩევნებიდან ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე 20 დღიანი პერიოდია, რომლის განმავლობაშიც პრეზიდენტს შეუძლია ხელმოსაწერად გადაცემული კანონპროექტი დაუბრუნოს პარლამენტს, ისე, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილი არ იქნება შეიკრიბოს და განიხილოს შენიშვნები. აღსანიშნავია, რომ ეს შემთხვევა ძალიან იშვიათად შეიძლება მოხდეს მით უმეტეს თუ მხედველობაში მიიღება ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საპარლამენტო არჩევნების წელს არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში პლენარული სხდომა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იმართება და მისი მოწვევის უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან პარლამენტართა 1/4-ის მოთხოვნით. მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც სახეზეა საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც თეორიულად უშვებს „ჯიბის ვეტოს“ სპეციფიკური ფორმის გამოყენების შესაძლებლობას.

2.4. პრეზიდენტისთვის წარდგენილ კანონპროექტზე ხელის არ მოწერის სამართლებრივი შედეგები

საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს. ერთი შეხედვით, საკმაოდ ცხადი რეგულაციაა თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით ეს დანაწესი გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, საინტერესოა რა იგულისხმება პრეზიდენტისთვის გადაცემაში. როდის ითვლება კანონპროექტი პრეზიდენტისთვის გადაცემულად? როდესაც ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას ჩაბარდება ოფიციალური წესით, თუ როდესაც მას უშუალოდ პრეზიდენტი გაეცნობა? ალბათ ლოგიკურია, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის პროექტის წარდგენა ჩაითვალოს კონსტიტუციური მოთხოვნის დაკმაყოფილებად, რადგან პარლამენტი ფიზიკურად ვერ გააკონტროლებს როდის გაეცნობა კანონპროექტს პრეზიდენტი. უფრო მეტიც, ამგვარი გაგება კანონის მიღებას არაგონივრული ვადით განელავდა, რაც არ შეიძლება შესაბამისობაში იყოს კონსტიტუციის მიზნებთან.

თუმცა, ეს საკითხი მეორე მხრიდანც უნდა იქნას განხილული. რა ხდება მაშინ, თუ კანონპროექტი გადაეცა პრეზიდენტის ადმინისტრაციას და ობიექტური მიზეზის გამო პრეზიდენტმა განსაზღვრულ 10 დღის ვადაში ვერ შეძლო კანონპროექტის განხილვა? მაგალითად, შესაძლებელია საქმიანი ვიზიტით მყოფი პრეზიდენტი 10 დღეზე მეტი ხნით გაჩერდეს საზღვარგარეთ. საინტერესოა როგორ აწესრიგებს ამ საკითხს ქართული კანონმდებლობა. კონსტიტუციის 68-ე

მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, თუ პრეზიდენტმა დადგინდეს ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. ეს ნორმა ლოგიკური შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი გაეცნო ან უნდა გასცნობოდა წარდგენილ კანონპროექტს, მაგრამ თუ ეს მისთვის ზემოთ განხილული ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელი იყო მაშინ, ამ ნაწილში, შეიძლება საერთოდ აზრი დაკარგოს კონსტიტუციურმა მოთხოვნამ, რომ მიღებული კანონპროექტი პრომულგაციისთვის გადაეცეს პრეზიდენტს. როგორც ზემოთ განხილულ *Wright vs. US* საქმეში განმარტა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ, კონსტიტუციის არც ერთი მოთხოვნა არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გამორიცხოს პრეზიდენტის შესაძლებლობა გაეცნოს წარდგენილ კანონპროექტს. მოგვიანებით, *Edwards vs. US*-ს საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო უშუალოდ შეეხო პრეზიდენტის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში წარდგენილი კანონპროექტის საკითხს და დასძინა, რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონპროექტი პრეზიდენტს გადაეცა კონსტიტუციის მიზნების შესაბამისად და ამგვარი კანონპროექტი ძალაში არ უნდა შევიდეს.³⁹

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხთან მიმართებით კომენტარი არ გაუკეთებია და შესაბამისად, მოქმედი რეგულირებით კანონი ძალაში შევა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე, რაც შესაძლოა მართლაც საფრთხის ქვეშ აყენებდეს პრომულგაციის ინსტიტუტს.

3. ვეტოს უფლების მიზანშეწონილობა პარლამენტარიზმის პირობებში

პარლამენტისგან ნაწარმოები ტერმინი „პარლამენტარიზმი“ აღნიშნავს სახელმწიფო მონყობის იმ მოდელს, სადაც ხელისუფლების შტოებს შორის პარლამენტს პრივილეგირებული მდგომარეობა უკავია.⁴⁰ საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები მიმართული იყო კონსტიტუციურ ტრიადაში პარლამენტის როლის გაზრდისკენ, რაც შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტარიზმისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად. ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია და ხშირად მიმდინარეობს საუბრები პარლამენტის კიდევ უფრო გაძლიერების საჭიროებაზე. აქედან გამომდინარე, ვეტოს უფლების მიზანშეწონილობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა მოხდეს ბოლო კონსტიტუციური რეფორმის გაანალიზება და ამის შედეგად გაკეთდეს დასკვნები საქართველოში ვეტოს ინსტიტუტის რეალურ დატირთვასთან მიმართებით.

3.1. 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ანალიზი ვეტოს უფლებასთან მიმართებით

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ამოსავალი იდეა იყო პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტება და პარლამენტის გაძლიერება. შესაბამისად, საკონსტიტუციო ცვლილებები მნიშვნელოვნად შეეხო პრეზიდენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებებს. როგორც უკვე ითქვა, ცვლილებების შედეგად პრეზიდენტს აღარ შეუძლია პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის შეტანა. ლოგიკურად პრეზიდენტის შესუსტება და პარლამენტის გაძლიერება უნდა ასახულიყო ვეტოს პროცედურაზეც და სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ პარლამენტს უფრო მარტივად უნდა შესძლებოდა პრეზიდენტის შენიშვნების გადალახვა. კერძოდ, საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, კანონის პირველადი რედაქციის მისაღებად ვეტოს დაძლევა პარლამენტს შეუძლია სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხმების რაოდენობით ნაცვლად სიითი შემადგენლობის 3/5-ს უმრავლესობისა.⁴¹

39. *Edwards v. United States*, 286 U.S. 482, 493 (1932).

40. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006, 261.

41. საქართველოს კონსტიტუცია, 68-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

აგრეთვე, გამარტივდა ორგანული კანონის ვეტოს დაძლევა და ნაცვლად სიითი შემადგენლობის 3/5—სა, საკმარისია სრული შემადგენლობის 1/2—ის თანხმობა.⁴² თუმცა, ორგანულ კანონთან მიმართებით აუცილებელია ერთ ასპექტზე გამახვილდეს ყურადღება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ორგანული კანონის მისაღებად საჭიროა პარლამენტართა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა.⁴³ როგორც ითქვა, ვეტოს დასაძლევად კი საკმარისია სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხმების რაოდენობა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც სრული და სიითი შემადგენლობა ერთმანეთს დაემთხვევა, რაც არც თუ ისე მოულოდნელია, ვეტოს შეყოვნებითი ფუნქცია აზრს- დაკარგავს, რადგან მის დასაძლევად ზუსტად იგივე რაოდენობის ხმები იქნება საჭირო, რაც კანონპროექტის პირველადი რედაქციის მისაღებად.

აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია კონსტიტუციური კანონის პროექტთან მიმართებით, რადგან ამ შემთხვევაში კანონპროექტის მიღებასაც და ვეტოს დაძლევასც იდენტური ხმების რაოდენობა — სრული შემადგენლობის 3/4 — სჭირდება.⁴⁴ ყოველივე ეს საკმაოდ აძლიერებს პარლამენტის უფლებამოსილებას და მას ფაქტობრივად გაუნონასწორებელს ხდის, რადგან პრეზიდენტის ვეტოს უკვე ფაქტობრივად წონა აღარ აქვს. ამ შემთხვევაში ვეტო მხოლოდ პროცესის გაჭიანურებას თუ მოახდენს. ცხადია, თეორიულად შესაძლებელია, რომ პრეზიდენტის მიერ გამოთქმულმა შენიშვნებმა პარლამენტართა გარკვეულ ნაწილს აზრი შეუცვალოს და მათ აღარ მისცენ ხმა პირველად რედაქციას, თუმცა პრაქტიკულად ეს ძალიან იშვიათად შეიძლება მოხდეს იმ რეალობაში, სადაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა, პოლიტიკური პარტიის ერთიანი პოზიციის გამონახულება და არა ცალკეული პარლამენტარების ნების შედეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციურ კანონპროექტთან მიმართებით პარლამენტს რეალურად არ ჰყავს გამანონასწორებელი ორგანო და მთლიანად საკანონმდებლო ორგანოს ნებაზე არის დამოკიდებული კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტა. ეს ბუნებრივია, შესაბამისობაში ვერ იქნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რომლის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მიერ ერთმანეთის კონტროლი და განონასწორება. უფრო მეტიც, პარლამენტის განონასწორება ყველაზე მეტად სწორედ კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით არის საჭირო, რათა საკანონმდებლო ორგანოს მიერ არ მოხდეს ხელისუფლების შტოებს შორის არსებული კონსტიტუციური ბალანსის თვითნებური შეცვლა ისე, რომ აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს არანაირი ბერკეტი არ ექნებათ წინააღმდეგობა გაუწიონ საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, აღნიშნული რეგულაცია არა მხოლოდ აზრს უკარგავს ვეტოს ინსტიტუტის არსებობას, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის პრაქტიკული იმპლემენტაციის შესაძლებლობასაც.

თუმცა, აღნიშნული საკითხის უფრო სიღრმისეული ანალიზის შედეგად შესაძლებელია საპირისპირო დასკვნის გაკეთება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვეტოს ინსტიტუტის თანამედროვე გაგება მხოლოდ მის სუსპენზიურ ეფექტზე არის დამყარებული, რაც ისევ ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, კანონშემოქმედებით პროცესში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას საკანონმდებლო ორგანოს აძლევს. ვეტო მხოლოდ აყოვნებს და არ ბლოკავს კანონის ძალაში შესვლას. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პრეზიდენტის აზრით მიუღებელი კანონპროექტი ძალაში შეიძლება შევიდეს

42. იქვე.

43. 66—ე მუხლის მე-2 პუნქტი.

44. იხ. საქართველოს კონსტიტუციის 68—ე მუხლის მე-4 პუნქტსა და 102—ე მუხლის მე-3 პუნქტში 2010 წლის 15 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებები (საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, N3710 სსმ, N62, 05.11.2010 წ., მუხ. 379).

მხოლოდ კვალიფიციური უმრავლესობის გადაწყვეტილების შემდეგ, ისე რომ ამ უმრავლესობამ იცოდეს პრეზიდენტის შენიშვნების მოტივაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილება კონსტიტუციის გადასინჯვის წესთან მიმართებით, არ ეწინააღმდეგება ვეტოს ინსტიტუტის დანიშნულებას. კერძოდ, ახალი რეგულაციით გარანტირებულია, რომ პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემდეგ პარლამენტს ეცოდინება პრეზიდენტის მოტივაცია და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საკმაოდ კვალიფიციური უმრავლესობით, რაც პარლამენტის წევრების სრული შემადგენლობის 3/4-ს მოიცავს. ამ რაოდენობაზე მეტი ხმების რაოდენობით ვეტოს დაძლევის მოთხოვნა თითქმის შეუძლებელს გახდის პრეზიდენტის შენიშვნების არსებობისას პირველადი კანონპროექტის მიღების შესაძლებლობას. ანუ, პრეზიდენტს შეეძლებოდა უმეტეს შემთხვევაში დაებლოკა კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ახალი რეგულაცია კონსტიტუციის გადასინჯვასთან მიმართებით არ აკნინებს ვეტოს ინსტიტუტის არსს. რეალურად ის საკმაოდ ართულებს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესს და სწორედ ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ კონსტიტუციური კანონპროექტის მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა იდენტურია ამ კანონპროექტზე გამოყენებული ვეტოს დასაძლევად საჭირო ხმების რაოდენობისა. აქ საკითხავია რამდენად მიზანშეწონილია კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის ასეთი გართულებული წესის არსებობა და არა ის შესუსტდა თუ არა ვეტოს ინსტიტუტი. თუმცა, ცხადია, ეს საკითხი არ არის ვეტოს ინსტიტუტის ფარგლებში განხილვის საგანი.

3.2. ვეტოს დატვირთვა პარლამენტარიზმის პირობებში

როგორც წინა თავის განხილვისას გამოჩნდა, საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებები მიმართული იყო კონსტიტუციურ ტრიადაში პარლამენტის როლის გაზრდისკენ. ამიტომ, არსებულ რეალობაში ვეტოს უფლების არსებობის მიზანშეწონილობის განსასაზღვრად საჭიროა განხილულ იქნას ამ ინსტიტუტის დანიშნულება პარლამენტარიზმის პირობებში. პარლამენტარიზმის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება ის არის, რომ აღმასრულებელ შტოში წამყვანი არის მთავრობა და არა პრეზიდენტი. შესაბამისად, ეს გარემოება გარკვეულ წილად გავლენას ახდენს ვეტოს ინსტიტუტზეც, რამდენადაც ვეტო ყოველთვის დაკავშირებული იყო სახელმწიფოს მეთაურთან და არა კოლეგიურ ორგანოსთან მთავრობის სახით. სწორედ ამიტომ საპარლამენტო მონყობის ქვეყნებშიც ვეტო კვლავ სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივაა, თუმცა ხშირად ეს უფლებამოსილება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და მთავრობის ნებაზე არის დამოკიდებული. მაგალითად, სლოვაკეთში პრეზიდენტი ვალდებულია მთავრობის მოთხოვნის შემთხვევაში კანონპროექტი დაუბრუნოს პარლამენტს შენიშვნებით. რეალურად ასეთ დროს პრეზიდენტი მხოლოდ მთავრობის ნების გამტარია და ლიტერატურაში ეს ფუნქცია «ფოსტალიონის ფუნქციის» სახელით არის ცნობილი.⁴⁵

რაც შეეხება საკითხს საერთოდ უნდა არსებობდეს თუ არა ვეტო პარლამენტარიზმის პირობებში, ამ ინსტიტუტის დანიშნულებიდან გამომდინარე რთულია რაიმე რაციონალური არგუმენტის მოძებნა თუ რატომ არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურ ვეტოს უფლება თუნდაც ძლიერი პარლამენტის პირობებში. ვეტოს სანინააღმდეგო არგუმენტაცია, რომ ერთ ადამიანს შეუძლია დაბლოკოს მოსახლეობის მიერ არჩეული უმრავლესობის გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული არც 1818 წელს, როდესაც ამ მოტივით აშშ-ს წინაშე დაისვა

45. ავთანდილ დემეტრაშვილი (რედ), კონსტიტუციური სამართალი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2005, 387–388.

ვეტოს გაუქმების საკითხი⁴⁶ და ეს არგუმენტაცია მიუღებელია დღესაც ორი მარტივი მიზეზის გამო: 1) ის „ერთი ადამიანი“ აგრეთვე მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტია, რომელსაც ეკისრება ვალდებულება საჭიროების შემთხვევაში გაანონასნოროს პარლამენტი და 2) ვეტო არ ნიშნავს პარლამენტის გადაწყვეტილების დაბლოკვას, არამედ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვეტოს მხოლოდ შეყოვნებითი ეფექტი აქვს და კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ისევ პარლამენტი იღებს.

რაც შეეხება უშუალოდ საპარლამენტო მოწყობის სისტემებს, რეალურად, პარლამენტარიზმი ნიშნავს საკანონმდებლო ორგანოს უპირატეს მდგომარეობას სხვა შტოებთან შედარებით, თუმცა უპირატესი მდგომარეობა არ ნიშნავს აბსოლუტურ პრიმატს. ყველა თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში სადაც საპარლამენტო მოწყობა არის აღიარებული, ამავდროულად მოქმედებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რაც ნიშნავს, იმას, რომ პარლამენტის ძლიერი როლი ისე უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რომ არ დაირღვეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მოთხოვნები. შესაბამისად, ძლიერ პარლამენტსაც სჭირდება კონტროლი და განონასნორება. იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტის მთავარი ფუნქცია კანონშემოქმედებითობაა და ამ პროცესში მთავარი გამანონასნორებელი ბერკეტი არის ვეტო, უნდა ითქვას, რომ ვეტოს ინსტიტუტის არსებობა აუცილებელია ნებისმიერი კონსტიტუციური მოწყობის სახელმწიფოში. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო მოწყობაში ყველაზე მეტად არის საფრთხე იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანო მოახდენს საკუთარი ძალაუფლების უზურპაციას და ძლიერი პარლამენტის პირობებში უფრო მეტად არის საჭირო გამანონასნორებელი ბერკეტის არსებობა ვეტოს სახით.

დასკვნა

როგორც ნაშრომის შესავალში აღინიშნა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად შექმნილი პოლიტიკური მოცემულობა, როდესაც პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ, ქმნის ფაქტობრივ წინაპირობას, რომ აქტიური დატვირთვა შეიძინოს ვეტოს ინსტიტუტმა. მეორე მხრივ, 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად გაძლიერებული პარლამენტის პირობებში შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს პარლამენტის შებოჭვის მიზნით პრეზიდენტის ვეტოს უფლებით აღჭურვა. ამ რეალობის გათვალისწინებით, გაანალიზებულ იქნა ვეტოს ინსტიტუტის დანიშნულება თანამედროვე დემოკრატიული მოწყობის სახელმწიფოებში და ამ მიმოხილვის შედეგად შესაძლოა კონკრეტული დასკვნების გაკეთება თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდეს ვეტოს უფლება ახალ სამართლებრივ და პოლიტიკურ ვითარებაში.

პირველ თავში განხორციელებული ანალიზის მოკლე შეჯამების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამართალში ვეტოს დატვირთვა არის მოსახლეობის ინტერესების დაცვა და საკანონმდებლო პროცესის დაბალანსებულად წარმართვა, რაც, თავის ხმრივ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად, რომ ითქვას, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის აუცილებელი მოთხოვნა არის ხელისუფლების შტოების მიერ ურთიერთკონტროლი და განონასნორება. იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტის მთავარი ფუნქცია საკანონმდებლო საქმიანობაა, სწორედ ამ ნაწილში არის აუცილებელი მისი განონასნორება და ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას სწორედ ვეტო წარმოადგენს. შესაბამისად, შეიძლება ითქ-

46. Richard A. Riggs, 'Separation of Powers: Congressional Riders and the Veto Power' (1972-1973) 6 U. Mich. J.L. Reform, 735, 742.

ვას, რომ ვეტო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის აუცილებელი კომპონენტია, რაც ავტომატურად ნიშნავს, იმას, რომ ის უნდა არსებობდეს ყველგან სადაც აღიარებულია აღნიშნული პრინციპი მიუხედავად სახელმწიფო მონყობისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბოლო დროს განხორციელებული სამართლებრივი თუ პოლიტიკური ცვლილებები არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს ვეტოს ინსტიტუტის არსებობის მიზანშეწონილობას, სანამ კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი აღიარებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. უფრო მეტიც, როგორც აღინიშნა, ძლიერი პარლამენტის პირობებში უფრო მეტი აუცილებლობაა საკანონმდებლო ორგანოს განონასწორების, რომ არ მოხდეს საკანონმდებლო უფლებამოსილების თვითნებურად განხორციელება. ამ კონსტრუქციაში ყველაზე ლოგიკურია, რომ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების უმრავლესობის გადანყვეტილება შეაყოვნოს იმ თანამდებობის პირმა, რომელიც აგრეთვე პირდაპირ იღებს მანდატს ელექტორატისგან. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილი და აუცილებელიც კი არის საქართველოს ახალ რეალობაშიც ვეტოს უფლება არსებობდეს და მისი მფლობელი კვლავ პრეზიდენტი გახლდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისასაღმებელია, რომ 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმის შედეგად პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირების მიუხედავად ვეტო კვლავ პრეზიდენტის პრეროგატივაა.

თუმცა, მეორე მხრივ, ვეტოს არსებობა თავისთავად შეიცავს საფრთხეს იმისა, რომ ეს უფლება პრეზიდენტის მიერ შესაძლოა პირადი ინტერესებისთვის იქნას გამოყენებული და ვეტოს უფლების რეალიზების როგორი პრაქტიკა დაინერგება საქართველოში ამას მხოლოდ დრო აჩვენებს. რეალურად, ქართული კანონმდებლობა, ცალკეული გამონაკლისების გარდა,⁴⁷ საკმაოდ კარგად არეგულირებს ვეტოს უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენებისგან დაცვის მექანიზმებს და ცუდი პრაქტიკის შემთხვევაში, ნაცვლად ამ ინსტიტუტის გაუქმებისა, პრობლემის მიზეზი უნდა დადგინდეს და პრაქტიკის გაჯანსაღების გზები უნდა განისაზღვროს.

47. იხ. 2.3. თავი.

საერთო სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

„მოსამართლეები კონსტიტუციას უნდა მიიჩნევენ ძირითად კანონად და ეს მართლაც ასეა. ამიტომაც, სწორედ მათი საქმეა განსაზღვრონ კონსტიტუციის შინაარსი. თუ კონსტიტუციასა და კანონს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა აღმოჩნდება, კონსტიტუციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს კანონის წინაშე, ხალხის განზრახვას — მისი წარმომადგენლების განზრახვის წინაშე...“²

ალექსანდერ ჰამილტონი

1. შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ძირითადი კანონის სამართლებრივი დაცვის ქმედითი მექანიზმების შემუშავებასა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ეფექტური რეალიზაციისთვის სასამართლო გარანტიების შექმნას. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ კონსტიტუცია სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია და მისი ნორმები ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს არეგულირებს.

სახელმწიფოები კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დასაცავად სხვადასხვა სამართლებრივ მექანიზმებს ამკვიდრებენ, თუმცა კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემაში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს საკონსტიტუციო იუსტიცია (კონტროლი) წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ კონსტიტუციის დაცვის მთავარი საშუალება მისი დამრღვევი ნორმების გამოვლენა და აღმოფხვრაა, სწორედ, საკონსტიტუციო იუსტიცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს ყველაზე ეფექტურ მექანიზმად. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელობაზე მიუთითებს და ცხადყოფს, რომ ამ ინსტიტუტის ეფექტური ფუნქციონირება აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის.³

საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოდ განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება კი გამოიხატება მის მიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებასა და კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიჩნეული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობაში.⁴

1. „თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი“

2. ა. შაიო: ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, გვ. 277.

3. გ. კახიანი: საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 6.

4. ზ. თინჯოლავა: კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თბილისი, 2002, გვ. 126.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება სპეციალურად შექმნილი ორგანოს — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ამ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთო იურისდიქციის სასამართლოებიც. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სასამართლოები უშუალოდ ვერ ახორციელებენ საკონსტიტუციო კონტროლს, თუმცა, მათ უფლება აქვთ კონსტიტუციური წარდგინების მეშვეობით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და იდავონ ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. შესაბამისად, კონსტიტუციური წარდგინება წარმოადგენს ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც საერთო სასამართლოებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში.

საქართველოში საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების გზით საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით, მრავალი პრობლემატური საკითხი არსებობს, თუმცა, მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოკვლეული შესაბამისად, წინამდებარე სტატიის მიზანია საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვა არსებული პრაქტიკული საკითხების ანალიზის საფუძველზე.

2. საერთო სასამართლოების კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებული პრაქტიკის ანალიზი

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გამოყენების არეალი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საკმაოდ მწირია. კონსტიტუციური წარდგინებები ძალიან ხშირად არ მიიღებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე განჩინებით საქმის არსებითი განხილვისათვის და შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წლების მანძილზე დამკვიდრებული პრაქტიკის გამო, დღეს საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო წარდგინების შეტანის მცდელობა საერთოდ აღარ შეინიშნება. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ ინსტიტუტისათვის პასიური როლის მინიჭება გარკვეულწილად, სწორედ, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან წარდგინებების დახარვეზების პრაქტიკამ განაპირობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია სტატიაში კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველების ცალკეული საკითხების გაანალიზება და ამ მიზნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით წარდგინებების დახარვეზების საფუძვლიანობის განსაზღვრა.

კანონმდებლობა ზუსტად აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რაც წაეყენება კონსტიტუციურ წარდგინებას, რათა იგი არსებითად განხილულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინებების განმწესრიგებელ სხდომაზე არსებითი განხილვისთვის მიუღებლობის პრეცედენტები ძალიან ხშირია და იგი სხვადასხვა საფუძველით არის განპირობებული. მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ გავრცელებულ და მნიშვნელოვან საფუძველზე, როგორიცაა წარდგინების შეტანა არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ. უპრიანი იქნება ამ ხარვეზის ნათელყოფა კონკრეტული მაგალითებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან.

2.1 საკონსტიტუციო წარდგინების შეტანის საფუძველი და მის მიმართ არსებული მოთხოვნები

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის

განხილვისას, სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ უნდა იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, მას აქვს უფლება შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. მსგავს შემთხვევაში, საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.⁵

აღნიშნული ნორმა რამდენიმე სავალდებულო ელემენტს მოიცავს, რომლებზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1999 წლის 22 აპრილის განჩინებაში იმსჯელა. კერძოდ, აღნიშნული განჩინების თანახმად, ზემოთმითითებული ნორმიდან სამი იმპერატიული მოთხოვნა გამომდინარეობს: 1) კონსტიტუციური წარდგინება შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა საქმე განხილვა შესაბამის სასამართლოში; 2) კონსტიტუციური წარდგინება უნდა შეიტანოს სასამართლომ და 3) კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას სასამართლოში უნდა შეჩერდეს საქმის განხილვა.⁶ თითოეული ამ ელემენტის დაუკმაყოფილებლობა, ავტომატურად ხდებოდა წარდგინების განუხილველად დატოვების საფუძველი, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც მეტყველებს.

2.2 კონსტიტუციური წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტი

პირველი ყველაზე მეტად პრობლემური და საყურადღებო ხარვეზი იყო კონსტიტუციური წარდგინების შეტანა არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ. სასამართლო პრაქტიკაში პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, თუ ვინ შეიძლებოდა ჩათვლილიყო წარდგინებაზე უფლებამოსილ სუბიექტად - მოსამართლე, სასამართლო, როგორც ორგანო, თუ კოლეგიური წესით მომუშავე სასამართლო კოლეგიები და პალატები (?). პრაქტიკაში ამ დილემის წარმოშობა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად მოქმედი კანონმდებლობის დაუხვეწაობით იყო განპირობებული, რადგან ზემოაღნიშნულ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემის შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ იძლეოდა.⁷

პრობლემა წარმოიშვა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღების შემდეგ. აღნიშნული კანონის შესაბამისად, მოსამართლეებს მიეცათ უფლება ერთპიროვნულად განეხილათ და გადაეწყვიტათ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობაში ამ თვალსაზრისით, შეინიშნებოდა გარვეული ბუნდოვანება, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტად, მხოლოდ საქმის განმხილველი სასამართლო მოიაზრებოდა. შესაბამისად, საკითხი იდგა შემდეგნაირად - როგორ უნდა ყოფილიყო გაგებული კანონის ეს დებულება, სიტყვა-სიტყვით თუ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სტატუსის გათვალისწინებით?!⁸

5. იხ. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-19მუხლი. (2010 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით).

6. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის განჩინება, საქმე N1/3/99, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

7. შეად. თამარ ქალდანი: საერთო სასამართლოს წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში - პრაქტიკა და საკანონმდებლო დილემა, სახელმწიფო სამართალი (III), აღმანახი, 2001, №16. წყარო:<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period-00-1-0-10-0-0-0---0prompt-10---4---4---0-11-11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00-0&cl=CL4.1&d=HASH114873906eb8b86ca818bb.15&x=1>

8. იქვე.

საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის განჩინებაში,⁹ სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის 89-ე მუხლის 1-ლი პუნქტით სასამართლოს უფლება აქვს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

სასამართლოს განჩინებაში აღნიშნული იყო, რომ „მოქმედი კანონმდებლობით ცნება „სასამართლო“ განისაზღვრებოდა, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლექტიური ორგანო (საქართველოს 1990 წლის 28 დეკემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლოს წყობილების შესახებ“, მუხლი მე-12, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი). სასამართლოს განმარტებით, ერთპიროვნულ მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა განეხორციელებინა მართლმსაჯულება. რადგან, საქართველოს კანონმდებლობა (...)„განასხვავებს ცნებებს - „სასამართლო“ და „მოსამართლე“, ისინი იდენტურნი არ არიან. შესაბამისად, ის უფლებამოსილება, რაც შეუძლია განახორციელოს სასამართლომ, როგორც კოლექტიურმა ორგანომ, არ შეიძლება განახორციელოს ერთპიროვნულმა მოსამართლემ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთპიროვნული მოსამართლე უფლებამოსილი არაა კონსტიტუციური წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.“მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციური წარდგინება შეტანილი იყო ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს მოსამართლის კოტრიკაძის მიერ, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით ერთპიროვნულად განიხილავდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის დამცველის საჩივარს, ბრალდებულის მიმართ წინასწარი გამოძიების სტადიაზე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - დაპატიმრების და წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების კანონიერების და დასაბუთებულობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რადგან მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოში მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავდა არა მთლიანად „საქმეს“, არამედ მხოლოდ საჩივარს-ბრალდებულის დაპატიმრების და ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ, იგი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო საქმის განმხილველ სუბიექტად და შესაბამისად, მის მიერ ერთპიროვნულად გამოტანილი დადგენილება, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსხვავებულად მიღების საფუძვლად, რადგან ჩაითვალა, რომ კონსტიტუციური წარდგინება შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ (საქართველოს კანონის „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების დროს ჯერ კიდევ არ იყო მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. თუმცა, დღეს უკვე მიღებულია ახალი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები, ხოლო ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრულია, რომ რაიონულ სასამართლოში ერთი მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საქმეს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ რაიონულ სასამართლოში საქმეს განიხილავს ერთი მოსამართლე, ის მაინც სასამართლო ორგანოა და მას გადაწყვეტილება თუ განაჩენი გამოაქვს საქართველოს სახელით. შესაბამისად, ნორმის სიტყვა-სიტყვით გაგება და წარდგინების განუხილველად დატოვება, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგინების ავტორი იყო არა უშუალოდ „სასამართლო“, არამედ საქმის განმხილველი „მოსამართლე“, წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის პრობლემას და მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის არასწორი გზით განვითარებაზე.

9. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 27 მაისის განჩინება, საქმე №2/49/1/, „ქ. თბილისის დიდუბის რაიონული სასამართლოს წარდგინება“.

თუმცა, მიუხედავად, ზემოაღნიშნული პრობლემებისა, დღეს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილ იქნა. 2002 წლის თებერვალში განხორციელებული ცვლილებების შედეგად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლში დაემატა მე-2 პუნქტი. რომლის თანახმად, საქმის განმხილველი სასამართლოს წარდგინებად ითვლება საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან საქმის განმხილველი სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება. მოცემული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვა შეუძლია, როგორც მოსამართლეს ერთპიროვნულად, ისე სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიზანშეწონილობა განპირობებული იყო იმით, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანამდე კანონმდებლობა მხოლოდ ზოგადად ადგენდა, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლებით „სასამართლოს“ სარგებლობის შესაძლებლობას. მხოლოდ „სასამართლო“ იყო საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილების მქონე სუბიექტი, „სასამართლოს“ ცნებაში კი საკონსტიტუციო სასამართლო საქმის ერთპიროვნულად განმხილველ მოსამართლეს არ მოიაზრებდა.¹⁰

ამაზე მეტყველებს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის განჩინებაც, რომელშიც სასამართლო მიუთითებს, რომ „კონსტიტუციური წარდგინება უნდა შეიტანოს სასამართლომ — როგორც კოლეგიურმა ორგანომ და არა ერთპიროვნულმა მოსამართლემ.“¹¹

უფლებამოსილი სუბიექტის მიერ კონსტიტუციური წარდგინების შეტანასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით რაიონული სასამართლოს მოსამართლე მიმართავდა. კანონმდებლობის ვინრო ქრილში განმარტებიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლეს არაუფლებამოსილ პირად მიიჩნევდა და წარდგინებას არ იღებდა საქმის არსებითად განსახილველად, რასაც მოწმობს კიდევ საკონსტიტუციო სასამართლოში დამკვიდრებული პრეცედენტებიც, რის გამოც ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი განსახილველად არ იქნა მიღებული. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც მოქმედებს აგრძელებს არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტები, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერაც არ უმსჯელია.¹²

ამგვარი სამართლებრივი პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლომ, 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინებაშიც დააფიქსირა, კერძოდ, განჩინებაში მითითებულია, რომ „საერთო სასამართლოების სისტემა განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლით. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოებია რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო. კონსტიტუციური წარდგინებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის განმხილველი სასამართლოა რაიონული სასამართლო და, სწორედ ეს უკანასკნელია უფლებამოსილი წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ რაიონულ სასამართლოში საქმე მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად განიხილებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოში

10. გ.კახიანი: საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2008, გვ. 141.

11. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, საქმე №1/8/90, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

12. თამარ ქალდანი: საერთო სასამართლოს წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში - პრაქტიკა და საკანონმდებლო დილემა, სახელმწიფო სამართალი (III), აღმანახი, 2001, №16. წყარო: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---...4----4---0-1--11-en-10--10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH114873906eb8b86ca818bb.15&x=1>

შემოტანილ უნდა იყოს არა „ხაშურის რაიონის მოსამართლე კუკური კოჭორიძის“, არამედ ხაშურის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. ცალკე მოსამართლე კონსტიტუციური წარდგინებასთან მიმართებით უფლებამოსილ სუბიექტად ვერ ჩაითვლება.“¹³

გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელება და ის თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სასამართლოს სახელით, ლოგიკურია, რომ სწორედ მას მიეცეს უფლება გადაწყვიტოს ისარგებლოს თუ არა კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტით. შესაბამისად, ალოგიკურია საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან სასამართლოს და მოსამართლის განცალკევებულ ქრილში განხილვა და კონსტიტუციური წარდგინებების ხარვეზის დადგენა იმ მოტივით, რომ წარდგინებას ხელს აწერს საქმის განმხილველი კონკრეტული მოსამართლე და არა აბსტრაქტულად გააზრებული „საერთო სასამართლო“. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან, ხშირ შემთხვევაში, კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განხილვაზე უარის თქმა უსაფუძვლოდ ხდებოდა, რამაც არსებითად შეაფერხა ამ ინსტიტუტის ფუნქციონირება და განვითარება საქართველოში.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოში შესულია საერთო სასამართლოების 16 კონსტიტუციური წარდგინება; აქედან 11 - საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად, ერთზე - სამართალწარმოება შეწყდა განმწესრიგებელ სხდომაზე, 3 - დაუკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და მხოლოდ ერთი კონსტიტუციური წარდგინება დაკმაყოფილდა.¹⁴

3. დასკვნა

აღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი წლების მანძილზე არაეფექტურად ფუნქციონირებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს შეიძლება გარკვეულწილად საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან წარდგინებების არსებით განსახილველად დაუშვებლობის არასწორმა პოლიტიკამ გამოიწვია. ეს ყოველივე კი, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტურობაზე.

შესაბამისად, მიზანშეწონილია, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი უფრო მეტად გააქტიურდეს და ამის პარალელურად, სასურველია, საკონსტიტუციო სასამართლოც უფრო მეტი სერიოზულობით მიუდგება მსგავსი საკითხების განხილვას. გამომდინარე იქედან, რომ სამართლებრივი ნორმის შემფარდებელი ძირითადად საერთო სასამართლოები არიან, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, სწორედ, მათ აქვთ რეალური შესაძლებლობა დაინახონ, თუ რომელი საკანონმდებლო აქტი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას. თუმცა, რადგან საერთო სასამართლოებს არ გააჩნიათ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება და ისინი თვითონ ვერ განსაზღვრავენ კონკრეტული სამართლებრივი ნორმის შესაბამისობის საკითხს საქართველოს კონსტიტუციასთან, იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას აღმოაჩენენ, რომ კონკრეტული ნორმა არ შეესაბამება კონსტიტუციურ პრინციპებსა და ღირებულებებს, მათ უნდა წარმოემგებოდეთ ვალდებულება გამოიყენონ კონსტიტუციური წარდგინება და მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ იმას, რომ არაკონსტიტუციური ნორმა დარჩება ძალაში და იგი მრავალი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის საფრთხეს შექმნის.

13. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის განჩინება, საქმე NN №1/6/115, ხაშურის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება.

14. იხ. მითითებული წყარო: გიორგი კახიანი, გვ.145.

სწორედ ამიტომ, ენიჭება დიდი მნიშვნელობა საერთო სასამართლოების ქმედითობას საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის თვალსაზრისით. რაც არ უნდა სამწუხარო იყო, დღევანდელი მდგომარეობით საერთო სასამართლოები თავს იკავებენ ამ უფლებამოსილებით სარგებლობისგან, რაც, რა თქმა უნდა, არამიზანშენილია და ვფიქრობ, აუცილებელია მოხდეს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის ეფექტური ამოქმედება. აღნიშნული ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საკონსტიტუციო კონტროლის რეალურ განხორციელებას და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მაქსიმალურად იქნება თავიდან აცილებული ქვეყანაში არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტების არსებობა.

ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ძირითადი უფლებების, არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას, არამედ მისი დაცვის ქმედითი სასამართლო გარანტიების შექმნას. ძირითადი უფლებების ნეგატიურ, თავდაცვით ფუნქციას სწორედ ეს მიზანი აქვს. საკუთარი უფლების სახელმწიფოსგან შელახვის შემთხვევაში თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება დაიცვას იგი კანონმდებლობით დადგენილი საშუალებების გამოყენებით.²

სახელმწიფოები ადამიანის უფლებების დასაცავად სხავდასხვა სამართლებრივ მექანიზმებს ამკვიდრებენ, თუმცა ძირითადი უფლებების დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი საკონსტიტუციო სასამართლოა. უუფრო მეტიც, მსოფლიო გამოცდილება იმის დასტურია, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საკონსტიტუციო სასამართლო მაქსიმალური ეფექტურობით სარგებლობს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას ნებისმერი სახელმწიფოსთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს ახალგაზრდა ინსტიტუციას, მისი შექმნა დაკავშირებულია 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებასთან. საკონსტიტუციო სასამართლოში მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი უფლებები ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის საშუალებით. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი გვევლინება, როგორც კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდების ინტერესების დაცვის მიზნით შეიქმნა, არამედ მის დანიშნულებას წარმოადგენს ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა, კონსტიტუციის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება.

სტატიის მიზანია ინდივიდუალურ საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა, არსებული თეორიული საკითხების ანალიზი და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება. ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

1. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის განსაზღვრისთვის არსებითია საკონსტიტუციო კონტროლის არსის განმარტება. სამეცნიერო ლიტერატურაში საკონსტიტუციო კონტროლის ერთგვაროვანი განმარტება არ არსებობს. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს მისი სამართლებრივი არსის ზედმეტად ფართო ანდა, უფრო შეზღუდული მნიშვნელობით.³

თანამედროვე მეცნიერებაში საკონსტიტუციო კონტროლი იხმარება ფართო და ვიწრო განმარტებით. საკონსტიტუციო კონტროლის ფართო განმარტება გულისხმობს სახელმწიფო ხელისუ-

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის IV სემესტრის სტუდენტი.

2. იზორია, ლ.: თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, გამომც. „სიესტა“, თბ. 2009, გვ. 188.

3. ბ. კოჭლამაზაშვილი: კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ. 2009, გვ. 1.

ფლებების მიერ გამოცემული ყველა აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას, ხოლო ვინრო გაგებით, საკონსტიტუციო კონტროლი წარმოადგენს მხოლოდ ნორმატიული ხასიათის აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების საშუალებას.⁴

საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „საკონსტიტუციო კონტროლის“ შექმნა დაკავშირებულია 1995 წლის კონსტიტუციის მიღებასთან. საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლი საკონსტიტუციო სასამართლოს განიხილავს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმარტოვებული სასამართლო ხელისუფლების ორგანოს. საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს ერთი მხრივ სასამართლო ხელისუფლების განმარტოვებულ ორგანოს, ხოლო მეორე მხრივ იგი გვევლინება, როგორც კონსტიტუციური ორგანო⁵ მთავრობისა და პარლამენტის მსგავსად.⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული სტატუსი გამოიხატება მის მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში.⁷ სწორედ, ამიტომ მისი უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძვლებს ქმნის არა მხოლოდ ორგანული კანონით „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, არამედ კონსტიტუციაც, რაც მის საქმიანობას უფრო მეტ ლეგიტიმაციას ანიჭებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული სტატუსი ნათლად ჩანს მისი დაკომპლექტებიდან, იმუნიტეტის მოხსნის, ფიცის დადებისა თუ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებიდან.⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად არის კონსტიტუციის უმაღლესი დარაჯი (*oberste Hüter der Verfassung*)⁹, რომელიც სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისგან დამოუკიდებლად ახორციელებს მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს. ამ ფუნქციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვა ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის მეშვეობით.¹⁰

2. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი

1.1. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი და მისი ფუნქციები

ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი წარმოადგენს განსაკუთრებულ სამართლებრივ მექანიზმს, რომლის საშუალებით მოქალაქეებს სუბიექტური უფლებების დაცვა შეუძლიათ. სუბიექტური საჯაროსამართლებრივ უფლებად ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება პირებისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად სახელმწიფოსაგან მოითხოვონ კონკრეტული დამოკიდებულება. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის მეშვეობით პირებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დაიცვან ყველა სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლება, არამედ მხოლოდ ის უფლებები, რომელიც ქვეყნის ძირითად კანონშია დაცული და ძირითად უფლებებად იწოდება.¹¹

ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის დანიშნულება შესაძლებელია მისი სუბიექტური და ობიექტური ფუნქციის განმარტებით განვსაზღვროთ. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის სუბიექტურ ფუნქციას წარმოადგენს ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნ-

4. თ. ქალდანი, გ. ჩხეიძე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო-რეალობა და განვითარების პერსპექტივები, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000, გვ. 217.

5. H. Maurer: Staatsrecht I, 6. Auflage, Verlag C.H. Beck, 2010, § Rn.20.

6. ჩგ. ხუბუა, ი. ტრაური: კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბ., 2001, გვ.15.

7. K. Schlaih, S. Koriath: Das BVerfG, 8. Auflage, Verlag C.H. Beck München, 2010, Rn.27.

8. ვ. მენაბდე: კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, გამომც. Gtz, 2010, გვ. 124.

9. Herdegen in: ZaöRV 2009, 257, S. 264.

10. Ch. Degenhart: Staatsrecht I, Staatsorganisationsrecht, 27. Auflage, Heidelberg 2011, Rn. 754.

11. Maunz/Dürig: GG Kommentar, Bd. IX, Verlag C.H Beck München 2012, Art.93, Rn. 65.

ველყოფა, ობიექტურ ფუნქციას — კი ძირითადი უფლებების განმარტება და კონსტიტუციის განვითარება¹². ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის სუბიექტური ფუნქციის მიღწევა კონკრეტულ სახელმწიფოზეა დამოკიდებული. შესაძლებელია სახელმწიფოს კანონმდებლობით ჰქონდეს ინდივიდუალური სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები რეგლამენტირებული, მაგრამ არსებული მოდელი ვერ უზრუნველყოფდეს ძირითადი უფლებების ეფექტურად დაცვას, რასაც საბოლოოდ სუბიექტური ფუნქციის შეუსრულებლობამდე მივყავართ.

საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი“ არ იხმარება მას კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქის/პირის სარჩელს ვუნოდებთ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს კონსტიტუციის“ 89-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტისა და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე უფლებამოსილია პირის სარჩელის საფუძველზე შეამოწმოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებაში. გერმანიაში სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინები „ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი“ და „მოქალაქის სარჩელი“ განსხვავებული შინაარსის ტერმინებია. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი წარმოადგენს ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4ა ქვეპუნქტისა და „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის 90-ე მუხლით განსაზღვრულ სარჩელის სახეს, რომელსაც ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში ამოწმებს. მოქალაქის სარჩელი კი განიმარტება, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით“ განსაზღვრული უფლებების დარღვევის შემთხვევაში პირის მიერ შეტანილი სარჩელი.¹³

ტერმინილოგიური თვალსაზრისით ტერმინი „მოქალაქის/პირის სარჩელი“ არ აკონკრეტებს რა სახის სარჩელზეა საუბარი. ტერმინიდან „ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი“ ნათლად ჩანს, რომ ეს ეხება საკონსტიტუციო სასამართლოში მოქალაქეთა მიერ შეტანილ სარჩელს. ამასთან ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ იმის უფლება, რომ მხოლოდ საკუთარ, ინდივიდუალურ უფლებათა დასაცავად მიმართონ სასამართლოს. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტიდანაც.¹⁴

1.2. ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელი წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტები

საკონსტიტუციო სასამართოსადმი მიმართვის უფლებამოსილ ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენს „მოქალაქე“¹⁵. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი ფართოდ განმარტავს „მოქალაქის“ ცნებას. მასში ნათქვამია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებამოსილება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს და სხვა ფიზიკურ პირებს. ცნებაში „მოქალაქე“ იგულისხმება, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი.¹⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით¹⁷ არაკონსტიტუ-

12. Quaas/Zuck: Prozesse in Verwaltungssachen, 2. Auflage, Verlag Nomos, 2011, Rn. 2-3.

13. H. Büchting, B. Heussen: Bekisches Rechtsanwalts-Handbuch, 9. Auflage, Verlag C.H. Beck München 2007, 42-55.

14. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი: „ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.

15. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი.

16. ჯ. ხეცურიანი: ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბ. 2011, გვ.128-130.

17. იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

ციურად იქნა ცნობილი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ ჰქონდათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და იმავდროულად არ ცხოვრობდნენ საქართველოში, აგრეთვე იურიდიულ პირებს, თუ ისინი არ იყვნენ რეგისტრირებული საქართველოში.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის მქონე სუბიექტებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილების შემდეგ საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ პრობლემა აღარ არსებობს და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით სარგებლობენ, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. იგივე წესი მოქმედებს იურიდიულ პირებთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია გაირკვეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხი. საჯარო სამართლის იურიდიული პირებს ჩვეულებრივ არ აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის საკითხთან დაკავშირებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში განვითარდა თეორია, რომელმაც გამონაკლისის სახით უფლებამოსილ სუბიექტებად აღჭურვა შემდეგი იურიდიული პირები: უნივერსიტეტები და მისი ფაკულტეტები. ისინი ფლობენ ძირითადი უფლებებს კვლევისა და სწავლების სფეროში. აგრეთვე ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები. ისინი სარგებლობენ რელიგიის თავისუფლებით და აქვთ ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. იგივე წესი ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული მაუწყებლებზე. ისინი სარგებლობენ მაუწყებლობის თავისუფლებით.¹⁸ საჯარო სამართლის იურიდიული პირები გამონაკლის შეთხვევაში არიან საქართველოს კანონმდებლობით ძირითადი უფლებების მფლობელი სუბიექტები. ქართული მოდელი ამ მხრივ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული თეორიის მსგავსია.

1.3. საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ნორმატიული აქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს სასამართლო გადაწყვეტილებების, რეალაქტებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხი.

გერმანული მოდელის თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა აქტი. სახელმწიფო ხელისუფლება თავის თავში მოიცავს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიერ გამოცემულ აქტებს. საკანონმდებლო ხელისუფლება მატერიალური გაგებით, გულისხმობს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებსა და დადგენილებებს, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებს წარმოადგენენ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხოლო სასამართლო აქტებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, გარდა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა.¹⁹ ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტები გამოცემული ყოფილიყო გერმანიის სახელმწიფო ორგანოების მიერ. ევროკავშირის აქტები არ მიეკუთვნებოდა გერმანიის სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემულ აქტებს, თუმცა მასტრისტის გადაწყვეტილების შემდეგ ეს აქტები შესაძლოა გახდეს კონსტიტუციური კონტროლის ობიექტი.²⁰

18. Umbach/Clemens/Dollinger: BverfGG, § 90, Heidelberg 2005, Rn. 41-44.

19. Epping/Hillgruber: GG Kommentar, Verlag C.H Beck München 2009, Rn. 175.

20. Sachs, Michael: Verfassungsprozessrecht, 3. Auflage, Tübingen 2010, Rn. 496.

განსხვავებულია საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოში. უნგრეთის კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პირის სარჩელის საფუძველზე ამონმებს კანონების კონსტიტუციურობის საკითხს.²¹ განსხვავებით, გერმანული მოდელისგან, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების ყველა აქტის გასაჩივრება შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოში, უნგრეთის კონსტიტუცია მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის შემონმებით შემოიფარგლა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ სათავე დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ეფექტიანობის კრიტიკას.²² ევროპის სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ინდივიდუალურად მიმართვის უფლებას ეგრეთ წოდებული „არარეალური“ საკონსტიტუციო საჩივრის ფორმით. ინდივიდუალური საკონსტიტუციო საჩივრის ეს მოდელი უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოდელის მსგავსია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის არაეფექტურ შინაგარეულობრივ საშუალებად იქნა მიჩნეული.“²³

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის მიზნით მნიშვნელოვანია გაიზარდოს საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი უნდა იყოს არა მხოლოდ ნორმატიული ხასიათის აქტების კონსტიტუციურობის საკითხი, არამედ მას ინდივიდუალური აქტების, რეალაქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შემონმების უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებამ არ უნდა გამოიწვიოს სასამართლო საქმიანობის გადატვირთვა. ამისთვის კი აუცილებელია არსებობდეს სუბსიდიარობის პრინციპი. გერმანიის ძირითადი კანონის 94-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნეს წარდგენილი, თუ ამონურულია ყველა ინსტანცია, სადაც ძირითადი უფლებების დაცვაა შესაძლებელი. სუბსიდიარობის პრინციპი უპირატესობას ანიჭებს ძირითადი უფლებების დაცვას სპეციალური სასამართლოების მიერ.²⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე ამ პრინციპის მიზანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის თავიდან აცილება, რათა მან თავისი ძირითადი უფლებამოსილება, ადამიანის უფლებების დაცვა განახორციელოს.²⁵

1.4. სადავო ნორმატიული აქტის წინააღმდეგობა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებაში

საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებების დაცვას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით.“ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია გაირკვეს შემდეგი საკვანძო საკითხები: ადამიანის უფლებებიდან რომელი განეკუთვნება „ძირითადი უფლებების“ კატეგორიას, რა იგუ-

21. http://www.mfa.gov.hu/NR/rdonlyres/09A650FD-0ACB-4C14-B572-7CDEF40B8966/0/grundgesetz_ungarn.pdf.

22. ვ. მენაბდე: კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, გამომც. Gtz, 2010, გვ. 126.

23. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება №407/65/02, საქმეზე: „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, პ.40,41.

24. Lechner/Zuck BverfGG, § 90, Rn. 158.

25. BVerfG, Ent. v. 25.04.2005-1 BVR 664/05, II, 11.

ლისსმება სიტყვაში „უფლებები“ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიზნებისთვის.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ძირითადი უფლებები ის უფლებებია, რომელიც კონსტიტუციაშია გარანტირებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის სახელწოდებიდან უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ თავში გადმოცემული უფლებები სწორედ ადამიანის ძირითად უფლებებს განეკუთვნება.²⁶

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის გრამატიკული განმარტების შემდეგ ნათელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებთან შესაბამისობის შემოწმება. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „...საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა კონკრეტული საქმე არც მიიღოს არსებითად განსახილველად თუკი დარწმუნდა, რომ არ არსებობს სადავო საკითხის შემხებლობა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით არიარებულ უფლებებთან.“²⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის ნევრებმა-ბესარიონ ზოიძემ და ქეთევან ერემაძემ დააფიქსირეს განსხვავებული აზრი: ... „ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტშიც არაორაზროვნად იკითხება, რომ ადამიანს უფლება აქვს, ყველა თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ამასთან განურჩევლად იმისა, ეს უფლება კონსტიტუციითაა აღიარებული, კანონით, თუ საერთაშორისო აქტებით... “²⁸

ვიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის ნევრების მიერ 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილების მოტივაციის ნაწილთან დაკავშირებით გამოქვეყნებული განსხვავებული აზრის შინაარსს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ ტერმინში „უფლებები“ იგულისხმება არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით მე-2 თავით დაცული უფლებები, არამედ კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული უფლებები. მსგავსი მიდგომაა დაფიქსირებული გერმანიის კონსტიტუციის ერთ-ერთ კომენტარში ქვეყნის ძირითადი კანონის 19-ე მუხლის მე-4 ნაწილში⁷ არსებული ტერმინის „უფლებების“ შინაარსის განმარტებისას.²⁹

1.5. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მოქმედების სფერო და ფუნქცია

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან გამომდინარე, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომელებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მიზანია მოახდინოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მაშინ, როცა ეს ძირითადი უფლებები პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციით, მაგრამ გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან, ასევე სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებიდან.³⁰

26. ჯ. ხეცურიანი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში, ჟურნ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ IV, გვ. 54-55.

27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე: „ საქართველოს მოქალაქეები- ვახტანგ მასურაშვილი, ონისე მეტონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

28. იქვე.

29. Sachs, Grundgesetz, 5. Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, Rn. 126-127.

30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II 66.

კონსტიტუციური პრინციპებში შესაძლოა იგულისხმებოდეს საქართველოს კონსტიტუციით დაცული პრინციპები: სოციალური სახელმწიფოს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების უზრუნველყოფის პრინციპი და სხვა.

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებების სასარგებლოდ. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი არ შეიცავს ძირითადი უფლებების სრულყოფილ და ამომწურავ ჩამონათვალს. მაგალითად, სოციალური უფლებები საქართველოს კონსტიტუციაში სრულყოფილად არ არის რეგლამენტირებული. სოციალური უფლებების დაცვა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარეობს, რადგან საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფოს სოციალურ სახელმწიფოდ აცხადებს. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის საშუალებით ის სოციალური უფლებები, რომელიც კონსტიტუციის მე-2 თავით არ არის დაცული, მაგრამ გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან, ამ შემთხვევაში სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან ისევე უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ, როგორც კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული ძირითადი უფლებები.

დასკვნა

ინდივიდუალურ საკონსტიტუციო სარჩელის განსაკუთრებული ფუნქციიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მოხდეს შემდეგი პრობლემური საკითხების გათვალისწინება:

საკონსტიტუციო სასამართლოში პირის კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე მოწმდება ნორმატიული აქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან გამომდინარე, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომელებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ მიუხედავად, აღნიშნული მუხლის ჩანაწერისა საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელია მხოლოდ ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული უფლებებთან შესაბამისობა შემოწმდეს. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი ძირითადი უფლებების სასარგებლოდ უნდა განიმარტოს. უფლებები, რომელიც პირდაპირ გარანტირებული არ არის კონსტიტუციის მე-2 თავით არ უნდა დარჩეს საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის ობიექტი უნდა გაფართოვდეს. მის უფლებამოსილებაში უნდა შედიოდეს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა აქტის კონსტიტუციური კონტროლი. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების გაფართოებამ არ უნდა გამოიწვიოს სასამართლოს გადატვირთვა. ამისთვის კი აუცილებელია არსებობდეს სუბსიდიარობის პრინციპი. გერმანიის კონსტიტუციის 94-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნეს წარდგენილი, თუ ამომწურულია ყველა ინსტანცია, სადაც ძირითადი უფლებების დაცვა შესაძლებელი. გერმანული მოდელი უპირატესობას ანიჭებს ძირითადი უფლებების დაცვას სპეციალური სასამართლოების მიერ. მხოლოდ სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამომწურვის შემდეგ უნდა ჰქონდეს პირს უფლება დაიცვას საკუთარი უფლებების საკონსტიტუციო სასამართლოში.

„გაერთიანებების სარჩელი“ გარემოს დაცვის სამართალში

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, ქვეყნის მდგრადი განვითარება საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად. ამ კონსტიტუციური ვალდებულების მიზანია, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. სახელმწიფო კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების მიზნით ქმნის ადმინისტრაციულ ორგანოებს.

ადმინისტრაციული ორგანების საქმიანობა შეზღუდულია კანონით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება. მისი საქმიანობა საჭიროებს ნორმატიულ საფუძვლებს.² თუმცა, ყოველთვის არის შესაძლებელი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაში დაშვებულ იქნას შეცდომა, ვინაიდან მატერიალური სამართალი, ნორმატიული აქტების სიმრავლის გამო, შესაძლებელია იყოს ნაკლებად განჭვრეტადი, შესაფასებელი ფაქტობრივი გარემოებები იყოს რთული. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებობს ადამიანური რესურსის ნაკლებობა. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ გარემოს დაცვის სამართლის ნორმები არ დაინერგება სრულად, რის გამოც, მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე ეფექტური სასამართლო კონტროლის განხორციელება.³

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს გადანიშნულება პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს აყენებს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. ამდენად, საქართველოში ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ამოცანა არის პირის სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლების დაცვა.⁴

შესაბამისად, ზღვის, ჰაერის, ლანდშაფტის და ბუნების არარაციონალური გამოყენებისაგან, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ხელყოფისაგან დაცვა არ არის ფიზიკური პირის უფლება და იგი ვერ მიმართავს სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს ან რომელიმე ფიზიკური თუ იურიდიული პირის გარემოს დაცვის კანონმდებლობის საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთის მოთხოვნით. ამდენად, პირს, რომელიც სარგებლობს ბუნებრივი რესურსებით და რომლის მიმართაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულია ადმინისტრაციული აქტი, შეუძლია, როგორც ადმინისტრაციული აქტის ადრესატს, სასამართლოში დაიცვას დარღვეული უფლება. ხოლო, პირს, რომლის მიზანია გარემოს დაცვა, არ აქვს სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება.⁵

1. LL.M. Uni-Bremen.

2. იზორია ლ., ავტორთა ჯგუფი, ზოგადი, გვ. 44-45

3. Marty, გვ. 115

4. ტურავა პ., ავტორთა ჯგუფი, ზოგადი, გვ. 177

5. Marty, გვ. 116

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობის გამო, 1998 წელს ხელმოწერილ იქნა კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ე.წ. „ორჭუსის კონვენცია“).⁶ 2003 წლის 26 მაისს ევროკავშირის პარლამენტმა და საბჭომ გამოსცა დირექტივა, რომლის საფუძველზეც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს დაევალა გარემოსდაცვითი გაერთიანებებისთვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველყოფა.⁷ „ორჭუსის კონვენციისა“ და ევროკავშირის დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მრავალმა ქვეყანამ დაწერა „გაერთიანების სარჩელი“,⁸ რაც გარემოს დაცვის სფეროში არსებულ გაერთიანებებს უხსნის მართლმსაჯულების გზას. მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული მრავალი სახის ნებართვის გაუქმება.⁹ მათ შორის, განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის მაგალითი, რომელმაც „გაერთიანების სარჩელის“ წარდგენა დაუკავშირა მესამე პირის სუბიექტური უფლებების სავარაოდ დარღვევის არსებობას.¹⁰

სტატიის მიზანია, „გაერთიანების სარჩელის“ ინსტიტუტთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების განხილვა, „გაერთიანების სარჩელის“ დაწერვის უპირატესობების და საფრთხეების წარმოჩენა, გარემოს დაცვის სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ანალიზი და შესაბამისი დასკვნის შედგენა, ძირითადად, გერმანიის და საქართველოს რეგულირებების ანალიზის საფუძველზე. თემაში მოცემულია (II) დისკუსია „გაერთიანების სარჩელთან“ დაკავშირებით, გაანალიზებულია (III) საერთაშორისო გამოცდილება, აგრეთვე (IV) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები საერთაშორისო სამართლის, ევროკავშირის სამართლის, გერმანიისა და საქართველოს გარემოს დაცვის სამართლის მიხედვით და (V) სასამართლო პრაქტიკა. (VI) დასკვნაში გამოთქმულია მოსაზრებები საქართველოს კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

II. დისკუსია „გაერთიანების სარჩელთან“ დაკავშირებით

მეოცე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ბუნებრივი რესურსების განადგურების ტენდენციის დაძლევა იქცა გაერთიანებული ერების, ევროპის ეკონომიკური კავშირისა და გერმანიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანად. 1971 წელს გერმანიის მთავრობის მიერ მიღებულ გარემოს დაცვის პროგრამას მოჰყვა ინტენსიური სამართალმემოქმედებითი პროცესი. ამასთანავე, ბუნებრივი რესურსებისთვის ზიანის მიყენების მთავარ გამომწვევ მიზეზად დასახელებულ იქნა გარემოს დაცვის კანონმდებლობის იმპლემენტაციის პრობლემა.¹¹ ამ პრობლემის დაძლევის მიზნით, მოგვიანებით, გერმანიაში მიღებულ იქნა კანონი „გარემოს დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ („უმწელტ-ლექსტსბეჰელფსგესეტზ“), რომელიც გარემოსდაცვით გაერთიანებებს უფლებას ანიჭებს სასამართლოში წარადგინონ „გაერთიანების სარჩელი.“ შესაბამისად, კანონი აფართოებს სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, მრავალი საკითხი დარჩა საკამათო.¹²

„გაერთიანების სარჩელთან“ დაკავშირებული დისკუსია ძირითადად ეყრდნობა მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შემდეგ არგუმენტებს:

6. <http://live.unecce.org/env/pp/welcome.html>

7. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32003L0035:DE:HTML>

8. Koch, გვ. 374-375

9. Breuer in Schmidt-Aßmann, Schoch, გვ. 671, Rndnr. 115 b

10. <http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/umwrg/gesamt.pdf>

11. Koch, გვ. 369

12. Marty, გვ. 115

1. „გაერთიანებების სარჩელის“ მომხრეთა არგუმენტები

ა) გარემოს დაცვის სამართლის ნორმების დანერგვის ხელშეწყობა

გარემოს დაცვის სამართლის ნორმების დანერგვის პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია ადმინისტრაციული ორგანოების ადამიანური რესურსით არასაკმარისი დაკომპლექტება და მატერიალური რესურსით არასათანადო აღჭურვა, ასევე ნაკლებად აღსრულებადი და განხორციელებადი გარემოსდაცვითი სამართლებრივი ნორმების არსებობა. როგორც ცნობილია, გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებებს მრავალმხრივ საკამათო პროექტების განხორციელების შესახებ. ამ პროცესში, ადმინისტრაციული ორგანოები ექცევიან ეკონომიკური წრისა და პოლიტიკური ინტერესების ზენოლის ქვეშ. შესაბამისად, ვინაიდან გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო თავს მიიჩნევს ეროვნული ეკონომიკის გარანტად, შესაძლებელია ამ ფაქტორმა გამოიწვიოს გარემოს დაცვის ინტერესებისთვის ნაკლები ყურადღების დათმობა. ამდენად, არსებობს საფრთხე, სამართლებრივი ნორმები, რომელთა დარღვევის ფაქტების სასამართლოში გასაჩივრების უფლება არავის აქვს, არ დაინერგოს სრულფასოვნად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სამართლის ისეთი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის სამართლის ნორმების დანერგვას. ასეთი ინსტიტუტი კი შეიძლება იყოს „გაერთიანებების სარჩელი“, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება გარემოსდაცვითი ნორმების დანერგვაზე დამატებითი სასამართლო კონტროლის განხორციელება;¹³

ბ) სამართლებრივი დაცვის თანაბარი შესაძლებლობის მიცემა ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირებისა და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული პირებისთვის

გარემოს დაცვის სფეროში არსებობს უთანასწორო სამართლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, პირებს, რომლებიც სარგებლობენ ბუნებრივი რესურსებით, უფლება აქვთ გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დადგენილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის პირობები, ხოლო საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემოს დაცვის სამართლის ნორმების დარღვევისაგან უფლების დაცვა არ არის შესაძლებელი.¹⁴ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე კი ისმის კითხვა — რამდენად შესაძლებელია სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი ნაწილის დარღვევის ფაქტები არ იყოს გასაჩივრებადი სასამართლოში? როგორც ცნობილია, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების დროს, ხელისუფლების სამივე შტოს შორის უნდა არსებობდეს ბალანსი. ბალანსის არსებობა კი გულისხმობს სასამართლოში არამარტო ისეთი გადაწყვეტილებების გასაჩივრებას, რომელთა საფუძველზეც ილახება პირის სუბიექტური უფლება, არამედ იმ გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებას, რომელთა საფუძველზეც ზიანი ადგება საზოგადოების ინტერესებს. შესაბამისად, „გაერთიანებების სარჩელის“ ინსტიტუტის დანერგვა უზრუნველყოფს გარემოს დაცვის სამართალში სამართლებრივი დაცვის თანაბარ შესაძლებლობას;¹⁵

გ) ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების გაზიარების ხელშეწყობა

სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კონტროლის შესაძლებლობა ქმნის მოლოდინის საფუძველს, რომ „გაერთიანებების სარჩელის“ დანერგვა ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების გაზიარებას. „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის შესაძლებლობა, როგორც პრევენციული ღონისძიება, ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ ორგანოში გარემოსდაცვითი საკითხების სამართლიან განხილვას,¹⁶

13. Koch, გვ. 370

14. Marty, გვ. 116

15. Koch, გვ. 370-371

16. Schmidt, გვ. 296

ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო ყოველთვის ეცდება პოტენციური მოსარჩელე დაარწმუნოს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაში და ამით თავიდან აიცილოს სასამართლო პროცესი. „გაერთიანებების სარჩელის“ ინსტიტუტის არსებობა უზრუნველყოფს არამართო სამართლიანი კონტროლის განხორციელებას სასამართლოს მიერ, არამედ, აგრეთვე, ადრესატი საზოგადოების მზაობას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული არასასურველი გადაწყვეტილება ცნოს კანონიერად.¹⁷

2. „გაერთიანებების სარჩელის“ მონინალმდეგეთა არგუმენტები

„გაერთიანებების სარჩელის“ დანერგვის სანინალმდეგოდ არსებობს შემდეგი ძირითადი არგუმენტები:

ა) გარემოსდაცვითი გაერთიანებების ლეგიტიმაციის პრობლემა

„გაერთიანებების სარჩელის“ დანერგვის მონინალმდეგეთა მტკიცებით, არსებობს გარემოსდაცვითი გაერთიანებების ლეგიტიმაციის პრობლემა, ვინაიდან ასეთი გაერთიანებები, სამართლის ახალი ინსტიტუტის საფუძველზე, შესაძლოა იქცნენ ადმინისტრაციული ორგანოების კონკურენტებად და საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის ფუნქცია განხორციელონ მათ ნაცვლად. აღნიშნულს კი სჭირდება ლეგიტიმაციის სათანადო დონე, რაც გულისხმობს მათ აღიარებას საკანონმდებლო ორგანოს მიერ;¹⁸

ბ) საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის დაუშვებლობა

საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესების განმახორციელებელი არის მხოლოდ საჯარო ხელისუფლება. დაუშვებელია ეს ფუნქცია ჰქონდეს სასამართლოს. ინდივიდუალური სამართლებრივი დაცვის სისტემიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოების მსგავსი საქმიანობა არ სჭირდება სასამართლო კონტროლს. შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლო კონტროლის დაშვება განხილულ უნდა იქნას როგორც „სამართლებრივი სისტემის რღვევა.“¹⁹

გ) „გაერთიანებების სარჩელის“ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენება

„გაერთიანებების სარჩელის“ ინსტიტუტი შესაძლოა გამოყენებულ იქნას ბოროტად. სავარაუდოა, რომ დაფუძნდება მრავალი გარემოსდაცვითი გაერთიანება, რასაც მოჰყვება სასამართლო პროცესები და, შესაბამისად, სასამართლოების გადატვირთვა გარემოსდაცვითი დავებით. შეფერხდება ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური პროექტების განხორციელება. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ „გაერთიანებების სარჩელი“ იქცევა გარემოსდაცვითი გაერთიანებების ეგოისტური ინტერესების გატარების ინსტრუმენტად;²⁰

დ) გარემოსდაცვითი გაერთიანებების მიზანშეუწონელი პრივილეგირება

„გაერთიანებების სარჩელის“ დანერგვით შესაძლოა დადგეს თანასწორუფლებიანობის პრობლემა: გაერთიანებებს არ უნდა ჰქონდეთ უფრო მეტი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, ვიდრე აქვს მოქალაქეს. ამიტომაც, გარემოსდაცვითი გაერთიანებებს სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაასაბუთებენ იმ ნორმების დარღვევის ფაქტს, რომელთა მიზანია სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლებების დაცვა.²¹

17. Koch, გვ. 371

18. Koch, გვ. 371

19. Koch, გვ. 371

20. Koch, გვ. 372

21. Koch, გვ. 372

III. საერთაშორისო გამოცდილება „გაერთიანებების სარჩელთან“ დაკავშირებით

„გაერთიანებების სარჩელის“ მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა არგუმენტების გაზიარების მიზნით, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი:

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1970 წლიდან შემოღებულ იქნა ე.წ. „ჩიტიზენ შუიტს“ - სამართლის ინსტიტუტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა სასამართლოში სარჩელის თავისუფალი წარდგენა გარემოს დაცვის ინტერესების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ფიზიკურ პირებს და გაერთიანებებს მიენიჭათ სასამართლოში გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით სარჩელის წარდგენის უფლება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ისე კერძო პირის წინააღმდეგ. თავდაპირველად სარჩელების წარდგენა ხდებოდა, ძირითადად, გაერთიანებების და არა ფიზიკური პირების მიერ. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა სასამართლო ხარჯებმა, რომლის განსაზღვრაც მოსამართლის პრეროგატივა იყო. მოგვიანებით, სარჩელები წარდგენილ იქნა საწარმოების, მინის მესაკუთრეების, სხვადასხვა პროექტების განმხორციელებელი ორგანიზაციების და, აგრეთვე, ცალკეული შტატების მიერ. სტატისტიკის მიხედვით, 1978-1984 წლებში სულ წარდგენილ იქნა 349 სარჩელი. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული სარჩელების რაოდენობამ კი წარდგენილი სარჩელების რაოდენობის მხოლოდ 0.02% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გაიზარდა მოქალაქეთა მიერ წარდგენილი სარჩელების რაოდენობა. მაგალითად, 1995-2000 წლებში წარდგენილ იქნა დაახლოებით 550 სარჩელი. თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლოთა გადატვირთვა გარემოსდაცვითი სარჩელებით არ მომხდარა. ეს ნიშნავს, რომ „გაერთიანებების სარჩელის“ დაწესებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ გამოიწვია ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენება. პირიქით, ის იქცა ამერიკული სამართლის სისტემის განუყოფელ ნაწილად, რომლის მიზანია გარემოს დაცვის სამართლის ნორმების დაწესების კონტროლი. **შვეიცარიაში** გაერთიანებებს, რომელთა მისიაა გარემოს დაცვა, უფლება აქვთ სასამართლოში წარადგინონ „გაერთიანებების სარჩელი.“ გარემოსდაცვითი გაერთიანებების მიერ ყოველწლიურად ხდებოდა საშუალოდ 7 სარჩელის წარდგენა სასამართლოში. სტატისტიკის მიხედვით, სხვა მოსარჩელებთან შედარებით, გარემოსდაცვითი გაერთიანებების მიერ წარდგენილი სარჩელები უფრო წარმატებული აღმოჩნდა. შვეიცარიის ბუნდესრატის მოსაზრებით, „გაერთიანებების სარჩელის“ ინსტიტუტმა გაამართლა, რადგანაც სამართლის ეს ინსტიტუტი ემსახურება გარემოს დაცვის სამართლის ნორმების დაწესებას და შესაძლებელს ხდის ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერების გადამოწმებას შესაბამისი დამოუკიდებელი ინსტანციების მიერ. 1996-2001 წლების პერიოდში **ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში** დაფიქსირდა შემდეგი რაოდენობის „გაერთიანებების სარჩელი“: **ბელგია — 146, საფრანგეთი — 1197, ჰოლანდია — 4000, პორტუგალია — 57, იტალია — 117, გერმანია - 115, დიდი ბრიტანეთი - 102, დანია - 4.** წარდგენილ სარჩელთა რაოდენობაში მსგავსი განსხვავების საფუძველს ქმნის შესაბამისი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა. მაგალითად, **დანიაში** სარჩელთა სიმცირე აიხსნება იმ გარემოებით, რომ უფლების დაცვის ძირითადი მექანიზმია არა სასამართლო, არამედ კვაზი-სასამართლო კონტროლის სისტემა. ამ მიზნით იქმნება დამოუკიდებელი კომისიები, რომლებიც განიხილავენ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ დავების უმრავლესობას. ასე, მაგალითად, 1997-2001 წლებში მათ მიერ განხილულ იქნა დანიის გარემოსდაცვითი გაერთიანებების მიერ წარდგენილი 655 საჩივარი. დანიისგან განსხვავებით, **ჰოლანდიაში** გარემოსდაცვითი სარჩელების სიმრავლე გამოწვეულია გარემოსდაცვითი სარჩელების სასამართლოში წარდგენის სრული თავისუფლებით. სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება აქვს როგორც ფიზიკურ პირს, ასევე გარემოსდაცვით გაერთიანებას. ჰოლანდიაში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გარემოსდაცვითი გაერთიანებები აქტიურად მიმართავენ სასამართლოებს გარემოსდაცვით სარჩელებით. მიუხედავად ამისა,

ჰოლანდიაში ადგილი არ აქვს სამართლის ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენებას. ბოლო წლებში ჰოლანდიაში იკლო გარემოსდაცვითი გაერთიანებების მიერ წარდგენილ სარჩელთა რაოდენობამ. კერძოდ, თუ 1997 წელს წარდგენილ იქნა 966 სარჩელი, 2001 წელს წარდგენილ სარჩელთა რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 569-ს, ხოლო 2002 წელს — 370-ს. ეს ტენდენცია აიხსნება ერთი მხრივ სასამართლო ხარჯების გაზრდით, მეორეს მხრივ კი გარემოსდაცვითი გაერთიანებებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების შემცირებით. 2005 წელს ჰოლანდიაში შეზღუდა ფიზიკური პირების სასარჩელო უფლებამოსილება. ახალი რეგულირების საფუძველზე, სასარჩელო უფლებამოსილება გარემოსდაცვით სფეროში ფიზიკურ პირს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მისი „კანონიერი ინტერესის“ ხელყოფა. **საფრანგეთში** გარემოსდაცვითი სარჩელებით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გარანტირებულია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის. გარემოს დაცვის სფეროში არსებობს სარჩელის წარდგენის შესაძლებლობები, რომლებიც ერთი მხრივ მიმართულია სუბიექტური უფლებების დაცვისკენ, ხოლო მეორეს მხრივ, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ობიექტური კონტროლისაკენ. გაერთიანებებისა და ფიზიკური პირების მიერ წარდგენილი გარემოსდაცვითი სარჩელების შედარებით მაღალი რაოდენობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამონადირეო, სოფლის მეურნეობის და წყლის დაბინძურების სფეროებში შეუძლებელია კონსენსუსის მიღწევა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მოსარჩელებს შორის. **პორტუგალიაში** წარდგენილი გარემოსდაცვითი სარჩელების რაოდენობა მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად არ არსებობს სასამართლოში გარემოსდაცვითი სარჩელის წარდგენის შეზღუდვა. აღნიშნულის მიზეზად პორტუგალიური გარემოსდაცვითი გაერთიანებების გამოუცდელობა იქნა მიჩნეული. ზემოაღნიშნული სტატისტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გარემოსდაცვითი გაერთიანებები ყურადღებით ამონიშნავენ სარჩელის წარდგენის საჭიროებას და სასამართლოებს მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარემოს დაცვის სამართლის ნორმების უხეში დარღვევა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სხვა სახის სარჩელებთან შედარებით, გარემოსდაცვითი გაერთიანებების მიერ წარდგენილი „წარმატებული სარჩელების“ რაოდენობა საშუალოზე მაღალი იყო. წარმატებული სარჩელების რაოდენობა უარყოფს ვარაუდს, რომ შესაძლებელია გარემოსდაცვითმა გაერთიანებებმა ბოროტად გამოიყენონ ეს ინსტიტუტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში არ არსებობს „ორჰუსის კონვენციით“ ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციის ერთიანი სურათი. კერძოდ, **ესტონეთში, სლოვენიაში, პოლონეთში და ლატვიაში** განხორციელდა სრული იმპლემენტაცია, ხოლო, **ბულგარეთში, უნგრეთში, ლიტვასა და სლოვაკეთში** სამართლებრივი დაცვის უფლება გარანტირებულია ნაწილობრივ. **ჩეხეთში, კვიპროსსა და მალტაში** კი იმპლემენტაცია ჯერ არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ **ესტონეთში** დაინერგა რადიკალურად ახალი გარემოსდაცვითი სამართლებრივი სისტემა. „ორჰუსის კონვენციის“ რატიფიცირების შემდეგ, ესტონეთის სასამართლოები გარემოსდაცვითი სარჩელის დაშვების წინაპირობას განმარტავენ ფართოდ და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოზე კონსტიტუციურ უფლებას მიიჩნევენ სუბიექტურ უფლებად, რომლიდან გამომდინარეც ყველა პირს თანაბრად შეუძლია მიმართოს სასამართლოს. შესაბამისად, ესტონეთის სასამართლოები პირთა გაერთიანებების მიერ წარდგენილ გარემოსდაცვით სარჩელებს მიიჩნევენ დასაშვებად. **გერმანიაში**, გაერთიანებების სარჩელის ფედერალურ დონეზე შემოღებამდე, მინების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაერთიანებების სარჩელის სხვადასხვა ვარიაციით დაშვების შესახებ. პირველად ეს ინსტიტუტი დაინერგა ბრემენის ფედერალური მიწის მიერ 1979 წელს, შემდგომ წლებში კი სხვა მიწების მიერ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოველწლიურად სასამართლო განიხილავდა 30 გარემოსდაცვით დავას, მაშინ როდესაც, მაგალითად, 2002 წელს ადმინისტრაციული წესით განხილულ იქნა 190875 საქმე, 2003 წელს — 201603, ხოლო 2004 წელს — 206855 საქმე. გარემოსდაცვითი დავები შეად-

გენდა ადმინისტრაციული დავების 0.0145%-ს. გერმანიის გამოცდილება ცხადყოფს, რომ გარემოსდაცვითმა ორგანოზაციებმა სასარჩელო უფლებამოსილება არ გამოიყენეს ბოროტად. ამასთან, არ მომხდარა სასამართლოთა გადატვირთვა გარემოსდაცვითი დავებით.²²

IV. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა საერთაშორისო სამართლის, ევროკავშირის სამართლის, გერმანიისა და საქართველოს გარემოს დაცვის სამართლის მიხედვით

1. „ორჰუსის კონვენციით“ განსაზღვრული ვალდებულებები

1998 წელს დანიაში ხელმოწერილ იქნა კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ე.წ. „ორჰუსის კონვენცია“).²³

კონვენცია საქართველოში ძალაშია 2000 წლიდან²⁴ და მისი მიზანია ახლანდელი და მომავალი თაობების უფლების უზრუნველყოფა, იცხოვრონ საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში. კონვენციის მიზნად განისაზღვრა, აგრეთვე, გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კონვენციის მე-9 მუხლის მეორე ნაწილით, ხელშემკვრელ სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულება გარემოს დაცვის სფეროში შექმნას უფლების დაცვის მექანიზმი.²⁵

გავრცელებული მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ვალდებულება გულისხმობს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში „გაერთიანებების სარჩელის“ დანერგვას. ამ ინსტიტუტით შესაძლებელი უნდა გახდეს სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილების გასაჩივრება, მიუხედავად იმისა, ზღუდავს თუ არა იგი კონკრეტული პირის სუბიექტურ საჯაროსამართლებრივ უფლებას. თუმცა, არსებობს სანინაალმდეგო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კონვენციის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ ავალდებულებს კონკრეტულად „გაერთიანებების სარჩელის“ დანერგვას, არამედ ანიჭებს თავისუფლებას, შექმნას უფლების დაცვის ისეთი მექანიზმი, რომლის საფუძველზეც დაინტერესებული პირი უფლებამოსილი იქნება მიმართოს სასამართლოს უფლების დაცვის მიზნით.²⁶

აზრთა სხვადასხვაობის გამო, მნიშვნელოვანია „ორჰუსის კონვენციის“ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზი. ნორმა ფორმულირებულია შემდეგი სახით:

„ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საზოგადოებრივი უწყებების წევრები:

ა) რომლებიც საკმაოდ დაინტერესებულნი არიან, ან, სხვაგვარად

ბ) უფლებები აქვთ შეზღუდული, იქ სადაც ამ მხარის ადმინისტრაციული პროცესუალური კანონი მოითხოვს ამას, როგორც წინაპირობას

უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს და გაიარონ გადახედვის პროცედურა, რათა გაასაჩივრონ გადანყვეტილებების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური კანონიერება.“ ნორმის მიხედვით, „თუ რა მიიჩნევა საკმაო ინტერესად ან უფლებების შელახვად, განსაზღვრული უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებისამებრ და იმ მიზნის შესაბამისად, რომ საზოგადოებას ამ კონვენციის ფარგლებში უნდა ჰქონდეს სასამართლო-

22. Koch, გვ. 372-375

23. http://www.aarhus-konvention.de/media/content/files/Studien/Hintergrundpapier_Aarhus_Final.pdf

24. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის №135 დადგენილება

25. http://www.aarhus-konvention.de/media/content/files/Studien/Hintergrundpapier_Aarhus_Final.pdf (გვ. 13-14)

26. Koch, გვ. 376

სადმი თავისუფალი მიმართვის უფლება. ამ მიზნით, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესები, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორე მუხლის მეხუთე ნაწილში მოცემულ მოთხოვნებს, ჩაითვლება საკმარისად ზემოთ მოყვანილი (ა) ქვეპუნქტისთვის. ზემოთ მოყვანილი (ბ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის ჩაითვლება, აგრეთვე, რომ ასეთი ორგანიზაციები სარგებლობენ უფლებით, განაცხადონ მათი უფლებების დარღვევის შესახებ.“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადანყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.“²⁷

კონვენციის ზემოაღნიშნული ნორმის გრამატიკული, სისტემური და ტელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვანია, რომ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს და გაერთიანებებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს. აღსანიშნავია, რომ კონვენცია ადგენს ფიქციას, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან არასამთავრობო ორგანიზაციები განიხილონ „დაინტერესებულ მხარეებად“, თუ ქვეყნის კანონმდებლობით სარჩელის წარდგენის ნინაპირობად დაინტერესებული მხარის არსებობაა მიჩნეული.²⁸

2. ევროპის სამართლით განსაზღვრული ვალდებულებები

ევროკავშირმა საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების იმპლემენტაცია მოახდინა 2003 წლის 26 მაისის ე.წ. საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის დირექტივით (Öffentlichkeitsbeteiligungs-Richtlinie). აღნიშნული დირექტივით შეტანილ იქნა ცვლილებები 85/337/EWG და 96/61/EG დირექტივებში. ცვლილებების შედეგად, ზემოაღნიშნულ დირექტივებს დაემატა შემდეგი შინაარსის ნორმა:

„(1) ნევრი სახელმწიფოები თავიანთი კანონმდებლობის ფარგლებში ადგენენ, რომ დაინტერესებული საზოგადოების ნევრებს,

ა) რომლებსაც აქვთ საკმარისი ინტერესი ან, ალტერნატიულად

ბ) რომლებიც ასაბუთებენ სამართალდარღვევას, თუ ამას მოითხოვს ნევრი სახელმწიფოს ადმინისტრაციული წარმოების სამართალი ან ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი,

უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების და გადახედვის უფლება სასამართლოში ან კანონის საფუძველზე შექმნილ სხვა დამოუკიდებელ და უპარტიო ორგანოში იმ მიზნით, რომ გასაჩივრონ იმ გადანყვეტილებების, ქმედებების ან ქმედებებისაგან თავის შეკავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი კანონიერება, რომლებზეც ვრცელდება საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის დირექტივა.

(2) ნევრი სახელმწიფოები ადგენენ წარმოების რომელ სტადიაზეა შესაძლებელი გადანყვეტილებების, ქმედებების ან ქმედებებისაგან თავის შეკავების გასაჩივრება.

(3) თუ რა მიიჩნევა საკმარისი ინტერესად ან კანონმდებლობის დარღვევად, განისაზღვრება ნევრი სახელმწიფოს მიერ იმ მიზნის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას ჰქონდეს სასამართლოში თავისუფალი მიმართვის უფლება. ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესი, რომელიც პირველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას აკმაყოფილებს, მიიჩნევა საკმარისი ინტერესად ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის. ასეთი ორგანიზაციები მიიჩნევიან აგრეთვე იმ უფლებების მატარებლებად.

27. http://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=1210443

28. Koch, გვ. 377

რებელ სუბიექტებად, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, შესაძლოა დაირღვეს.“²⁹

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ზემოაღნიშნული ნორმის მიზანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში „გაერთიანების სარჩელის“ დანერგვა. ეს გამომდინარეობს არამართო ნორმის ფორმულირებიდან, არამედ აღნიშნული დირექტივის შემუშავების ამსახველი დოკუმენტაციიდანაც. კერძოდ, ეს დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ ევროკავშირის განზრახული ჰქონდა „გაერთიანების სარჩელის“ დანერგვა წევრ ქვეყნებში, ვინაიდან ეს ინსტრუმენტი ხელს შეუწყობდა საზოგადოების მობილიზებას და, შესაბამისად, ევროკავშირის გარემოს დაცვის სამართლის იმპლემენტაციას.³⁰ თუმცა, სანინალმდეგო მოსაზრებით, ზემოაღნიშნული დირექტივების ნორმების გრამატიკული და სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ წევრ სახელმწიფოებს ერთმნიშვნელოვნად არ ევალებათ გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებზე სრული სასამართლო კონტროლის განხორციელება. პირიქით, ორივე დირექტივით, წევრი სახელმწიფოების კანონმდებელს ენიჭება არჩევანის თავისუფლება. კერძოდ, შესაძლებელია გარემოს დაცვის გაერთიანების სასამართლოში დაშვების წინაპირობად განისაზღვროს „საკმარისი ინტერესის“ არსებობა (ე.წ. „ინტერესების სარჩელის მოდელი“) ან „სამართალდარღვევის არსებობის დასაბუთება“ (ე.წ. „ინდივიდუალური უფლების დაცვის სისტემა“).³¹

3. „გაერთიანების სარჩელი“ გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით

ა) „გაერთიანების სარჩელის“ ფარგლები

ა.ა) „ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის“ კანონით გათვალისწინებული რეგულირებები

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონის 42-ე პარაგრაფის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სარჩელი დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ზღუდავს პირის სუბიექტურ უფლებებს.³² სწორედ ამიტომაც, თავდაპირველად ცალკეული მიწის მიერ, ხოლო 2002 წლიდან ფედერალურ დონეზე შემოღებულ იქნა „გაერთიანების სარჩელი“ ბუნების დაცვის სფეროში. „ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის შესახებ“ კანონის 64-ე პარაგრაფის მიხედვით, კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ გარემოსდაცვით გაერთიანებებს მიენიჭა ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, მათი ბუნების დაცვის კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. თუმცა, ზემოაღნიშნული კანონის 63-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, ასეთ ორგანიზაციებს შეუძლიათ, ძირითადად, დაგეგმვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება.³³

ა.ბ) „გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რეგულირებები

2005 წელს შემუშავებულ იქნა კანონპროექტი „გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ (Umwelt-Rechtsbehelfsgesetz), რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულებების დანერგვას. კანონპროექტის მე-2 პარაგრაფის პირველი ნაწილის მიხედვით, გაერთიანებას უფლება ენიჭებოდა „საკუთარი უფლებების დარღვევის დასაბუთების გარეშე“ მიემართა სასამართლოსთვის ადმინისტრაციუ-

29. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2003:156:0017:0024:DE:PDF>

30. Koch, გვ. 377-378

31. Schrödter, გვ. 158

32. Verwaltungsgerichtsordnung in Ö-Recht, გვ. 393

33. Schmidt, გვ. 296

ლი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით. 2006 წელს შეიცვალა კანონპროექტის ზემოაღნიშნული მუხლის რედაქცია და ბუნდესტაგმა ნორმა მიიღო შემდეგი რედაქციით: კანონმდებლობის შესაბამისად „ალიარებული ეროვნული ან უცხო ქვეყნის გაერთიანება უფლებამოსილია, საკუთარი უფლებების დარღვევის დასაბუთების გარეშე, მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონის შესაბამისად და გაასაჩივროს §1 | 1 გათვალისწინებული გადაწყვეტილებები ან მათი მიღებისაგან თავის შეკავება, თუ გაერთიანება ასაბუთებს, რომ §1 | -ით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ან მისი მიღებისაგან თავის შეკავება ეწინააღმდეგება ნორმებს, რომლებიც ... ადგენენ კონკრეტული პირის უფლებებს.“ ამასთან, სარჩელი დასაბუთებულია იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ან მისი მიღებისაგან თავის შეკავება არღვევს „ნორმებს, რომლებიც ემსახურებიან გარემოს დაცვას.“ ამდენად, კანონის შესაბამისად ალიარებულ გაერთიანებებს მიენიჭათ „ალტრუისტული სარჩელის“ წარდგენის უფლება. ამდენად, კანონის მიხედვით, გაერთიანებებმა უნდა დაასაბუთონ იმ ნორმების დარღვევის ფაქტი, რომლებიც კონკრეტულ პირებს ანიჭებს სუბიექტურ უფლებებს და, შესაბამისად, მსგავსი ფაქტები გასაჩივრებადია თვით ამ პირების მიერ.³⁴

გაერცელებული მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება არამარტო ევროკავშირის დირექტივებს, არამედ „ორჰუსის კონვენციის“ შემქმნელების ისტორიულ ნებას, ვინაიდან „გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ კანონის §2-ის პირველი ნაწილით განხორციელდა ინდივიდუალური ინტერესების დაცვის თეორიის (შეკუთხნილი მტკიცებულება) გარემოს დაცვის სამართალში ინკორპორირება, რამაც დაუშვებლად შეზღუდა გაერთიანებების სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ ევროპის სამართლით განსაზღვრული ნორმების ნევრ სახელმწიფოებში დანერგვა საჭიროებს საზოგადოების მობილიზებას. ნორმების დეცენტრალიზებული დანერგვის კონტროლი კი ფუნქციონირებს უფრო ეფექტურად, თუ მოქალაქეებს აქვთ ინტერესების დაცვის ფართო სამართლებრივი შესაძლებლობა.³⁵ გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაში საზოგადოების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის მხოლოდ დაგეგმვასა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლებები, არამედ მნიშვნელოვანია მოქალაქეებისთვის და გარემოსდაცვითი გაერთიანებების სასარჩელო უფლებამოსილებანი.³⁶

საწინააღმდეგო მოსაზრების მიხედვით, დირექტივებით დადგენილი ნორმების გრამატიკულ და სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, გერმანია უფლებამოსილი იყო გარემოს დაცვის სამართალში შემოეღო უფლების დაცვის ისეთი სისტემა, რომლის მიხედვითაც სავალდებულო იქნებოდა მესამე პირების უფლებების დარღვევის დასაბუთება. ევროკავშირის დირექტივებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გაერთიანებების უფლება, გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოების „გადაწყვეტილებების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი კანონიერება,“ არ ავალდებულებს ნევრ სახელმწიფოებს შემოიღონ სრული სასამართლო კონტროლი. სამართლებრივი კონტროლის მოცულობა განისაზღვრება მხოლოდ ეროვნული სამართლის სისტემით. ინდივიდუალური უფლებების დაცვის სამართლებრივი სისტემა, რომელიც გერმანიაში განვითარდა ათეული წლების განმავლობაში და აისახა ადმინისტრაციული საპროცესო კანონის 42-ე პარაგრაფის მეორე ნაწილსა და 113-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში, უშვებს სასამართლო კონტროლის შეზღუდვას მესამე პირების უფლებების დამცავ ნორმებზე. ეს მოდელი უდევს საფუძვლად კანონს „გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ და ის არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს. ამ გარემოებას ადასტურებს ევროკავშირის დირექტივების მიღების საფუძვე-

34. Koch, გვ. 378

35. Marty, გვ. 116-117

36. Schmidt, გვ. 296

ლი - „ორჰუსის კონვენცია“, რომლის მიზანია თითოეული პირის უფლების დაცვა იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში. შესაბამისად, „თითოეული პირის უფლების“ ცნების არსებობა გერმანიის გარემოს დაცვის სამართალში არ არის გერმანელი კანონმდებლის აღმოჩენა. ამდენად, არადამაჯერებელია არგუმენტი, რომ ევროკავშირის დირექტივების მიზანია ნევერ სახელმწიფოებში ობიექტური სამართლის ნორმების სრული სასამართლო კონტროლის დადგენა. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის დირექტივები მიზნად ისახავდა სრულ სასამართლო კონტროლს, ეს არაორაზროვნად უნდა ასახულიყო შესაბამის ნორმაში.³⁷

ბ) გარემოსდაცვითი გაერთიანებების აღიარების პროცედურა

„ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის შესახებ“ კანონის მიზნებისთვის, „აღიარებულ“ გარემოსდაცვითი გაერთიანებად მიიჩნევა „გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ კანონის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად აღიარებული გაერთიანება. გაერთიანების საწესდებო მიზანი უნდა იყოს ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის ხელშეწყობა.³⁸

„გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი მექანიზმების შესახებ“ კანონის მე-3 პარაგრაფი ადგენს გერმანიისა და სხვა ქვეყნის გარემოსდაცვითი გაერთიანებების აღიარების პირობებს. კერძოდ, ასეთი გაერთიანება აღიარებული იქნება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- წესდების მიხედვით, ხანგრძლივი ვადით ხელს უწყობს გარემოს დაცვას;
- დაფუძნებულია არანაკლებ 3 წლის წინ და ამ პერიოდის განმავლობაში ემსახურებოდა გარემოს დაცვის მიზნებს;
- შეუძლია ამოცანების სათანადო დონეზე შესრულება. ამასთან, მხედველობაში მიიღება მის მიერ უკვე განხორციელებული საქმიანობის სახე და მოცულობა, აგრეთვე ნევრთა რაოდენობა და შესაძლებლობები;
- აქვს საგადასახადო კოდექსის 52-ე პარაგრაფით დადგენილი რეგულირების შესაბამისი საზოგადოებისთვის სასარგებლო მიზნები;
- ყოველ პირს, რომელიც მხარს უჭერს გაერთიანების მიზნებს, უფლებას აძლევს, გახდეს გაერთიანების ნევრი.. ნევრი არის პირი, რომელსაც აქვს ხმის უფლება გაერთიანების ნევრთა კრებაზე.³⁹

თუ გაერთიანება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, ის უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს აღიარების მოთხოვნით. უცხო ქვეყნის გარემოსდაცვითი გაერთიანების, აგრეთვე ისეთი გაერთიანების, რომლის საქმიანობის ფარგლები სცდება ერთი კონკრეტული მიწის საზღვრებს, აღიარების გადაწყვეტილებას იღებს გარემოს დაცვის ფედერალური სამსახური (Umweltbundesamt). ამასთან, თუ გაერთიანება საქმიანობს ბუნებისა და ლანდშაფტის დაცვის სფეროში, აღიარების გადაწყვეტილებას იღებს ბუნების დაცვის ფედერალური სამსახური (Bundesamt für Naturschutz). ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანება საქმიანობს ერთი კონკრეტული მიწის საზღვრებში, აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მიწის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო.⁴⁰

4. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

გარემოს დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ მიიღო მრავალი საკანონმდებლო ნორმატიული აქტი. მათგან გარემოს დაცვის ძირითად სარამართლებრივ საფუძველს ქმნის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წყლის შესახებ“, „წია-

37. Schrödter, გვ. 158-159

38. http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/bnatschg_2009/gesamt.pdf (§ 63 (1))

39. <http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/umwrg/gesamt.pdf> (§ 3 (1))

40. <http://www.gesetze-im-internet.de/bundesrecht/umwrg/gesamt.pdf> (§ 3 (2) (3))

ლის შესახებ“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“, „საქართველოს „ნითელი ნუსხისა“ და „ნითელი ნიგნის“ შესახებ“, „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“, „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“, „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონები, აგრეთვე „საქართველოს ტყის კოდექსი“.

ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტების უმრავლესობა არ შეიცავს რეგულირებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა „გაერთიანების სარჩელის“ წარდგენა. თუმცა, რამოდენიმე საკანონმდებლო აქტი ადგენს ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებებს გარემოს დაცვის სამართლის კონკრეტულ სფეროში. ეს რეგულირებები არ

შეიცავს სპეციალურ მითითებას, რომ სარჩელის წარდგენის დროს არ არის აუცილებელი სუბიექტური უფლებების დარღვევის დასაბუთება. აღნიშნული ჩანაწერის არარსებობის გამო, სავარაუდოა, რომ სასამართლო იხელმძღვანელებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და გაერთიანების მიერ წარდგენილ სარჩელს არ ცნობს დასაშვებად. გარდა ამისა, კანონმდებლობა არ ადგენს სპეციალურ მოთხოვნას იურიდიულ პირებთან მიმართებით, მაგალითად, არ არის სავალდებულო, იურიდიული პირი, რომელსაც კანონით ენიჭება სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება, იყოს გარემოსდაცვითი გაერთიანება. ამ თვალსაზრისით საინტერესო რეგულირებებს შეიცავს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

ა) „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წელს, არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს გარემოს დაცვის სფეროში. კანონის ძირითადი მიზანია გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის უფლებების დაცვა — „ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.“ კანონის ძირითად ამოცანად განისაზღვრა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს დაცვა და შენარჩუნება; გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის, აგრეთვე გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სამართლებრივი უზრუნველყოფა, საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ოპტიმალური ურთიერთშეთანხმობა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფა. კანონის მე-2 თავით განისაზღვრა მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი გარემოს დაცვის სფეროში. მე-6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მხოლოდ მოქალაქეს (ფიზიკურ პირს) მიენიჭა უფლება „სასამართლო წესით მოითხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ განყვეტილებათა შეცვლა.“⁴¹

ბ) „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს, საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს ევალება უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება, არ დაუშვას მისი დაბინძურება, დანაგვიანება და დაშრეტა. კანონის მე-13 მუხლით განისაზღვრა ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები წყლის დაცვისა

41. http://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=33340

და რაციონალურად გამოყენების ღინისძიებათა განხორციელებაში. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ „შესაბამის სასამართლოში აღძრან სარჩელი იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით) მიმართ, რომლებიც არღვევენ საქართველოს კანონმდებლობას წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში.“⁴²

გ) „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებული იქნა 1999 წელს, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაცვას მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი მათ ანიჭებს უფლებას „სასამართლო წესით მოითხოვონ ატმოსფერული ობიექტების განთავსების, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.“ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე, უფლება აქვთ „აღძრან სარჩელი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მათ მიერ მხილებული იქნებიან ამ კანონით დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევაში.“⁴³

დ) „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 1996 წელს, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, კატეგორიების შერჩევის, თითოეული დაცული ტერიტორიის დაარსებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონის ძირითადი მიზანია, ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ბიოგეოგრაფიული ერთეულების გრძელვადიანი გარანტირებული დაცვა, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა, საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, აგრეთვე ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური კომპლექსების დამახასიათებელი პეიზაჟების შენარჩუნება და აღდგენა. კანონის 22-ე მუხლი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ანიჭებს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურაში მონაწილეობის უფლებას. კერძოდ, მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ „დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარების, შემცირებისა და გაუქმების გადაწყვეტილებების, მენეჯმენტის გეგმების, ადმინისტრაციების დებულებებისა და სხვა დოკუმენტების განხილვისა და შესწორების პროცესში“, აგრეთვე „დაცული ტერიტორიებისა და ბუნებრივი ზონების მოვლა-პატრონობისა და მართვის საქმიანობაში.“⁴⁴

ე) „საქართველოს „ნითელი ნუსხისა“ და „ნითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონი

„საქართველოს „ნითელი ნუსხისა“ და „ნითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2003 წელს, არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს „ნითელი ნუსხისა“ და „ნითელი წიგნის“ შედგენის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისა და გამოყენების სფეროში. კანონის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურ-

42. http://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=33448

43. http://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=16210

44. http://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=32968

სების შენარჩუნება და მათი მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა. კანონის მე-8 მუხლი ადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებს. ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ „დადგენილი წესით მოითხოვონ იმ ობიექტების განთავსების, დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან ექსპლუატაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა შეცვლა, რომელთა განთავსებამ, დაპროექტებამ, მშენებლობამ, რეკონსტრუქციამ შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე.“⁴⁵ ზემოაღნიშნული კანონებით გათვალისწინებული ნორმებისაგან განსხვავებით, ეს ნორმა სიტყვებით - „დადგენილი წესით“ განსაზღვრავს ჩამოთვლილი გადაწყვეტილებების გასაჩივრების დამატებით პირობას, რაც, საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გულისხმობს სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლების სავარაუდო დარღვევის არსებობას.

V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

1. გერმანიის სასამართლო პრაქტიკა

1980 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „გაერთიანებების სარჩელის“ ატომურ სამართალში დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით. დავის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ გაასაჩივრა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდებოდა საწარმოების მიერ კონკრეტული ტერიტორიის გამოყენება ატომური ენერგოსადგურის აშენების მიზნით. გარემოსდაცვითი გაერთიანების მოსაზრებით, წესდების მიხედვით, ის ილწვის ადამიანის, ცხოველის, მცენარისა და გარემოსთვის სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებისთვის. გაერთიანების მიზანია, გამოაშკარავოს საფრთხე, რაც ემუქრება სიცოცხლეს. ამ საფუძველზე დაყრდნობით, გაერთიანება მიიჩნევდა, რომ მას ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული საპროცესო კანონის 42-ე პარაგრაფის პირველი ნაწილიდან. აღნიშნული პარაგრაფის მეორე ნაწილის მიხედვით, სარჩელი დასაშვებია, თუ პირს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ადგება უშუალო ზიანი. ამ ნორმიდან გამომდინარე „გაერთიანებების სარჩელი“ არ არის დასაშვები. ამასთან, ვინაიდან ატომურ სფეროსთან დაკავშირებული კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის უფლებამოსილება, გარემოსდაცვით გაერთიანებებს ამ სფეროში არ აქვთ „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის უფლება.⁴⁶

1996 წელს პოტსდამის ადმინისტრაციულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა მინის კონსტიტუციით დადგენილი ნორმების მნიშვნელობა „გაერთიანებების სარჩელთან“ მიმართებით. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას, რომლის მიხედვითაც საწარმოს მიენიჭა 10 ჰექტარ ტერიტორიაზე შერეული სახის საწყობის აშენების უფლება, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ქვის, იატაკის და სხვა მასალის დამზადებისათვის საჭირო ნივთიერებების განთავსების მიზნით. აღნიშნული ტერიტორია დაფარული იყო მდელოებით, ხეებითა და ბუჩქებით. ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ, ადმინისტრაციულ ორგანოს ნებართვის გაცემაზე უარის თქმის მოთხოვნით მიმართა კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულმა გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ. პრეტენზიაში აღნიშნული

45. http://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=12514

46. *Unzulässigkeit der Verbandsklage im Atomrecht*, 1981 Heft 4, ÖR VwGO § 42 II Karte 3, BVerwG 16.7.1980 7 C 23/78 JURA-Kartei (JK) auf CD-ROM, Edition 2008

იყო, რომ ტერიტორია მდებარეობდა დაცული ლანდშაფტის ფარგლებში და, აგრეთვე, ე.წ. „Bირდ-არეალში“, რომელიც წარმოადგენდა „ფრინველთა დაცვის შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის დაცვის ობიექტს. ამასთან, გარემოსდაცვითი გაერთიანების მტკიცებით, ტერიტორიის შენარჩუნება აუცილებელი იყო ფრინველთა განაყოფიერებისთვის. გარემოსდაცვითი გაერთიანების პრეტენზია არ დააკმაყოფილა ადმინისტრაციულმა ორგანომ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ტერიტორიის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო საწარმოს მიერ ნებართვის გაცემის შესახებ მოთხოვნის წარდგენამდე. წარუმატებელი ადმინისტრაციული საჩივრის შემდეგ, გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ მიმართა სასამართლოს. სასამართლომ საქმის განხილვის დროს განმარტა, რომ პრობლემატური იყო გარემოსდაცვითი გაერთიანების მიერ წარდგენილი შეცდომებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხი, ვინაიდან არ დასტურდებოდა მოსარჩელის სუბიექტური უფლებების შეზღუდვის ფაქტი. თუმცა, მინის კანონი „ბუნების დაცვის შესახებ“ უშვებდა კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული გარემოსდაცვითი გაერთიანების მიერ ე.წ. „ალტრუისტული გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის შესაძლებლობას სუბიექტური უფლებების დარღვევის მტკიცების ვალდებულების გარეშე. სასამართლომ მიიჩნია, რომ გერმანიის ძირითადი კანონის საფუძველზე, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება სახელმწიფოს მიზანია. ძირითადი კანონიდან გამომდინარე, ყველა მინის, მათ შორის ბრანდენბურგის, კონსტიტუცია ადგენს, რომ ბუნების, გარემოს და კულტურული ლანდშაფტის დაცვა არის „მინის და ყველა ადამიანის“ ვალდებულება. კონსტიტუციით გარანტირებულია ყველა ადამიანს უფლება დაიცვას ჯანმრთელობა ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც წარმოიქმნება ბუნებრივი გარემო პირობების ცვლილებების შედეგად. მინის კონსტიტუციის 39 VIII 1 მუხლში წერია, რომ „გაერთიანებების სარჩელი დასაჩვენია.“ აღნიშნულ ჩანაწერს სასამართლო განმარტავს, როგორც „უპირობო კოლექტიურ საპროცესო უფლებას.“ ამავე პუნქტში აღნიშნულია, რომ „ალიარებულ გარემოსდაცვით გაერთიანებებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომელიც ეხება ბუნებრივი გარემოს პირობებს. სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.“ სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით, კანონმდებელს არ აქვს მინიჭებული თავისუფლება კანონით განსაზღვროს, დასაშვებად მიიჩნევს თუ არა „გაერთიანებების სარჩელს.“ ამ მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტი შესაძლოა ეყრდნობოდეს კონსტიტუციის ჩანაწერს „სხვა საკითხებს განსაზღვრავს კანონი.“ თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მსგავსი ჩანაწერი, დოგმატური თვალსაზრისით, შესაძლოა მოცემული იყოს კონსტიტუციით გარანტირებულ მრავალ უფლებასთან მიმართებაში. ეს კი არ ნიშნავს, რომ კანონმდებელს უფლება აქვს დაადგინოს სამართლის ამ ინსტიტუტის შემზღვეველი რეგულირებები. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს კანონმდებლის უფლებას, განსაზღვროს წარმოებასთან დაკავშირებული რეგულირებები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა სარჩელის წარდგენის ფორმა და ვადები. შესაბამისად, ბუნების დაცვის კანონმდებლობის ობიექტური დარღვევის საფუძველზე „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენას სასამართლო დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს.⁴⁷

1997 წელს გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი გაერთიანების სასარჩელო უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. დავა ეხებოდა სამთავრობო პრეზიდუმიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო A-14 მაგდებურგი-ჰალეს ავტობანზე ცალკეული მონაკვეთების ხელახალი გაყვანა. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქსენ-ანჰალტში აღიარებულმა გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ. მოგვიანებით გადაწყვეტილება ასევე გაასაჩივრა ფიზიკურმა პირმა, რომელმაც შემდგომში გაიხმო სარჩელი. გერმანიის ფედერალური ად-

47. Verbandsklage nach Landesverfassungsrecht, 1996 Heft 11, VG Potsdam 31.8.1995 1 K 1160/93 JURA-Kartei (JK) auf CD-ROM, Edition 2008

მინისტრაციული სასამართლოს განმარტებით, „გაერთიანებების სარჩელს“ მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება ბუნების დაცვის სამართალში, მით უფრო მაშინ, როდესაც არსებობს ამ სფეროში უფლების დაცვის მცირე შანსი. თუმცა, საქსენ-ანჰალტის მინის კანონი „ბუნების დაცვის შესახებ“ „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის შესაძლებლობას უშვებს, თუ მესამე პირს არ აქვს გასაჩივრების უფლებამოსილება. კანონის ნორმის მიხედვით, „სხვაგვარი სასარჩელო უფლებამოსილების არსებობა“ გულისხმობს, რომ „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის უფლება უნდა გამოირიცხოს, თუ სხვა პირს აქვს სასარჩელო უფლებამოსილება. აღნიშნული კი არ არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, მესამე პირი გამოიყენებს თუ არა კანონით მინიჭებულ სასარჩელო უფლებამოსილებას. შესაბამისად, გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებით, გარემოსდაცვით გაერთიანებას არ აქვს „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს აქვს სასარჩელო უფლებამოსილება და ამასთანავე იგი ამტკიცებს გარემოს დაცვის ინტერესების დარღვევას. „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის უფლებამოსილება არ არსებობს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მესამე პირი სარჩელზე უარის თქმის გამო ვერ ადასტურებს გარემოს დაცვის ინტერესების დარღვევას.⁴⁸

2001 წელს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი გაერთიანების სასარჩელო უფლებამოსილებასთან დაკავშირებით და განმარტა ძირითადი კანონის მე-19 მუხლის შინაარსი გარემოსდაცვითი გაერთიანებების სასარჩელო უფლებამოსილებასთან მიმართებით. დავის გარემოებების მიხედვით, გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ გაასაჩივრა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა შპს - „EADS Airbus“-ის სახელოსნოს გაფართოება ჰამბურგში „Mühlenberger Loch“-ის ტერიტორიაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ. მისი მტკიცებით, „Mühlenberger Loch“-ის ტერიტორია დაცული იყო ევროკავშირის დირექტივით „ფრინველთა დაცვის შესახებ“, აგრეთვე გარემოს, ბუნების დაცვისა და რეაქტორების უსაფრთხოების სამინისტროს ნორმატიული აქტით „ფლორისა და ფაუნის გავრცელების არეალის შესახებ“. ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა გარემოსდაცვითი გაერთიანების მიერ წარდგენილი სარჩელი იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მას არ ჰქონდა სასარჩელო უფლებამოსილება. აღნიშნული გადაწყვეტილება გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ გაასაჩივრა გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში. გაერთიანების მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა გერმანიის ძირითადი კანონის 19 IV 1 მუხლს. საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. სასამართლოს განმარტებით, გერმანიის ძირითადი კანონის 19 IV 1 მუხლით გარანტირებულია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო დაარღვევს პირის უფლებებს. ამასთან, ამ ნორმით არ არის გარანტირებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის დარღვევასაც ის ასაბუთებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გერმანიის ძირითადი კანონის 19 IV 1 მუხლიდან უშუალოდ არ გამომდინარეობს „გაერთიანებების სარჩელის“ წარდგენის უფლებამოსილება. თუმცა, კანონმდებელს აქვს მინიჭებული თავისუფლება, დანერგოს მსგავსი სახის სასარჩელო უფლებამოსილებები და დაადგინოს შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები მის მიმართ.⁴⁹

2008 წელს ლიუნებურგის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ იმსჯელა ევროკავშირის დირექტივებთან გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისობის საკითხზე. საქმის გარემოებების მიხედვით, ქვემო საქსონიაში აღიარებულმა გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ

48. Klagebefugnis eines anerkannten Naturschutzverbandes, 1998 Heft 10, ÖR BNatschG § 29 Karte 2, BVerwG 6.11.1997 4 A 16/96 in JURA-Kartei (JK) auf CD-ROM, Edition 2008

49. Klagebefugnis von Naturschutzverbänden, 1998 Heft 10, ÖR GG Art. 19 IV Karte 22, BVerfG 10.5.2001 1 BvR 481/01 u. 518/01 in JURA-Kartei (JK) auf CD-ROM, Edition 2008

მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა მოპასუხის მიერ ფედერალური ავტობანის ერთ-ერთ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების შეჩერება. პირველი ინსტანციის მოსაზრებით, გაერთიანებას არ ჰქონდა სასარჩელო უფლებამოსილება. გარემოსდაცვითმა გაერთიანებამ მიმართა მიწის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს. გაერთიანების მოსაზრებით, ვინაიდან გერმანიის კანონმდებლობის რეგულირება „გაერთიანების სარჩელის“ წარდგენასთან დაკავშირებით ბუნდოვანია და ეწინააღმდეგება ევროგაერთიანების სამართალს, შესაძლებელი უნდა იყოს ევროკავშირის დირექტივები გამოყენებულ იქნას სარჩელის წარდგენის უშუალო სამართლებრივ საფუძვლად. გარემოსდაცვითი გაერთიანება განმარტავს, რომ გერმანიის კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნა, რომ „გაერთიანების სარჩელის“ წარდგენა შესაძლებელია, თუ გარემოსდაცვითი ნორმა ადგენს პირის სუბიექტურ უფლებას, ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს, ვინაიდან ამ დირექტივების მიზანია, დაინტერესებული საზოგადოების უფლების უზრუნველყოფა, თავისუფლად მიმართოს სასამართლოს. ლიუნენბურგის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით: ევროკავშირის დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვას თან ახლდა კრიტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს კრიტიკა პოლიტიკურსამართლებრივ მოტივაციას ეფუძნება, სასამართლოს მიაჩნია, რომ გერმანიის კანონიდან გამომდინარე ჩნდება პასუხგასაცემი კითხვები. ამისთვის საჭიროა, გერმანული კანონის ნორმების განმარტება ევროპის სამართლის შესაბამისად (*europarechtskonforme Auslegung*), ვიდრე დადგინდება, რომ გერმანიის კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ევროპის სამართალს. კრიტიკა ძირითადად უკავშირდება კანონის მე-2 პარაგრაფის პირველი პუნქტს, რომლის მიხედვითაც სარჩელის წარდგენა შესაძლებელია, თუ გადანყვეტილება ან მისი გამოცემისაგან თავის შეკავება ეწინააღმდეგება ნორმებს, რომელთა მიზანია გარემოს დაცვა და რომლებიც ადგენენ პირთა სუბიექტურ უფლებებს. აღნიშნული რეგულირება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს, ვინაიდან დირექტივების მიხედვით, შესაძლებელია მათი იმპლემენტაციის მიზნით, სახელმწიფომ „გაერთიანების სარჩელის“ წარდგენის უფლებამოსილება დაუკავშიროს „საკმარის ინტერესს“ ან „კანონმდებლობის დარღვევის დასაბუთებას, თუ წევრი სახელმწიფოს ადმინისტრაციული წარმოების სამართალი ან ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი ამას მოითხოვს, როგორც წინაპირობას.“ შესაბამისად, გერმანიამ აიჩიოა იმპლემენტაციის მეორე ალტერნატივა.⁵⁰

2. ევროგაერთიანების სასამართლოს 2011 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება

გერმანიაში მიმდინარე დისკუსიისა და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საინტერესოა ევროგაერთიანების სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება. ევროგაერთიანების სასამართლოს სარჩელით მიმართა გერმანიის გარემოსა და ბუნების დაცვის კავშირმა. გასაჩივრებულ იქნა ნორდრაინ-ვესტფალენის მიწის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება. დავის საგანი იყო გარემოსდაცვითი გაერთიანების სასარჩელო უფლებამოსილების ფარგლების დადგენა. სასამართლომ 2011 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებით განმარტა 85/337/Eჭ და 2003/35/Eჭ დირექტივები და გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გარემოსდაცვით გაერთიანებებს უნდა ჰქონდეთ შეუზღუდავი შესაძლებლობა, სასამართლოში გაასაჩივრონ იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც გამომდინარეობენ ევროკავშირის სამართლიდან და მიზნად ისახავენ გარემოს დაცვას. დაუშვებელია პირობის დადგენა, რომ ნორმა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესების ან, აგრეთვე, თითოეული პირის სამართლებრივი სიკეთის დაცვას. გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ

50. <http://www.dbovg.niedersachsen.de/Entscheidung.asp?Ind=0500020080001311%20ME>

გარემოსდაცვით გაერთიანებებს უნდა შეეძლოთ ევროკავშირის სამართლის უშუალოდ გამოყენება.⁵¹

ევროკავშირის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება აფართოებს გარემოსდაცვითი გაერთიანებების სასარჩელო უფლებამოსილებას. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რჩება მხოლოდ ერთი პრობლემა - სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებული მოთხოვნების გამო შესაძლებელი იქნება თუ არა გარემოსდაცვითი გაერთიანებების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ეფექტურად გამოყენება.⁵²

VI. დასკვნა

გარემოს დაცვაზე ზრუნვის კონსტიტუციური ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გარემოს დაცვის სამართლის ნორმების იმპლემენტაცია. ამისთვის კი აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუტების კანონმდებლობაში დანერგვა. ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტი არის „გაერთიანებების სარჩელი“, რომელიც გარემოსდაცვით გაერთიანებებს საშუალებას აძლევს განახორციელონ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კონტროლი დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით. „გაერთიანებების სარჩელით“ იქმნება სამართლებრივი დაცვის თანაბარი შესაძლებლობები ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირებისა და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული პირებისთვის. ამასთან, სამართლის ახალი ინსტიტუტის დანერგვა ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების გაზიარებას.

საქართველო არის „ორჰუსის კონვენციის“ წევრი სახელმწიფო და მისი მიზანია გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. „ორჰუსის კონვენციით“ და ევროკავშირის დირექტივებით დადგენილია, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ეროვნული კანონმდებლობით უნდა უზრუნველყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა გარემოს დაცვის სფეროში, რაც, ევროგაერთიანების სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილების მიხედვით, გულისხმობს „გაერთიანებების სარჩელის“ უპირობო დანერგვას. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კანონმდებლობით „გაერთიანებების სარჩელის“ დასაშვებობის წინაპირობად არ შეიძლება დადგინდეს სუბიექტური უფლებების დარღვევა.

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უფლების დაცვის ეფექტურ გარანტიებს გარემოსდაცვითი გაერთიანებებისთვის. რამდენიმე საკანონმდებლო აქტი იურიდიულ პირებს, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ გარემოსდაცვითი გაერთიანებები, ანიჭებს უფლებას, წარადგინოს სარჩელი ადმინისტრაციული ორგანებისა და იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფენ გარემოს კონკრეტულ სფეროს. ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში არსებული სასარჩელო უფლებამოსილებები გაუაზრებლად არის დანერგილი.

ამდენად, გარემოსდაცვით გაერთიანებებს უნდა მიენიჭოს უფლება სასამართლოში, სუბიექტური საჯაროსამართლებრივი უფლების დარღვევის დასაბუთების გარეშე, წარადგინოს „გაერთიანებების სარჩელი“ ადმინისტრაციული ორგანოებისა და კერძო პირების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, რომელთა საფუძველზეც დაირღვა ან შესაძლოა დაირღვეს გარემოს დაცვის სამართლის კონკრეტული ნორმა. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს არსებულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანით ან ახალი საკანონმდებლო აქტის მიღებით.

51. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2011:204:0006:0007:DE:PDF> (Amtsblatt der Europäischen Union, C 204/6; Urteil des Gerichtshofs vom 12. Mai 2011, Rechtssache C- 115/09 (1), 2011/C 204/10)

52. Schmidt, გვ. 296